

მომონებები, ღლიუჩები, ჩანანეჩები

ღაპრით გოგბაქა

ძთგნსყნთბზ ჟთწთბგაძი

VI

თბილისი
2019



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო,
რედაქტირება გაუკეთა და გამოსაცემად მოამზადა
ბენიკ ჯაფარიანი

ტექსტი გადმოწერეს:
თეონა გელაშვილი და ნათია სურბანიძე

იდეის ავტორი:
თეონა იაშვილი


სარედაქციო ჯგუფი:
თეონა იაშვილი
ვეთევეან ასათიანი
ვლადიმერ კეკელია
ნათია მირიანაშვილი
დალი ჩიქუნაშვილი
მარიამ ჯანიკაშვილი


რუსული ტექსტები თარგმნა:
თბმარ ბაბუნიაშ

დიზაინერი:
ნატა ყუბანეიშვილი

ყველა უფლება დაცულია @

ISBN 978-9941-8-1958-2

 საქართველოს Ministry of
იუსტიციის Justice of
სამინისტრო Georgia

 საქართველოს National
არქივების Archives of
სამსახური Georgia

 საქართველოს
არქივების
სამსახური

ბაბუაჩემს, დავით გორგაძეს, ამ წიგნის გამოსვლა ძალიან გაახარებდა.

ღრმა ბავშვობის მოგონებებიდან მკაფიოდ მახსოვს, როგორ ჩნდებოდა და ქრებოდა ორი ე. წ. საერთო რვეული მისი საწერი მაგიდის უკრიდან. როგორც ჩანს, წასაკითხად აძლევდა მათ, ვისაც ენდობოდა და ვისი აზრიც აინტერესებდა.

12 წლის ვიყავი, როცა საბჭოთა სკოლის ცოდნით აღჭურვილმა მასთან საუბარში აგდებულად მოვიხსენიე მენშევიკები. დაკვირვებით მომისმინა და დაიწყო ახსნა, რითი სჯობდა მენშევიკური მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა იმას, რაც მივიღეთ გასაბჭოების შემდგომ. ლაპარაკი არ არის იმაზე, შეძლებდნენ თუ არა ჩანაფიქრის შესრულებას, მაგრამ ბაბუაჩემის თქმით, სოფლად „ერთი ფეხსალაგის აშენება მოსკოვს რომ უნდა შეუთანხმო“, ამას ნამდვილად აჯობებდა. ბაბუაჩემს დაეჯერებოდა – რაც თავი მახსოვს, ჯერ ე. წ. „სოვნარხოზში“ მუშაობდა, ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ კი პენსიაზე გასვლამდე კვების მრეწველობის სამინისტროს საგეგმო განყოფილებას განაგებდა და კარგად ესმოდა საბჭოთა ეკონომიკის „სიკეთეები“. წელიწადში ორჯერ მოსკოვში უხდებოდა მივლინებაში ყოფნა, რომ არამკითხე მოკეთებებისგან გამოეძალა და გამოეცინცლა რესპუბლიკისთვის საჭირო ფინანსები.

სწორედ ამ საუბრის დროს პირველად მომიყვა ბაბუაჩემმა, რომ ტაბახმელასთან იყო ქართულ ჯარში, როცა რუსებმა უკან დაახევინეს ქართულ საჯარისო ნაწილებს და როგორ ჩავიდა ბათუმში ჯერ ფეხით, მერე კი ხან ცხენით და ხან ურმით (ასეთი ეპიზოდიც იყო) ჯარის ნაწილთან ერთად. ბოლოს კი მეორე ოთახში მყოფ ჩემს დიდდას გასძახა, მგონი დროა ქეთინომ მოგონებები წაიკითხოსო და მაშინ მომცეს პირველად ეს რვეულები ხელში. იმ ვარიანტში, რაც მე წავიკითხე, მოქმედ პირთა გვარები ჯერ კიდევ მრავალწერტილით იყო აღნიშნული. გასაგებიცაა, ფრთხილობდა და ერიდებოდა ბოგიერთი



გვარის ხსენებას. მგონი სწორედ იმის შემდეგ, მე რომ გავუწყალე გული, ეს ვინ იყო და იქ ვის გულისხმობდი-მეთქი, ბევრგან გახსნა ფრჩხილი და მიუთითა ზუსტი ვინაობა. 12 წლის ასაკში ჩემთვის ნამდვილად არაფერს წარმოადგენდა გრიგოლ წერეთლის სახელი (ან ვინ იცოდა პროფესიონალთა ვიწრო წრის გარდა), მაგრამ სტუდენტობისას ხელახლა რომ გადავიკითხე ორთაჭალის ციხის ამბები, ბევრი რამ სულ სხვა თვალთ დავინახე.

30-იანი წლების ტერორი ჩემი ოჯახის დიდი ტკივილი იყო ორივე – დედაჩემისა და მამაჩემის ოჯახების მხრიდან. ლაპარაკს ოჯახში არ ერიდებოდნენ, მაგრამ თუ რამე დამრჩება სანანებლად – რატომ არ დავკეცი და მეტი არ მოვაცოლინე, რატომ არ ჩავიწერე, რასაც ჰყვებოდნენ. ერთია ის ჯოჯოხეთი, რაც ბაბუაჩემმა გამოიარა და მეორე – რაც გარეთ დარჩენილებს ელოდათ. მასხენდება დიდებას მონაყოლი – ერთი წლის განმავლობაში საწოლის ქვეშ მქონდა მომზადებული პატარა საკვოიასი, როცა მომაკითხავდნენ, ციხეში წასაღებადო (რამდენი ასეთი შემთხვევა იყო), ხან დედაჩემის ნათქვამი ამეკვიტება – დათიკო ზაფხულში დაიჭირეს, როცა მისი ოჯახის წევრები – ცოლ-შვილი და დედა ზუგდიდში იყვნენ დათიკოს დასთან, დედამ ისე შეიცხადა და ისე დაიტირა, როგორც უკვე მკვდარი, ხოლო ამ ამბების შემხედვარე 8 წლის ლიას 40 გრადუსამდე აუვარდა სიცხე.

ძალიან ბევრისგან გამიგია, რომ რეპრესირებულთა ოჯახებს საზოგადოებიდან რიყავდნენ, ან მათთან ურთიერთობას ზღუდავდნენ (ესეც ტერორის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო – ყველა უნდა დაეშინებინათ). ჰოდა, მინდა ვთქვა, რომ ერთი გამონაკლისის გარდა, არავის უგრძობინებია ჩემი ოჯახის წევრებისთვის – ჯობია აღარ გვექონდეს ურთიერთობაო.

როდესაც დაპატიმრებული დათიკო სახლიდან მიჰყავდათ – ეს კი გარკვეული მიზეზების გამო დილით მოხდა და არა შუალამისას. ამ პროცესს არაგვის ქუჩის 8 ნომერში მცხოვრებნი – ნათესავები და მეზობლები შეესწრნენ. მეორე სართულიდან ქვევით ჩამოიჭრა მისი დეიდაშვილი, გიორგი იოსების ძე ყიფშიძე და დათიკოს გამოსამშვიდობებლად გადაეხვია. პატარა არ იყო, 23 წლის ასაკში მშვენივრად ესმოდა ასეთი დემონსტრაციული ნაბიჯი რას მოუტანდა, მაგრამ ერთი შემოძლია ვთქვა: გაბედა! იმავე წელს გაიწვიეს ჯარში (თურმე არც ერთ შემთხვევაში არ ეკუთვნოდა), სავალდებულო ვადის



გასვლის შემდეგ დემობილიზაცია არ შეეხო და უკვე ჯარში მყოფი შეხვდა ჰიტლერთან ომის დაწყებას. აღარ დაბრუნებულა. შესაძლოა, ეს გამოთხოვება იყო მიზეზი იმისა, რომ ერთგვარად დასაჯეს და გაანეიტრალეს.

დაე, ეს ჩემი პატარა შესავალი იყოს მადლობა იმათ მიმართ, ვინც გულშემატკივრობდა ცალკე ჩრდილოეთში დაკარგულ პატიმარს და ცალკე მის ოჯახს თბილისში.

პირველ ყოვლისა, ვახსენებ დათიკოს დას — ია გორგაძეს და მის მეუღლეს, ზუგდიდელ ექიმს გრიგოლ ანთელავას, კეთილშობილ და ზნეობრივ პიროვნებას, რომლებმაც ბევრი გააკეთეს, კიდევ ვიმეორებ, ძალიან ბნელ ხანაში, რეპრესირებული ოჯახის დასახმარებლად. მადლობას ვუხდით დავით გორგაძის მამიდაშვილებს — ივანე და კონსტანტინე ვეფხვაძეებს, რომლებმაც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადმოყვანის შემდეგ, ბანაკში მოინახულეს ჯერ კიდევ პატიმარი: გაბედეს! ცნობილმა ქირურგმა კონსტანტინე (კოწია) ვეფხვაძემ ჩააკითხა კიდევაც დაპატიმრებულს, როცა დავითს მანქანა დაეჯახა, ოპერაცია გაუკეთა და ფეხის დაკარგვას გადაარჩინა. კიდევ ერთი ადამიანი მინდა ვახსენო, გვარი და სახელი არ ვიცი, თბილისის 49-ე სკოლის დირექტორი, სადაც ჩემი დიდედა მუშაობდა. იყო საშიშროება, როგორც რეპრესირებულის მეუღლისთვის, სკოლაში მასწავლებლობა აეკრძალათ (ყოფილა შემთხვევები). როგორც დიდედა მიყვებოდა, დირექტორს მისთვის უთხოვია, ციხიდან გამოგზავნილი წერილები მაჩვენეთო; რამდენიმე დღის შემდეგ დაუბარებია თიკო (დიდედაჩემი) და წერილების დაბრუნებისას უთქვამს: Будьте спокойны, Тина Васильевна, НИКТО вас не тронет [თარგმ.: მშვიდად იყავით, თინა ვასილიევნა, თქვენ არავინ შეგეხებათ] — გაბედა!

ბაბუაჩემზე ან ბევრი უნდა ვწერო, ან აქ გავჩერდე. მგონი საკმარისია.

P.S ბოლოს დიდი მადლობა მინდა მოვახსენო საქართველოს ეროვნულ არქივს და, რაც მთავარია, ჩემს ყოფილ სტუდენტებს, ამჟამად კი ეროვნული არქივის თანამშრომლებს ქეთევან ასათიანს, ბესიკ ჯაჭვლიანს, აგრეთვე თეონა გელაშვილსა და ნათია სურმანიძეს, რომელთა მონდომების და დიდი ძალისხმევის გარეშე ეს წიგნი მშის სინათლეს ვერ იხილავდა.

ქეთევან აბესაძე

(დავით გორგაძის შვილიშვილი)



ინჯექტ

„ისტორია პოლიტიკაა, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია, პოლიტიკა კი ისტორია, რომლის გამოსწორებაც ჯერ კიდევ შესაძლებელია“ – ზიგმუნდ გრაფის¹ ეს სიტყვები მართლაც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ისტორიისა და პოლიტიკის ზუსტ ფორმულირებად, მაგრამ მეოცე საუკუნემ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

პოლიტიკამ ისეთი ფორმები მიიღო, რომ ისტორიის გამოსწორებაზე ფიქრიც კი ზედმეტი გახდა. შესიტყვება „კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული“ სწორედ მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა და ეპოქის ყოველდღიურობაში განხორციელდა. შიმშილი, რეპრესიები, გენოციდი – ეს სიტყვები საერთაშორისო ლექსიკონში სამუდამოდ დამკვიდრდა.

პირველი მსოფლიო ომის სამხედრო დანაშაულობების „ღირსეულ“ მემკვიდრედ ცენტრალურ ევროპაში პოლიტიკური რეპრესიები იქცა, აღმოსავლეთ ევროპაში კი ამ ყველაფერმა, როგორც ისტორიაში არაერთხელ მომხდარა, უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო. კომუნიზმის ჭირმა ფესვები გაიდგა რუსეთში და მალევე გამოისხა შხამიანი ნაყოფი. „რევოლუციას ვერ მოახდენ თეთრი ხელთათმანებით“ – ასე გაიძახოდნენ ბოლშევიკები, თითქოს ახალი რეჟიმის შენებისას ჩადენილი საკუთარი დანაშაულის გამართლებას ცდილობდნენ. კომუნისტების რევოლუციურმა სულიკვებებამ სისხლით არა მხოლოდ მათი ხელთათმანები, არამედ მთელი ქვეყანა შეღება.

კაცობრიობის ისტორიის ამ ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი დროის ამბებს გვიყვება დავით გორგაძე თავის მოგონებებში „მოგზაურობა ჯოჯოხეთში“. დავითი ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სერგი გორგაძის ოჯახში დაიბადა 1903 წლის 9 ოქტომბერს. სკოლის დასრულების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა იურიდიულ ფაკულტეტზე, თუმცა მაშინდელი იურისტების შემხედვარეს მალე გული აუცრუვდა ამ პროფესიაზე და სწავლა ეკონომისტის დიპლომით დაასრულა.

პირველი „საბრძოლო ნათლობა“ დავით გორგაძემ რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომში მიიღო. ის იმ ახალგაზრდებს შორის აღმო-

¹ Sigmund Graff – Unvergeßlicher Krieg. Ein Buch vom deutschen Schicksal, 1936.





დავით გორგაძე (შუაში) მეგობრებთან ერთად
ფრაგმენტი, უკანა მხარეს იკითხება შემდეგი ტექსტი:
„მე, 3) ანთაძე, 4) ღამბაშიძე. 1927-28“
(ფოტო გადმოგვცა ქეთევან აბესაძემ).



ჩნდა, რომლებიც დაუფიქრებლად ჩაეწერნენ მოხალისეთა რიგებში².

1922 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, კომუნისტების წინააღმდეგ მოეწყო სტუდენტური გამოსვლა, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას დავით გორგაძეც იღებდა. ბოლშევიკებმა არ აპატიეს სტუდენტურ მიტინგზე სიტყვით გამოსვლა და დააპატიმრეს. საბედნიეროდ, პირველი სასჯელი მისთვის არც ისე მძიმე აღმოჩნდა და ციხიდან მალე გამოუშვეს, თუმცა მას 1924 წლის რეპრესიები არ ასცდა, დავითი მეორედაც დააკავეს და ამ შემთხვევაშიც მალე დააღწია თავი ციხეს.

1926 წელს დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი; 1927 წელს დაქორწინდა თინათინ ფავლენიშვილზე (1905-1989). ორი წლის შემდეგ კი, 1928 წლის 9 ოქტომბერს, ერთადერთი ქალიშვილი, ლია, შეეძინათ (1928-2002).

1928-1937 წლებში დავით გორგაძე მუშაობდა ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციის, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, სადაც 1929 წელს 5 თვით უფროსად დაუნიშნეს ნიკოლოზ ავაქის ძე თარხანოვი. სწორედ ეს ხუთი თვე გახდა მის ცხოვრებაში ავბედითი და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სწორედ 1929 წლის ამ კონკრეტული პერიოდის გამო 1938 წლის 21 ივნისს შინსახკომის დამქაშებმა დავით გორგაძე დააპატიმრეს. მისი მოგზაურობა “ჯოჯობეთში” 1945 წლამდე გაგრძელდა.

1945-1947 წლებში ხელმძღვანელობდა ტყიბულის, წყალტუბოს, ქუთაისის „საქნახშირის“ სამშენებლო ორგანიზაციების საგეგმო სამსახურებს. 1957 წელს, რეაბილიტაციის მიღების შემდეგ, დაუბრუნდა თბილისს. 1965-1978 წლებში შეუცვლელად ხელმძღვანელობდა კვების მრეწველობის სამინისტროს საგეგმო განყოფილებას. იყო საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი. თანამშრომლობდა პერიოდულ პრესასთან, გამოქვეყნებული ჰქონდა იგავ-არაკები რუსულ ენაზე ჟურნალში „Литературная Грузия“ (1969. N7, 8, 11). ასევე გამოაქვეყნა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ მისეული თარგმანი („საბჭოთა ხელოვნება“, 1970, N10).

დავით გორგაძე გარდაიცვალა 1981 წელს.

² გვი დამბაშიძის „ომის დღეებში“ აღწერილია კლასელების: დავით გორგაძის, შალვა მაყაშვილის (მარო მაყაშვილის ძმა), გიორგი ჯილაურისა და გრიგოლ ბინანიშვილის შეხვედრა ფრონტის ხაზზე 1921 წლის 24 თებერვალს. ამ მოგონებების მიხედვით, შალვა მაყაშვილი და დავით გორგაძე ქარუმიძის ბატარაში ჩაეწერნენ მოხალისეებად. სამწუხაროდ, დავით გორგაძე ამის შესახებ საუბარს უახლოესი ნათესავების წრეშიც კი ვერ იტყობდა, შესაბამისად, თხრობა ცხოვრების ამ მონაკვეთის შესახებ ვერც მოგონებებში მოხვდა (იხ. გვი დამბაშიძე, ომის დღეები, თბილისი, 2017, გვ.50).



მოგონებები

„თორმეტჯერ თუ თოთხმეტჯერ „დამკითხეს“ შინსახკომის შიდაციხეში“

საუბარი მოგონებების ამ ნაწილის შესახებ შეიძლება პირობითად ორი მიმართულებით წარვმართოთ: პირველი – რეპრესიების სა-ყოველთაოდ აპრობირებული მექანიზმი, რომელიც ნებისმიერი მასალის (მოგონებები, ოფიციალური დოკუმენტები, ფოტოები...) შესწავლისას თვალშისაცემად ერთგვაროვანია და მეორე – ამ მექანიზმის მოქმედებების შედეგი.

მივყვეთ თანმიმდევრულად „ჯოჯოხეთის“ დავით გორგაძისეულ აღწერას; ყველა წინადადება განსაკუთრებული ექსპრესიულობითაა აღბეჭდილი, ნაჩვენებია განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების ძლიერი თუ სუსტი მხარეები, თუ როგორ ტეხდა ადამიანის ნებას დაუნდობელი სისტემა, როგორ იღვიძებდა რეპრესირებულებში თვითგადარჩენის ინსტინქტი, როგორ კარგავდა ღირსებას განადგურების პირას მყოფი ყველაზე ზნესრული ადამიანიც კი. ამ პერიოდს არაერთი დიდი თუ მცირე ნაშრომი მიეძღვნა: ზოგი მხატვრული, ზოგიც ბიოგრაფიული. „მოგზაურობა ჯოჯოხეთში“ განსაკუთრებულია, რადგან ის მითების ნაზავი კი არა, თვითმხილველის მიერ დანახული რეალობაა.

დავით გორგაძისათვის პირველი დარტყმა „ადამიანური ღირსების დაკნინების“ ხილვა აღმოჩნდა, რომლის მოწმეც შინსახკომის შენობაში შესვლისთანავე გახდა: ანკეტის შევსება, ზედმეტი ნივთების (ქამრის, ზონრის და ა.შ) ჩამორთმევა, გასაღების გადატრიალების ცნობილი ხმა, საკანში გამომწყვდეულთა სახეები ...

საკანში დაძაბულობა პიკს მაშინ აღწევდა, როცა რომელიმე პატიმარი დასაკითხად მიჰყავდათ. დაკითხვას კი შინსახკომელები დიდი „ენტუზიაზმით“ ეწეოდნენ: „ასიდან ორი ან სამი თუ უძლებდა მუშტსა და მათრახს, დანარჩენები ან იღუპებოდნენ იქვე, დაკითხვის დროს (რაც არც ისე იშვიათი იყო), ან სასოწარკვეთილებაში ვარდებოდნენ და ასახელებდნენ, ასახელებდნენ ... პატიოსანს და უპატიოსნოს, დიდსა და პატარას, ცოლი – ქმარს, შვილი – მამას, ძმა – ძმას



... ციხეები ივსებოდა. ეს იყო 1937 და 1938 წლები. ეს ყველაფერი იყო!“ დაკითხვების „თავისებურებები“ იმდენად უნივერსალურია და საყოველთაოდ ცნობილი, რომ დაწვრილებით ამის განხილვა საჭირო სულაც არაა; მექანიზმი სსრკ-ს „თავისუფლებისა და სამართლიანობის სამყაროში“ ყველგან ერთნაირი იყო. მხოლოდ ცალკეული დეტალების გამოყოფა ღირს, მაგალითად, შინსახკომის სამსახურში ჩამდგარი ფეხბურთელების ამბავი, კონკრეტული ჯალათების კონკრეტული საქმეები და ა.შ.

საინტერესოა, რის საფუძველზე სჩადიოდნენ ეს ჯალათები განსაკუთრებული მონდომებით დანაშაულს. 1938 წელს დაიწყო „თარხანოვის საქმე“. საქმეს იძიებდა „ხალხის მტრების“ გამოვლენითა და დასჯით განთქმული ბოგდან (ბაღჩო) ქობულოვი. 1937 წელს ქობულოვის ინიციატივით დააპატიმრეს და აწამეს ყოფილი სოციალ-რევოლუციონერები (ესერები): ა.გ. ავეტიკიანი, ი.ნ ტერ-ნერსესოვი, ს.გ. ნუროვი და ა.შ., რომლებმაც „ძირგამომხრელ საქმიანობაში“ მოკავშირედ ასევე ყოფილი ესერი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე თარხანოვი დაასახელეს. თარხანოვის დაკითხვასა და წამებას ქობულოვის დამქაშები ისეთი მონდომებით შეუდგნენ, რომ ამ უკანასკნელმა მოკავშირედ ორმოცდაათამდე ადამიანი დაასახელა, რომელთა შორის დავით გორგაძეც აღმოჩნდა. „თარხანოვის საქმე“ იმდროინდელი საზომითაც კი გამორჩეული იყო და მისი წარმატებით „გამოძიება“ ქობულოვს დიდ მომავალს უქადდა.

მართლაც, „თარხანოვის საქმემ“ ბაღჩო ქობულოვს ლენინის ორდენი და სამსახურებრივი დაწინაურება მოუტანა, მაგრამ, ბედის ირონიით, ამანვე დაღუპა. ბაღჩო ქობულოვი ლავრენტი ბერიას „ბანდის“ წევრობისა და სამშობლოს ღალატის ბრალდებით დააკავეს 1953 წლის 27 ივნისს და, ოფიციალური მონაცემებით, ამავე წლის 23 დეკემბერს დახვრიტეს.

„სინათლე ჯურღმულში“

მოგონებების სრულიად განსაკუთრებული ნაწილია ორთაჭალის ციხეში, კერძოდ „გამოძიების ქვეშ მყოფ პატიმართა კორპუსში“, გატარებული დრო. ბესიკის ქუჩიდან ორთაჭალის ციხეში გადაყვანილი დავით გორგაძის ინფორმაციით ათას შვიდას თუ ათას რვაას კაცზე გათვლილ ორთაჭალის ციხეში 1937-1938 წლებში პატიმრების რიცხვი



რვა ათასს აღემატებოდა. იმ კონკრეტულ საკანში კი, რომელშიც დავით გორგაძე შეიყვანეს, სულ 30 საწოლი იყო, პატიმარი კი — 140. შესაბამისად, ტუსაღთა უმრავლესობა ქვის იატაკზე იწვა. სხვა პატიმართა შორის საკანში იყვნენ: გრიგოლ წერეთელი, მიტროპოლიტი ვარლამი (მახარაძე), ცნობილი ვექილი სერგო ჟორჯოლიანი და ა.შ.: „ყველას, ვინც საკანში ვიყავით, დაღვივით გვექონდა დასმული ესა თუ ის ბრალდება ანტისაბჭოთა საქმიანობაში. გ. წ-ელი ფაშისტად და ჯაშუშად მონათლეს, მიტროპოლიტ ვარ-მს ათეული „ცოდვა“ აღმოუჩინეს, კ. სუმ-ილს „მონარქიზმის“ აღდგენის ზრახვებს სწამებდნენ, კ. ჯ-ძე და ს. ჟ-ანი მენშევიკებად მიაჩნდათ“. ერთ საკანში მოქცეულმა ძვირფასმა „დამნაშავეებმა“ ერთგვარი კულტურული ავტონომია შექმნეს: გრიგოლ წერეთელი ელადაზე ყვებოდა, სერგო ჟორჯოლიანი — ბეილისის პროცესზე, თავად დავითი კი — საქართველოს ისტორიაზე. „გრ. წ-ელმა საღერღელი აგვიშალა ყველას და ციხის კედლები „დაგვამსხვრევინა“ — იგონებდა დავით გორგაძე.

„დაიწყო ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში. მძიმე, სავსე სისხლითა და ოფლით ...“

ორთაჭალის ციხიდან გორგაძეს ხანგრძლივი მგზავრობა მოუწია კოტლასისკენ, სადაც შინსახკომის გამანაწილებელი ბანაკი მდებარეობდა. ბანაკში საზოგადოება ორ, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ფენად იყოფოდა: ა) ბოროტმოქმედები, ქურდები, მძარცველები, მოძალადეები და მკვლელები, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ დროებით გარიყულ ფენად მიიჩნევდა და ბ) „კონტრიკები“, ანუ პოლიტპატიმრები, რომლებიც ადამიანებადაც კი არ ითვლებოდნენ და სახელმწიფოსთვის ყველაზე საშიში ფენის ბეჭედს ატარებდნენ.

რამ განაპირობა ასეთი დამოკიდებულება, ძნელი მისახვედრი არ არის. ცალკეული კრიმინალური ელემენტის გაკონტროლება ხელისუფლებისთვის რთულია, მაგრამ ორგანიზებული დანაშაულებრივი სამყაროსი — მარტივი (იმ შემთხვევაში თუ მისი მართვის ბერკეტებს მიაგნებს). კომუნისტებმა კარგად გათვალეს, როგორ გამოეყენებინათ ე. წ კანონიერი ქურდები საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ. საკმარისი იყო ამ „შარაგზის რაინდებისთვის“ მცირე პრივილეგია მიენიჭებინათ ხელისუფალთ, ისინიც აფთრებივით ერთმანეთს გლე-



ჯდნენ და კრიმინალური სამყაროს იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ასვლას ცდილობდნენ. პოლიტპატიმრები („კონტრიკები“) ასეთ სამყაროში, ბუნებრივია, ვერ დაიმკვიდრებდნენ ადგილს, შესაბამისად, სისტემა მათზე ორმხრივად ძალადობდა: ოფიციალურად – სისტემის მეშვეობით და არაოფიციალურად – კრიმინალების დახმარებით.

რა გასაკვირია, რომ ასეთ პირობებში ჩავარდნილი ადამიანი თავის გადასარჩენად პირველყოფილ მდგომარეობამდეც მიდიოდა. არაადამიანურ სისტემასთან დაპირისპირება ან მისგან თავდაცვა შეუძლებელი იყო ადამიანური სახის დაკარგვის გარეშე. მოგონებების ავტორი არაერთხელ აღმოჩნდა რთული არჩევანის წინაშე, მაგრამ ის არა გაცნობიერებულმა, არამედ ინსტინქტურმა ქმედებებმა გადაარჩინა.

გულაგში გატარებულმა დღეებმა დავით გორგაძეს დაანახა, თუ რაზეა წამსვლელი კუთხეში ნადირივით მიმწყვდეული ადამიანი. მან საკუთარი თვალთ იხილა, როგორ რყვნის ადამიანს ძალაუფლება და როგორ კლავს მასში ყოველივე ადამიანურს.

„სამამულო ომის სუნთქვა ჩვენ ვიგრძენით ბანაკის შინაგაწესის უცარი შეცვლით და სასტიკი ზომების შემოღებით“

რეპრესიების საშინელებას 1941 წლის 22 ივნისს ომის სიმწარეც დაერთო: შიმშილი, სიცივე, სახელმწიფოსგან გარიყული და დავიწყებული ადამიანების გაორმაგებული ტანჯვა... გულაგებში თითქოს თავი მოიყარა ეპოქის ყველა მანკიერებამ. შეიცვალა სისტემის დამოკიდებულებაც ხალხის მიმართ. უხეში, განუწყვეტელი და ორგანიზებული ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური წამება მიყურადებამ, დაბეზლებამ და სპონტანურმა სასიკვდილო განაჩენებმა ჩაანაცვლა. თუ „ჩეკა“ და გულაგების ადმინისტრაცია ადრე ძალადობრივი მეთოდებით ცდილობდა ადამიანების გატეხასა და დამორჩილებას, ახლა ეს მეთოდები ომის პირობებში მყოფ საბჭოთა ხელისუფლებას რთულ მდგომარეობაში აგდებდა. საჭირო იყო ახალი წესრიგი, რომელიც ნაწამებსა და გაუბედურებულ პატიმარს საბჭოეთის წინააღმდეგ ამხედრებისა და გერმანიის მხარეს გადასვლის სურვილს არ აღუძრავდა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა; ამასთანავე მნიშვნელოვანი იყო კონტროლის შენარჩუნებაც. კოლექტივებში





დავით გორგაძის მიერ გადასახლებიდან გამოგზავნილი წერილები

„ჩეკამ“ საიდუმლოდ ჩანერგა გადაბირებული ხალხი, რომლებსაც ევალებოდათ ანტისაბჭოური ქმედებები, რათა გაერკვიათ, ვინ იყო სიმპათიით განწყობილი გერმანიის მიმართ; მცირედი ეჭვის შემთხვევაში კი სასწრაფოდ აწყობდნენ საველე სასამართლოებს, რომლებსაც სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ „საბჭოეთის მტრე-ბისთვის“.

საომარმა მდგომარეობამ ახალი მოთხოვნებიც წარმოშვა: ციხე-ებსა და გადასახლებებში ინტელექტუალური რესურსის უაზროდ ფლანგვას მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოჰქონდა. ამიტომ დაიწყეს ე. წ. კონტრიკების გამოყენება. საბჭოთა კავშირისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა ძველი კომუნიკაციების სწრაფმა რეაბილიტაციამ და ახლის აშენებამ. ინტელექტუალ „კონტრიკთა“ რიგებში დავით

გორგაძეც იყო. მისი ცოდნა დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაფასდა; რუტინული ფიზიკური შრომა გონებრივმა ჩაანაცვლა, შესაბამისად, მისი ყოველდღიურობაც შემსუბუქდა. ჩანაწერების ავტორს არც დრო, არც ენერგია რჩებოდა ზედმეტი ფიქრისა და ტანჯვისთვის.

ომის დასრულების შემდეგ დავით გორგაძისთვის ცხოვრების ახალი, უფრო მარტივი ეტაპი დაიწყო: ის აზერბაიჯანში გადაიყვანეს, სამშობლოს სიახლოვეს ყოფნამ კი მასზე დადებითად იმოქმედა. მისთვის წარმოუდგენელი იყო, რომ ასეთ ხანგრძლივ წამებას „ბედნიერი“ დასასრული შეიძლებოდა ჰქონოდა. ალბათ, არც ერთ რეპრესირებულს არ სჯეროდა, რომ ისევ დაუბრუნდებოდნენ ნორმალურ ცხოვრებას, ოჯახებს, სიმართლე რაღაც დობით იზეიმებდა და მალე რეაბილიტირებულნიც იქნებოდნენ.

დამატება

როგორც ითქვა, დავით გორგაძის მესამე დღიური მცირე მოგონებებისგან შედგება. ყოველი მათგანი მეფის რუსეთის პერიოდს აღწერს. გარდა იმისა, რომ ისინი ერთმანეთს ქრონოლოგიურად არ მისდევს, არც იდეოლოგიურადაა დაკავშირებული.

მაშინ, როცა „ორი იმპერატორის სტუმრობა“, „Боже царя храни“ (თარგმ.: „ღმერთო დაიფარე მეფე“) „გონებამახვილი პეტუა“ და „ქორია მოკრივე“ უფრო სატირულ-იუმორისტული შინაარსისაა, „ზოგი რამ ჩვენს ოჯახის ქრონიკიდან“ და მისი ქვეთავები ისეთ სერიოზულ საკითხებს ეხება, როგორებიცაა: 1906 წელს სათავადაზნაურო გამნაზიის დაბრევა, შიო ჩიტაძის მკვლელობა, რუსეთში გატანილი განძის დაბრუნების ისტორია და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მასში აღწერილი ზოგიერთი ფაქტის მომსწრე ავტორი არ ყოფილა, მოგონებების მესამე ნაწილი მაინც უმთავრესია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქვეთავი „მეფის გვირგვინი“, რომელშიც საქართველოს კუთვნილი საგანძურის დაბრუნების ისტორიაა აღწერილი. ამ ქვეთავს უდიდეს მნიშვნელობას სძენს ავტორის მიერ აღწერილი ეპიზოდი, როდესაც მან თავზე საქართველოს უკანასკნელი მეფის გვირგვინი, რაც დადასტურებაა იმისა, რომ დავით გორგაძე



თავად შეეხო ამ საგანძურს და ყველაფერი, რაც აღწერა, თავადვე განიცადა. ჩვენი ქვეყნის ბედივით უცნაურად წარიმართა გიორგი XII-ის გვირგვინის ბედიც: 1930 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ მისი გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღო, რაც აბსურდულად აიხსნა: „грузинская корона, реэвакуированная из Москвы..., для истории Грузии, будучи изготовленной в России и перевезенной в свое время в Грузию, не представляет значения“ (თარგმ.: მოსკოვიდან საქართველოში რეევაკუირებული საქართველოს უკანასკნელი მეფის გვირგვინი..., რომელიც თავის დროზე დამზადდა რუსეთში და შემდგომ ჩამოიტანეს საქართველოში, ფასეულობას არ წარმოადგენს) იმავე წელს საქართველოს უკანასკნელი მეფის გვირგვინი 16 500 ოქროს რუბლად შეიძინა ცნობილმა ჰოლანდიელმა ნავთობმაგნატმა და კოლექციონერმა, ჰენრი დეტერდინგმა. მას გვირგვინის ყიდვის საქმეში დაეხმარა და სსრკ-ს ხელისუფლებასთან შუამდგომლობა გაუწია კოლექციონერმა, გალუსტ გიულბეკიანმა.

დავით გორგაძის ეს თხრობის თავისუფალი მანერით დაწერილი მოგონებები ეპოქისა და მისი უმთავრესი ტრაგედიის - დიდი ტერორის - ცოცხალი მოწმეა, მასში მშვენივრადაა ასახული ადამიანთა ხასიათები და ქცევა ექსტრემალურ ვითარებაში, მათი განცდები და უკეთესი მომავლის იმედი. ეს წიგნი, ზოგიერთი ფაქტობრივი და ქრონოლოგიური უზუსტობების მიუხედავად, მნიშვნელოვანი წყაროა მკვლევართათვის არა მხოლოდ საბჭოთა ტერორის, არამედ მეფის რუსეთის ეპოქის შესასწავლად.

ტექსტისათვის

მოგონებებში ქრონოლოგია ხშირად არეულია და ტექსტი ფაქტობრივი მასალის სიჭარბითაც არ გამოირჩევა, რაც გასაგებიცაა: დავით გორგაძე გადასახლებიდან დიდი ხნის დაბრუნებული იყო, როცა თავს დატეხილი ამბების წერა დაიწყო.

ავტორმა მთელი ისტორია სამ რვეულში განათავსა. „მოგზაურობა ჯოჯოხეთში“ პირველ და მეორე რვეულებს მოიცავს და დაყოფილია 10 ქვეთავად; მესამე რვეულის ნაწილი პირადი ჩანაწერებისთვის გამოიყენა — სანუკვარი შვილიშვილების ლექსიკონი, ძირითადად,



კერძო შინაარსის ლექსები და ა.შ. მაგრამ ამავე მესამე რვეულში ჩართული აქვს რამდენიმე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, ზემოთ ნახსენები, მეფის რუსეთის დროის ამსახველი, ჩანაწერი-მოგონება.

წიგნზე მუშაობისას გამოვიყენეთ 100-მდე წერილი და ფოტო, რომელიც გადმოგვცა დავით გორგაძის შვილიშვილმა – ქეთევან აბესაძემ. ასევე წიგნში გამოყენებულია საქართველოს ეროვნულ არქივსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ფოტომასალაც.

დავით გორგაძის მოგონებების ნაწილი გარკვეული კორექტივებით 1991 წელს, გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა, ამჯერად ტექსტი ქვეყნდება უცვლელად და სრულად, საკუთარი დამატებებით. შევეცადეთ მკაცრად დაგვეცვა ტექსტის ავტორისეული გადმოცემის პრინციპი.

როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ავტორმა რამდენჯერმე გადააკეთა საკუთარი ნაშრომი, რედაქტირებას დაექვემდებარა „მოგონებების“ საბოლოო ვერსიაც, გამოცემაში სქოლიოში გავიტანეთ ავტორის მიერ ამოშლილი ნაწილები, ვინაიდან სრულიად ნათელია, რომ ხშირ შემთხვევაში კონკრეტული მონაკვეთის ამოღების მიზეზი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა იყო.

სქოლიოებში რეპრესირებულთა შესახებ მონაცემების შესავსებად გამოვიყენეთ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ შედგენილი „სტალინური სიები საქართველოდან“.

დავით გორგაძე ახლობლებთან ერთად

სახლის აივანი, საიდანაც მოგვიანებით გაიყვანეს დაპატიმრებული დავით გორგაძე.

ზემო რიგში მარცხნიდან: დავით გორგაძე, დედა – თამარ ეგაძე. მეუღლე – თიკო ფავლენიშვილი. შუა რიგში მარცხნიდან: ცირა ბოლოთაშვილი, ევგენია ეგაძე-ყიფშიძე, ნადიკო ეგაძე-ფერაძე, გიორგი ყიფშიძე. ქვემო რიგში მარცხნიდან: ეკატერინე მაისურაძე-ფერაძე, თინა ყიფშიძე, ელენე მხატვრიშვილი, რუსუდან ფერაძე, ლუბა ეგაძე, ბიძინა ფერაძე. ►





საქართველო
ეროვნული
არქივი

მთენფისთბა ქოჭთხეთში

I კარიბჭესთან

[3] ჩეკისტებმა მანქანით შინსახკომის შიდაციხეში მიმიყვანეს, ბესიკის ქუჩაზე მდებარე ვეებერთელა შენობაში. მეორე სართულზე ავედი. შესასვლელ ოთახში მორიგე დაგვხვდა. თანმხლებლებმა მორიგეს გადააბარეს ჩემი თავი ხელწერილის ქვეშ, როგორც ნივთი ან პირუტყვი. მორიგემ ანკეტა შეავსო, ხელი მომაწერინა. შემდეგ ქამარი და ყელსახვევი ამართვა, შარვალზე ლითონის ღილები ამაჭრა და ტელეფონით ვილაცას უხმო. ორ წუთში გაჩნდა შინსახკომის თანამშრომელი, მან ხელით მანიშნა გავყოლოდი; გავყევი. შიშს იმჟამად არ ვგრძნობდი. ისე კი ძლივს ვიკავებდი უღილო და უღვედო შარვალს, ორივე ხელით მეჭირა, რომ არ ჩამვარდნოდა.

ეს პირველი შემოტევა იყო ადამიანის ღირსების დაკნინებისა და დამცირების მიზნით ე. წ. ფსიქიური ზემოქმედება. როგორც შემდეგ შევიტყვე, ქამრების, ყელსახვევების და ლითონის ნივთების ართმევა პატიმრების თვითმკვლელობის ხელყოფის საწინააღმდეგო ზომად მიაჩნდათ.

გრძელი დერეფნით რომელიღაც ოთახს მივადექით. გამყოლმა ორჯერ დაატრიალა გასაღები კლიტეში, შეაღო კარი და ოდნავ წამკრა ხელი, შედიო, ყოველივე ეს უსიტყვოდ. შემზარავი იყო გასაღების კლიტეში ტრიალის ხმა, ძლიერ შემზარავი. ეს ხმა დღემდე მომყვება და ხშირად მესიზმრება. კარი ჩაიკეტა, ისევ გასაღების შემადრწუნებელი ხმა. საკანში ვერაფერი გავარჩიე ერთბაშად. მეცა ომშივარი ადამიანის ოფლის და სინესტის სუნით გაჟღენთილი. თავბრუ დამეხსა. როცა თვალი შეეჩვია, დავინახე, რომ ჩემსკენ წამოიწია ოთხმა იატაკზე [4] მწოლიარე კაცმა. მებუთე საწოლზე იჯდა და მიყურებდა გაცივებული.

გაშიშვლებული, ტრუსების ამარა, პირგაუპარსავი პატიმრები.



მეტისმეტად შეშფოთებული და აღზნებული თვალებით პათოლოგიურ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ.

ვიცანი მხოლოდ ერთი, ისიც ხმით, როცა თვითონ მომმართა. ეს იყო ცნობილი მეცნიერი, მედიცინის დოქტორი ი. კ-ი, რომელიც ჩვენს ოჯახში ჩემი ბავშვობის წლებში არაერთხელ მინახავს. გავოცდი. მისი დაპატიმრების შესახებ არა ვიცოდი რა. დავაპირე გამოძევა, მაგრამ ვინ დამაცალა. ყველას ჩემგან უნდოდა შეეტყო ახალი ამბები და ერთი და იგივე კითხვა ეკერა პირზე: „შეწყდა თუ არა ციებ-ცხელება?“, „ვინღა დარჩა გარეთ?“, „რას ამბობს ხალხი?“ და სხვა ...

რა უნდა მეთქვა?! განა კვლავ არ დააქროლებდნენ ღამღამობით ავტომანქანებს, განა კვლავ არ ისმოდა უდროუდროვო კაკუნი კარში, ქალაქად, სოფლად ყოველ ქუჩაზე, ყოველ ოჯახში – ყველგან, ყველგან, სადაც კი მიუწვდა ხელი სიბოროტეს და უღმობელობას, თითქოს შავი ჭირის მოარულმა თავისი ჩრდილი სუდარასავით გადააფარა წუთისოფელს. ჰოდა, რითი ვანუგეშებდი ამ ხალხს?

ვუამბე, რაც ვიცოდი. აღზნებულმა ლაპარაკმა ნაშუალამემდე გასტანა. დავიღალეთ. ყველა წამოწვა. კ-ი საწოლზე, დანარჩენები – იატაკზე. მეც იატაკზე მოვთავსდი, პროფესორის საწოლის გვერდით. საკანში ერთადერთი საწოლი იყო.

ცოტა ხანს გარინდული ვიწექით. პროფესორმა წამოიწია ჩემსკენ და დაბალი ხმით მომმართა:

– დავით, არ შეგეშინდეს, ეხლა დაიწყება საშინელება, დიღამდე თვალს ვერ მოვხუჭავთ.

– რა დაიწყება?

– ამის აწერა ენით შეუძლებელია. ცოტა კიდევ და შეიტყობ!

არ გასულა ხუთიოდე წუთი და შორიდან რომელიღაც [5] ჩვენს ზედა სართულზე მდებარე ოთახიდან მოისმა საშინელი ყვირილი, ყრუ კვნესა, უხეში ლანძღვა-გინება. ყველა უნებურად წამოვკეციით და გაფითრებულნი ვუსმენდით ამ ხმებს. ამხანაგებმა ალბათ შემამჩნიეს, რომ დავიბენი და არ მესმოდა, რა ხდებოდა. ერთმა ჩუმად მითხრა: ამას აქ გამოძიება ეწოდება! ყველამ ვიგემეთ უკვე საკმაოდ!


გულს რაღაც მომაწვა, კეფიდან ზურგისაკენ ცივმა ტალღამ დამიარა.

ორიოდე წუთის შემდეგ ამ ხმებს დაემატა ქალის კვილი და ვიღაცის უშვერი სიტყვები მეორე ოთახიდან, შემდეგ მესამიდან, მეოთხიდან,





დავით გორგაძე (შუაში, მარცხნიდან მეორე)
მხ/ფ „მოძღვარის“ გადაღებისას
1922 წელი
(ფოტო გადმოგვცა ქეთევან აბესაძემ)





ყოველ კუთხიდან, ყოველ მხრიდან ... გჯერათ, რასაც მოგიტხოვრებთ? არა გჯერათ ალბათ. მეც არა მჯერა. თითქოს სხვის მონაცოლს ან კომპარულ სიზმარს გიყვებოდეთ, მაგრამ ყველაფერი ეს იყო.

პირველ წუთებში ეს ყველაფერი ინსცენირებათაც კი მივიჩნეე ჩვენს მიმართ ფსიქიური ზემოქმედების მოსახდენად, ნების გასატეხად.

ხმაურობამ იმატა, ყველანი გატრუნული ვისხედით, მე თანდა-თანობით შიშმა ამიტანა. პროფესორმა შემომხედა და მითხრა: ასეა ყოველდამ, განუწყვეტლივ!

კი, მაგრამ განა ეს საქმეა? განა ცემა-ტყეპის ქვეშ მიღებულ ჩვენებას რაიმე ფასი აქვს? ინკვიზიცია უფრო ხშირად მართალს სჯიდა და ბოროტს ამართლებდა. ეს ხომ ყველამ ვიცით?!

ჩემს კითხვებს არავინ გამოეხმაურა. ირონიული ღიმილიც კი შევამჩნიე ზოგიერთს. ალბათ იფიქრეს: „ეს ვინ მოსულა ასეთი მიაშიტიო“. მხოლოდ კ-მა უსიტყვოდ ზურგი მომიბრუნა და პერანგი აიწია. დავინახე ალექსილი და ჩალურჯებული მხრები, ზოგან კანი აცლილი იყო და ახალი კანი ღამის შუქზე ლაპლაპებდა. მთელი ზურგი დასერილი იყო ზოლებით. [6] სუნთქვა შემეკრა.

ლაჩრებში არ ვირიცხებოდი ბავშვობიდანვე, თუმცა არც მუშტი-კრივის მოტრფიალე ვყოფილვარ, მაგრამ იმან, რაც იმ დღეს ვნახე და გავიგონე, წამახდინა, ენა ჩამივარდა.

ამ დროს დერეფანში გაისმა ფეხის ხმა, პატიმრები შეკრთნენ, სული განაბეს. მე თავდაპირველად ვერ მივხვდი, რა იყო ამის მიზეზი.

ფეხის ხმა ჩვენს საკანს მიუახლოვდა. გასაღები კვლავ ორჯერ შეატრიალეს კლიტეში, თითქოს ხანჯალი გაგიტარეს გულშიო. კარი გაიღო, შემოიხედა შინსახკომელმა, დაგვათვალიერა და კ-ს მიაშტერდა. ხელით უჩვენა გაჰყოლოდა. პროფესორმა ფერი დაკარგა, თუმცა ხმა არ ამოუღია. რომელიღაც ჩვენთაგანმა პიჯაკი მიაწოდა. კ-ი გაჰყვა გამცილებელს.

ყველამ მოურიდებლად ამოისუნთქა, რადგან მათ არ შეეხო ეს ამბავი. ეს შემდეგში მეც დამჩემდა: „ოღონდ მე ნუ გამომიძახებენ დღეს, დეე, სხვას დაუძახონ“, ასე აკნინებდა და ასულმდაბლებდა ადამიანს ის დრო, „თავისუფლებისა და სამართლიანობის“ სამყარო. დღესაც მრცხვენია, რომ გავიხსენებ იმდროინდელ სულისკვეთებას და ფიქრებს.



თითქმის ოთხ საათს დაჰყო კ-მა გამომძიებელთან. ოთხი საშინელი საათი. კვლავ მძვინვარებდა სიბოროტე, ისმოდა ადამიანის გმინვა უამრავ ხმებში, რომელიც ჩვენამდე აღწევდა, მე თითქოს პროფესორ კ-ის ხმაც მესმოდა. დილის ექვს საათამდე არც ერთს არ დაგვიძინია, ან ვის დაეძინებოდა ამ პირობებში.

ინათა, დერეფანში გაისმა რამოდენიმე კაცის ფეხის ხმა. კვლავ გასაღების ხმა. ორმა გამცილებელმა შემოიყვანა ი. კ-ი, ფერმიხდილი, დასისხლიანებული, ნაწამები. გამყოლები გავიდნენ. პროფესორი ფეხზე ვერა დგებოდა. დავაწვინეთ, როგორც შეგვეძლო, მოვუარეთ. დიდხანს ხმა არ ამოუღია, ზურგზე ვერ დაწვა, მხრები და წელი ერთ მთლიან [7] იარას წარმოადგენდა.

დილის შვიდი საათისათვის თანდათანობით შეწყდა შიდაციხის პატიმართა ცახცახი. კ-მა დიდი ვაივავლახით მონახა მოხერხებული მდგომარეობა და ჩასთვლიმა, თუმცა დროგამოშვებით ბორგავდა და გმინავდა. ნაშუადღევს მოვიდა გონზე და გვიამბო წუხანდელი ამბავი. ეს უკვე მეშვიდედ განიცადა მან საკუთარ თავზე ადამიანის ღირსების გათელვა, უღმერთო წამება. მეშვიდედ მისი „გამომძიებელი“ მუქარით, ლანძღვით, რეზინის მათრახით და ჯოხით მოითხოვდა ეცნო თავი დამნაშავედ, აელო ბრალდება ჯაშუშურ ქმედობაში.

– მე ისეთივე ჯაშუში ვარ, – ტანჯულ სახეზე მწარე ღიმილით მომმართა პროფესორმა, – როგორც შენ ბუშმენი! როგორ ვიცრუო, როგორ ავიღო თავზე ასეთი რამ? ეს ხომ გაუგონარი შეუსაბამობაა?!

მეორე დღეს გამეორდა წუხანდელი ორომტრიალი. ისევ მოისმა ვაების ხმები. ისევ ღრღნიდა შიში გულისფიცარს, ყოველი კუნთი მიკანკალებდა. ვცდილობდი შემეკავებინა თავი, ვერას გავხდი, შეიძლება შემეკითხოთ: თუ არაფერი დაგიშავებია, რამ შეგაშინა, განა მართალ კაცს ცრუ ბრალდება რამეს დააკლებს?

ეს კითხვა მართებულია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ეს იყო 1937 და 1938 წლები, სწორედ იმიტომ, რომ არავის წინაშე დანაშაული არ მიმიძღოდა, სწორედ იმიტომ, რომ არც ადამიანისათვის და არც სახელმწიფოსთვის ვნება არ მიმიყენებია, მომიცვა შიშმა „ვაითუ ვერ გავუძლო ჯოხსა და მათრახს და ტყუილი მათქმევინონ! მერე?“

მე იურიდიული ცოდნა მქონდა მიღებული და კარგად ვიცოდი, რა უნდა მოჰყოლოდა ბრალდების ტყუილად მიღებას. ტყუილს ტყუილი



მოწყვებოდა, დავიბნეოდი, სხვასაც დავაბნევიდი, რამდენ უდანაშაულოს ჩაურევდნენ ჩემს საქმეში, სახელს წამიბილწავდნენ.

აი უკვე ოცდაათი წელია თითქმის მას შემდეგ და, მართალი [8] გითხრათ, ენა არ მომიტრიალდება სილაჩრე დაწვამო იმათ, ვინც ვერ გაუძლო იმ წლებში ცემა-ტყეპას, ხორცისა და სულის გვემას და თავის თავზე აიღო ინკრიმინირებული ბრალდება.

განა მათ არ იცოდნენ, რა მოელოდათ? იცოდნენ, მაგრამ მაინც წავიდნენ ამაზე; უთავბოლო ცემა-ტყეპას, დაუსრულებელ ტანჯვას სიკვდილი ამჯობინეს, უმრავლესობა გამოასალმეს სიცოცხლეს.

თუ მათ საქციელს სუბიექტური საზომით მივუდგებით, განა ნაკლები ვაჟკაცობაა ბრალის აღება და საკუთარი თავისთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანა?! ხოლო თუ ამას თან მოწყვა უდანაშაულო ხალხის დასახელება და მათი ჩათრევა, რაც უფრო ხშირად ხდებოდა, მაშინ მათი საქციელი სუბიექტურად და ობიექტურად სილაჩრე და ბოროტებაა, ეს დანაშაულია ხალხის წინაშე.

ეს წარმოშვა საგამომძიებლო სისტემამ, შინსახკომის აპარატის თანამშრომელთა უმრავლესობის უმეცრებამ და ზნეობრივმა გახრწნილებამ, ზევიდან ინკვიზიციის დროის მეთოდების დანერგვამ და დამნერგავთა წახალისებამ.

ასიდან ორი ან სამი თუ უძლებდა მუშტსა და მათრახს, დანარჩენები ან იღუპებოდნენ იქვე, დაკითხვის დროს (რაც არც ისე იშვიათი შემთხვევა იყო), ან სასოწარკვეთილებაში ვარდებოდნენ და ასახელებდნენ, ასახელებდნენ ... პატიოსანს და უპატიოსნოს, დიდსა და პატარას, ცოლი — ქმარს, შვილი — მამას, ძმა — ძმას ... ციხეები ივსებოდა. ეს იყო 1937 და 1938 წლები. ეს ყველაფერი იყო!

დადგა ჩემი ჯერიც. ღამის ორ საათზე მოგვესმა საბედისწერო ნაბიჯები დერეფნიდან. მომაკითხეს. ჩემი უბედურობის მეგობრებს შვების ნიშნები დაეტყოთ: აფუსფუსდნენ, ცდილობდნენ რითიმე გამოემჟღავნებინათ თანაგრძნობა. ერთმა პიჯაკი მომაწოდა, მეორემ პაპიროსი ჩამიდო ჯიბეში, მესამემ წყალი დამისხა, მღელვარებისგან ხელები ამიკანკალდა კიდევ, წყალი ვერ დავლიე, დამელვარა. [9] მაგრამ გავედი თუ არა დერეფანში, მოხდა საოცარი რამ: იმავე წუთს შემეჩვენა კუნთების კანკალი, შიშის გრძნობამ გამიარა, ღრმად ამოვისუნთქე და თითქმის სრულიად დავმშვიდდი. უნებლიედ გავიფიქრე: „აღბათ, ასევე



მოსდიოდათ განწირულებს, როდესაც ერთადერთი გზაა რჩებოდათ, გოლგოთაზე მიმავალი გზა“. ეს იყო სიმშვიდე უძლურებისა, სიმტკიცე უმწეობისა.

ამიყვანეს ზედა სართულზე. გზადაგზა ყოველ ოთახიდან (როგორც გამოირკვა, ეს გამომძიებლების კაბინეტები იყო) გაისმოდა ტანჯვისა და ვაების ხმები: ტირილი, ქვითინი, კვილი, მუქარა, გინება, ისტერიული შეძახილები, ცემა-ტყეპა, ხვეწნა, ვედრება.

როგორც ეტყობა, ღამით გამოძახებას და პატიმრების დასაკითხავად ასეთ გარემოცვაში მოყვანას, შინსახკომელთა აზრით, უნდა მოჰყოლოდა „ხალხის მტრების“ ნებისყოფის და წონასწორობის შერყევა. თუ ეს ჰქონდათ მიზნათ, ჩემს მიმართ არ გაუმართლდათ. დღესაც მიკვირს, მაგრამ სულ სხვა შედეგი გამოიღო ჩემში ყოველივე ამან. გულის სიღრმიდან წამოვიდა დიდი, უძლეველი პროტესტის ტალღა, ეს მე კარგად მახსოვს. ვიცოდი, რაც მომელოდა, ვიცოდი, რომ მე უნდა გადამეტანა შინსახკომელთა „დასტაქრების ექსპერიმენტები“, სხვა გზა არ იყო. მთავარია, სულით გავუძლო, გავუძლო, გავუძლო ... ოღონდ სიცრუე არ მათქმევინონ! ხორცი კი ... ხორცს რაც უნდათ, ის უყონ...

დაიწყო სხვანაირად ... შემიყვანეს რომელიღაც ოთახში. გამოძიებლის კაბინეტი აღმოჩნდა. კარის პირდაპირ, სიღრმეში, დიდი ფანჯარა შენიღბული იყო მცირე ფარდებით. ფანჯრის წინ იდგა საწერი მაგიდა, რომელსაც უკდა შავგვრემანი შინსახკომელი. „იერთ თბილისელია, უთუოდ ისნელი იქნება“ — გავიფიქრე მე და როგორც შემდეგში შევიტყვე, არ შევმცდარვარ. ეს გამოდგა თბილისელი ჟორა არტაშესის ძე არ-ვი. შესასვლელ კარის მარცხნივ გრძელი [10] ტყავ-გადაკრული სოფა იდგა, რომელზეც სამი შინსახკომელი იჯდა. არ დამსვეს, შუა ოთახში გამაჩერეს, მაგიდამდე კიდევ ოთხი თუ ხუთი ნაბიჯი რჩებოდა. შარვალი ორივე ხელით მეჭირა, ალბათ უბადრუკი სანახავი ვიყავი.

— შენ იცი, რისთვის ხარ დაპატიმრებული? — მომმართა გამომძიებელმა.

მე გამიკვირდა, „შენობით“ მომართვას არ მოველოდი. არ ვუპასუხე.

— შენ გეუბნებიან! — აუწია ხმას არ-ვმა.

— რატომ „შენ“?



– რაო, რაო, იქნებ გგონია მეჯლისზე ხარ დაპატიჟებული! შენ შინსახკომში ხარ, გესმის?!

არ ვიცი, სწორი იყო ჩემი საქციელი თუ არა, მაგრამ გადავწყვიტე სიტყვიერათ მაინც დამეცვა ადამიანის ღირსება.

– მე ვიცი, სადაცა ვარ და მოვითხოვ წესიერ მოპყრობას!

გამომძიებელი გაოცდა. გამომუშავებული გეგმა: წინასწარი ფსიქიკური დამუშავება, შემტევი და თავხედური შეკითხვები, მრისხანე გარემოცვა, როგორც ეტყობა, ნაცად ხერხად მიაჩნდა და ჩემგან ასეთ პასუხს არ მოელოდა. გადახედა თავის „დამქაშებს“, ბოროტად ჩაიცინა, მაგრამ მაინც შეცვალა „ლექსიკონი“.

– კეთილი, „თქვენობით“ იყოს! გეკითხებით, იცით თუ არა, რისთვის მოგიყვანეს აქ?

– არ ვიცი!

– ძალიან კარგად იცით და გირჩევთ დროს ნუ დაგვაკარგინებთ! თვითონ მოჰყევით, რა ბრალიც მიგიძღვით სახელმწიფოს წინაშე, თორემ ...

– გიმეორებთ, მე არ მესმის, რას მეკითხებით, რაში მდებთ ბრალს!

³ **მაქსიმ გორკი (1868-1936)** – რუსი

მწერალი და დრამატურგი. რევოლუციისა და მემარცხენე იდეოლოგიის აპოლოგეტი. სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი. მაქსიმ გორკის ნაწარმოებებს კომუნისტები იდეოლოგიურ კომპასად იყენებდნენ. ⁴ მაქსიმ გორკის სტატია „Если враг не сдается, его уничтожают“, დაიბეჭდა გაზეთ „Правда“-ში 1930 წლის 15 ნოემბერს.

⁵ **ნიკოლაი ეჟოვი (1895-1940)** – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოხელე. 1936-1938 წლებში ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. 1939 წელს სტალინის ბრძანებით დააპატიმრეს და ბრალად სახელმწიფო გადატრიალების მომზადება დასდეს. სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, სისრულეში 1940 წლის 4 თებერვალს მოიყვანეს.

⁶ შინსახკომის საიდუმლო ბრძანება №00447 ანტისაბჭოთა ელემენტების რეპრესირების შესახებ.

– მაშ, არ გინდათ განიარაღდეთ, არა? თქვენ ხომ გაგიგონიათ მაქსიმ გორკის³ სიტყვები: „თუ მტერი არ განიარაღდა, ის უნდა მოისპოს“⁴. ძლივს შევიკავე თავი სიცილისაგან. საკანში მეუკვემიამბეს, რომ მ. გორკის ამ ფრაზას იყენებდა იმ დროს ყველა გამომძიებელი ბრალდებულების მიმართ. [11] როგორც ეტყობა, ჟ. არ-ვის ლიტერატურული „ბაგაჟი“ ამით ამოიწურებოდა. შემდეგ შევიტყე, რომ თურმე ეს ფრაზა მოყვანილი იყო „რკინის“ სახალხო კომისრის“, ეჟოვის,⁵ ერთ-ერთ სრულიად საიდუმლო ინსტრუქციაში⁶, პატიმრების მიმართ საგანგებო რეჟიმის შემოღების შესახებ. ამავე



7 ანდრეი ჟდანოვი (1896-1948) – გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოხელე. 1939-1940 წლებში ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს.

8 სინამდვილეში, ეს სიტყვები ეკუთვნის ვლადიმერ ლენინს და ამოღებულია მისი სტატიიდან „Революционеры в белых перчатках“, რომელიც გაზეთ „Пролетарий“-ში დაიბეჭდა 1905 წლის 26 ივნისს.

ის შეჩვეული იყო ალბათ პატიმრების ცახცახს, მუდარას ან ჯიქურ სიჩუმეს და მას პოლემიკის თავი არ ჰქონდა და ამიტომ მიმართა ნაცად დემაგოგიურ ხერხს:

– თქვენ ამით ის გინდათ თქვათ, რომ შინსახკომის ორგანოებმა ტყუილა-უბრალოდ დაგაკავეს თუ როგორ? ეს ხომ კონტრრევოლუციური აგიტაციაა?!

მე ისევ შევიკავე თავი ღიმილისგან.

– ესღა მაკლია, რომ კონტრრევოლუციური აგიტაცია დამწამოთ, ისიც აქ, თქვენს კედლებში!

არ-ნოვი შეხტა და შეტრიალდა. მაგიდას მოსცილდა, მომიახლოვდა და კვლავ მუქარით სავსე თავხედურ ტონს მიმართა:

– ერთი შენი... და დედა შემაგინა.

ახლა უკვე მე გამოვედი მოთმინებიდან, მაგიდასთან რომ ვმდგარიყავი, ალბათ სამელნეს დავავლებდი ხელს და ვესროდი, მაგრამ ოთხი „რანდით“ გარსშემორტყმულს, ხელებდაკავებულს რა შემეძლო. ისევ სიტყვებს მივმართე:

– თქვენ ალბათ ძალიან ხართ დარწმუნებული ჩემს დანაშაულში, რადგან თავს უფლებას აძლევთ და ასე ილანძღვით?

– როგორ თუ დარწმუნებული? შინსახკომი არასდროს არ სცდება. ჩვენ ყოველ შენს ნაბიჯს ვიცნობთ, ყოველ სიტყვას. ჩვენ ისიც ვიცით, რომ შენ 1937 წელს აპრილში [12] ჩავითრიეს ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. ხოლო რომელში კერძოდ, ამას შენ თვითონ იტყვი. იმასაც იტყვი, ვინ ჩავითრია!

– კი მაგრამ, ეს ხომ გაუგებრობაა? თუკი მე მეხება, ჩემზე უკეთ ვის ეცოდინება, ვიყავი თუ არ ვიყავი ჩათრეული ასეთ ორგანიზაციაში?!

ინსტრუქციაში ეჭოვს გამოუყენებია ჟდანოვის⁷ ცნობილი ლოზუნგი: „რევოლუცია თეთრი ხელთათმანებით როდი კეთდება...!“⁸ ვიმეორებ, ძლივს შევიკავე თავი ღიმილისაგან, ეს კი ვუთხარი:

– კი, მაგრამ თუ თქვენ წინაშე მტერი არ არის და არც შეიარაღებულია?

ამასაც არ მოელოდა ეს არ-ნოვი.



– შენ რა, ისევ აგიტაციას ეწევი? როგორ შეიძლება შენ ჩვენზე უკეთ იცოდე ეს ამბავი?

აბა, რა უნდა მეთქვა ამ „სიბრძნით“ და ჭკუით გამოტენილ შინსახკომელისათვის ასეთ რკინისებულ ლოგიკურ „დასკვნაზე“? ასეთ ბრიყვთან კამათის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. ვგრძნობდი მხოლოდ, რომ პროვოკაციის მსხვერპლი ვიყავი და შემდეგი კატეგორიული განცხადებით მივმართე გამომძიებელს:

– რასაც ახლა გეტყვით, სრული სიმართლეა და გთხოვთ ეს ჩასწეროთ! არც ერთ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში ან ჯგუფში მე არ ვყოფილვარ. ასეთი ორგანიზაციების არსებობის ამბავი მე მხოლოდ გაზეთებიდან შევიტყვე, გესმით, გაზეთებიდან! თქვენ შეცდომაში ხართ შეყვანილი და ყალბი ინფორმაციით სარგებლობთ!

არ-ვმა რაღაც ანიშნა სოფაზე მჯდომთ. ერთ-ერთი ადგა და კარისაკენ გასწია. მომეჩვენა, რომ ის ოთახიდან გავიდა, მაგრამ, როგორც ორი წუთის შემდეგ გამოირკვა, მე შევცდი.

– მაშ, შენ არ გინდა სთქვა, რომ ხალხის მტერი ხარ, არა? – დაიღრიალა არ-ვმმა, მიუბრუნდა მაგიდას და რევოლვერი აიღო ხელში.

არ ვიცი, იმის გამო, რომ არ-ოვის ეს ჟესტი მაშინ მივიჩინე უბრალო მუქარად, თუ იმის გამო, რომ მობილიზებული და დაჭიმული მქონდა ყოველი კუნთი, მე შიშს არ ვგრძნობდი.

– მე სიმართლის მეტს არაფერს ვიტყვი!

– არა?

– არა!

[13] ინანებ!

მე მხოლოდ მაშინ ვინანებ, თუ სიცრუე წამომცდა!

არ-ვმა შეათამაშა ხელში რევოლვერი და დაბალი ხმით აუჩქარებლად წარმოსთქვა:

შენისთანა ჯიუტ ხალხს ჩვენ ვხვრეტავთ, გესმის თუ არა? სთქვი, ვინ ჩავითრია?

არაფერი მაქვს სათქმელი!

არ-ვმმა დამიმიზნა რევოლვერი. ამ დროს უკანიდან ვიღაცამ მთელი ძალით, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ყურში მთხლიშა მუშტი. წავბარბაცდი, თვალებიდან ნაპერწკლები გადმომცვივდა და იატაკზე



გავიშხლართე. ერთ წუთს მომეჩვენა, თითქოს ტყვია მომხვდა შუბლში. ოთხთავენი მომვარდნენ, გამიკავეს ხელ-ფეხი, გამაძვრეს წინდები და პირში ჩამჩარეს. თუმცა ვიცოდი, რომ უამისობა არ იქნებოდა, მაგრამ ასეთ მუხანათობას არ მოველოდი. უფრო მეტად დამეჭიმა კუნთები, შეურაცყოფა არ მიგრძვნია, ან კი როგორ უნდა მეგრძნო, ეს ხომ ნადირთა თავდასხმას უფრო წააგავდა. განა მხეცისაგან ადამიანი იწყენს რამეს?! ტკივილსაც არ ვგრძნობდი თავდაპირველად. ტანი გაქვავდა.

შევხედე „რაინდებს“. სამში ვიცანი ფეხბურთელთა კოლექტივის — „დინამოს“ — მოთამაშეები, მათ შორის იმ დროის კაპიტანი აბ-ძე⁹. ეტყობა, ეს მათი ძირითადი პროფესია — „სამსახურეობრივი საქმიანობაა“, გავიფიქრე მე უნებურად.

⁹ **ლევან აბაშიძე (1908 - 1938)** - თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი. 1937 წლიდან შინსახკომის თანამშრომელი. მონაწილეობდა მიხეილ ვაჟაბისიშვილის დაკითხვასა და წამებაში. 1938 წელს დააპატიმრეს და იმავე წელს სიკვდილით დასაჯეს.

დამიწყეს ცემა. თვითონ არ-ვმა მწოლიარეს ორჯერ ჩამცა მუცელში ფეხი, შემაბრუნეს, პირქვე დამაწვინეს და დამიშინეს ზურგზე რეზინის (ოთხკუთხოვანი) მათრახი. მას, როგორც შემდეგ შევიტყვე, ამორტიზატორი ეწოდებოდა. ეს ამორტიზატორი ჩვეულებრივ მათრახისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ უფრო მეტად სწვავდა და ქერცლავდა კანს. გერმანელი ფაშისტების არსენალიდან იყო თურმე გადმოღებული. აღარ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ამბავი. ალბათ, დიდხანს. ერთ წუთს შეაჩერეს „ოპერაცია“; გადმომაბრუნეს, [14] პირიდან წინდა ამომიღეს. არ-ნოვმა ცხვირსახოცი თოფლი მოიწმინდა, ეტყობა დაქანცული იყო „საცოდავი“ ჩემი დაკითხვით, დაიხარა და ცივი კილოთი მომმართა:

— იტყვი თუ არა, ვინ ჩაგითრია?

სიმივით ვიყავი დაჭიმული, გავხელდი. კიდევ რომ ვყოფილიყავი დამნაშავე, ალბათ არ ვიტყოდი არაფერს, იმდენად დაუძლეველი იყო პროტესტის გრძნობა.

— არ ვიტყვი!!!

— განაგრძეთ! — მიუბრუნდა არ-ოვი „რაინდებს“ და თვითონ მაგიდისკენ გასწია. კვლავ ჩამჩარეს პირში წინდა, კვლავ პირქვე დამაწვინეს და მირტყეს, მირტყეს, მირტყეს ... ისევ შეწყვიტეს და მკითხეს, კვლავ მირტყეს და მირტყეს.



პირველ ღამეს ეს გამეორდა ორჯერ. ალბათ ეჩქარებოდათ „გამოძიების“ დასრულება და ჩემი მხილება. იმ ღამეს ვერაფერს გახდნენ. უკვე ირიჟრაჟა, როდესაც არ-ოვმა შესწყვიტა „დაკითხვა“ და გამოუძახა გამცილებლებს.

დამაბრუნეს საკანში. ძლივს მოვლოღავდი. აი, როდის ვიგრძენი სასტიკი დაქანცულობა და ტკივილები. ვერც დავჯექი, ვერც დავწექი. ხელის განძრევის თავი არა მქონდა. დიდხანს ვერ დავიძინე. ყოველი მოძრაობა საშინელ ტკივილებს იწვევდა. ამხანაგები დიდი ყურადღებით მომექცნენ. ასე გამეორდა ორი თვის განმავლობაში რვაჯერ. „დაკითხვის“ ყოველი ღამე ისევე უშედეგოდ მთავრდებოდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩემს ზურგს და ფეხის ტერფებს ემატებოდა ჩასისხლიანებული იარები.

რასაც მოითხოვდნენ, მე იმის აღება თავზე არ შემიძლო, მაგრამ მოხდა ისეთი რამ, რამაც სულ სხვა გზით წარმართა ჩემი ბედი. ეს რომ არა, დღეს ამ სტრიქონებს ვერავინ დაწერდა. საკანიდან ყოველ ღამე გაჰყავდათ „დაკითხვაზე“ რომელიმე ჩვენთაგანი. ერთ კვირა [15] დღეს მოულოდნელად გამომიძახეს დღის საათებში. ყველას გაგვიკვირდა ეს უჩვეულო ამბავი. გამომძიებლის კაბინეტი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. ფანჯარა ღია იყო. არ-ნოვის მეტი კაბინეტში არავინ დამხვდა. არ-ნოვმა მიმითითა სკამზე, დაჯექიო. გავოცდი, მაგრამ არ შევიმჩინე, დავჯექი. დღის შუქზე არ-ოვი თითქოს არ გავდა თავისთავს, ილიმებოდა. შედარებით თავაზიანად მელაპარაკებოდა. ვგრძნობდი, რომ რაღაც პროვოკაციას მიწყობდა.

— კაცო, განა არ გეცოდებათ ცოლ-შვილი? არ გინდათ, იმათ დაუბრუნდეთ? ვის რას უმტკიცებთ თქვენი სიჯიუტით, ვის უძალიანდებით? თქვენ ამბობთ, რომ არავის ჩაუთრევიხართ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში, ჩვენ კი სხვა ცნობები გვაქვს, სთქვით, რომელ ორგანიზაციაში ჩავითრიეს და ვინ ჩავითრიათ, რასაკვირველია, განთავისუფლებას ვერ დაგპირდებით, ხომ იცით, აქედან სახლში არავინ ბრუნდება, მაგრამ გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ორ-სამ წელზე მეტს არ მოგისჯიან, ხოლო თუ არ სცნობთ თავს დამნაშავედ, სიკვდილით დასჯას ვერ ასცდებით!

— კი მაგრამ, მე რომ არავის ჩავუთრევივარ, მე იმის წარმოდგენაც არა მაქვს, რომელ კონტრრევოლუციურ პარტიას მაკუთვნებთ!



ჩვენმა „მშვიდობიანმა“ საუბარმა იმ დღეს უნებურად დამიბადა რწმენა, რომ არ-ოვი თვითონ (თუკი მას ცოტაოდენი გამოცდილება ჰქონდა საგამომძიებლო საქმეში, მას კი ასეთი გამოცდილება არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა) არ იყო დარწმუნებული ჩემს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში. ეს ნათლად გამომჟღავნდა შემდეგ კითხვებიდან:

– კეთილი, ამაზე შემდეგ. თქვენ ეს მიბრძანეთ, სად მუშაობდით 1929-1930 წლებში?

ამ კითხვამ გამოცა. მე მეგონა გამოძიების მასშტაბები 1937 წლის აპრილით ისაზღვრებოდა, აქ კი უფრო უკან დამხიეს.

– მე 1928 წლიდან 1934 წლამდე ვმუშაობდი ამიერკავკასიის ფედერაციის საგეგმო კომისიაში. [16] – ვინ იყო თქვენი უფროსი 1929 წელს?

ერთბაშად ძნელი იყო გახსენება, იმდროინდელი თავმჯდომარე ს. ფირუმოვი¹⁰ იყო. არ-ოვს ხმა არ ამოუღია. შემდეგ გავისხენე მოადგილეების გვარები.

– მე თქვენი განყოფილების უფროსზე გეკითხებით! – ვერც მაშინ გავისხენე ის, ვინც მას უნდოდა. აღარ დამაცალა და მკითხა:

– გყავდათ თუ არა განყოფილების უფროსად ნიკოლოზ ავაქის ძე თარ-ნიანი?¹¹ (თარხანოვი).

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ შინ[ს] ახკომში ვინმე დამისახელებდა ამ პიროვნებას. სულ ხუთიოდე თვე ვიმუშავებთ ერთად. 1929 წლის მიწურულში თარ-ნიანი დაითხოვეს სამსახურიდან და იმის შემდეგ იმისი არც ავი ვიცოდი და არც – კარგი.

– დიახ, მყავდა რამოდენიმე თვეს!

– ხვდებოდით თუ არა მას შემდეგში?

კითხვამ გამაკვირვა და, ამასთან ერთად, ერთგვარი შვებაც ვიგრძენი. „თუ მე თარ-ანს მაკავშირებენ, ეს ხომ აბდაუბდაა?! რომელი ჭკუადმყოფელი¹² დაიჯერებს ამას?“ – გავიფიქრე მე. ერთი რომ ჩემზე

¹⁰ **სიმონ ფირუმოვი**

(1899-1937) – ამიერკავკასიის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსი. 1937 წლის 25 ივნისს დააპატიმრეს ტროცკიზმისა და ტერორიზმის ბრალდებით. სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, სისრულეში მოიყვანეს 1937 წლის 26 ივნისს.

¹¹ **ნიკოლოზ თარხანოვი (1889-1938)** – ესერების პარტიის წევრი 1908 წლიდან. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტატისტიკური აღრიცხვის განყოფილების ხელმძღვანელი. დააპატიმრეს 1938 წლის 14 ივნისს ძირგამომთხრელი საქმიანობის და ესერთა ცენტრის ხელმძღვანელობის ბრალდებით. სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, სისრულეში 1938 წლის 15 ივნისს მოიყვანეს.

¹² გვერდის ნუმერაცია მეორდება.



ოცი წლით უფროსია, მეორე — ქართველების მოძულე, მესამე, როგორც პიროვნება, მეტისმეტად არასიმპათიური და სულმდაბალი.

— მერე, რა შუაშია თარ-ანი?

— აბა, აბა, — შემომძვინვარებია არ-ვმა, — ეგეთები არ იყოს, გირჩევ, დაუფიქრდე, თავი არ წააგო!

— კი, მაგრამ, მე ხომ თარ-ნიანი შვიდი წელია არ მინახავს, ისიც კი არ ვიცი, ცოცხალია თუ არა, რა მაქვს მასთან საერთო?

არუშანოვმა გაიღიმა, არ მიპასუხა, ზარით გამოუძახა გამცილებელს. თვითონ წამოდგა და გავიდა კაბინეტიდან. მე საკანში დამაბრუნეს. მთელი საღამო მაწუხებდა შემდეგი ფიქრები: თუ თარ-ანს სთვლიდნენ ჩემ „მომნათველად“, ის იმდენად აშკარა სისულელეა, რომ სასამართლოს კოლეგიაზე სასაცილოდ არ ეყოფათ, მაგრამ მეორე მხრივ, თუ კვლავ ღამის „დაკითხვაზე“ გამომიძახებენ [17] და მუშტით და მათრახით გამიმასპინძლებიან, განა შეწყვეტენ ამ ამბავს, ვიდრე მე სწორედ ამ გვარს, თარ-ნის გვარს, არ დავასახელებ, როგორც ჩემი „კონტრევილუციური“ მოღვაწეობის მედროშეს?! ვგრძნობდი, რომ საშინელება მომელოდა: თუ სიმართლეს არ გადავუხვევ, უნდა ცემის ქვეშ ამომხდეს სული, რადგან თარ-ანს როგორ ვცნობ ჩემ „ნათლიად“, ხოლო თუ დავასახელებ, ეს ხომ მტკნარი სიცრუეა და ვინ იცის, ამას რა მოჰყვება. ვაითუ ჩემგან მოითხოვონ სხვების დასახელება. ეს უფრო მაშინებდა. უნებურად დამებადა აზრი: იქნებ არ-ვმა თვითონ განზრახ დაასახელა ის, ვისაც მატმასნიდა, რადგან ნათლად ხედავდა, რომ თარ-ნის გვარს, თვეების განმავლობაში რომ ეცემნათ კიდევ, მე ვერ გავიხსენებდი.

„მაშასადამე, არ-ოვს თვითონ არ სჯერა ჩემი დანაშაულის“, — დავასკვენი მე — „მაშინ რას მერჩის?“ ამ კითხვაზე გვიან გავეცი პასუხი. მაში[6] კი რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი დღისით გამოძახება დაკითხვაზე იყო ერთ-ერთი მიზანსცენა იმ პიესაში, რომელსაც

¹³ „სომხეთის რევოლუციური თანამეგობრობა“, იგივე „დამნაკუთიუნი“ - სომხური ნაციონალისტური პარტია, რომელიც დაარსდა 1890 წელს. აქტიურად მოქმედებდა სომხური დიასპორით დასახლებულ ქვეყნებში.

სდგამდა რეჟისორი არ-ნოვი ჩემი ბრალდების ირგვლივ.

როდესაც საკანში ვუამბე ამხნაგებს, რაც გადამხდა, სიცილი დამაყარეს, „დამნაკი“¹³ მიწოდეს. ესლა მაკლდა. ორიოდ დღე ჩვენი საკნიდან არავინ გაუყვანიათ დასაკითხად.



მესამე დღეს „დაკითხვაზე“ კვლავ პროფესორი კ-ი დაიბარეს. უკვე მზემ შემოიჭვრიტა, როდესაც ცოცხალმკვდარი კ-ი საკაცით შემოგვიგდეს (სხვაგვარად ვერ გამოხატავ ამ ამბავს) საკანში. დიდი ვაივავლახით მოვასულიერეთ. საღამომდე ხმა არ ამოუღია, იწვა და გმინავდა. როცა ყველას ჩაეძინა, კ-მა მთხოვა ახლოს მივსულიყავი. მივუჯექი. მან შემდეგი გამანდო:

- დიდი უბედურებაა ჩემს თავს, მაგრამ მეტის ატანა აღარ შემეძლო.
- მე გაშტერებული ვუცქეროდი.
- მომაწერინეს ხელი.
- რაზე?

[18] – რომ მე ჯაშუში ვარ, რომ ვმუშაობდი უცხოეთის დაზვერვის მითითებით!

– მერე ეგ ხომ ბოღვაა?

– ბოღვაა, მაგრამ ხომ არ მომეშვებიან, ჩემთვის, ცხადია, რომ ცოცხალს აქედან არ გამიშვებენ. არა სჯობიან, სიკვდილის წინ ცემა მაინც ავიცილო თავიდან?!

ვგრძნობდი, რომ სიყალბე, რომელზეც წავიდა პროფესორი, ცუდს მოასწავებდა, მაგრამ სუბიექტურად თითქოს ვამართლებდი მის საქციელს, ბოლო ერთი იყო, სიცოცხლის ბოლო წუთებში ტანჯვას მაინც გადაურჩებოდა.

დილით კ-ლს შემოუტანეს თეთრი პური, კვერცხი, რძე, ე.ი ყოველივე ის, რაც სრულიად გამორიცხული იყო პატიმრების ულუფიდან. ყველასათვის ცხადი იყო, რომ გამომძიებლისაგან კ-ის სახელზე ასეთი „ამანათის“ გამოგზავნა ბრალდების ცნობის საფასური იყო და ამასთან ერთად ჩვენს მიმართ ერთგვარი პროვოკაციული ხერხი. ასე გაგრძელდა ხუთი თუ ექვსი დღე. პროფესორი ყოველდღე იღებდა უხვ ულუფებს. თანდათანობით დაშოშმინდა, მადაც გაელვია, ღიმილიც ესტუმრა მის ტანჯულ სახეს, თუმც ეს ღიმილი ნაღვლიანი იყო. მე დავრწმუნდი, რომ იმას, რის ატანაც შეუძლიან ადამიანს, ვერც ერთი ცხოველი ვერ აიტანს.

პროფესორმა ერთიორჯერ სცადა გაეყო ჩვენთვის თავისი ულუფა, მაგრამ არც ერთმა ჩვენთაგანმა, მიუხედავად სისტემატური შიმშილობისა, არ მოისურვა ესარგებლა ამით. ეს ხომ აშკარა თვალთმაქცობისა და სიცრუის პური იყო. მაგრამ ნაცადმა ხერხმა



მინც გასჭრა. საწამლაჲმა მეც დამიკარგა წონასწორობა.

მე ასე ვმსჯელობდი: თუ მე ცემა მაკადრეს, ამიერიდან უფრო მეტსაც მიზამენ, რადგან წინასწარ მიკარნახეს, ვინც უნდა დამესახელებინა. ხოლო თუ მე მას არ დავასახელებ ცემის ქვეშ ამომხდება სული! უმჯობესი არ არის, ვფიქრობდი მე, ვცნო თავი დამნაშავედ და ამით დასრულდეს ჩემი ტანჯვა.

[19] იმ დღეებში რომ გამოვეცახე გამომძიებელს, ძალიან შესაძლებელია ყალბი ბრალდება ამელო თავზე და ამით უკანასკნელი თვეები თუ დღეები ჩემს სიცოცხლეში ამეცდინა თავიდან კომმარი. ბევრი მსჯელობდა ასე იმ წუთებში. ბევრმა ამჯობინა საშინელი დასასრული დაუსრულებელ საშინელებას. მაგრამ მოხდა სულ სხვა რამ. ტყუილის თქმა არ დამჭირვებია. ამაში უნდა ვუმაღლოდე პროფესორ კ-ს, რომლის პირადმა ტრაგედიამ ჩემთვის საბედისწერო ხიდის როლი შეასრულა.

აი რა მოხდა: ორი კვირის განმავლობაში მე არ გამოუცახებოვარ. როგორც შემდეგ შევითყვე, ჩემი „გამომძიებელი“ არ-ოვი მივლინებაში იყო გაგზავნილი. არც კ-ლს აწუხებდნენ. ერთ დამეს კვლავ კ-ლს დაუცახეს. თითქოს მშვიდად წავიდა, მან უკვე გამოუტანა თავის თავს განაჩენი, რიღასი უნდა შეშინებოდა, მაგრამ ... დილით ენით აუწერელი ამბის მოწმენი გავხდით, კარი გაიღო და ორ კაცს ეჭირათ ხელში დასისხლიანებული, თმაგაბურძგნული, პერანგჩამოხეული, წელში მოხრილი, სრულიად გაწუწული კ-ლი.

შემოვიყვანეთ. ვერ დაწვა. საღამომდე ხმა არ ამოუღია. გაშტე-რებული უყურებდა ერთ წერტილს, დროგამოშვებით ოხრავდა.

საღამოს რვა საათზე, ღამის საბედისწერო საათის ოთხი საათით ადრე, საკანში ყველამ ჩაიძინა. არ ეძინა მხოლოდ კ-ლს, ხელი დამადო მხარზე, გამაღვიძა და ჩახლეჩილი, აკანკალებული ხმით მომიყვა: „შევედი თუ არა გამომძიებელ ლაზ-ან, მან ასე მომმართა: მაშ, შენ აღიარე შენი დანაშაული, არა? მე ვუპასუხე: „ვალღარე, ვალღარე, რაღას მერჩით, დამანებეთ თავი, გამოიტანეთ განაჩენი და დამხვრიტეთ!“ ლაზ-ევს ჩაეცინა, მაგას ყოველთვის მოვესწრებით. ეს მხოლოდ დასაწყისია. იქნებ გგონია, რომ ასე იოლად გადარჩები, შენ უნდა დაგვისახელო, ვის მეშვეობით ეწეოდი ჯაშუშობას, [20] ვისთან გქონდა კავშირი, ერთი სიტყვით, მოგვცე სრული ცნობები ჯაშუშურ ქსელზე!! თავზარი დამეცა,



მხოლოდ მაშინ მივხვდი, რაც დამატყდა თავს, გამოსავალს ვერ ვხედავდი. განა მომეშვებიან, ვიდრე არ დამასახელებინებენ ისეთივე უდანაშაულო ხალხს, როგორც მე თვითონ ვარ?! ველარ მოვითმინე და შევცვირე:

– კიდევ მოითხოვთ ტყუილებს! იკმარეთ, რაც მათქმევინეთ, გეყოფათ წამება, მე თვითონ არაფერი ჩამიდენია, სხვას რაღას ერჩით!!

„გამომძიებელმა მრისხანედ შემომხედა, ცივად და აუჩქარებლად მითხრა: როგორ თუ არაფერი ჩაგიდენია? მაშ, შენ შინსახკომი შეცდომაში შეიყვანე? იცი, რა მოგელის? ანიშნა რაღაც იქვე მყოფ სამ „მოკრივე“ თანაშემწეს და დამიწყეს ცემა–ტყეპა. ახლა უკვე ცხვირ–პირს აღარ ერიდებოდნენ. ფეხით, ჯოხით, მუშტით, მათრახით ... ერთი სიტყვით, მთელი არსენალი მოიხმარეს. დავეცი, ისევ მირტყავდნენ, ისევ ... არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანა ამ ამბავმა, ვიცი მხოლოდ, რომ მე ველარ გავუძელი ამ ულმობელ სიმხეცეებს და კვლავ ვაღიარე ჩემი „დანაშაული“; განვაცხადე, რომ მე მაშინ კი არა, ახლა ვიცრუე და რომ მე ნამდვილად ჯაშუში ვარ. მომეშვნენ“, – განაგრძო კ–მა – „შემდეგ მოხდა ის, რაც ლოდად მაწევს გულზე და რაც ცემაზე უარესია. დამასახელებინეს ორი ჩემი მეგობრის, ქართველი მეცნიერის გვარი. მეტს მოითხოვდნენ, მაგრამ გული წამივიდა და როცა მომასულიერეს (ერთი კასრი წყალი გადამასხეს), დაყაბულდნენ ორი გვარით და ხელი მომაწერინეს. წარმოიდგინეთ, დავით, ხელი მომაწერინეს ... ესლა იმათაც დაიჭერენ, აწამებენ, აწამებენ“.

კ–ლმა ველარ შესძლო ლაპარაკი, დაემხო საწოლზე და აქვითინდა ... ეს იყო და ეს. კ–ლი მეორე დღეს წაიყვანეს ჩვენგან. ვგრძნობდი, რომ მას ველარ ვნახავდი.

განა შემეძლო იმავე გზაზე დავმდგარიყავი, რომელიც აირჩია პროფესორმა კ–მა? განა როგორც იტყვიან გატეხილი თავი არ მერჩივნა გატეხილ სახელს?! მე გადავწყვიტე არ მეღალატა სიმართლისათვის და ტყუილი ბრალდება არ მეკისრა.

გავიდა კიდევ ორი თუ სამი დღე. ერთ ღამეს [21] ისევ გამომიძახეს, ამჯერად არ–ოვის კაბინეტში არ მიუყვანივარ. ამიყვანეს კიდევ ერთი სართულით ზევით და რომელიღაც ოთახში შეაღეს კარი. ფართო და შედარებით კარგად მოწყობილ ოთახში და საწერ მაგიდასთან იჯდა პირხმელი, შავგვრემანი შინსახკომელი ორი რომბით. როგორც



¹⁴ ვაგან ოვიანი – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 განყოფილების გამომძიებელი. ოვიანის უშუალო მონაწილეობით სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვეტა, მიესაჯა 43 პოლიტპატიმარს.

შემდეგ შევითყვე, ეს იყო ვინმე ვაგან ოვიანი¹⁴. მის გვერდით ოდნავ მოწინებითი პოზით იდგა ჩემი გამომძიებელი არ-ვი. გრძელ სავარძელზე კიდევ სამი უცნობი შინსახკომელი იჯდა. ორივე ფანჯარა შენობის იყო ფარდებით. „აღბათ ეგზეკუცია მომელის ისევ, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე“ – გამიელვა ფიქრმა.

ოვ-მა ხელით მანიშნა, შუა ოთახში გავჩერებულყავი. გადაწვა სავარძელში, პაპიროსი გააბოლა და ოდნავ ირონიული ღიმილით მიმართა არ-ოვს:

– ეს არის, თავი კირკიტ კაკლად რომ მოაქვს? იქნებ ჰგონია, რომ ჩვენ მოცლილი ხალხი ვართ და თვეობით მოუნდებით ამ ვაჟბატონის საქმეს? – შემდეგ მე მომიბრუნდა და ცივი, მრისხანე კილოთი განაგრძო, – აქ, ჩვენ, ძმობილო, თუ დაგვჭირდა სახალხო კომისრებს და რაიკომის მდივნებს ბალერინებსავით ვაცეკვებთ. ორ საათში ვამთავრებთ ძიებას. შე რა წითელი კვერცხი ხარ, რომ გვიჭიანურებ საქმეს, გეგმებს გვიშლი?! გაფრთხილებ, თუ ეხლავე არ გვეტყვი, რასაც მოვითხოვთ, ხვალ შენ ცოლს დავაპატიმრებთ, შვილს კი საბავშვო სახლში გადავცემთ, გესმის, შენ ფაშისტო!

მე შევკრთი, განა მართლა არ შეეძლოთ ჩემი ცოლის დაპატიმრება, ოჯახის აწიოკება, ბავშვის გაუბედურება! ცოტა იყო ამისი მაგალითი? მაგრამ ვგრძნობდი, თუ ნამდვილად დარწმუნებული არიან ჩემ დანაშაულში, განა დღემდე არ დააპატიმრებდნენ ჩემ ცოლს? მაშა-სადამე, სტყუიან ... ეს უბრალო მუქარაა ... შედარებით მშვიდად ვუპასუხე:

– თქვენ შეგიძლიანთ ფაშისტიც მიწოდოთ, ცოლიც დააპატიმროთ, დამხვრიტოთ კიდევ, მაგრამ მე არაფერი ჩამიდენია, არც სიტყვით და არც საქმით. თქვენი ბრალდება თავიდან ბოლომდე ყალბ ცნობებზეა აგებული. ეს თვითონ თქვენ კარგად იცით!

– მხოლოდ მაგ სიტყვებისათვის ხარ დასახვერეტი, [22] – იღრიალა ოვ-მა, – ვინ მოგცა უფლება, შინსახკომს რომ სიყალბეს სწამებ? ფრთხილად თორემ ... ოვ-მა ანიშნა სავარძელში მჯდომებს. ისინი წამოდგნენ და გარს შემომერტყნენ. ვიცოდი, რაც უნდა დაწყებულიყო. ოდნავ უკან დავიხიე და აღელვებული ხმით შევძახე:



– მე არ მოგიწერთ ხელს, რომ მე ვიღაც დაშნაკმა გამაბრძვიყა და ჩამითრია კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. მე რომ ეს მდომოდა, სხვას მოვძებნიდი ვინმეს!!

ვერ წარმოიდგენთ, რა მოჰყვა ამ ჩემს განცხადებას. ოვ-მა გადახედა არ-ოვს, ხელით „თანაშემწეები“ შეაჩერა და გაკვირვებული მომიბრუნდა:

– რომელი დაშნაკი, ვინ დაშნაკი, რას როშავ?

– როგორ თუ ვროშავ? – ვუბასუხე და მივუბრუნდი არ-ოვს – თქვენ არ იყავით, რომ შემეკითხეთ იმ კვირას, რა გაქვს საერთო თარხანიანთანო.

– ტყუი, მე არაფერი მითქვამს! – წამოიძახა არ-ვმა. მაგრამ [მ] ოვ-მა ხელით შეაჩერა და შემეკითხა: ვინ დაგისახელა თარ-ოვის გვარი?

– გამომძიებელმა – და ხელით არ-ოვზე მივუთითე.

– მე აგისხნით ყველაფერს, ამხ. უფროსო, ეს სიცრუეა, გაუგებრობაა, – შეეცადა არ-ოვი რაღაცის თქმას, მაგრამ ოვ-მა ზარი დარეკა.

შემოვიდა ჩემი გამცილებელი. ოვ-მა უბრძანა: წაიყვანეთ პატიმარი!

მე საკანში დამაბრუნეს. ყველა გაცივდა, რომ მე ასე ადრე და უვნებელად დავბრუნდი. ძველმა ბოლშევიკმა, შრომის დაცვის ინსტიტუტის დირექტორმა ნიკო ატ-ვმა¹⁵ ვერ მოითმინა და მკითხა:

– რა, შენც მოაწერე ხელი? როგორ გადაურჩი ბურთაობას?

მე ვუბამე, რაც გადამხდა. იმ დამეს ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ მიხვდა, რა იყო მიზეზი „დაკითხვის“ ასე უცნაურად შეწყვეტისა.

შემდგომ, ძალიან გვიან, უკვებ ბანაკში, ომის წლებში, ერთმა ყოფილმა შინსახკომის დიდმა მოხელემ, რომელიც 1940 წ. დააპატიმრეს, ნათელი მოჰფინა იმას, რაც მე გადამხდა 1938 წლის დასაწყისში. თურმე სრულიად საიდუმლო ინსტრუქციის ძალით პატიმრების საგანგებო რეჟიმზე გადაყვანა (ესე იგი ცემა-ტყეპა, ტანჯვა) უნდა ეწარმოებინათ პატიმრის მიერ [23] პირველი გვარის დასახელებამდე. უკეთუ ეს გვარი დაემთხვეოდა გამომძიებლის ხელში მყოფ სხვა ჩვენებას, კერძოდ დამსახელებლის ჩვენებას იმის შესახებ, რომ მან სწორედ თქვენ

¹⁵ ნიკოლოზ ატოევი (1884 – ?) – ცეკავშირის ტყით ვაჭრობის კოოპერატივის დირექტორი. დააპატიმრეს 1938 წლის 23 მაისს ტროცკისტების ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით. მიესაჯა შრომა-გასწორების ბანაკში 8 წლით გადასახლება.



ჩავითრიათ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა. თქვენი დანაშაული ლოგიკურად დასაბუთებულად ითვლებოდა. წინასწარ ვისიმე გვარის კარნახი გამოძიებლისაგან ინსტრუქციით სრულიად დაუშვებელი იყო. ის, ვინც მე განმიმარტა ყოველივე ეს, დაპატიმრებამდე კამენეც-პოდოლსკის შინსახკომის საოლქო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. აქ კავკასიის შინსახკომშიც ემუშავნა იქამდე რამოდენიმე წელს. მან დასძინა:

— დავით სერგეევიჩ, თქვენი ილბალი, რომ იმ ღამეს, ოვიანის და არუშანოვის გარდა, კიდევ სამი მუშაკი დაგესწროთ. იცოდეთ, ჩვენს ძმას ჩეკისტს (наш брат чекист) ისე არ ეშინოდა თქვენი, როგორც თავისივე თანამშრომლებისა. ისინი მოწმენი გახდნენ, რომ არუშანოვმა დაარღვია ინსტრუქცია და თქვენ წინასწარ გიკარნახათ თარხანოვის გვარი. შესაძლებელია, ოვიანს ამ პატარა „დარღვევისათვის“ ყურადღებაც არ მიექცია, სამი უცხო პირი რომ არ დასწრებოდა ამ ამბავს. ისიც უნდა დავუმატო, — განაგრძო მან, — თქვენ დიდ რისკზე წახვედით, როდესაც ორ სომეხ შინსახკომელს განუცხადეთ, რომ თქვენ სამარცხვინოდ მიგაჩნიათ „დაშნაკი“ ალიართ „ნათლიად“ თქვენი კონტრევოლუციურ საქმიანობაში. ეს ძალიან ძვირად დაგიჯდებოდათ

16 ლავრენტი ბერია (1899–1953) – სსრკ-ს სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. საქართველოს სსრ კომპარტიის პირველი მდივანი 1934–1938 წლებში და სსრკ-ს შინაგან საქმეთა მინისტრი 1938–1945/1953 წლებში. სწორედ ბერიას სახელს უკავშირდება მიხეილ ჯავახიშვილის, სანდრო ახმეტელის, ევგენი მიქელაძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის და სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების წამება-დახვრება.

თქვენ, როგორც ქართველს, ისევ ის სამი მოწმე რომ არ გყოლოდათ გვერდში. როგორც ხედავთ — დაამთავრა მან სიცილით — ასეთ „თანაშემწე მობურთავეებს“ ყოველთვის როდი უნდა ემდუროდეს კაცი. ამ სიტყვებმა უნებურად გამახსენა ჩემი ერთ-ერთი დამბურთავებელი, ფეხბურთის გუნდის — „დინამოს“ კაპიტანი ლევან აბ-ძე, რომელიც 1938 წელს ლ. ბერიას¹⁶ განკარგულებით დახვრიტეს, რადგან მან უარი განაცხადა გატიტვლებული პატიმარი ქალის ცემაზე გამოძიებლის კაბინეტში.

მაგრამ ეს ყველაფერი გვიანდელი ამბავია, ეხლა კი დავუბრუნდეთ ჩვენ თხრობას. ვიმეორებ, იმ დღეს საკანში ვერავინ ახსნა ღამის [24] „დაკითხვის“ ასე კეთილად დამთავრება.

გადიოდა დღეები. მე არ მეძახდნენ. პროფესორ კ-ის შემდეგ ჩემგან



კიდევორი პატიმარი წაიყვანეს. სამაგიეროდ, ახალი „სტუმარი“ გვეწვია, ვინმე ახ-ძე. ახალგაზრდა, ტანადი, შავვკრემანი ვაჟკაცი, რომლის გარეგნობა, როგორც შემდეგ მივხვდით, სრულიად არ შეეფერებოდა მის ცბიერ და გარეწარ შინაბუნებას. ეტყობა, დიდი ჭკუის პატრონი არ იყო და „შინაურ ჯაშუშის“ როლს კარგად ვერ ასრულებდა.

მისმა ნაამბობმა პირველ წუთებშივე იჭვი დაგვიბადა. მან გვითხრა: „უკვე ოთხი დღეა, რაც ცალკე საკანში ვარ გამომწყვდეული წყლისა და პურის ამარაო“, მაშინ როდესაც პირი ერთი დღის გაპარსულს უგავდა, შიმშილისა არა ეტყობოდა რა, გარდა იმისა, მან ისეთი თეორია წამოაყენა, რომ უმჯობესია დანაშაულის აღიარება, თუნდაც უსაფუძვლოდ: „ის[ე] ხომ მაინც არ გაგვიშვებენ აქედანო, მუშტი-კრივს მაინც ავიცდინებთ“. ა-ძე არ მოგვეწონა. საკანში შემოგზავნილი იყო უთუოდ (იმჟამად საკანში, ა-ძის გარდა, სამნი ვიყავით), პირზე აღვირი დავიდეთ. მხოლოდ „ნეიტრალურ“ საგნებზე ვლაპარაკობდით.

თითქმის ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ოვიანთან დამიძახეს. მე აღარ მაწუხებდნენ. დანარჩენებს რამდენიმეჯერ მოუხდა „დაკითხვაზე“ და ახ-ძის გარდა დასისხლიანებული ბრუნდებოდნენ უკან. ახ-ძემ განაცხადა, რომ მან სცნო თავი დამნაშავედ და მას აღარას ერჩოდნენ.

ერთ დღეს, ნაშუადღევს ორ საათზე, მეც გამომიძახეს, ამჯერად სულ სხვა ოთახში მოვხვდი, ვინმე ვ. კეკელიასთან მას შორიდან ვიცნობდი. დედამისი ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. კაბინეტში მის მეტი არავინ იყო, ფანჯრები ღია იყო დატოვებული. კორიდორიდან ცემა-ტყეპის ხმა არ ისმოდა. კეკელიამ მაგიდასთან დამსვა. ღიმილით მომიკითხა. ყველაფერი ეს უჩვეულო იყო ჩემთვის და ისევ პროვოკაციის შიშმა შემიპყრო. ჩემი პირველი კითხვა ცოლ-შვილის და დედის ამბავს ეხებოდა. [25] კეკელიამ დამამშვიდა: მათ არა უჭირთ რაო, მხოლოდ შენი ჯავრი აქვთ. რატომ არ იძლევი ჩვენებასო, არა სჯობია მცირე სასჯელს დასჯერდეო.

არც მუქარა, არც მუშტი, არც რევოლვერის ხელში ტრიალი, ერთი სიტყვით, ნორმალური დაკითხვა. ამ პირობებში რა მათქმევინებდა სიცრუეს. მე ასე მივმართე კეკელიას:

– თქვენ ხომ ქართველი ხართ, თბილისში გაზრდილი, რად გინდათ დამაკავშიროთ, ვილაც თარხანიანთან? ეს ხომ სრული შეუსაბამობაა? ნუთუ თქვენ თვითონ გჯერათ, კიდევ რომ მქონოდა



სურვილი კონტრევოლუციონერთა ბანაკში გადასვლისა, სხვას ვერ მოვნახავდი, ჩემთვის უფრო ახლობელს და ავტორიტეტულ ადამიანს? მერე მე ორტოფულ მდგომარეობაში ჩამავდეთ: თქვენ მე არ მენდობით და მტრად მთვლით, როგორც ეტყობა, არც კონტრევოლუციური ორგანიზატორები მთვლიან თავისად, რადგან არავის არ გაუნდვია ჩემთვის თავისი საიდუმლოება და სამუშაოდ არ მივეუწვევივარ. მაშ, ვინღა ვყოფილვარ მე: „არც ცისა და არც მიწისა“¹⁷, გარიყული და უქნარა?

¹⁷ აკაკი წერეთლის ლექს „პოეტის“ ბოლო სტროფის პერიფრაზი.

კ-იამ გაიცინა და შემაწყვეტინა.

– ვინ გეუბნებათ თარხანიანი აუცილებლად დაასახელებთო, ვინც ვინდა, ის დაასახელებთ, ვისთანაც თქვენ გქონდა[თ] ანტისაბჭოთა ლაპარაკი, ან ვინც რომელიმე კონტრევოლუციური ლიტერატურა მოგაწოდათ, ან გიჩვენათ, ან თუ ანტისაბჭოური ანეკდოტი გითქვამთ სადმე.

ჩემთვის აშკარა იყო, რომ გამოძიება ჩიხში მოექცა და ეხლა სცდილობდნენ ჩემი დაპატიმრების გასამართლებლად რაიმე, თუნდაც მცირე, დანაშაული მეკისრა, რომ გამოძიება დაემთავრებინათ და მსჯავრი დაედოთ. მაკვირვებდა მხოლოდ ის, რომ დღისით გამომიძახეს და ცემა-ტყეპას არ მიჰყვეს ხელი.

ამის მიზეზი ისევ კამენეც-პოდოლსკის შინსახკომის საოლქო სამმართველოს უფროსმა ამიხსნა ლაგერში 1942 წელს. მან განმიმართა, რომ ჩემს მიმართ დაკითხვის „საგანგებო რეჟიმი“ მოხსნეს. სწორედ იმ დღიდან, როდესაც მე უნებურად „გავცეცი“ ჩემი გამოძიებელი არუშანოვი მის უფროსთან და, როგორც მანვე დასძინა, თარხანოვის გვარის [26] წინასწარი კარნახი „დავწამე“. ოვიანი იძულებული იყო ამ ზომისთვის მიემართა, თუმცა, შესაძლებელია საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ბევრი მოწმე იყო საიდუმლო ინსტრუქციის დარღვევისა, მაგრამ თუ ასეა, რატომ ცდილობდნენ მაინც ჩემს გამტყუნებას?

ამის პასუხი მე უფრო გვიან მივიღე, ორმოცდაათიან წლებში, როცა მე უკვე თავისუფალი ვიყავი და ჩემი რეაბილიტაციის საკითხი ირჩეოდა სასამართლოში. გავეცანი 1937–1938 წლ. საქმეს, გამოირკვა, რომ თარ-ოვს წამების ქვეშ დაუსახელებია ორმოცდაათზე მეტი კაცის გვარი, მათ შორის ჩემიც, რომლებიც მას „ჩაუთრევია“ კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში. ეს საქმე „გაუხსნია“ შინსახკომის



დიდ მოხელეს, ბახჩო ქობულოვს¹⁸, რომელიც ასეთი დიდი ორგანიზაციის მხილებისთვის ლენინის ორდენით დაეჯილდოვებინათ და სამსახურეობრივ იერარქიის შემდეგ საფეხურზეც წაუწევიათ. ხოლო თუ ჩემ მიმართ თარ-ოვის ჩვენებას სიყალბეთ ჩასთვლიდნენ და მე გამანთავისუფლებდნენ, მაშინ საერთოდ საეჭვოდ ხდებოდა თარხანიანის ჩვენება სხვების მიმართაც და თვით ბ. ქობულოვის მიერ „გახსნის საქმის“ საკითხიც. ამიტომ ბ. ქ-ოვის ყველა ხელქვეითნი: ავ-ანი, არ-ოვი, და კ-იაც ცდილობდნენ, როგორმე გაეფორმებინათ ჩემი „დანაშაული“ თუნდ ძალიან მცირეც და ამრიგად, რუსები, რომ იტყვიან: ბოლოები წყალში ჩაემალათ.

მე, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მაშინ არ ვიცოდი. ვიცოდი მხოლოდ, რომ კ-იაც სიცრუის მაძიებელი იყო და ჩემგან მოითხოვდა ყალბ ჩვენებას. არც იმ დღეს და არც შემდეგ დაკითხვებზე არაფერი არ დაუწერიათ. მაგიდაზე ქაღალდის დასტა ხელუხლებელი რჩებოდა. რაც მათ უნდოდათ, მე არ ვამბობდი, რასაც მე ვამბობდი, ისინი არ სწერდნენ.

გავიდა კიდევ ორი თუ სამი კვირა. ერთ მშვენიერ დღეს ნივთებით გამომიძახეს და მანქანით ქალაქის (ორთაჭალის) ციხეში გადმომიყვანეს, ეგრედ წოდებულ „გამოძიების ქვეშ მყოფ პატიმართა [27] კორპუსში“. გამოთხოვებისას საკანში მყოფმა ამხანაგებმა ერთხმად მომილოცეს, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მანთავისუფლებდნენ, რადგან არავითარი წერილობითი ჩვენება არ მქონდა მიცემული. მეც ასე მეგონა, მწარედ მოვტყუვდი.

ორთაჭალის ციხის დიდ საკანში, სადაც მე შემიყვანეს, ასორმოცზე მეტი პატიმარი დამხვდა. საწოლების რიცხვი კი ოცდაათს არ აღე-



ბახჩო ქობულოვი
(შსს-ს არქივი)

¹⁸ ბოვდან (ბახჩო) ქობულოვი (1904–1953) – გენერალ-პოლკოვნიკი; 1937–1938 წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე. 1941–1945 წლებში სსრკ-ს უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილე. ბახჩო ქობულოვი ლავრენტი ბერიას მეგობარი და მისი ნდობით აღჭურვილი პირი იყო. ქობულოვისა და ბერიას მეგობრობა გახდა 1953 წელს მისი დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯის საფუძველი.



მატებოდა, უმრავლესობა ქვის იატაკზე იწვა.

ორთაჭალის ციხე ათას შვიდას თუ ათას რვაას კაცს იტევს. 1937-1938 წლებში კი პატიმრების რიცხვი რვა ათასს აღემატებოდა.

საკანში უამრავი ნაცნობი და უფრო მეტი ჩემთვის ცნობილი ქართველი ინტელიგენტი დამხვდა.

19 გრიგოლ წერეთელი (1870 – 1938) –

ცნობილი ქართველი ფილოლოგი, პროფესორი და ელინისტი. კლასიკური ფილოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დამაარსებელი. 1938 წლის 24 მაისს დააპატიმრეს კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით. მიუსჯა 10-წლიანი პატიმრობა ქონების კონფისკაციით. გარდაიცვალა თბილისის ციხეში 1939 წლის 20 სექტემბერს გაურკვეველ ვითარებაში. არსებობს ვადმოცემები გრიგოლ წერეთლის წამებით მკვლელობასა და სიკვდილით დასჯის შესახებ.

20 მიტროპოლიტი ვარლამი (ერისკაცობაში – ვარლამ მელიტონის ძე მახარაძე) (1873–1943) –

სასულიერო მოღვაწე; 1926-1929 წლებში მარგვეთის ეპისკოპოსი; 1929-1934 წლებში ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი. 1930 წლიდან მიენიჭა მიტროპოლიტის ხარისხი. 1937 წლიდან დაინიშნა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტად. იმავე წელს დააპატიმრეს და გადასახლება მიუსჯეს. 1943 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა.

21 სერგო ჟორჯიანი (1890 – 1964)

– ცნობილი ქართველი იურისტი. 1918 წელს იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების ქვესტორი (მდივანი), წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე და ადვოკატთა კოლეგიის წევრი. 1937 წელს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა დაჯგუფების წევრობის ბრალდებით და 12 წლით გადასახლეს ნახევარკუნძულ მაკადანზე. გადასახლებიდან 1949 წელს დაბრუნდა. ცხოვრობდა თბილისში და აქვე გარდაიცვალა 1964 წლის 4 დეკემბერს.

ანტიკური დროის ლიტერატურის გამოჩენილი სპეციალისტი, პროფესორი გრიგოლ წერეთელი¹⁹, თბილისის მიტროპოლიტი ვარლამი (მახარაძე)²⁰, ცნობილი ვექილი სერგო ჟორჯიანი²¹, კეთილშობილობით და წესიერებით აღსავსე ეკონომისტი კოტე სუმბათაშვილი, დარბაისელი და განათლებული დ. ჭიჭინაძე და სხვები.

პროფესორი გრ. წელი მამაჩემის მეგობარი და კოლეგა იყო, ს. ჟანი შორეულ ნათესავად მერგებოდა. კ. ს-თან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებდა. ალბათ, ამიტომ საგრძნობლად შემიმსუბუქდა მდგომარეობა. მთავარი კი ის იყო, რომ აღარ მესმოდა ღამლამობით გულშემზარავი წივილ-კივილი, ცემა-ტყეპის ხმა, ლანძღვა-გინება, გასაღების სიხსლის გამშრობი ტრიალი ...

ყველას, ვინც საკანში ვიყავით, დაღვივით გვექონდა დასმული ესა თუ ის ბრალდება ანტისაბჭოთა საქმიანობაში. გ. წელი ფაშისტად და ჯაშუშად მონათლეს, მიტროპოლიტი ვარ-მს ათეული „ცოდვა“ აღმოუჩინეს, კ. სუმ-ილს „მონარქიზმის“ აღდგენის ზრახვებს სწამებდნენ, კ. ჯ-ძე და





სერგო შორშოლიანი
(ფოტო გადმოგვცა
ილია ფერაძემ)



მიტროპოლიტი ვარლამ მახარაძე
(საქართველოს პარლამენტის საჯარო
ბიბლიოთეკა)

ს. ჟ-ანი მენშევიკებად მიაჩნდათ. ეს უკანასკნელი ოდესღაც ნამდვილად ყოფილა მენშევიკების²² პარტიაში, პარლამენტის ქვესტორადაც უმუშავებდა 1918-1920 წელს, მაგრამ რამდენად შორს იყო ამჟამად ყოველივე ეს ამისგან.

²² ტექსტში: მანშევიკების.
²³ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მილიცია ასეთ ხალხს მაშინ სწყალობდა და არ აპატიმრებდა“.

საკმარისი იყო, ჩემი ამბავი მომეთხრო, რომ მე ერთხმად „დაშნაკად“ გამომაცხადეს და ხშირად ჩემს მიმართ ოხუნჯურ გამოხდომებს ჰქონდა ადგილი. [28] ალბათ ამით უნდა ავხსნათ ის სიყვარული და თითქოს მონური მორჩილება, რომელიც გამოიჩინა ჩემს მიმართ ერთმა 17-18 წლის ქურდბაცაცამ, ავლაბრელმა არმენაკ ხ-იანმა,²³ რომელსაც მეზობლებმა, როგორც ქურდს, ვერაფერი დააკლეს და კონტრრევოლუციური მოღვაწეობა დასწამეს, რომ თავიდან მოეცილებინათ. „მე ტროსტისტი ვარ?!“ – სერიოზულად ეკითხებოდა ყველას არმენაკა, – „ვაა, სადაური ტროსტისტი ვარ, ტროსტი თავის დღეში არა ჰქონია არც მამაჩემს, სედრაკას და არც პაპაჩემს, გარეგინას“.



არმენაკას მორჩილება ჩემდამი გამოიხატა იმაში, რომ ყოველდღე ზურგის მასაჟს მიკეთებდა. ძალიან დახელოვნებული იყო ამაში, თურმე მამამისი მექისედ ყოფილა თბილისის ერთ-ერთ აბანოში და შვილსაც შეუთვისებია მისი ხელობა.

იმჟამად ბევრი რამ იყო სატირალი და სასაცილო ერთსა და იმავე დროს. ტრაგედიას კომედიის სამოსელი ეცვა ხშირად. განა შეიძლება არ გაეცინოს ადამიანს, როდესაც უმწიკვლო, მაღლად წესიერ მეცნიერს — პროფესორ გრ. წ-ელს ჯაშუშობა დასწამეს, ან მშვენიერ ქართველს კ. ს-ილს რუსი „მონარქისტობა“. ეს ისეთივე ბოდვა იყო, როგორც ჩემი „დაშნაკობა“ ან არმენიკას „ტროცკისტობა“. მაგრამ ხშირად სასაცილოს სისხლის ცრემლების მორევში ახიზდნენ.

ორი თვე დავყავი იმ საკანში. ჩემი მდგომარეობა იმით განირჩეოდა დანარჩენებისაგან, რომ, ჩემს გარდა, ყველას გამოძიება დასრულებული ჰქონდა, დაკითხვის ოქმები გაფორმებული და ახლა ისინი ელოდნენ სასამართლოში გამოძახებას. ჩემი საქმე კი ფორმალურად არც დაუწყიათ, თუმც თორმეტჯერ თუ თოთხმეტჯერ „დაძკითხეს“ შინსახკომის შიდაციხეში, მაგრამ ყოველგვარი დაკითხვის ოქმების შეუდგენლად. საერთო აზრით, მე ვითვლებოდი განთავისუფლების ერთადერთ კანდიდატად საკანში. ყველა რალაცას მაბარებდა, ყველა მთხოვდა მათი ახლობლების ნახვას და მოკითხვის გადაცემას.

ადამიანი, ყველგან ადამიანია, ჯოჯოხეთშიც ალბათ ადამიანად რჩება, თუ ის ადამიანია.

განა ჰქონდა ამის თავი გრ. წ-ელს, რომლის შვიდმა [29] ათეულმა წელმა გაუძლო 1937-38 წლების კომმარს და მაინც შეინარჩუნა სულის სიფაქიზე და გონების სიმახვილე.

იმან წამოიწყო სწორედ ლექციები საკანში, ჰომეროსის უკვდავი ქმნილების მოყოლა მეცნიერული კომენტარიებით და ახსნა-განმარტებით. ეს იყო სინათლე ჯურღმულში. დიდი მადლიერების გრძობით განვიმსჭვალეთ ყველანი ამ მხცოვანი და თავის საქმით გატაცებული მეცნიერის მიმართ.

²⁴ 1913 წლის 23 სექტემბერს კიევში დაიწყო 12 წლის ბავშვის, ანდრეი იუშჩინსკის მკვლელობაში ბრალდებულ მენახემ მენდელ ბეილისის პროცესი. ბეილისს ბრალად ედებოდა რიტუალური მკვლელობა, თუმცა ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ მას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. ბეილისის პროცესი 1913 წლის ანტისემიტური კამპანიის ნაწილი იყო.

ბით განვიმსჭვალეთ ყველანი ამ მხცოვანი და თავის საქმით გატაცებული მეცნიერის მიმართ.

გ. წ-ლის მაგალითს მიბაძა ს. ჟორჟოლიანმა, რომელმაც ჩინებული ენით საინტერესოდ მოგვითხრო 1912-19 წლ. კიევში ჩატარებული ბეილისის პროცესის²⁴ შესახებ. ჟ-ანი



იმჟამად სწავლობდა კიევის უნივერსიტეტში და ამ პროცესს ესწრებოდა.


არანაკლებ საინტერესო იყო კ. სუმბათაშვილის ნაამბობი მისი საფრანგეთში ცხოვრების წლებზე.

მეც შევძელი ჩემი წვლილის შეტანა და საქართველოს ისტორიიდან ბევრი რამ მოვუყევი ამხანაგებს, რაც მე ვიცოდი. თუმც მე პროფესიით ისტორიკოსი არა ვარ, მაგრამ მამაჩემის ბიბლიოთეკის წყალობით ბევრი რამ მახსოვდა ჩვენი წარსულიდან საინტერესო და საგულისხმო. ერთი სიტყვით, გრ. წელმა საღერღელი აგვიშალა ყველას და ციხის კედლები „დაგვამსხვრევინა“.

უკვე ზამთარმა მოაწია, როდესაც საკანიდან ციხის საგამომძიებლო კამერაში გამომიძახეს. ჩემს დასაკითხავად ორნი მოსულიყვნენ.: ვ. კეკელია²⁵ და ვინმე გაბუნია²⁶. კ-იამ ოჯახის ამბები გადმომცა. ერთხელ კიდევ მირჩია მეცნო

²⁵ ვ. კეკელია - შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 განყოფილების გამომძიებელი. ვ. კეკელიას უშუალო მონაწილეობით სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიესაჯათ: კონსტანტინე დაუშვილს, რომანოზ კერესელიძეს, ივანე მებრეველს და ივანე ხუნდაძეს.

²⁶ რეაბილიტაციის მასალებზე [ფ498.4.2059] დაყრდნობით, უნდა ეწეროს გაბისონია.



გრიგოლ წერეთელი
(კინოფოტოფონო ფონდის ც/ა 0-67353)



თავი დამნაშავედ სასჯელის შესამსუბუქებლად და როდესაც მე კვლავინდებურად უარი განვაცხადე, ამოიღო პორტფელიდან სუფთა ქალაღი და ასე მომმართა: რა გავიწყობა, თუ ისევ ჯიუტობ, საკუთარ თავს დააბრალებ, რაც მოგელის. დავიწყეთ ოქმის წერა.

სიმართლე უნდა ითქვას, ვ. კეკელია ზუსტად იწერდა ჩემს პასუხებს. ოქმი სულ ორ გვერდზე დაეცა. თუმცა კეკელია თითქოს წინა დაკითხვებზე არ მკავშირებდა თარხანი[ან]თან, მაგრამ ოქმის შედგენისას ოთხი კითხვიდან სამი კითხვა სწორედ თ-ნიანს ეხებოდა. „ეტყობა, სხვა რამე საბრალდებო მასალა ვერ მოუწახვავთ“ – გავიფიქრე მე. ოქმის შინაარსი [30], როგორც მახსოვს, ასეთი იყო:

კითხვა: გამოძიებას ხელთ აქვს ჩვენება ვინმე თარხანი[ან]ისა იმის შესახებ, რომ თქვენ მან 1937 წლის აპრილში ჩავითრიათ ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციონურ ორგანიზაციაში.

პასუხი: არავითარ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში ან ჯგუფში მე არავის ჩავუთრევივარ.

კითხვა: გაფრთხილებთ, რომ ცრუ ცნობისათვის თქვენ სასტიკ პასუხს აგებთ სახელმწიფოს წინაშე.

პასუხი: განმეორებით და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არც თარხანი და არც ვინმე სხვას ჩემთვის არ მოუცია რაიმე ასეთი წინადადება. რაც შეეხება კერძოდ თარხანს, მე ის 1929 წლიდან არ შემხვედრია და არაფერი ვიცოდი იმის შესახებ.

კითხვა: რითი ხსნით თარხანის ჩვენებას თქვენს შესახებ, თუკი, როგორც თქვენ აცხადებთ, ეს ცილისწამებაა?

პასუხი: ძნელია მაგაზე პასუხის გაცემა. ისე კი იმ ხუთი თვის განმავლობაში, როდესაც ჩვენ ერთად ვმუშაობდით, არც ერთ თანამშრომელში არ დაუმსახურებია თარხანს უბრალო ადამიანური სიმპატია და მეგობრული გრძნობა. პირიქით, ხშირი იყო უსიამოვნებები. ყველას მიმართ უკმეხობდა, ქედმაღლობდა, იბრიყვებდა. ჩემ თანდასწრებით არასოდეს არ უთქვამს რაიმე ანტისაბჭოური რამ.

კითხვა: იქნებ სხვისი პირით შემოგითვალათ²⁷ რამე?

²⁷ ტექსტში: პასუხი: როგორ შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი შემოგითვალად. ასეთ რამეს, ისიც 1937 წელში. თუნდაც რომ ვყოფილიყავი სახელმწიფოს მიმართ არალოიალური, ასეთ ნაბიჯს შეშლილი თუ გადადგამდა.



აი, დაახლოებით ოქმის შინაარსი. ხელი სიამოვნებით მოვაწერე. გამომძიებლები გამომემშვიდობნენ და წავიდნენ.

მე საკანში დავბრუნდი. ჩემი მეგობრები სთვლიდნენ, რომ ასეთ ოქმს გამოძიება სასამართლოს კოლეგიაზე ვერ წარადგენდა და რომ მე მოკლე ხანში გამანთავისუფლებენ. მაგრამ ბ. ქობულოვს ყალთაბანდობით მიღებულ ლენინის ორდენის დაბრუნება არ სურდა, მითუმეტეს, რომ იმ ხანებში ძალიან დააწინაურეს და ბერიას მეშვეობით საკავშირო შინსახკომში გადაიყვანეს დიდ თანამდებობაზე. მისი ხელქვეითები როგორ გაბედავდნენ ჩემი გულისათვის მისთვის ზიანის მიყენებას²⁸.

[31] სასამართლოს კოლეგიაზე ჩემი საქმე არ გაუტანიათ. არც სამეულს განუხილავს. გაგზავნეს საკავშირო შინსახკომის საგანგებო სათათბიროზე, რომელმაც 1939

წლის მარტის გადაწყვეტილებით ჩემს დაუსწრებლად გამომიტანა განაჩენი. კურიოზულია ამ განაჩენის პრეამბულა: „დ. ს. გორგაძე 1903 წელს დაბადებული, სსრკ-ს მოქალაქე, ტომით ქართველი, როგორც იჯვითანილი კონტრრევოლუციურ საქმიანობაში, მოთავსებულ იქნეს შრომის გამოსასწორებელ ლაგერში რვა წლის ვადით. საქმე გადაეცეს არქივს“.

ესე იგი არა დადასტურებულ და ნამდვილად ჩადენილ საქმიანობისათვის, არამედ როგორც იჯვითანილი. რა შეიძლება ითქვას ასეთ, უკაცრავად პასუხია, იურისდიქციის აქტზე?! ნამდვილად სწორი იყო ერთ-ერთი საბჭოთა პოეტი, რომელმაც სთქვა:

Все невозможное возможно
в стране возможностей таких²⁹.

(თარგმ.: შეუძლებელიც კი შესაძლებელია ასეთი

შესაძლებლობების ქვეყანაში)

ორი თვე კიდევ დავყავი საკანში და 1939 წლის გაზაფხულზე გამომიძახეს სხვებთან ერთად, წამიკითხეს რემინგტონზე დაბეჭდილი ამონაწერი განაჩენიდან და გამისტუმრეს რვა წლით შორეულ ჩრდილოეთში.

ამავე ოქმით, რომლის ძალით მე რვა წლის პატიმრობა მომისაჯეს, თბილისის ციხეში მყოფთ, 370 კაცს, მიუსაჯეს ხუთ-ხუთი და რვა-

²⁸ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „პირიქით, საკუთარ „მამის ძვლების დაღეჭვასაც“ არ მოერიდებოდნენ, ოღონდ შეენარჩუნებინათ ამ „ბობოლა მოხელის“ ნდობა“.

²⁹ იგორ სევერიანინის ლექსი „И это – ЯБЕ?“-ის ბოლო სტროფის პერიფრაზი (იხ. ასევე გვ.99-ზე).



რვა წელი. წარმოიდგინეთ ერთ სხდომაზე ამდენი ხალხის მიმართ მსჯავრის გამოტანა?!

როგორც ხედავთ, დანტეს ღვთაებრივი კომედიის ის ნაწილი, რომელშიც ჯოჯოხეთის გამწმენდ „სამქროზე“ ლაპარაკი, ზღაპარია ბავშვთათვის იმასთან შედარებით, რაც მე განვიცადე შინსახკომის შიდა ციხეში, აქვე, ჩემს მშობლიურ თბილისში.

დაიწყო ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში: მძიმე, სავსე სისხლითა და ოფლით, ცხოვრება ზნედაცემულ, გაქსუებულ, გულცივ და უღმობელ ადამიანთა შორის, სადაც ამ ფსკერის ხალხს ამამოძრავებელ დევიზად მიაჩნდათ შემდეგი: „თუ ორთა შორის ორივეს მოგველის საიქიოს გამგზავრება. უმჯობესია ჯერ შენ წახვიდე, მე კი შენ შემდეგ წამოვალ!“


ამ დევიზის საფუძველზე მუხანათობა, შანტაჟი, ძარცვა, მკვლელობა, დასახიჩრება, მოტყუება და გაცემა [32] ყოველდღიური და ნაცადი იარაღი იყო ნაძირალების არსენალში. ასეთ გარემოცვაში სძლებდნენ მხოლოდ ერთეულები.



შიდასიტყვაობა

მე არა მანქეს განზრახული მოგონებების წერა ქრონოლოგიური
თანმიმდევრობით. ბევრი რამ არც მასსოვს. თუმცაობესად
მივიჩნე ცალკეული ეჭიზოდების ამოდება მესხიერების
საკუჭნაოდან და მათი გამომზეურება.





„აუტანელია ყოველმხრივ. ნამდვილი დამნაშავენი: ქურდი, მკვლელი, ხულიგანი, გამფლანგველი, ყოველი ძალი და მამაძალი ჩვენთან შედარებით ღმერთები არიან, მეტი ნღობა და ყურადღება აქვთ. ძნელია ამის ატანა ...“
დავით გორგაძის მიერ გულავიდან მეუღლესთან – თიკო ფავლენიშვილთან გამოგზავნილი საიდუმლო წერილი; წერილში შეულამაზებლად არის ასახული გულავში არსებული უმძიმესი მდგომარეობა. 1939 წლის 11 მაისი



II საიქიო

1. ნაძირალის მოთვინიერება

[34] „სტოლიპინის“³⁰ ვაგონით ხან-გრძლივი მგზავრობის შემდეგ (ბაქო, როსტოვი, ხარკოვი, მოსკოვი, ვოლოგდა) ჩვენი ჯგუფი კოტლასში³¹ შინსახკომის განმანაწილებელ ბანაკში მოხვდა, სადაც იმჟამად ჩრდილოეთში შრომა-გასწორების ბანაკებში განაწილების მოლოდინში ოცდაათ ათასზე მეტი პატიმარი იყო თავმოყრილი.

ჩვენი ჯგუფი ხუთი კაცისაგან შედგებოდა. ორმოცდაათიან წლებში საქართველოში იყვნენ თელაველი მასწავლებელი კირილე კვალიაშვილი. ორი ჩვენი ჯგუფიდან კი მიწას. ერთი მათგანი ლუკა ბერიტაშვილი,³² 76 წლისა, ყოფილი სტამბის მუშა. მხნე, კუნთმაგარი მოხუცი, რუსეთის სოც. დემოკრატიული პარტიის ძველი წევრი, 1906-1911 წლებში კატორღაში ნამყოფი და მეორე – ვალ. ლეკიაშვილი – ძველი ბოლშევიკი საქართველოს უმაღლეს სასამართლოს ყოფილი წევრი, სუსტი და ავადმყოფი ადამიანი, ეს უკანასკნელი გულის ასტმამ გადაიტანა თან.

მეტად კოლორიტული იყო ლუკა ბერიტაშვილი. პრინციპული და შეუპოვარი ბუნების ადამიანი. ერთ დღეს მთხოვა, განცხადება დამიწერე უფროსის სახელზე. თვითონ უკვე თვალს აკლდა და ხელიც არ ემორჩილებოდა. გამაფრთხილა კი, რომ მე განცხადებას ზუსტად მისი კარნახით დავწერდი. დავეთანხმე. განცხადების მისამართმა ასეთი სახე მიიღო: „კოტლასის განმანაწილებელი კატორღის უფროსს, ბატონ კომისაროვს“. მე ვურჩიე მხეცების გაღიზიანებაზე ხელი აეღო. თავი მოიკლა. წყენით მთხოვა: „მე ვაწერ ხელს, ჩემი განცხადებაა

³⁰ რეაქციის წლებში პოლიტიკური პატიმრები სპეციალურად მოწყობილი ვაგონებით მიჰყავდათ (ავტორის შენიშვნა).

³¹ **კოტლასი** – ქალაქი რუსეთში, არხანგელსკის ოლქში. 1931 წელს დაარსდა შრომი-გამოსასწორებელი ბანაკი. 1938 წელს კოტლასლავი გულაგების სისტემის დამოუკიდებელ სუბიექტად იქცა.

³² **ლუკა ბერიტაშვილი (1863-1939)** – სტამბის თანამშრომელი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1918 წლიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. 1938 წელს დააპატიმრეს და მიუსაჯეს გადასახლება. 1939 წელს გარდაიცვალა გადასახლებაში.



და მე ვიციო. ჯერ ერთი, მე მეფის დროს კატორღაში ვარ ნამყოფი და იმდროინდელი უფროსები კომისაროვთან შედარებით უმანკო ანგელოზები იყვნენო. და მეორეც, რა ჩემი ამხანაგია კომისაროვი, გამუდმებით მათრახი უჭირავს ხელში [35] და ოცდაათი ათასი კაცის ბედს განაგებს, ბატონია, აბა რა არის, სხვა რა უნდა ვუწოდოო“.

არ მახსოვს, რას ითხოვდა ბერიტაშვილი განცხადებაში, მაგრამ მისთვის რომ მოსალოდნელი რეპრესიები ამეცილებინა, მე განცხადება არსად გამიგზავნია. გადავწყვიტე: დამშვიდდება და შემდეგ ვეტყვი-მეთქი სიმართლეს, მაგრამ არ დამცალდა. ლ. ბერიტაშვილი გაცივდა, ფილტვების ანთება დაემართა და ერთ კვირაში დალია სული. კომისაროვმა არ მოგვცა ნება გავყოლოდით მიცვალებულს საფლავის კარამდე.

³³ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „როგორც მახსოვს, ეს მისი ჩეკისტური ფსევდონიმი იყო“.

ბანაკის უფროსის — კომისაროვის³³ — გარეწარი და ზნედაცემული ბუნების დასახასიათებლად მოვიყვან ასეთ შემთხვევას: ერთხელ, კვირა დღით, გამოგვყარეს ბარაკებიდან (ეს უამრავი ხალხი ოცდაათი ათას კაცზე მეტი ზონებად ვიყავით დანაწილებული. ზონები ეკლიან მავთულით იყო გარშემორტყმული), გაგვამწკრივეს და კომისაროვმა ასეთი ბრძანება გასცა: ფაშისტებო, ხუთი ნაბიჯით წინ! ჩვენ, ესე იგი „პოლიტიკურმა დამნაშავეებმა“, რომლებიც კოდექსის 58 მუხლით ვითვლებოდით მსჯავრდადებულათ, ხუთი ნაბიჯი გადავდგით.

— შემობრუნდით! — გვიბრძანა კომისაროვმა. ჩვენ შემოვბრუნდით. პირველ მწკრივში დარჩნენ ქურდბაცაცები, მკვლელები, მძარცველები, გამფლანგველები, გამხრწნელები, ერთი სიტყვით, სისხლის სამართლის „თაიგული“.

კომისაროვმა ჩვენ, „ფაშისტებს“, ზურგი შემოგვიქცია და ამ „თაიგულს“ მიმართა:

— თქვენ, ამხანაგებო, საბჭოთა ადამიანები ხართ და უეჭველია, ასეთივენი დარჩებით! მართალია, თქვენ მივიძღვით დანაშაული, მაგრამ სასჯელის მოხდის შემდეგ დაუბრუნდებით საზოგადოებას, ესენი კი, — მოაშვირა ხელი ჩვენკენ, — საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები არიან, ერიდეთ მათ! ერიდეთ, როგორც კეთროვანებს, მათი ყოველი სიტყვა, მათი [36] სუნთქვაც კი შხამია.



ამ „პოლიტ საათს“, კომისაროვის აზრით, „აღმზრდელი“ ხა-სიათი უნდა ჰქონოდა და შემდეგი ეპიზოდიდან დავრწმუნდებით, რომ ჰქონდა კიდევ.

მეორე დღეს ერთი ჯგუფი გაგვიყვანეს სვერნაია დვინას ნაპირზე წინაღამით მოსულ ტივის დასაშლელად და მორების ნაპირზე გამოსატანად³⁴.

³⁴ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მასხოვს, ჩემთან ერთად ამ ჯგუფში კირილე მგ-ლი და ჟორა კვ-ლიც იყვნენ“.
³⁵ იგულისხმება ძალაყინი.

უკვე ყინავდა, ტივი გრძელი იყო და ალაგ-ალაგ სიცივეს ნაპირზე მოეყინა, ლომები[თ]³⁵ მუშაობა დაგვჭირდა, მძიმე იყო, დაგვცხა. ერთ-ერთმა „ფაშისტმა“, ასეთები ამ ჯგუფში ხუთი თუ ექვსი ვიყავით, ტომით რუსმა, წარსულში გამოჩენილმა ინჟინერმა, პიჯაკი გაიხადა და იქვე მორების ერთ შტაბელზე ჩამოკიდა, თვითონ კი მუშაობა განაგრძო.

ჩვენს ჯგუფში, „ფაშისტების“ გარდა, იყვნენ შემოწმებული „საბჭოთა ელემენტები“³⁶. ერთმა მათგანმა, დაბალი ტანის ქერა ბაცაცამ, ინჟინერის პიჯაკი ჩამოხსნა და ბარაკიდან წამოღებულ ტომსიკაში დამალა.

ინჟინერმა ეს შეამჩნია, ლომი მიატოვა და ახლოს მივიდა.

³⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ქურდები, მკვლელები, მძარცველები“.

— ამოიღე ტომსიკადან ჩემი პიჯაკი.

ქურდმა გაიცინა — რომელი პიჯაკი, ბნელა?! შენ გიჟი ხომ არ ხარ?

— ეხლავე ამოიღე პიჯაკი, თორემ ...

— ბიჭებო! უყურეთ ამ ფრაერს, ამას, რაებს ბოდავს, რომელი პიჯაკი, რის პიჯაკი, ძმებო, განა ეცვა მაგას პიჯაკი?

დამქაშებმა ერთხმად დაუმოწმეს, რომ ინჟინერზე მათ დღეს პიჯაკი არ დაუნახავთ.

ჩვენ, ესე იგი „ხალხის მტრებმა“, კატეგორიულად მოვითხოვეთ დაებრუნებინათ პიჯაკი ჩვენი ამხანაგისათვის.

სიცილი დაგვაყარეს. ინჟინერმა მიმართა ერთ-ერთ გუშაგს, რომელიც მეორე შეიარაღებულ გუშაგთან ერთად ჩვენ გვდარაჯობდა.

— მოქალაქე მცველო! (პატიმრებს არ ჰქონდათ სხვაგვარი მიმართვის უფლება) ამ ვაჟბატონმა ეს წუთია პიჯაკი ამაცალა. გთხოვთ უბრძანოთ, დაუყოვნებლივ დამიბრუნოს! გუშაგმა თოფი ჩამოიხსნა მხრიდან, მოიმარჯვა და ქურდს დაუმოწმა: [37] „ეხლავე დაუბრუნე ნაქურდალი!“

ქურდმა აინუნშიც არ ჩააგდო ეს ბრძანება, გული გადაიღელა, ქუდი



უკან გადიწია და თავხედურად მიმართა გუშაგს:

— მესროლე, თუ ბიჭი ხარ, აჰა, მესროლე! შენ რა ფაშისტს ექომავები, თუ როგორ არის შენი საქმე?! აბა, თავი არ წააგო, გესმის? — მუქარით დაასრულა ამ არამზადამ თავისი სიტყვები.

საწყალ გუშაგს ქუთუთოები აუთრთოლდა, წახდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გადახედა მეორე გუშაგს, რომელიც შორიახლოს იდგა. ამ უკანასკნელმა ანიშნა თავი დაანებეო. ამანაც თოფი მხარზე ჩამოიკიდა და ინჟინრის თხოვნას ყური აღარ ათხოვა. არც განცხადებამ და არც ჩივილმა კომისაროვთან არ გასჭრა. შემდეგ შევიტყვეთ, რომ ბანაკის ნაძირალებს კავშირი ჰქონდათ ზოგიერთ ასეთივე ნაძირალა გუშაგთან და მათი მეშვეობით ბეჩავი ინჟინერის პიჯაკი ლიტრა არაყზე გადაცვალეს.

როგორც ხედავთ, ბატონი კომისაროვის აღმზრდელობითმა მუშაობამ უშედეგოდ არ ჩაიარა.

რამდენიმე დღის შემდეგ კირილე მჭედლიშვილი და ჟორა კვალიაშვილი აღმოსავლეთისაკენ წაიყვანეს ხე-ტყის დამამზადებელ ბანაკებში.

საქართველოდან ჩამოსულთა შორის ჩვენ ზონაში მარტო დავრჩი. ადგილს ვეღარ ვპოულობდი. ერთხელ ფეხი მორებს ქვეშ მომყვა და სამუშაოზე ვერ გავედი³⁷.

³⁷ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავისენო ჩემი ბაასი ერთ ჭაბუკთან, რომელიც ნაძირალების წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ რილათივ მანც გამოირჩეოდა“.

ბარაკში ვიწექი დაშავებული. მე მეგონა მარტო ვიყავი, მაგრამ ბარაკის ბოლოდან მომესმა ვიღაცის სიმღერა მშვენიერი დაბალი ბარიტონით, გადავხედე ... რომელიღაც ახალგაზრდა საწოლზე წამოწოლილიყო და მღეროდა ნაღვლიან სიმღერას დედაზე. გული ამიჩუყა ჰანგმაც და სიტყვებმაც.

უნდა ითქვას, რომ ქურდებს შორის დედის კულტი დიდი სიფაქიზითაა დაცული. თითქოს სულისა და ხორცის გახრწნამ საზღვარს მიაღწია, თითქოს მათ შავბნელ ფონზე თეთრი წერტილიც კი აღარ დარჩათ, [38] მაგრამ დედა ოცნებად ჰყავთ გადაქცეული და როდესაც დედაზე მღერიან, სახე უბრწყინავთ და ეწმინდებათ, როგორც „ვნებათაგან განბანილთ და უბიწოებით აღვსილთ“.

წამოვდექი დიდი ვაივაგლახით, კოჭლობით მივუახლოვდი



მომღერალს და მის გვერდით საწოლზე ჩამოვჯექი.

მშვენიერი ნატიფი სახის პატრონი აღმოჩნდა ჩემი ახალი ნაცნობი, ხუჭუჭა ხშირი თმები ჰქონდა, მუქი მოლურჯო თვალები და სახის სწორი ნაკვთები. ეს ოცი-ოცდაორი წლის ახალგაზრდა სრულიადაც არ ჰგავდა აქაურ ქურდბაცაცებს.

სიმღერა დაასრულა, გადმომხედა. საწოლზე წამოჯდა და ღიმილით მომმართა:

– მოგეწონათ ჩემი სიმღერა?

– მომეწონა!

– თქვენ საიდან ხართ?

– საქართველოდან!

– საქართველოდან? რამ ჩამოგიყვანა იმ სამოთხიდან ამ წყეულ ჭაობში?

– თქვენ საიდან ხართ?

– ლენინგრადიდან!

– რაზე დაგიჭირეს?

ახალგაზრდამ ცოტა გაკვირვებით შემომხედა და ღიმილით მიპასუხა:

– არა, მე კონტრიკი არა ვარ, ბიძაჩემო! მე ქურდი ვარ, გესმით? ქურდი!

აქამდე თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. კაცი ვერაფერს დაუწუნებდა, ვერც ქცევას, ვერც სიტყვა-პასუხს. ეს უკანასკნელი სიტყვები კი და, განსაკუთრებით, ტონი, რომლითაც ეს სიტყვები ითქვა, ცუდად მომხვდა გულში.

– მერე და რა არის აქ საამაყო? რა დიდად მოგაქვთ თავი?!

კუდრიავიმ (ეს მისი ქურდული ფსევდონიმი აღმოჩნდა) გადმომხედა და მისი ასაკისთვის შეუფერებელი სერიოზული ტონით მიპასუხა:

– ბიძია, თქვენ გეტყობათ, ურიგო კაცი არა ხართ, ჩემგან განა გესწავლებათ, მაგრამ მიიღეთ ერთი რჩევა: ნუ დაუწყებთ ბანაკში თქვენთვის სრულიად უცნობს, ვინც არ უნდა იყოს, დიდი თუ პატარა, ზნეობრივ პრობლემებზე ლაპარაკს. ადვილად შესაძლებელია შეურაცხყოფა მიიღოთ.

[39] მე უფრო და უფრო მაკვირვებდა მისი ტონი და განსაკუთრებით ლექსიკონი, დახვეწილი და სრულიად ინტელიგენტური.



– ვინ არიან თქვენი მშობლები?
– მამა ინჟინერია, ხიდებისა და გზების მშენებელი. დედა ექიმი პედიატრი.

– ჰმ!

– თქვენ ალბათ ფიქრობთ, რამ მომიყვანა ამ მდგომარეობამდე, არა?

– შენივე რჩევის თანახმად, მე ასეთ კითხვას არ გისვამ!

– მაგრამ, პასუხს მაინც მოვლით, არა? კეთილი, გეტყვით. მე არავის არაფერს არ ვაბრალებ. მე ბაცაცა არა ვარ. მე ქურდი ვარ და სამარცხვინოდ არ მიმაჩნია ამის აღიარება. დიახ, ქურდი ვარ! ვცხოვრობ ლალად, დოცლაპიების და ბრიყვების ანგარიშზე. ვცხოვრობ, ისინი კი არსებობენ. დიახ, არსებობენ, შრომობენ, წელს იწყვეტენ ჩემთვის და ჩემისთანებისათვის. თქვენ იტყვიან ზნეობრივი ნორმა, კანონიო...³⁸

კანონი ერთი ზომის ფეხსაცმელს ჰგავს, ხალხს კი სხვადასხვა ზომის ფეხი აქვს. ზოგს ჩაუდის ფეხი და ზოგს კი – არა. მე ასეთ ფეხსაცმელს ვერ ვიგუებ. მე პატრიციი ვარ, უმრავლესობა კი, ვინც კანონის მორჩილია – პლებეია. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება ყოველთვის, ხომ გახსოვთ... პლებეი ქმნის დოვლათს, მე კი ამ დოვლათით ვსარგებლობ. ეს ბრბო ხანგამოშვებით ამხედრდება ხოლმე ჩემს წინააღმდეგ და როგორც კანონის ყურმოჭრილი მონა, ამ კანონის ძალას ჩემზე ხმარობს, ციხეში მათავსებს, რა ვუყოთ, ეს მისი უფლებაა. მაგრამ მე კი კანონზე მაღლა ვდგევარ, მე ვგმობ მას. კანონი ისეთივე პირობითი ამბავია, როგორც ღმერთი! განა ჭკვიანი კაცი დღეს იწამებს ღმერთს?

მე ხელით შევაჩერე მისი ტირადა. ჩემი თავისა მიკვირდა, აქამდე როგორ გავუძელი ამ ბოდვას. ეს ხომ ფსკერზე დასული ვიგინდარას და არამზადას ფილოსოფიაა, ზნეობრივ გახრწნილების და სულიერი მარაზმის სრულყოფილი ნიმუში.

– შენ, ძმობილო, გარეწარი ხარ, ვილაცა ხარ [40] შენმა გარეგნობამ და ხმამ შემყვანა შეცდომაში, ადამიანი მეგონე.

კუდრიავის იმწამსვე შეეცვალა სახის გამომეტყველება, თვალები გაუცივდა, პირის მოყვანილობას გარყვნილების იერი დაეტყო. დაუსტვინა, გადააფურთხა და ზიზლით შემომხედა:



– თქვენც, ბიძაჩემო, კარგი ფრაერი ყოფილხართ, როგორც გეტყობათ. თქვენთან ლაპარაკი დროს დაკარგვია! მე ზურგი შევაქციე და ჩემს საწოლს მივაშურე.

კუდრიავი, ეს დასრულებული ცინიკი, „შარაგზის რაინდი“, მით უმეტეს საშიში იყო თავისი მიმზიდველი გარეგნობით, მშვენიერი ხმით და თავისებური „ინტელიგენტობით“. აქვე უნდა დავძინო, რომ ბანაკში ცნება „ქურდი“ ყოველთვის ბაცაცას არ ნიშნავს, უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარება, ისე როგორც ძველ რუსეთში – ქურდს უწოდებდნენ მკვლელსაც, მძარცველსაც, დანის ტრიალის მოყვარულს, ხულიგანსაც. ესე იგი ყველა იმას, ვინც ასეთი სახის ვაჟკაცობაში დებდა თავს, ზოგჯერ მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებულ პროტესტანტს Тушинский вор (თარგმ.: ტუშინელი ქურდი), ე. ი. დაახლოვებით ქართული „ყაჩაღის“ მნიშვნელობა ჰქონდა. ათიოდე დღეს დავყავი კიდეც კოტლასის გამანაწილებელ ბანაკში. თურმე ჩემი ამდენ ხანს დაყოვნება გამოწვეული იყო იმით, რომ იმ ბანაკისაკენ, სადაც მე უნდა წავეყვანე, ერთი პატიმრისათვის დაცვის გაყოლება მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ და უცდიდნენ „ოკაზიას“.

„ოკაზიის“ დღეც დადგა. ერთ დილას გამომიძახეს ნივთებით, ეტაპისათვის მოემზადეო.

მეორე ზონაში გადამიყვანეს. იქ დამხვდა ეზოში შეჯგუფებული ოცდაათამდე პატიმარი გაძლიერებული დაცვის ქვეშ. ხუთი შეიარაღებული მსროლელი და ოთხი გერმანული „ოვჩარკა“ ემზადებოდნენ ამ ჯგუფის გასაცილებლად. ჩემს გარდა, მხოლოდ სამ პატიმარს ჰქონდა ჩემოდანი და ზურგჩანთა, დანარჩენებს ბანაკის ტანისამოსი ეცვათ და ხელცარიელები იდგნენ. როგორც გამოირკვა, ოცდაათი თუ ოცდათორმეტი პატიმარი რამდენიმე დღის წინათ ჩამოეყვანათ სხვადასხვა ახლომდებარე შრომა-გასწორების ბანაკებიდან [41] იქ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის (გაქცევა, გაძარცვა, მკვლელობა). კომიზირიანთა ავტონომიური ოლქის უმაღლესი სასამართლოს გამსვლელ სესიას, აქვე, კოტლასში, განმეორებით გაესამართლებინა ისინი, ოთხისა თუ ხუთისათვის სისხლის სამართლის უმაღლესი ზომა, ხოლო დანარჩენებისათვის სხვადასხვა ვადები მიუსჯია. აი, სწორედ ამ ჯგუფიდან ხელმეორეთ მსჯავრდადებული ოცდაექვსი კაცი გაძლიერებული დაცვის ქვეშ მიჰყავდათ ბანაკში. დაცვის გაძლიერება



და სადარაჯო ძალების გამოყენება აიხსნებოდა იმით, რომ ეს იყო თავგზებელადებული ხალხი, ზნედაცემული თხემით ტერფამდე, ბავშვობიდანვე გამასწორებელ სახლებში და ბანაკებში ნათრევი და ნაწანწალები. მათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ჩვენც, ოთხი „კონტრრევოლუციონერი“: კიეველი პროფესორი-ინჟინერი ვ. ტარნოვსკი, მოსკოველი ინჟინერი-მშენებელი ი. კოჟუხარიოვი, ომსკელი ქიმიკოსი ვ. ბასოვი და მე, ამ ჯგუფს უნდა გავყოლოდით დანიშნულ ადგილამდე. შევუდექით მძიმე ეტაპს, ფეხით უნდა გვევლო. პირველი ხუთი კილომეტრი არ გავგძნელებია, მაგრამ ტვირთი თანდათანობით დამძიმდა, მხრები ოთხთავეს ჩამოგვაწყდა, განსაკუთრებით ხანშიშესულ პროფესორს³⁹.

³⁹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „და ის-ის იყო ვაპირებდით ჩემოდნების გადაგდებას, აბა ისე ვინ გაუძლებდა რვა დღე სიარულს მძიმე ტვირთით ხელში, რომ წამოგვეწია დაცვის უფროსი ...“.

— რა იყო, დაიღალეთ? — წამოგვეწია დაცვის უფროსი.

ჩვენ გავგაოცა ასეთმა ადამიანურმა ყურადღებამ.

— დავიღალეთ! — უპასუხა ტარნოვსკიმ.

— არაფერია, აქვე ორ კილომეტრზე ჩვენი

ბანაკის კოლონიაა. ერთცხენიან ორთვალას (Двуколка) მოვითხოვ და ნივთებს ის წამოგიღებთ!

უფრო მეტად გავგაოცა ასეთმა ღვთისნიერმა მოპყრობამ. დიდი ვაივაგლახით მივათრიეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა გზის პირზე მდებარე კოლონიამდე. ჩამოვყექით, დავისვენეთ. დაცვის უფროსმა კოლონიის უფროსს გამოართვა ცხენიანი ორთვალა, რომელსაც მართავდა მეჭინბე-პატიმარი ამავე კოლონიიდან. დავაწყეთ ჩვენი ავლადიდება და მსუბუქად გავუდექით გზას. ორთვალა ხან უკან მოგვექცეოდა, ხან წინ მოგვიძლოდა.

[42] პირველ ორ დღეს თვალიდან არ დავიკარგავს.

ჩვენ ტყე-ტყე მივდიოდით ახლად გაკაფული გზით. პირველ დღეს თითქმის ოცდათხუთმეტი კილომეტრი გავიარეთ. ოთხთავე „ხალხის მტერს“ გავგძნელდა ფეხით სიარული, ეს არც იყო გასაკვირველი. თავი იჩინა ციხეებსა და ეტაპებში სისტემატურმა შიშშილობამ.

უკვე შებინდდა, როდესაც დაცვის უფროსმა გასცა განკარგულება გავჩერებულიყავით ერთ შედარებით მშრალ ადგილას ღამის გასათევად.



სუსხიანი ღამე იყო. ორი კოცონი დავანთეთ, გარშემო შემოვუწექით, ვისაც როგორ შეეძლო, ისე მოვეწყეთ. ყველას ერთაბაშად ჩაგვეძინა. თუმცა ბალიშად ჯირკი მქონდა და ზურგში სუსხიანი ქარი მცემდა, ცხვირიც კი არ დამიცემინებია და დილით საკმაოდ დასვენებული წამოვდექი.

ასე ვიარეთ რვა დღე. გზადაგზა ვაკვირდებოდი უნებურ თანამგზავრებს, როგორც ჩემს ბედში მყოფ „კონტრიკებს“, ისე „შეცდომაში შეყვანილ“ და დროებით იზოლირებულ ნაძირალებს.

ამ უკანასკნელთაგან გამოირჩეოდა ოცდაცამეტი–ოცდათხუთმეტი წლის ჯმუხი, კუნთმაგარი, მუდამ წარბშეკრული, სიტყვაძვირი ვასია მიროშნიჩენკო,⁴⁰ რომელსაც ორივე მკლავზე ჩუქურთმისებული ნახატები და წარწერები ჰქონდა გაკეთებული.

ვასია მიროშნიჩენკომ ოცდათხუთმეტი წლიდან თითქმის ოცი წელი ბავშვთა გამასწორებელ სახლებში, კოლონიებში და ბანაკებში გაატარა. რამდენიმე მკვლელობა, სამი შეიარაღებული თავდასხმა, უთვალავი ხულიგნური გამოხდომა დანით ხელში, გამვლელ–გამომვლელთა ბანდიტური გაძარცვა ღამღამობით დიდი ქალაქების ბნელ ქუჩებში და ყოველივე ამისათვის — ორჯერ გამოტანილი და შემდეგ პატიმრობით შეცვლილი სასჯელის უმაღლესი ზომა–დახვრეტა. ეს იყო მის „შრომის წიგნაკში“ აღბეჭდილი არასრული ნამსახურეობის სია.

⁴⁰ ვასილი მიროშნიჩენკო (1903 - ?) - სამარყანდელი კანონიერი ქურდი. დააპატიმრეს 1936 წლის 2 ნოემბერს.

ბანაკის პირობებში ვ. მიროშნიჩენკოს სახელი რომანტიული გმირის — „დიდი ქურდის“ შარავანდედით იყო მოსილი.

მის წინაშე თრთოდნენ ქურდბაცაცები და ყოველი ჯურის სისხლის სამართლის დამნაშავენი. ასე გასინჯეთ, ადმინისტრაციაც და დაცვაც [43] კი ერიდებოდა მას, რადგან მისგან ყოველგვარ მუხანათობას მოელოდა.

ეს ყველაფერი მე გვიან შევიტყვე, უკვე ადგილზე ჩასვლის შემდეგ, მაგრამ მიროშნიჩენკოსთან ეტაპით მგზავრობამ რვა დღე–ღამის განმავლობაში ისედაც ცხადჰყო, რომ ეს ვაჟბატონი უსტაბაშად იყო აღიარებული წვრილფეხა და მსხვილფეხა არამზადების მიერ.

ერთ–ერთ შესვენების დროს ასეთი ეპიზოდის მოწმე გავხდი.

ცეცხლთან მჯდომმა მიროშნიჩენკომ ჩექმები გაიძრო, მოიხსნა



„პარტიანკები“ და ერთ-ერთ ბაცაცას ხელით ანიშნა – გამიშროე.

ამას სხვა ძმაბიჭებმაც მოჰკრეს თვალი და რამდენიმე ხელი წაეპოტინა პარტიანკებს, „ჩვენ გაგიშრობთო“, მიროშნიჩენკოს ხმაც არ ამოუღია, მრისხანედ გადახედა თავის ხელქვეითებს, ხელით გააჩერა, თითქოს ეუბნებოდა: „თქვენ ვინ გეკითხებათ? ვისაც დავავალე ის გააკეთებსო“ და თავისებური მედიდურობით ზურგი შეუქცია მლიქვნელ „აქტივისტებს“.

მე იმასაც მოვკარი თვალი, რომ ჩვენი დაცვის უფროსი ხშირად ესაუბრებოდა ვ. მიროშნიჩენკოს, თითქოს მხოლოდ მას თვლიდა ამის ღირსად. რა ვიცოდი მაშინ, რომ დაცვასა და ამ ნაძირლებს შორის ფარული შეთანხმება იყო დადებული და რომ ამ შეთანხმების

⁴¹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ამ იმას როგორ წარმოვიდგენდი, რომ დაცვის უფროსის ადამიანური მოპყრობა ეტაპის პირველ დღეს თვალთმაქცობა იყო და სწორედ მაშინ ჩაისახა „საბრძოლო გეგმა“ ჩვენს წინააღმდეგ“.

⁴² ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ცინხეში ყოფნისას ჩემმა ოჯახმა გამომიგზავნა უამრავი ტანსაცმელი: თეთრეული, ფეხსაცმელები, კოსტუმი, ყელსახვევები. ერთი სიტყვით, საჭირო და არასაჭირო „შპოტკები“, ლაგერის აბორიგენტთა ლექსიკონს თუ მივმართავთ. ორთაჭალის ციხეში გამოცდილმა გადასახლებაში ნამყოფმა ხალხმა მირჩია, მცირე გამონაკლისის გარდა, ნივთები ოჯახისთვის დამებრუნებინა. მე ასეც გადავწყვიტე, მაგრამ იმ წლებში, შინაგანაწესით, უკან მხოლოდ ჭურჭლის დაბრუნების უფლება გვქონდა. ასე უნებურად ვათრიე გამოტენილი ჩემოდანი და რიუკზაკი კოტლასამდე“.

მსხვერპლად ჩვენ, „დამპალი ინტელიგენტი კონტრიკები“, აღმოვჩნდებოდით⁴¹.

აი, რა მოხდა:

მესამე დღეს ცხენიანი ორთავლა ჩვენი ბარგით სულ არ გამოჩენილა. არც მეოთხე და მეხუთე დღეს. ამან, ცოტა არ იყოს, შეგვაშფოთა. ჩვენი ჩემოდნები და ზურგჩანთები სავსე იყო ოჯახიდან გამოგზავნილი პირადი ნივთებით⁴².

[44] განსაკუთრებით მაწუხებდა ის გარემოება, რომ ჩემოდანში ჩამრჩა შარვალი, რომლის ნაკერავებში ოცი თუ ოცდახუთი სამთუმნიანი კუპიურა იყო ჩაკერებული. ეს შარვალი კოტლასში ყოფნისას სამუშაოზე დამისველდა და ეტაპის წინ გამოვიცვალე.

ნივთების დაკარგვის შიშმა გვაიძულა მიგვემართა დაცვის უფროსისათვის. მან დაგვამშვიდა: „ორთავლა თავის დროზე დაგვეწევა, თქვენ ჯავრი ნუ გექნებათო“.

მეცხრე დღეს, სალამოს საათებში, ილაჯგაწყვეტილები მივადექით ოცდამეოთხე კოლონას, რომელიც შუა ტყეში იყო გაშენებული და შედგებოდა ათი თუ თორმეტი გრძელი ბანაკისაგან, სააბაზანო და



სამზარეულო შენობისაგან და საგუშაგოსაგან, კოლონას გარშემოვლებული ჰქონდა ორმაგი ეკლიანი მავთული.

ცხენიანი ორთვალა მაინც არ ჩანდა და არ ჩანდა ...

ჩვენმა დაცვამ მთელი ჯგუფი სიის მიხედვით გადააბარა კოლონის დაცვის უფროსს.

გამოძახებულები საგუშაგოდან კოლონიის ეზოში შეჰყავდათ. როდესაც პროფესორ ტარნოვსკის გვარი ამოიკითხეს, მან ჩვენი (ოთხი „ხალხის მტერის“) სახელით მიმართა დაცვის უფროსს:

– ჩვენი ნივთები სადღაა?

დაცვის უფროსმა ცივად მიუგო:

– თქვენი ნივთების დარდი მაქვს სწორედ! ჩვენ დღესვე უნდა დავბრუნდეთ უკან. ნივთები არ დაგეკარგებათ. ალბათ ორთვალა გაფუჭდა გზაში. თუ შეგვხვდება, დავაჩქარებთ.

კოლონის დაცვის უფროსმა აღარ დაგვაცადა ლაპარაკი.

– გეყოფათ წუწუნი, თქვენ რა სტუმრად კი არა ხართ მოსული! ნივთებს ხვალ მიიღებთ. ეხლავე შედით კოლონაში, აბა, სწრაფად! ვ. მიროშნიჩენკო და მისი დამქაშები უკვე ეზოში იდგნენ და შორიდან [45] ღიმილით გვიყურებდნენ. ამ ღიმილის მნიშვნელობა მაშინ არ მესმოდა. რა გაეწყობოდა. ამოიკითხეს ჩვენი გვარებიც და შეგვყარეს კოლონაში. უკვე ჩამობნელდა. დაცვის უფროსმა ერთ-ერთ ბარაკთან მიგვიყვანა. ბარაკიდან სინესტის და სიბინძურის მძიმე სუნი გვეცა. სადღაც სიღრმეში ჭრახვი ბუჩუტავდა. ჩვენი ჯგუფი მთლიანად აქ უნდა მოთავსებულიყო. ბარაკში ჩვენ, ოთხ „ფრაერს“, ყველამ დავგასწრო შესვლა. ხმაური[თ], ლანძღვა-გინებით, მუკლუგუნებით იკაფავდნენ გზას „ძმაბიჭები“ ფიცრული საწოლების – ნარებისაკენ. ორსართულიან ნარებზე ადგილი ყველას არ აღმოუჩნდა. ხუთნი, მათ შორის ჩვენ და ერთი საცოდავი ჩიორა ქურდბაცაცა, დავრჩით უადგილოდ. იძულებული შევიქენით იატაკზე მოვთავსებულიყავით.

კოლონის მორიგე მზარეულმა რომელიღაც პატიმართან ერთად შემოგვითანა „ბალანდა“⁴³ და საკმაოდ ამყრალებული თევზი ტრეკსა. მზარეულმა იოხუნჯა კიდეც: Трескаете треску, ребята!.

⁴³ ბანაკის ლექსიკონით: ცუდი ხარისხის წვნიანი (ავტორის მნიშვნა).

ჭამის თავიც არა გვექონდა. უგემურად

გადავღეჭეთ ისედაც უგემური ვახშამი და ყველამ ჩვენ-ჩვენი ადგილი



დავიკავეთ. მოვნახე ორი აგური, დავიდე თავით და გაუხდელად დავეჭეი გასვრილ, თითქმის სველ იატაკზე. ძილი არ მომეკარა, თუმცა ყოველი კუნთი მოითხოვდა დასვენებას.

ჭრაქი ჩაქრა. ბარაკი წყვილიადმა მოიცვა. ჰაერი დამძიმდა. ფეხის, ოფლის, მყრალი ტრესკის, მახორკის და სინესტის სუნი ერთმანეთში აირია და თავბრუ დამესხა. გული მერეოდა. სუნთქვა გამიჭირდა.

„მეორე სართულიდან“ ვილაცამ მყრალი პარტიანკები დამაყარა სახეზე, მეორემ ტრესკის ლორწოიანი ძვალი გადმოაგდო. მე თვალში მომხვდა. ჩაუქრობელი მახორკის ნამწვებიც დამეცა. ჩემს გონებას თითქოს ხვრეტდა ერთი და იგივე აზრი: „ეს ხომ სიბინძურის ქვედაფენაა, ცხოვრების ფსკერია! კიდევ რას მიქადის ჩემი ხვედრი? რას უნდა მოველოდე უარესს? მკაფიოდ, განუწყვეტლად მესმოდა ყურში ჩემივე კითხვა: რისთვის? რისთვის? რისთვის?“

ჩვენმა ეპოქამ ხმელეთის ერთ მეექვსედზე დრომად აღიარა ადამიანთა თავისუფლება და სრული თანასწორუფლებიანობა, პიროვნების ხელშეუხებლობა, რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაციის ლიკვიდაცია და სამართლიანობა [46] – ყოველივე ეს აღბეჭდა ახალ კონსტიტუციაში, რომელიც რაღაც გაუგებარი ირონიის ძალით სწორედ საყოველთო კომმარის და ციებ-ცხელების წინა წელს, 1936 წელს, მიიღეს. ერთი წლის შემდეგ ამ კონსტიტუციის ყოველი მუხლი უსირცხვილოდ იქმნა დარღვეული და შეურაცჰყოფილი.

დაიწყო 1937 წელი. სახელმწიფო ვეებერთელა გველეშაპად გადაიქცა, რომელსაც ეწირებოდა მილიონობით მართალი და მტყუანი, კეთილი და ბოროტი იურისდიქციის ელემენტარული ნორმების დაუცველად. ამ წლებში კონსტიტუციის ხსენება ცინიზმისა და ზნე-დაცემულობის, უსირცხვილო დემაგოგიის ნიშანი იყო.

რომელ კონსტიტუციაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც უსახელო წერილი საკმარისი იყო მთელი ოჯახის გასანადგურებლად, როდესაც ლამაზი ცოლის პატრონს და უფრო ხშირად კარგად მოწყობილი და ფართო ბინის მფლობელს სიბოროტე და ანგარება ცილს სწამებდა და სიცოცხლეს უსპობდა, ცოლს აუპატიურებდა, ბინას ისაკუთრებდა, ბავშვებს ქუჩაში ჰყრიდა და გვარს უცვლიდა. სიბოროტემ გაიმარჯვა და ზეიმობდა! კვლავ და კვლავ მესმოდა ყურში გულის სიღრმიდან აღმოხეთქილი: რისთვის? რისთვის? რისთვის?



დილით ავდექი სრულიად მოშლილი. ყოველი კუნთი, ყოველი სახსარი მტკიოდა. კისერი უხერხული წოლისაგან გამშშებოდა. თითქმის ყველა ფეხზე იყო. ერთ-ერთმა ჩია ტანის, თაღლითი თვალების პატრონმა ქურდბაცაცამ, რომელიც ვ. მიროშნიჩენკოს „პირად მდივანად“ ითვლებოდა, გამოგვიცხადა:

– ბრიგადირის ბრძანებით. საუზმის შემდეგ ვახტაზე შეიკრიბეთ. დაგვიანებისათვის დღეს პურზე და წყალზე დაგტოვებთ!

– რომელი ბრიგადირის? – იკითხა ინჟინერმა კოჟუხარიოვმა.

„პირადმა მდივანმა“ დაცინვით გადახედა კოჟუხარიოვს და ძმა-ბიჭებს მიუბრუნდა:

– ძმებო, ხედავთ ამ ფრაერს? მთვარიდან ხომ არ ჩამოვარდნილა? აქამდე ვერ გაუგია, რომ ჩვენ ვასკა მიროშნიჩენკო ავირჩიეთ ბრიგადირად!

ამასაც მოვესწარი, გარეწარი დაგვისვეს თავზე. [47] რა გვქონდა სათქმელი, „დემოკრატიზმის“ პრინციპი არ იყო დარღვეული. ქურდებმა ქურდი ირჩიეს. ჯერ საუბმეც არ გვქონდა მოთავებულები, რომ ბარაკში თავი შემოყო მორიგე მცველმა.

– ტარნოვსკი, გორგაძე, კოჟუხარიოვ, ბასოვ ვახტაზე! თქვენი ნივთები ჩაიბარეთ!

ოთხივემ იმწუთს მივატოვეთ საუბმე და გახარებულებმა მივაშურეთ ვახტას.

გაგვიყვანეს ზონის გარეთ. იქ ცხენიანი ორთვალა და მეჯინიბე-პატიმარი დაგვხვდა. დავხედეთ ნივთებს და სახტად დავრჩით. ტარნოვსკის და კოჟუხარიოვის ჩემოდნები არსად ჩანდა. ორთვალაზე ეგდო ნახევრად დაცარიელებული ზურგჩანთა, ერთი ჩემოდანი, ისიც გადახსნილი და თითქმის ცარიელი.

– დანარჩენი? – ვკითხეთ ჩვენ.

მეჯინიბემ ურცხვად გვიპასუხა:

– რა დანარჩენი? სათვალავით ჩამაბარეთ თუ? აბა, მიიღეთ, მე თქვენი თავი არა მაქვს. უკან უნდა გავბრუნდე.

ვის რას ეტყოდი? ვისთან იჩივლებდი? ჩვენთვის ეს იყო დიდი უბედურება. დავიბენით. დავხედეთ ჩვენს დოვლათს. ერთი მეათედი თუ იყო იმისა, რაც ასეთი წვალეებით მოგვყვა აქამდე. ზურგჩანთებში დაეტოვებინათ მხოლოდ ის, რის მოხმარება და გასაღებაც ვერ



შესძლეს ჩრდილოეთის პირობებში. მაგალითად, ჩემი ნივთებიდან ვნახე მხოლოდ ერთი წყვილი ლოსის ტყავის ფეხსაცმელი, საშინაო ფლოსტები, მოკლესახელოებიანი პერანგები, ტრუსები, ორიოდ გალსტუკი და რაღაც წვრილმანი, არც კოსტუმები და რაც მთავარია, აღარც ის შარვალი, რომლის ნაკერებშიც მეგულებოდა სამთუმნიანი კუპიურები, აღარსად ჩანდა.

სიბოროტემ კვლავ გაიმარჯვა!

მორიგე ვახტიორმა გვირჩია, ჩამოგვეწერა დაკარგული ნივთების სრული სია და განცხადებასთან ერთად წარგვედგინა კოლონის უფროსისათვის, იქნებ რაიმე მოიძებნოსო.

ჩვენ დავუკერეთ და დილითვე გვინდოდა შეგვედგინა [48] ასეთი სია. ეხლაც გულში მეცინება, რამდენად გულუბრყვილონი უნდა ვყოფილიყავით, რომ აქ, ამ ქურდობისა და მზაკვრობის სამყაროში, დაკარგულის აღმოჩენაზე ვოცნებობდით. ეს საქმე საღამოს საათებისთვის გადავდეთ, რადგან ჩვენი ბრიგადა სამუშაოზე უნდა გაეყვანათ. ვახტის წინ ორ მწკრივად დაგვაწყვეს ოცდაათი კაცი, მათ შორის ოცდაექვსი „ძმაბიჭი“ და ოთხი ჩვენ – დაზარალებულნი. დაგვირიგეს ნიჩბები, წერაქვები და ლომები. ამოიკითხეს გვარები, ამოგვიყენეს ორივე მხრიდან სამი შეიარაღებული მსროლელი, ერთი მათგანი საგუშაგო ძაღლით. უფროსმა მსროლელმა გაგვაფრთხილა, რომ თუ რომელიმე ჩვენგანი ორი ნაბიჯით მარჯვნივ ან მარცხნივ ასცდებოდა მწყობრს, გაუფრთხილებლად მიიღებდა ტყვიას ზურგში⁴⁴.

პირველ მწკრივში მიაბიჯებდა ჩვენი ბრიგადირი ვ. მიროშნიჩენკო,

⁴⁴ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „გაიგეთ? – დაატანა მსროლელმა. ჩვენ ვუპასუხეთ: „გავიგეთ“. გავწიეთ სამუშაო ადგილისაკენ. მე და ტარნოვსკი ერთ მწკრივში მივდიოდით, ლაპარაკის თავი არ გვქონდა, სრულიად მოგვშალა ნივთების დაკარგვამ“.

თავისი წერაქვი რომელიღაც „ყმისათვის“ გადაეცა და თვითონ თავისუფლად მიდიოდა. ღამით მცირე თოვლი მოსულიყო, საკმაოდ აცივდა. ტყე-ტყე მივყვებოდით გზას, ბოლოს ერთ ჭაობიან ადგილზე გაგვაჩერეს. თურმე მივალწიეთ სამუშაო ადგილას. დაცვის უფროსმა მოგვმართა:

— ხედავთ იმ კუთხეში არყის ხეს, იქით — დიდ ჯირკს, აქეთ — ამ გზას და მეოთხე მხარეს — მოტიტვლებულ ჭაობის პირს? ეს პირობითი საზღვარია, ვინც ერთი ნაბიჯით გადასცდება ამ საზღვრებს, დაუყოვნებლივ ვესვრით!



– გვესმის! – ვუპასუხეთ ჩვენ.

აქ, ამ ჭაობში, ჩვენ უნდა ამოგვეჭრა ტორფი მყარ-ნიადაგამდე მომავალი რკინისგზის ტრასის გასწვრივ და შემდეგ 15-20 მეტრის მანძილზე გადაგვეზიდა. სამუშაო თავისთავად ძნელი არ იყო, მაგრამ ჭაობში უნდა ვმდგარიყავით [49] მთელი დღე. ჩვენ ოთხნი კი ამისთვის სრულიად მოუმზადებელი ვიყავით. უბრალო ტუფლები გვეცვა.

ვ. მიროშნიჩენკომ მოხაზა ჩვენი ჯგუფის სამუშაო ადგილი და თავის „მდივანს“ მიუბრუნდა:

– ესენი აქ დააყენე, თვალი ადევნე, ნიჩაბს ხელი არ გაუშვან! – ჩვენ არც კი გვადირსა სიტყვა.

შევუდექით ოღნავ გაყინული ტორფის ოთხკუთხედების ამოჭრას. მიმოვიხედეთ.

სამი თუ ოთხი „ძმაბიჭი“ ჩვენი ბრიგადიდან ხმელი ფიჭვისა და ნაძვის ტოტებს, ჯირკებს და ფიჩხს ეზიდებოდა. ჩვენს გარდა, ბრიგადის ყველა წევრი უქმად იდგა. აანთეს ცეცხლი.

გაჩაღდა თუ არა ცეცხლი, მიროშნიჩენკომ ხელით ანიშნა თავის დამქაშებს, შემოუსხედითო. ყველამ მონახა თავისთვის ჯირკი, გაიძრო ბამბის ხელთათმანები და ცეცხლს მიუჯდა. ვმუშაობდით მარტო ჩვენ, ოთხი „ფრაერი“.

ასე გასტანა რამდენიმე საათს. ერთხელ მაინც ეთქვა ვინმეს ჩვენთვის – „შეისვენეთო“, პირიქით, როდესაც ერთ-ერთი ჩვენგანი მიუახლოვდა ცეცხლს პირველი გასათბობად, „მდივანმა“ შეუბღვირა:

– აბა, აბა, ბიძაჩემო, ვინ მოგცა უფლება, რომ სამუშაო მიატოვე?! ასე დასრულდა დღე. პატიმრებისათვის სამუშაო დღე ზამთრობით ათ საათს გრძელდებოდა, ზაფხულობით თორმეტ საათს.

ჩვენს მცველებს „ძმაბიჭების“ ასეთ საქციელისათვის ყურიც არ უთხოვებიათ. ეს მათ არ ეკითხებოდათ. მათი საქმე იყო სათვალავით მიეღოთ და ჩაებარებინათ პატიმრების განსაზღვრული რიცხვი.

შემდეგში მე დავრწმუნდი, რომ შეიარაღებულ დაცვას უფრო აწყობდა პატიმრების ცეცხლთან შეჯგუფება. აღარ იყო საჭირო თვალეების აქეთ-იქით ცეცება ვინმეს გაქცევის შიშით⁴⁵.

ასეთივე სურათი გამეორდა შემდეგ დღეებშიც. ვ. მიროშნიჩენკო დღის ბოლოს რაღაცას იწერდა უბის წიგნაკში დაბრუნებისას, [50]



⁴⁵ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „სალამოს საათები ჩვენ, ოთხმა დაზარალებულმა მოვანდომეთ დაკარგული ნივთების სიების ჩამოწერას. დღეს მეცინება, რა უსუსური და გულუბრყვილონი ვიყავით, გვჯეროდა ამით რაიმეს მოვნახავდით“.

ეს ჩანაწერი გადაჰქონდა ბლანკში და „მდივანს“ ატანდა ბულალტერიაში გადასაცემად.

მესამე დღეს, დღით, სამუშაოზე გასვლის წინ ჩვენი ბრიგადირის „პირადმა მდივანმა“ ამოიკითხა სია და ბრიგადის წევრებს შორის დღიური ულუფის განაწილება:

— ვ. მიროშნიჩენკო — მე-7 ულუფა.

— კ. ბობროვ — მე-7 ულუფა.

— ლ. მარჩენკო — მე-7 ულუფა და ასე შემდეგ. ყველა „ძმაბიჭს“ მცირეოდენის გამოკლებით მე-7 ან მე-6 ულუფა ჰქონდა გამოწერილი. ჩვენი, ოთხი „ინტელიგენტის“. გვარების გასწვრივ მე-2 საჯარიმო ულუფა იყო აღნიშნული.

თუ რამდენად სერიოზული იყო ყოველივე ეს და რა დიდი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით ჩვენ ოთხივე „კონტრაქტი“, ჩანს შემდეგიდან: იმ წლებში შრომა-გასწორების ბანაკებში დანიშნული იყო პატიმრების კვება გამომუშავების მიხედვით. ამაში თითქოს არაფერია დასაწუნი. სულ შვიდი ულუფა იყო შემოღებული. პირველი სამი საჯარიმო ულუფა პატიმრებს ენიშნებოდათ გამომუშავების ნორმების 60% შესრულების შემთხვევაში. ულუფა შედგებოდა 300-400 გრამი პურისა და ერთი ჯერი ცხელი კერძისაგან დღე-ღამის განმავლობაში. მე-4 ულუფა ნორმის 80% — 500 გრამი პურისა და ორი ჯერი ცხელი კერძისაგან, მე-5 ულუფა 100% — 700 გრამი პურისა და სამი ჯერი ცხელი კერძისაგან. მე-6 ულუფა 130% 1000 გრამი პურისა და დამატებითი ცხელი საჭმელისაგან დაკვეთით. მე-7 ულუფა 150% და მეტი 1300 გრამი პურისა, ერთი შეკვრა მახორკისა და ცხელი საჭმელისაგან დაკვეთით. გამომუშავების ნორმები 12 საათიან სამუშაო დღეზე იყო გათვლილი, მათი შესრულება იშვიათად თუ შეეძლო ვინმეს, მე ასეთებს თითქმის არც შეგხვედრივარ. მაგრამ ეს კი არ იყო საშიში, საშიში იყო ის, რომ გამომუშავების შემოწმება, შესრულებული სამუშაოს მოცულობის აზომვა, ულუფების განაწილება და მამასადამე, პატიმრების არსებობის ბედი მინდობილი ჰქონდათ გარეწრებს, ვ. მიროშნიჩენკოს [51] მსგავს ნაძირალებს. და ამ დაწესებულებას უსირცხვილოდ ეწოდებოდა „შრომა-გასწორების ბანაკი“, კომენტარები ალბათ არ არის საჭირო.



პირველხანად მე მაცოცხლებდა ერთი რამ: „კი მაგრამ, ჩვენი ბრი-
გადიდან მხოლოდ ოთხმა, ფიზიკურად სუსტმა და გამოუცდელმა
„ინტელიგენტიკმა“, როგორც ჩვენ გვიწოდებოდნენ, ვიმუშავეთ,
დანარჩენ ოცდაექვს პატიმარს ხელიც არ გაუნძრევია. ნუთუ ჩვენ
იმდენი ტორფი ამოვჭერით, რომ ოცდაათი მუშის ნორმა შევასრულეთ?
ვინ დაიჯერებს ასეთ შეუსაბამობას?“

თურმე ძაღლის თავი სხვაგან იყო დამარხული. ვ. მიროშნიჩენკოს
ბრიგადის ნამუშევრის შემოწმება ევალებოდა სპეციალურად დანიშნულ
კონტროლიორ-ათისთავს. ასეთებს კი კოლონის უფროსი ნიშნავდა;
ნიშნავდა ისეთსავე ქურდსა და ბაცაცას, როგორც ვ. მიროშნიჩენკო
იყო. „პოლიტიკურებს ვინ მოგაშავებთ სამშვს სამუშაოდან სამუშაოზე
სასიარულოდ“ — არაერთხელ გვსმენია შემდეგ კოლონის უფრო-
სისაგან, რომელსაც, გარდა იმისა, რომ სულ არ ენაღვლებოდა
სახელმწიფოს სახსრების განიავება, ეშინოდა მიროშნიჩენკოსი და
ერიდებოდა მის მომდურებას, ამიტომ ყოველგვარ გაბერილ ცნობას
მოაწერდა ხელს. ასეთ არასწორ და განზრახ გაბერილ ცნობას, ბანაკის
ლექსიკონით, „ტუფტა“ ეწოდებოდა.

ტუფტა ხშირად ათკეცად აღემატებოდა შესრულებული სამუშაოს
რეალურ მოცულობას. ამაში იყო გამასწორებელი ბანაკების ეპიდე-
მიური დაავადება. ამით ეკლიანი მავთულების შიგნით მოქცეული
სიბოროტე ებრძოდა მავთულების გარე მყოფ სიბოროტეს. ეს იყო
სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

„ეს ყველაფერი თითქოს კანონზომიერია“, — ვფიქრობდი მე, —
„რაც ერია, ის ბერია, ბანდიტურ წესებს, ბანდიტური ილეთებითვე
ებრძვის ნაძირალების სამყარო, მაგრამ ჩვენ, ასე ვერაგულად და
უსამართლოდ ოჯახებს მოწყვეტილნი, რა შუაში ვართ?! ჩვენ ხომ ორ
წნებს შუა აღმოვჩნდით ანაზღა, ენით უთქმელი და კაცობრიობის
ისტორიაში უნახავი ჰოტენტოტური, უკაცრავად პასუხია, „კანონები“
და აქ, ამ ფსკერზე, ამ „კანონების“ ნიადაგზე აღმოცენებული [52] და
გაფურჩქვნილი ბიწიერება, უღმობელობა, სულით „კეთროვანთა“
თარეში. არამცთუ ხელისუფალთ, არამედ აქ, ცხოვრების ამ ფსკერზე,
„უფლებამოსილ“ მიროშნიჩენკოებსაც კი ჩვენ მივანდით უმდაბლეს
კასტად, პარიებათ. ჩვენს მიმართ არაფერი არ იყო აკრძალული,
ყაჩაღების ერთმა ჯგუფმა მეორეს გადააბარა ჩვენი ბედ-იღბალი.



გავიდა კიდეც სამი თუ ოთხი დღე. ივ. კოჟუხარიოვმა პირველმა ვერ გაუძლო სისტემატიურ შიმშილობას, გაცივდა კიდეც და ათიოდე დღის შემდეგ ბანაკის სტაციონარში, ექიმების ოფიციალური დასკვნით, „ფილტვების ანთებისაგან“ გარდაიცვალა. ვერც ბასოვი გაუმკლავდა ამ ჯოჯოხეთურ პირობებს, ერთ კვირაში ისიც სავადმყოფოში დააწვინეს. მე და ტარნოვსკილა დავრჩით ბრიგადის შემადგენლობაში, რომლებიც კიდეც განვაგრძობდით მუშაობას და ტორფს ვეზიდებოდით ტრასაზე. ციხეებში და ეტაპებში ნამყოფები, საჯარო ულუფამ რამდენიმე დღეში წელში გაგვწყვიტა. მაკვირვებდა, როგორ იტანდა ყოველივე ამას პროფესორი ტარნოვსკი. იგი ჩემზე თითქმის ორჯერ უფროსი იყო და საოცრად მხნედ და აუღელვებლად ეჭირა თავი, მაგრამ შიმშილმა ისიც მოტეხა, მეექვსე დღეს სამუშაომდე მისვლაც კი გაგვიძნელდა, მუხლები გვეკეცებოდა⁴⁶.

მოთმინებიდან გამოსულმა მივმართე მიროშნიჩენკოს:

— ამისხენი, ძმობილო, სადაურია, ჩვენ ყოველდღე ვმუშაობთ, თქვენ კი ხელების თბობას უნდებოთ? ჩვენ 300 გრამ პურს ვიღებთ და თქვენ კი — 1300 გრამს, იქნებ მასწავლოთ, რა ჯაღოთი და რა მანქანებით?

⁴⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ისევ და ისევ კოცონი, ირგვლივ „ძმაკაცები“, ჩვენ კი ორი „კონტრიკი“ — მე და ტარნოვსკი ტორფის ნესტიან ჭაობში, ისევ სამასი გრამი პური და ერთი წვნიანი კერძი“.

მიროშნიჩენკოს თავიც არ აუწევია, წარბიც არ შეუხრია, ჩემთვის არც

შემოუხედავს, ისე მიპასუხა:

[53] — მუშაობით!

— რომელი მუშაობით, სად, როდის?

— თქვენ შემთხვევით ყურს ხომ არ დაგაკლდათ? ხომ გითხრეს მუშაობით თქო! — გამანადგურებელი „თავაზიანობით“ გაიმეორა მან.

— ყურთ თუ მაკლია, თვალით ხომ ვხედავ!

— მე და ჩემმა ძმაკაცებმა უკვე მოვიხადეთ სახელმწიფოს წინაშე ვალი, ათი-თხუთმეტი წელია ვთხრით ცხვირით მიწას! (Вкапываем) ახლა თვითონ სახელმწიფოა ჩვენი მოვალე, თქვენ რა გეთქმით, ჯერ გაგვითანასწორდით და მერე ვილაპარაკოთ. ახლა კი მიბრძანდით, თქვენი თავი არ მაქვს!

ასე დასრულდა ჩემი პირველი ბაასი ამ საკითხზე ვასია ბრიგადირ-თან.



რას გავაწყობდი. ინტუიციით ვგრძნობდი, რომ ჩივილი უფროსებთან კარგს არაფერს მიქადდა, რომ ვინმე მომეკლა, გმირობად ჩამითვლიდნენ, რომ გამექურდა, აინუნშიც არ ჩათვლიდნენ, ხოლო რომ მეჩივლა ან უფროსებისთვის მიმემართა, ამ პირშეკრულ ათასთავიან გველემაჰს, გარეწართა ბრბოს, საკმაო ძალა და გამოცდილება ჰქონდა, რათა მოესპო ჩემი და ჩემისთანების სიცოცხლე. ამის მოწამე შემდეგში მე არაერთხელ ვყოფილვარ. მომჩივან და ახირებულ სიმართლის მაძიებლებს, ბანაკის ლექსიკონით, ეწოდებოდა „ЛЯГВИЕ“, რაც მოსყიდულ ძუკნას ნიშნავს. „მაშ როგორ მოვიქცე?“ – ვფიქრობდი მე – „რა ზომებს მივმართო?“

ჩემში თანდათანობით იღვიძებდა პირველყოფილი ადამიანი, ცივილიზებულ ჩვევებს და წონასწორობას ვკარგავდი. მეათე დღეს, ოქტომბრის შუა რიცხვებში თოვლი მოვიდა და გადაათეთრა არემარე. ღამით მოიწმინდა და მოყინა. დილით ძლიერი ქარიც ამოვარდა. ძლივს მივალწიეთ სამუშაო ადგილს. „ძმა-ბიჭებმა“ ამჯერათ ორი კოცონი დაანთეს და მიუსხდნენ.

მე და ტარნოვსკი კვლავ ტრასაზე გავედით, მოყინული ტორფის ამოსატრელად წერაქვების გამოყენება დაგვჭირდა. ხელები გაგვეყინა, ყურები და ცხვირ-პირი გვეწვეოდა. ცივი ქარი ძვლებამდე ატანდა. ამ ნაბიჯში კი, ცეცხლთან, ოცდაექვს „რაინდს“ მოეკალათებინა და [54] ხელებს ითბობდა. გააბეს მასლაათი ქურდულ ჟარგონზე, ისმოდა უწმაწური ოხუნჯობა, „მრავალსართულიანი“ ლანძღვა-გინება და ბილწი ხარხარი.

გამახსენდა, როგორ მოექცნენ ეს რაინდები პროფესორ ტარნოვსკის წინადლით, როდესაც მან სცადა კოცონთან მისვლა. გამახსენდა წუხანდელი ბაასი ბრიგადირთან, ამ ნაძირალას ქედმაღლური ტონი, ჩვენი დოვლათის და „ავლადიდების“ უსირცხვილო გატაცება, გამახსენდა ეს ყველაფერი. ამ ფიქრებში გართულმა ერთხანს ვერც კი შევამჩნიე, რომ პროფესორმა ტორფზე მუშაობას თავი მიანება, ნიჩბის ტარს ორივე ხელით დაეყრდნო, თავი დახარა და მწარედ, თითქმის უხმოდ ქვითინებდა.

მეტისმეტად ავლელდი, მივვარდი და ვკითხე: ვასილ პეტროვიჩ, რა დაგემართათ, ავად ხომ არ შეიქენით? ტარნოვსკის შერცხვა წუთიერი სისუსტის, ცრემლები მოიწმინდა და მწარე, ნაძალადევი ღიმილით



მიპასუხა: ნუ მომაქცევთ ყურადღებას, ვერ შევიკავებ თავი, ამ წყევლმა ქარმა ძვლები გამიშრო. მკლავებში ძალა გამომეცალა, ნიჩაბს ველარ ვწევ ...

ეს იყო, რამაც ჩემი მოთმინების ფიალა აავსო. ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი ქურქი გამაძრო და გაატიტვლა ჩემში მხეცი. მოვკიდე ხელი პროფესორს და შევძახე:

— წამოდით, ვასილი პეტროვიჩ, კოცონთან, ეხლავე წავიდეთ!

— დავიდ სერგეევიჩ, რას ბრძანებთ, ხომ იცით, ვისთან გაქვს საქმე, ეს ხომ ნადირთა ხროვაა!

— ნადირებს ნადირთა ენით ველაპარაკოთ!

ტარნოვსკი გამიძალიანდა, მე მაინც დავიყოლიე, მივადექით იმ კოცონს, რომელსაც უჯდა ვ. მიროშნიჩენკო და კიდევ ათი თუ თორმეტი „ძმაბიჭები“ უსხდნენ და ასე არხეინად ეფიცებოდნენ.

ვ. მიროშნიჩენკოსთან შევჩერდი, დავადე ხელი მხარზე და მღელვარებისაგან დაძაბული ხმით მივმართე:

[55] — წამოდექი ზეზე, დასვი ეს მოხუცი, ხომ ხედავ გაიყინა. „ძმაბიჭები“ სახტად დარჩენ გაოცებული მიყურებდნენ, ჩემგან ასეთ თავხედობას არ მოელოდნენ უთუოდ.

არ განძრეულა მხოლოდ ვ. მიროშნიჩენკო, არც კი მოტრიალებულა, თითქოს არც გაუგონია ჩემი სიტყვები, დიდი თავდაჭერისა და ხელოვნურად გამომუშავებული აუჩქარებლობის უნარი ჰქონდა ამ ვაჟბატონს, მე ვიგრძენი, რომ ეს პოზა იყო და მისი სიჩუმე შეურაცხყოფად მივიჩინე, უფრო მეტ შეურაცხყოფად, ვიდრე უშვერი სიტყვა ან მუშტი. ამჯერად მხარზე ხელის დადება არ ვაკმარე, შევარყეე და მუქარით შევყვირე:

— შენ გეუბნებიან, არ გესმის?! წამოდექ, თორემ ...

ეს კი ველარ მოითმინა მიროშნიჩენკომ, თუმც კვლავ ზურგშექცეული იჯდა, ოდნავ მომიბრუნა სახე და ისეთი მრავალსართულიანი გინება აღმოხთა პირიდან, რომელიც არ[ც] წინათ და არც იმ ორი წლის მანძილზე, ციხეებში და ეტაპში რომ მომიხდა ყოფნა, იმ წუთამდე მე არ მსმენია. წონასწორობა დავკარგე, ჩემდა უნებურად მარცხენა ხელი კისერში წავავლე, რაც ძალი და ღონე მქონდა (აღბათ დაჭიმული ნერვების წყალობით) შემობრუნებით ავიტაცე ზევით და იმავ წუთს მარჯვენა ხელით მძლავრი მუშტი ვთხლიშე სახეში⁴⁷.

მუშტის გარტყმა და ორივე ხელის გაშვება ერთი იყო. მიროშნიჩენკომ,



როგორც ეტყობა, ვერ მოასწრო ფეხზე დადგომა და ხელებგაშლილმა შიგ შუაგულ ცეცხლში მოადინა ზღართან. ყველანი წამოცვივდნენ, მუგუზლები და ცეცხლის ნაპერწკლები აქეთ-იქით ცვიოდა. ატყდა აურზაური. „ძმაბიჭები“ დაიბნენ. „პა-ხანის“⁴⁸ გარეშე არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ.

⁴⁷ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ეს ყველაფერი მოხდა ინსტიტუტურად. რასაკვირველია, მე რაღაც ასეთს მოველოდი, ვიცოდი, რომ მუშტი-კრივით უნდა დამთავრებულიყო ეს დღე, მაგრამ ის, რაც ნამდვილად მოხდა, ჩემთვისაც მოულოდნელი იყო“.
⁴⁸ Пахан – ქურდების უსტაბაში. (ავტორის შენიშვნა).

გუშაგებმა შაშხანები მოიმარჯვეს და შემოგვიტეხს: А ну, стой! Ни с места! (თარგმ.: გაჩერდი! ფეხი არ მოიცვალოთ!) ეს ყველაფერი წამებში მოხდა. ამ ორომტრიალში პირველი მე მოვედი გონს და დავინახე, რომ მიროშნიჩენკო კვლავ კოცონის შუაგულში ეგდო [56] ხელები გავარვარებულ მუგუზლებზე დაეყრდნო და ცდილობდა წამოდგომას. ცეცხლი მოედო ყინვისაგან გამშრალ სათბურს და დაბამბულ შარვალს. კაცი იწვოდა. იმავ წუთს მივვარდი, წავავლე ფეხებში ხელი, გადმოვათრიე თოვლზე და თოვლითვე დავუქრე აღმოდებული შარვალი და სათბური.

ამ შემთხვევაშიც ჩემი საქციელი ინსტიქტური იყო, წინასწარ გამოუზომელი და მოულოდნელი. მხოლოდ ამჯერად ეს ალბათ, ნაკარნახევი იყო ცივილიზებული ადამიანის სისხლში და ხორცში გამჯდარი კაცთმოყვარეობით.

ვ. მიროშნიჩენკო ფეხზე წამოდგა. ორივე ხელისგული მძიმედ ჰქონდა დამწვარი. წელქვევით ცეცხლს მოესწრო დაბამბული შარვლის საკმაოდ დიდი ადგილის ამოწვა. დამქაშებმა დაინახეს თუ არა თავიანთი ბელადი თითქმის უვნებელი, წამსვე მივარდნენ ლაქუციტა და ღრეჭით. ერთმა სათბური გააძრო, პერანგს საკმაოდ დიდი ნაჭერი მოხია და ხელების შეხვევა სცადა. მიროშნიჩენკომ ისე შეუბღვირა, რომ ეს არამკითხე „ესკულაპი“⁴⁹ კუდამოძუებული გაშორდა მას.

კოცონი ხელად მოიყვანეს წესრიგში. ორმა ბაცაცამ დიდი მოწიწებით მიროშნიჩენკო დასვა ჯირკბე. რაიმე ექსცესის მოლოდინში მე სამუშაო იარაღის გროვასთან დავდექი და ტარნოვსკიც გვერდში მოვიყენე. თუკი ვინმე გაბედავდა მოახლოვებას, მე განზრახული მქონდა ლომით ან წერაქვით დამეცვა თავი.

⁴⁹ ესკულაპი, ესკულაპიუსი – ძველბერძნული მკურნალობის ღმერთის, ასკლეპიოსის რომაული ანალოგი.

მაგრამ ეს არ დამჭირვებია. საოცარია კაცის ბუნება. ნაძირალეებმა ძალა იგრძნეს ჩვენს მხარეზე. იგრძნეს



და მცისვე შეაბრუნეს კეხი. ჩვენ აღარ ვიყავით გუშინდელი „პარიები“⁵⁰ უმწეო „ფრაერები“ და უილაჯო „ინტელიგენტიკები“. პირველ წუთებში გამოცა მიროშნიჩენკოს „ქვეშევრდომთა“ ასეთმა საქციელმა, ორთა ჭიდილში ჩაურევლობამ. მერე კი, დიდი ხნის შემდეგ, დავუკვირდი ამ სამყაროში მოქმედ „კანონებს“, როცა შევისწავლე ბანდიტ გარეწართა

⁵⁰ პარიები – უდაბლესი კასტების წარმომადგენლები ინდოეთში. ევროპულ ქვეყნებში სიტყვა „პარიამ“ გარეყლის, უუფლებოს მნიშვნელობა შეითვისა.

⁵¹ ავტორის მიერ წამოღებული ტექსტი: „და ვით ზღაპრული გმირი თვითონ, ერთპიროვნულად სწყვეტს საკუთარ ბედსა და იღბალს“.

ხელით დაუწერელი კოდექსი. [57] საქმე იმაშია, რომ მკვლელის, მზაკვრის და, მით უმეტეს, ქურდბაცაცების პრიმიტიული წარმოდგენით, „პახანი“, ესე იგი უსტაბაში ყოვლისშემძლეა⁵¹. მისი ავტორიტეტი შეუვალაია. ჩემი იღბალი, რომ მე შევეჭიდე უშუალოდ მას და არა რომელიმე მის ხელქვეითს. ასე რომ არ მომხდარიყო, უსტაბაშის ერთი წარბის შერხევა საკმარისი

იქნებოდა, რომ მათ სიცოცხლეს გამოვესალმებინე. ჩვენ ორთა შერკინებაში „ქვეშევრდომები“ არ ჩარეულან. ეს არც მოსვლიათ თავში, იმდენად იყვნენ დარწმუნებული მეთაურის ძალაში.

ჩემი იღბალი იყო ისიც, რომ სწრაფად მოვედი გონზე და პირველმა აღმოვუჩინე დახმარება დაცემულს, სწორეთ ამან გადაწყვიტა თურმე ჩემდა უნებურად ჩემი ბედი.

ვ. მიროშნიჩენკო მოლუშული იჯდა ცეცხლთან. გუშაგმა სასტვენით ანიშნა მეზობლად მომუშავე ბრიგადას, რომ ჩვენთან რაღაც შემთხვევა მოხდა. ათ წუთში გაჩნდა ცხენიანი ორთვალა, რომელსაც მოჰყვა შეიარაღებული მსროლელი. მიროშნიჩენკო ბანაკის სტაციონარში წაიყვანეს.

მე და ტარნოვსკიმ დავაპირეთ განგვეგრძო მუშაობა, მოვკიდეთ კიდეც ხელი წერაქვებს, მაგრამ მოირბინა „პირადმა მდივანმა“:

– დავით სერგეირ! სამუშაო ტყეში არ გაგექცევათ, დაყარეთ წერაქვები, ცეცხლს მოუსხედით!

„Вот тебе, бабушка, и Юрьев день“⁵² (თარგმ.: „აჰა, ბებო შენ, გათავისუფლების დღეც“ ან „აი, ბებო, წმ გიორგის ხსენების დღეც მოსულა“)* – მომაგონდა რუსული ანდაზა, ამასაც მოვესწარი. აქამდე პირში გორგაძეს მიძახდნენ, პირსუკან – „ფრაერს“ ან „ფაშისტს“,



ახლა კი სახელი და მამის სახელი გაიხსენეს და ეს ყველაფერი ერთმა მუშტის შემოქნევამ გამოიწვია. ამიერიდან მე „სვოი-თ“ მაღიარეს. კოლონაზე დაბრუნებისას ნიჩაბი ჩამომართვეს და ერთ-ერთ ბაცაცას წამოაღებინეს. ერთი სიტყვით, ბანაკის „არისტოკრატებმა“ თავის წრეში მიმიღეს და „პრივილეგიური“ პირობები შემიქმნეს. რაც მთავარია, ამ შემთხვევის მესამე დღეს „პირადმა მდივანმა“, რომელიც ბრიგადირის თანამდებობას ასრულებდა, მე და ტარნოვსკის მეშვიდე ულუფა გამოგვიწერა. [58] იგივე გამეორდა შემდეგ დღეებში. მე და ტარნოვსკი ულუფას ვერ ვერეოდით. მე პური მრჩებოდა, მახორკაზე ვცვლიდი და ამოვისუნთქე. გარდა ამისა, როცა კი მოვინდომებდით დასვენებას კოცონთან, „ძმაბიჭები“ დაუყოვნებლივ გვითმობდნენ ადგილს. აი, კიდევ ერთი დაუწერელი კანონი. იმ პირობებში დიდ შეცდომას სჩადიოდნენ ის ინტელიგენტი პატიმრები, რომლებიც ამ ნაძირალებთან დამეგობრების მიზნით ითვისებდნენ მათს ჟარგონს და ჩვევებს. ამ ხელოვნურ ნიღაბს ყველა ხედავდა, ხედავდნენ ნაძირალებიც და თუმც თითქოს იახლოვებდნენ მათ, პატივს აღარასცემდნენ და თუ დასჭირდებოდათ, უმუხთლებდნენ კიდევ.

ამ ნაძირალებთან ურთიერთობაში ჩვევები და ლექსიკონი არ უნდა შეიცვალო, მაგრამ აქაც არ შეიძლება გადაჭარბება; არის ისეთი ნიუანსი, რომლის დაცვა აუცილებელია, თუ გსურს ამ გარეწარების მოთვინიერება და საკუთარი სახის შენარჩუნება. ეს ნიუანსი თქვენთვის ჩვეული თავაზიანობის ერთგვარ მოდერნიზებას მოითხოვს. არამც და არამც არ მიმართოთ ჭარბი ზრდილობის ფორმებს. დაიცავით სისადავე და უშუალობა. მაგალითად, თუ თქვენ, ინტელიგენტი, ასე მიმართავთ გარეწარს: „მეგობარო, მაპატიე, ბარაკში დამრჩა მახორკა, თუ არ დაიზარებ, მასესხე ერთი მოწევა, ხვალ ორმაგად გიზღავ“ — აუცილებლად უარს მიიღებთ. გარეწარს თვალეშივე შეამჩნევთ, რომ თქვენმა თავაზიანობამ ის შეაშფოთა და დარაზმა, თითქოს ფიქრობს, „რას მელაქუცებაო“ (подъезжаешь моль) ხოლო თუ ასე სთხოვთ: „ძმობილო, მომაწოდე ერთი შენი მახორკა“, იმწამსვე მოგაწოდებს.

თქვენთვის ჩვეული თავაზიანობა არამცთუ ზედმეტი, საშიშიც არის, ნდობას დაკარგავთ.

⁵² Юрьев день - წმინდა გიორგის სადღესასწაულო დღეების სლავური დასახელება. ერთ-ერთ ასეთ გიორგობაზე (26 ნოემბერი/9 დეკემბერი) გლეხებს თავიანთი ბატონებისაგან სხვა ბატონებთანგადასვლა შეეძლოთ.



რამდენიმე დღე დავყავით კიდევ მე და ტარნოვსკიმ ვ. მიროშნი-ჩენკოს ბრიგადაში, თუმც თვითონ ბრიგადირი არსად შეგვხვებოდა, სტაციონარში მოუხდა წოლა დიდხანს.

ბანაკის ხელმძღვანელობამ შეისწავლა ჩვენი დოკუმენტები, დაუშვებლად სცნო ჩვენი ყოფნა ორჯერ და მეტჯერ ნასამართლევი პატიმრების ბრიგადაში [59] და მეორე ბარაკში, ყოფილ კოლმეურნეთა ბრიგადაში, გადაგვიყვანეს.

ამ ბრიგადის დიდი უმრავლესობა უკრაინელი გლეხები იყვნენ. მათ ბრალად ედებოდათ მავნებლობა სოფლის მეურნეობაში — ხორბლეულობის მოპარვა — მოსავლის აღებისას. ამ მუყაით გამრჯე გლეხკაცების მავნებლობას მხოლოდ ბრიყვი და უვიცი თუ დაიჯერებდა.

პროფესორმა ტარ-კიმ ამოისუნთქა, თავისიანებში იგრძნო თავი, გამოცოცხლდა⁵³.

დაიწყო ნორმალური, ერთფეროვანი და მოსაბებრებელი ცხოვრება:

⁵³ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ორთავე წესიერად მიგვიღეს, საწოლებიც გამოგვიყვეს, მძიმე და ჭუჭყიან საქმეს არ გვავალებდნენ, გაქურდვის არავის ეშინოდა“.

⁵⁴ ავტორის მიერ შემდეგი ტექსტია წაშლილი: „დადგა ზამთარი. ჩრდილოეთის ბუნება ყინვამ შებოჭა. ფეხქვეშ თოვლი თითქოს წიოდა, ხვნეშოდა, სამუშაოზე გასვლისას გზაში ბრიგადას ორთქლის ღრუბელი მოგვყვებოდა, ეს იყო ამონასუნთქი. გავიდა თითქმის ორი კვირა, მას შემდეგ, რაც მე და ტარ-სკი ახალ ბრიგადაში გადმოგვიყვანეს“.

⁵⁵ ივ. დღის გუშაგი.

10-12 საათი ყოველდღიურად ტრასაზე ან ტყეკაფში, ოთხი-ხუთი საათი საღამოობით ჭრაქთან ბარაკში და რვა საათი მძიმე სიმბრებით სავსე მშფოთვარე ძილი⁵⁴.

ერთ საღამოს, ნავახშმევს, მე ჩემ სა-წოლზე ვიწეეი გემო ნარაზე. მთვლემდა. ბარაკის შემოსასვლელთან ვიღაცამ ჩემი სახელი ახსენა. დღიურმა⁵⁵ (Дневальный) უჩვენა ჩემი კუთხე, ვიცანი ვ. მიროშნიჩენკო. ხელში რაღაც შეფუთული ეჭირა. წამოვკეეი. არ ვიცოდი, სამტროდ მოდიოდა ჩემთან თუ სამოყვროდ. იმ დღიდან, რაც მას ფათერაკი შეემთხვა, არ მინახავს.

— აქა ხარ? შეიძლება? — ტონში სამტრო

თითქოს არა ეტყობოდა რა.

— ამოდი ეს ტარნოვსკის კოიკაა, წამოწეეი. ამოვიდა, მახორკა გაახვია და მომაწოდა. გავაბოლეთ. უხერხული სიჩუმე პირველმა მიროშნიჩენკომ დაარღვია.

— სერგეიჩ! რუსული ანდაზა ხომ გავიგონია: „ვინც ძველს გაიხსენებს, თვალეები უნდა დაეთხაროს“.



– მერე, გაგისენა ვინმემ?

– არა, მაგრამ მოვრიგდეთ (Договоримся): შენ შენი ჭკუა გაქვს, მე – ჩემი. თუ მე არ გეტყვი, [60] რაც მინდა, ნურას მკითხავ.

– კეთილი!

– ჩემმა ბიჭებმა ეტაპში გაგფცქვნეს, არა?

– შენი ბიჭები რა შუაში არიან? ეს ხომ იმ არამზადა მეჯინებემ ჩაიდინა?

– ეხ, სერგეიჩ, ბანაკის ძმაბიჭები ვის გაუყვია?! Это же одна бражка! (თარგმ.: ეს ხომ ერთი საძმოა!) შენ იქნებ გგონია ეტაპის დაცვის უფროსიც არაფერ შუაშია? იმას თქვენი „შმოტკების“ ანგარიშში თუმანზე რვა მანეთი ერგო. ჩვენი წილი ნახევარლიტრიანით გაისტუმრა, გაიგე?!

– მერე, რომ გავიგე, ეხლა რაღას გავხდები!

– Ну ладно! (თარგმ.: კარგი) რაც მოხდა, მოხდა. ზოგი რომ ვერ გავასაღეთ, უკან მოგიტანე, აი უყურე, და უნდოდა შეფუთული „ამანათის“ გახსნა. მე შევაწყვეტინე.

– ეგ შემდეგ შენ ერთი ეს მითხარი, განა არ ეშინიან დაცვის უფროსს? ეს ხომ ბანდიტიზმია.

– ვისი უნდა ეშინოდეს, უფროსებიც წილში ჰყავს. თქვენ, „კონტრიკებს“, ვინ დაგიჯერებთ? არაფერია, სერგეიჩ, შენ არხეინად იყავი, ამიერიდან ხმას არავინ გაგცემს. რაც ჩემმა ძმაკაცებმა აგაცალეს, აგინაზღაურებ, ჩემზე იყოს⁵⁶.

– კეთილი, გმადლობ.

– თუ რამე გაგიჭირდა, მე აქა ვარ! კაცნი ვართ!

ვასია გამომეშვიდობა და წავიდა.

ეს იყო გამარჯვება – მხეცის მოთვინიერება! ალბათ [61] ბნელი, ბინძური წარსულიდან ვ. მიროშნიჩენკოს წამოჰყვა შენიღბული, გულის სიღრმეში ჩამალული ადამიანური რამ, თუკი მაღლიერების გრძნობას აჰყვა და ჩემი ინსტიქტური დახმარება ჯეროვნად შეაფასა.

გავშალე „ძღვენი“, ზოგი რამ ნამდვილად ჩემი იყო: ღია ფერის ყაბალახი, რომლის დანიშნულება ჩრდილოეთში, როგორც ეტყობა, არავინ

⁵⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი:

„მე უხერხულად ვიგრძენი თავი, ასეთი უცაბედი დამძაყცევა ჭკუაში არ დამიჯდა და თუმცა თითქოს მივხვდი, კიდევ რა ამოძრავებდა ვ. მიროშნიჩენკოს, ამას რომ მეუბნებოდა, გულში მაინც გადავწყვიტე: „მართალია, გამქურდე, ძმობილო, მაგრამ ეს ჩემი დოვლადობის ბრალია, შენ კი ბუნებას აჰყევი. ადგილობრივ რომ წამესწრო, სხვა საქმეა, ამიტომ მე არ მსურს ვიყო შენი მოვალე“. დაბრუნებით „ამანათს“ არ დაგიბრუნებ, ამას შენ შეურაცხყოფად მიიღებ. გეყოფა, რაც იწვინე ჩემგან. თქმით კი ასე ვუთხარი“.



იცოდა, ორი სახლში მოქსოვილი შალის ხელთათმანი (აქ უთითო ხელთათმანებს — „ვარეჟებს“ ამჟობინებდნენ) და ლოსის თეთრი ტყავის საშინაო ტუფლები. ამის გარდა, მიროშნიჩენკოს ამანათში ჩაეგდო ერთი ნაჭერი ღორის ქონი, ერთი კილოგრამი შაქარი და ხუთი შეკვრა მახორკა.

ეს მთელი სიმდიდრე იყო, ქურდების უსტაბაშის ნაბოძები. მე გადავწყვიტე: მივიღებდი თუ არა ოჯახიდან პირველსავე ამანათს, მიროშნიჩენკოს გავუყოფდი, რომ არავითარი ვალი არ დამდებოდა.

ასეც მოხდა, ორ კვირაში მივიღე თბილისიდან ამანათი. ნაირნაირი სანოვავის გარდა, ცოლს გამოეგზავნა ოცი კოლოფი უმაღლესი ხარისხის ჩვენებური პაპიროსი. აქ ზინზლით გაჟღენთილი ბარაკების ბინძურ ჰაერში ქართული პაპიროსის არომატი ციდან მოვლენილ ნექტარად მოგვეჩვენა ყველას. ეს იყო ნამდვილი მეფური საჩუქარი. ათი კოლოფი მიროშნიჩენკოს ვუწილადე, უნდა გენახათ, როგორ იბღინებოდა ეს არც ისე ახალგაზრდა ჩვეულებრივ თავდაჭერილი და ყველაფრის მნახველი ვაჟბატონი, როცა ქურდბაცაცებით გარშემორტყმული თავმომწონედ ამოიღებდა ხოლმე კოლოფიდან გრძელ ქართულ ოქროს ასოებით წარწერილ პაპიროსს და გააბოლებდა.

ამან უფრო განამტკიცა ჩემი და მიროშნიჩენკოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დაძმავაცება“. ჩვენი მეგობრობა უფრო წააგავდა ადამიანის და მოთვინიერებული მხეცის მეგობრობას. რომ მდომნოდა, ვასია მიროშნიჩენკო ჩემი გულისათვის ალბათ მკვლელობაზეც წავიდოდა თვალდაუხამხამებლად. ბუნებით ძლიერი, თავისიანებს შორის გოროზი [62] და ქედმაღალი, ჩემთან სრულიად იცვლებოდა, მისთვის ჩვეულ ჟარგონს ივიწყებდა და წესიერ სიტყვა-პასუხს ხმარობდა.

დავრწმუნდი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არც ჭკუას, არც ცოდნას და არც პატიოსნებას არ შეუძლიან ადამიანს გაუწიოს მუშტის მაგიერობა. მით უმეტეს აქ, ამ ფსკერზე, უწმაწურობის სამყაროში, რომელიც ჩვენი „თავისუფალი სამოთხის“ შეუნიღბავი, გაშიშვლებული გამეორებაა.

ჩემი და მიროშნიჩენკოს „ძმავაცობა“ გააღრმავა კიდევ ერთმა გარემოებამ — ბანაკში მკვლელობა მოხდა, დილით საპირფარეშოსთან მცველები წააწყდნენ ყელგამოჭრილ ქურდბაცაცას. ეჭვი ბევრზე მიიტანეს, მათ შორის მიროშნიჩენკოზეც და ბანაკის საპატიმროში



ჩასვს. ერთ-ერთი „ხელქვეითის“ პირით შემომითვალა დამეხმარეო, მე ამ საქმეში სუფთა ვარო (В ЭТОМ ДЕЛЕ Я ЧИСТ) მაგრამ ბანაკის ტრიბუნალი ჩემისთანებს ემტერება და ტყუილ-უბრალოდ გამაფუჭებენო, სხვის დანაშაულს მე მომახვევენო!!! წარმოიდგინეთ, დაუკურე და არც შევმცდარვარ. იმავე დესპანის მეშვეობით გამოვკითხე, რას ეყრდნობოდა გამოძიება ასეთ ბრალდების წაყენებისას. მიროშნიჩენკომ დაწვრილებით გადმომცა გამოძიების მსვლელობა და სრულიად დამაჯერებელი ალიბი წამოაყენა.

მე დაწვრე მიროშნიჩენკოს სახელით ბანაკის უფროსის სახელზე ვრცელი განცხადება. მოვიყვანე ყველაფერი, რაც ვიცოდი, ალიბის ამბავიც და მიროშნიჩენკოს ხელის მოსაწერად გავუგზავნე. არ გასულა ორი კვირა, რომ მიროშნიჩენკო გამოვიდა საპატიმროდან. განცხადებამ გასჭრა. სულ მალე მკვლელიც მონახეს და მიროშნიჩენკოს მოეშვენე. ამიერიდან მე გამიჩნდა ერთგული ყმადნაფიცი.⁵⁷ მორჩილი და ერთგული, თვინიერი და საშიში [63] ერთსა და იმავე დროს. მცირე რამ კარგიც მახსოვს მისგან, გოლგოთაზე ამავალ სისხლით და ოფლით მორწყულ გზაზე. ერთ პატიმარს, ჩემსავით ბეჩავს, ტომით თბილისელ სომეხს, ვინმე არუთინ მან-ანს, რომელიც პროფესიით ინჟინერი იყო და ჩვენთან საპროექტო ჯგუფში მუშაობდა, ღამით ჩექმები მოპარეს. ეს იყო მისი ერთადერთი ავლადიდება. ხანში შესული, წელში მოხრილი და ჩრდილოეთში დაჭლექებული, ყოველმხრივ ღირსეული ადამიანი ძალზე შეაწუხა ამ ამბავმა.

⁵⁷ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ჩემს წინაპრებს (ყოველ შემთხვევაში, უახლოესს ხუთ თუ ექვს თაობას) ყმები არ ჰყოლიათ, არც ყმათ ყოფილან. მე კი ბედმა მარგუნა ასეთი ყმა“.

– დავით სერგეიჩ! სხვა არა გამაჩნდა რა, ამ ჩექმების გარდა. თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი, ვფიქრობდი, თუ ძალიან გამიჭირდა, სურსათზე გადავცვლი—მეთქი.

– როდის გაგქურდეს?

– წუხელ. სასთუმალთან მეწყო.

მე არაფერი მითქვამს, ტყუილ დაპირებას მოვერიდე. გავეშურე ჩემს ძველ ბარაკში მიროშნიჩენკოსთან. ვასია სახლში დამხვდა, კვირა დღე იყო. ვუსაყვედურე:

– შენ რა ჩემ „ზემლიაკებს“ დაერიე? რას გერჩოდა ის საცოდავი? განა არ იცი, რომ ორი დღის წუთისოფელია აქვს? – ვუთხარი.



— კეთილი, ყველაფერი რიგზე იქნება, ოღონდ დამნაშავის ვინაობას ნუ მკითხავ.

⁵⁸ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „დავით სერგეინი, ჩექმები მოინახა, გავახილე თვალი თუ არა, სადაც ყოველთვის, ჩემ სასთუმალთან აწყია, პირდაპირ სასწაულია, ჩემმა მზემ, ნამდვილი სასწაული! მე მივეულოცე, ჩემი ჩარევის ამბავი არ მითქვამს, ამისთვის მთელ ისტორიას უნდა მოვყოლოდი“.

⁵⁹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მივხვდი, ვისი წყალობითაც. როგორც ეტყობოდა, ძვირად დაუჯდა მას არ. მან-იანის საკუთრების ხელყოფა“.

⁶⁰ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „განთავისუფლების დღემდე, არც ერთხელ არ გა[ვ] უქურდივარ“.

— მაშ, მექონდეს შენი იმედი?

— არხეინად იყავი.

მეორე დილით, მართლაც, ჩექმები პატრონს თავის ადგილას დახვდა.⁵⁸

[64] საღამოზე კი თვალი მოვკარი მიროშნიჩენკოს „პირად მდივანს“, სულ დალილავებული ჰქონდა ცხვირ-პირი.⁵⁹

ჩემი და ვასია მიროშნიჩენკოს „დაძმაკაცებამ“ დიდი სამსახური გამიწია ბანაკში ყოფნის მთელ მანძილზე.⁶⁰ აღვირახსნილი ხულიგნები და ვიგინდარები მორიდებით მექცეოდნენ მიროშნიჩენკოს წყალობით, არამცთუ მე, ჩემს მეგობრებს და ნაცნობებსაც.⁶¹

⁶¹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ამისი მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, იყო ის, რომ არც ერთხელ არ შევმდგარვარ პატიმრობის პირობებში ყველაზე უფრო მცდარ და სახიფათო გზაზე. არ მიჩვილია და ხელისუფალთათვის არ მიმიმართავს. თვითონ გავსწორებივარ ძალადობას შეძლებისდაგვარად. მიროშნიჩენკომ ეს ყველაზე ადრე შემამჩნია და თავის დამოკიდებულებით შემიქმნა შედარებით იოლი ცხოვრების პირობები ამ არამზადების სამყაროში, სადაც ძალმომრეობდა სიბოროტე“.



III

გარეწარი რევოლუციის მონაპოვართა სადარჯოზე

[65] ახალ ბრიგადაში, რომელშიც მე და პროფესორი ტარნოვსკი გადაგვიყვანეს, შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაცილებით უკეთესი პირობები შეგვექმნა.

საცხოვრებელ ბინებში სიჩუმე და სისუფთავე სუფევდა. შფოთი და ალიაქოთი აღარ გვაწუხებდა. სამუშაოზე გავსვლისას ერთი მცველი გვახლდა. საგუშაგო ძაღლებს ჩვენს წინააღმდეგ არ იყენებდნენ. მაგრამ ამ სიკარგეს, ავიც მოჰყვა. ეს ბრიგადა დაკომპლექტებული იყო დასავლეთ უკრაინის ახლად შემოერთებულ რაიონების გლეხებისაგან. ეს იყო მოთავისე, თვალწვრილი, ხარბი, სხვისი გასაჭირის მიმართ გულცივი ხალხი, სრულიად მოკლებული კოლექტივალურობის გრძნობას, გონებაჩლუნგი და უვიცი.

შრომაში მუყაითს, კერძო საკუთრების გამაღმერთებელს გუშინდელ გლეხს, სხვისი საკუთრების დაჩემება, რასაკვირველია, აზრადაც არ მოუვიდოდა, მაგრამ შურიტ და ბოღმით ივსებოდა, თუ სხვას დაუნახავდა ხელში პურის ან ღორის ქონის უფრო დიდ ნაჭერს.⁶² ერთი ასეთი შემთხვევის მოწმე შევიქენი: ერთ რგოლში ორი შუახნის კაცი მუშაობდა და ორმაგი საწოლით სარგებლობდნენ, ნავახშმევს წამოწვნენ. ერთ-ერთს ჩასთვლიმა, პირიდან ჩაუქრობელი მახორკის ნამწვი გადმოვარდნოდა და საბანს ცეცხლი გაუჩნდა. მე სწორედ იმ დროს შევედი ბარაკში, დამწვრის სუნი მეცა. მივვარდი, გადავაძრე საბანი და ცეცხლი ჩავაქრე, მერე მივუბრუნდი იქვე, მის გვერდით მწოლიარე [66] მეზობელს, რომელიც ყოველივე ამას გულგრილად უყურებდა:

— ვერ ხედავდით, რომ თქვენს მეზობელს საბანი ეწვოდა?

⁶² ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მათი ურთიერთობა კურობამდე მიდიოდა. ორმაგ ფიცრულ საწოლზე (Hapы), შუაში საწოლის გასწვრივ კიდეც ერთ ფიცარს აყუდებდნენ, ჩემ მხარეზე არ გადმოსწიოს საბანიო და ორი სანტიმეტრით ჩემ „ტერიტორიაზე“ არ შემოიჭრასო. დილაზე პურის განაწილების დროს ირჩევდნენ მსაჯს. ის უნდა დამდგარიყო ზურგშექცეული მაგიდის მიმართ, რომელზედაც დაჭრილი პური ელავა და როცა მეორე პატიმარი დაადებდა რომელიმე პურის ნაჭერს ხელს, მსაჯს უნდა ეთქვა, ვისი იყო ეს ნაჭერი“.



– ვხედავდი!
 – მერე რატომ არ გააღვიძეთ?
 – ჩემი საბანი ხომ არ იწვოდა, ყველამ თავის საკუთრებას თვითონ მოუაროს! – მიპასუხა მან ურცხვად და ზურგი შემობრუნა.
 აი, ასეთ ხალხში მომიხდა ცხოვრება თითქმის ერთი წლის განმავლობაში.

⁶³ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ტორფის ამოღებას, მიწის სამუშაოებს, ხე-ტყის მოჭრას და ბანაკში შემოზიდვას და სხვა“.

⁶⁴ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ცხენი მეტად თვინიერი გამოდგა, მაგრამ ხანდახან უადგილო ადვილას ჩერდებოდა და ადგილიდან არ იძროდა. მახსოვს ასეთი შემთხვევა: სადამოქუამს, შემით დატვირთული თხუთმეტი ცხენიანი ორთავლით მწკრივად მოვდივართ ლაგერში. ფიქრებმა გამიტაცეს და თვალწინ ცოლ-შვილი წარმომიდგა. ხელში სახრე მეჭირა, თუმც არასდროს არ მიხმარია. გულს ბოღმა მომაწვა. სისხლი ამემღვრა და ტალღებად მოაწვა საფეთქლებს, თითქოს თავში მირახუნებდა ერთი და იგივე კითხვა: რისთვის, რისთვის, რისთვის? რას ერჩოდნენ დედას, თიკოს, ლიას ... ამ დროს ჩემმა „ლაფშამ“ ფეხები განზე გადავა და შეჩერდა. უკან მომყოლის ძახილი მომესმა, იმას სხვა მოჰყვა. მე ფიქრებიდან გამოვერკვიე, სახრე მოვიმარჯვე და უნებურად ქართულად შევყვირე: „აჩუ, თიკო!“ მერე ჩემ თავზევე გამეცინა. ცხენი უცნაურმა შეძახილმა შეაკრთო და იმ წამსვე ადგილიდან დაიძრა“.

⁶⁵ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „აქ თითქოს ახალი ღვთის რისხვა დაგვხვდა ჩასაფრებულნი“.

ჯანმრთელისა დაბადებული. ის ესწრაფოდა თუნდაც მიკროსკოპული უფლებები ეგდო ხელთ, რომ დაეთრგუნა, დაეჩაგრა და გაესრისა, ისედაც გაჭირვებული და უმწეო, მაგრამ მასთან შედარებით სრულყოფილი არსება. ვინც არ უნდა ყოფილიყო ეს – პატიმარი თუ თავისუფალი მოქალაქე.

ჩვენი ბრიგადა სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდა.⁶³

სამი თუ ოთხი თვე ტყეკაფში დავყავდით, წიწვიან ხე-ტყეს ვჩეხავდით, შემად ვაპობდით და ცხენიანი ოთხთვალათი (Грабарки) შტაბში ვეზიდებოდით. მეც მომამაგრეს ერთი ცხენიანი ოთხთვალა. ჩემთვის არც ისე ადვილი იყო ცხენის მოვლა-შეკაზმვა, უკრაინელ გლეხებს დავუკვირდი და, როგორც იქნა, ამ საქმეს დავუფლეთ.⁶⁴

ხე-ტყის დამზადება რომ მოვრჩით, ჩვენი ბრიგადა მიწის სამუშაოებზე გადაგვიყვანეს.⁶⁵ დაცვის შემადგენლობაში იმჟამად მსროლელად ჰყავდათ სულით და ხორცით მახინჯი ახალგაზრდა კაცი, ვინმე გუბანოვი. უთუოდ პათოლოგიური [67] ტიპი იყო ეს გუბანოვი. მკერდჩავარდნილი, ჩაცვითლებული, თეთრთვალწარბა გუბანოვი მოძულე ჯალათად იყო ყოველივე ლამაზისა, ბუნებრივად

გუბანოვის მსოფლმხედველობა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გაზეთებიდან და ბროშურებიდან ამოკითხულ ზოგიერთ ორთოდოქსალურ ტემპარიტებებს, ველურის მსოფლმხედველობას არ აღემატებოდა. ეს იყო თანამედროვე ბუშმენი, ბოროტი, შურიანი და უმეცარი.

1941 წლის თებერვალში სახლიდან ამანათი მომივიდა. ვახტაზე იმ დღეს გუბანოვი იყო. გამომიძახა, ჩემი თანდასწრებით გახსნა ყუთი და გამოგზავნილი სანოვაგე სათითაოდ მოსინჯა. ხაჭაპური გადატეხა კიდევ, თითქოს ტყვიამფრქვევის ან ქვემეხის აღმოჩენას მოელოდა. ქართულ გაზეთში გახვეულ ტყემლით სავსე ბოთლს რომ მოკიდა ხელი, შეიჭმუნხა, დააშტერდა მისთვის უცნობ გაზეთის შრიფტს და კატეგორიულად გამომიცხადა:

– ამანათს თქვენ ვერ მიიღებთ!

– რატომ?

– მე ვერ დავუშვებ, რომ პატიმართან ვინმემ კონსპირაციული მიწერა-მოწერა აწარმოოს, ვინ დაგიმოწმებთ, რომ ეს ფაშისტური გაზეთი არ არის?

– რას ლაპარაკობთ? ეს ხომ ქართული გაზეთია!

– გიცნობთ, ვინცა ხართ! (Знаем мы вас) ამანათი კონფისკაცია ქმნილია! მიბრძანდით!

– მოქალაქე მსროლელო, ეს საბჭოთა გაზეთია. თბილისში გამოდის, აი შეხედეთ რუსულად სწერია „პეტიტიო“: Коммунист” орган ЦК КП Грузии и Цика Груз. ССР.

გუბანოვმა დახედა ქვედა ტექსტს, ერთხანს თითქოს დაეჭვდა, მაგრამ მაინც არ გაიტეხა იხტიბარი.

– ვინ დაგიმოწმებს, რომ ეს წარწერა შენიღბვას არ წარმოადგენს? მტერი ფხიბლობს! (Враг не дремлет!).

მე დაცვის შტაბს გადავცემ ამ ამანათს და იქ გაარკვევენ, Все с вами!⁶⁶ (თარგმ.: თქვენთან მოვრჩი!)

[68] რას ვავაწყობდი! ის იყო დავაპირე საგუშაგოდან გამოსვლა, რომ ვახტაზე ფეხი შემოდგა დაცვის შტაბის უფროსმა, თბილისელმა რუსმა. იკითხა, რას ნიშნავდა მაგიდაზე გაშლილი სანოვაგე. გუბანოვმა უთხრა და გაზეთზედაც

⁶⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ერთი კარგი მათრახი ამ „ფხიბელი“ გუშაგისათვის ნამდვილად მაღლი იყო, მაგრამ ერთი იგავისა არ იყოს, ეს მათრახი მე უფრო ამწვავდა ზურგს“.



მოახსენა თავის „ბრძნული“ მოსაზრება.

შტაბის უფროსს გაეცინა:

— Губанов, вы болван! Посылку выдать! Всё! (თარგმ.: გუბანოვ ბრიყვი ხართ! ამანათი გაეცით! მორჩა!) — თქვა მან და ზონაში შევიდა.

მცირე გამონაკლისით ბანაკის პარტიული, ტექნიკური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა და დაცვის პირადი შემადგენლობა გუბანოვის მსგავს ტიპებისგან იყო შემდგარი, რომელნიც დიდი და პატარა ცოდვებისათვის ცხოვრებამ გარიყა და გადმოისროლა აქ, ამ

⁶⁷ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მიწის სამუშაოებზე გადაყვანისთანავე ჩვენს ბრივადს მცველად სწორედ ეს გუბანოვი დაუნიშნეს“.

ქვესკნელში, სადაც ნებაყოფლობით არა მგონია ვინმე წამოსულიყო. გუბანოვმა სწრაფად გაითქვა სახელი სისასტიკით.⁶⁷ ვახტაბე სამუშაოზე გამგზავრების წინ გუბანოვი განაწესის თანახმად

ყოველდღე მედავითნესავით შემდეგი სიტყვებით მოგვმართავდა:

— სვლის დროს სრული სიწყნარე! ნაბიჯი მარჯვნივ, ნაბიჯი მარცხნივ, გესვრით ტყვიას გაუფრთხილებლივ. გასაგებია? — ჩვენ უნდა გვეპასუხა ერთხმად: გასაგებია!

აპრილის ერთ წვიმიან დილას, მთელი ბრივადა მივყავდით სამუშაოზე. გზა ჭაობზე გადიოდა. გუბანოვი გვერდით მოგვეყვებოდა. რომელიღაც პატიმარმა წინ მიმავალს ქუსლზე ფეხი დაადგა. იმან შეუკურთხა. გუბანოვმა მოიმარჯვა შაშხანა და დაიღრიალა:

— სდექ!

ჩვენ შევჩერდით.

— დაწექი! — კვლავ გასცა ბრძანება გუბანოვმა. რა გაეწყობოდა. ამ დამთხვეულისაგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო. პირქვე დავწექით. ბამბის ტანსაცმელმა იმ წამსვე შეისრუტა ჭაობის წყალი. გუბანოვმა ნიშნის მოგებით ორჯერ აგვიარ-ჩაგვიარა და შემდეგ ნატაცია წაგვიკითხა.

— ხომ გაგაფრთხილეთ, კრინტს ნუ დასძრავთ თქო?! [69] იწექით ახლა მეორედ მოსვლამდე.

ასე გაგვანჩერა დაახლოვებით ათ წუთს. თავით ფეხამდე დავსველდით და ამოვისვარეთ.

მსგავსი რამ ხშირად ხდებოდა. გუბანოვს, როგორც ფსიქიურად არასრულყოფილს, სულიერად გონჯს და სადისტს, სიამოვნებას



ჰგვრიდა ასეთი რამ. ასეთ წუთებში ის ზეარსება იყო, როგორც ობობა[ს] ქსელში გახვეული ბუზის მიმართ. იყო შემთხვევა, გუბანოვს უჩივლეს, მაგრამ, ბანაკის დაცვის ხელმძღვანელობის „ბრძნული“ გაგებით, რაც მეტს უჩივის პატიმარი მცველს, მით უკეთესია; მით მეტი ნდობის ღირსია მცველი. ასეთ საჩივრებს ის მოჰყვა, რომ გუბანოვი პარტიაში მიიღეს. გუბანოვი ორიოდ თვის შემდეგ მეზობელ კოლონაზე გადაიყვანეს უფროს მცველად და სერჟანტის წოდება მიანიჭეს. ჩვენ ამოვისუნთქეთ.

ბანაკის მთავარი სამმართველო თავისივე სტამბაში ბეჭდავდა ყოველდღიურ მრავალტირაჟიან გაზეთს. ერთ მშვენიერ დღეს შტაბში ბანაკის გაზეთის მორიგე ნომერში გუბანოვის სურათს წავაწყდით. მთელი სვეტი ავსებული იყო ასეთი წარწერებით: „აიღეთ მაგალითი გუბანოვისაგან“, „გუბანოვი პარტიის ერთგული შვილია“, „გუბანოვი რევოლუციური წესრიგის სადარაჯოზე“, და სხვა. გაზეთი იუწყებოდა, რომ გუბანოვმა აღკვეთა პატიმრის ბანაკიდან გაპარვის ცდა და მისმა „ვაჟკაცურმა მარჯვენამ“ ადგილზევე განუგმირა გული ბოროტმოქმედს. დაწვრილებითი ცნობები შტაბის თანამშრომლებისაგან გავიგეთ. წინა დღით უფროს მცველს – გუბანოვს სამუშაოზე გაყვანილი ბრიგადისათვის პირობითი საზღვრები უჩვენებია. სამუშაოები შუაგულ ტყეში მიმდინარეობდა. ერთ–ერთ პატიმარს, რომელსაც მცირეწლოვან ბავშვის გაუპატიურებისათვის ათი წელი ჰქონდა მისჯილი, განუზრახავს გაქცევა. ათი ნაბიჯით გასცილებია პირობით ხაზს, გუბანოვს ზურგში უსვრია ტყვია და იქვე გაუთავებია.

გუბანოვი გახდა დაცვის შემადგენლობაში ყველაზე პოპულარული პირი. ბანაკის მთავარი სამმართველოს უფროსმა ბრძანებით [70] მადლობა გამოუცხადა და ფულადი ჯილდოც გამოუყო. კომკავშირის კომიტეტმა მაჯის საათი აჩუქა, დაცვის შტაბის უფროსმა ახალი მუნდირი უბოძა.⁶⁸

⁶⁸ ავტორის მიერ წამოლილი ტექსტი: „ასეთი წახალისება ზომიერ ფარგლებში არ იქნებოდა ალბათ ურიგო, ნორმალურ კაცთან რომ გვექონოდა საქმე, მაგრამ ... საქმეც იმაშია, რომ გუბანოვი არ იყო ნორმალური ადამიანი ...“.

ერთი თვე არ გასულა ამ ამბების შემდეგ და კვლავ გაითქვა სახელი პარტიის „ერთგულმა შვილმა“, ამჯერად სამუშაოდან დაბრუნებისას გზაზე გაქცეულს ას ნაბიჯზე მოახვედრა ტყვია და გაანთხევიანა სული. ისევ სურათი გაზეთში, ბრძანება, ჯილდო, წარმატება. Ну и везет дурню; Хотя бы на человека был похож, аж нет – як пес смердящий (თარგმ.:



როგორ უმართლებს სულელებს; ადამიანს მაინც ჰგავდეს - ეს აქოთებული ძალდი) — ამბობდნენ მისივე ამხანაგები დაცვიდან.

კიდევ ორი მკვლელობა ბანაკიდან გაპარვის ცდისათვის.

გუბანოვი დაცვის შტაბის პარტორგანიზაციის მდივნად აირჩიეს, რიგგარეშე ზემდეგის წოდება მიანიჭეს და ორდენზე წარადგინეს. ბევრი უკვე ეჭვის თვალით უყურებდა ასეთ სასწაულებრივ ამბავს. ატყდა მითქმა-მოთქმა. პატიმრებს გუბანოვის ხსენებაზე ტანში აჟრჟოლებდათ. ოღონდ იმ ბრიგადაში არ მოხვედრილიყვნენ, სადაც გუბანოვი ეგულებოდათ მცველად და თუნდა საჯარიმოს კოლონაზე გაეგზავნათ.

იმასაც ამბობდნენ, ბანაკის ხელმძღვანელობა წინასწარ უთანხმდება გუბანოვს და მისი ხელით არასასურველ ელემენტებს ასალმებს წუთისოფელსო.

ეს, რასაკვირველია, ასე არ იყო; იყო სხვა რამ არანაკლებ დაუჯერებელი და საზარელი.

გუბანოვის მეოთხე გმირობის ამბავი დაწვრილებით გადმოცა ამ ამბის მოწმემ, იმავე ბრიგადის ერთ-ერთმა წევრმა: ბრიგადა მიწის სამუშაოებზე გაიყვანეს. როგორც ყოველთვის, გუბანოვმა პირობითი საზღვრები მოხაზა. არსებული წესის თანახმად, მცველს საგუშაგოზე ცეცხლი დაუნთო ერთ-ერთმა პატიმარმა. ნაშუადღევს გუბანოვმა [71] თითოთ ანიშნა ერთ-ერთ ხანშიშესულ პატიმარს და უბრძანა, ფიჩხი და ნაძვის გამხმარი ტოტები მოეგროვებინა. რადგან პატიმარმა ახლო-მახლო ვერაფერი ვერ მონახა, ხელით ანიშნა გუბანოვს პირობითი ხაზის იქით გადამიშვიო. გუბანოვმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მის შემდეგ არ გასულა ხუთიოდე წუთი და გაისმა თოფის სროლის ხმა. ზონის ახლოს, ოცდაათ ნაბიჯის მანძილზე, პირქვე ეგდო ფიჩხზე გაგზავნილი პატიმარი. ტყვიას ზურგიდან გულში გაევილო ... პატიმარი აღმოჩნდა „მავნებელთა“ ჯგუფიდან, რომელსაც თხუთმეტი წელი ჰქონდა მისჯილი; დასაშვებია, რომ მას ბანაკიდან გაპარვა ეცადა, მაგრამ გაქცევისათვის არ იყო მომზადებული, არც სურსათი ჰქონდა მომარაგებული, არც ტანისამოსი. გარდა ამისა, ქრონიკული ტუბერკულოზით იყო დაავადებული და ძნელი წარმოსადგენია გაქცევა განებრახა. რომ აქ ყველაფერი რიგზე არ იყო, იქიდანაც სჩანდა, რომ



ოთხიდან სამ შემთხვევაში ბანაკიდან გაქცევის აღკვეცა და პატიმრების მოკვლა თითქმის ერთსა და იმავე პირობებში მოხდა და საოცრად დაემთხვა დეტალებში.

ბანაკის ხელმძღვანელობა ყოველივე ამას „არ ხედავდა“, პირიქით, აზვიადებდა და ხაზს უსვამდა გუბანოვის ღვაწლს. ეს მისთვის ხელსაყრელი იყო. გუბანოვს თითოეული საიქიოს გასტუმრებულისათვის ოცდახუთ მანეთს აძლევდნენ ჯილდოდ. თუ არ მივიღებთ მხედველობაში სხვა სახის წახალისებას და დაწინაურებას. ალბათ დიდხანს ითარეშებდა კიდევ ეს გარეწარი „რევოლუციური სიფხიზლის“ სადარაჯოზე და ვინ იცის, კიდევ რამდენ კაცს გამოასალმებდა წუთისოფელს, მეხუთე შემთხვევის დროს რომ არ ჩავარდნოდა კოვზი ნაცარში. „ღვაწლმოსილი“, ყოველ მხრივ დაწინაურებული გუბანოვი გაიბღინდა, არამცთუ პატიმრებს, დაცვის რიგით მუშაკებსაც კი ხალხად აღარ თვლიდა, საერთო კრებებზე სიფხიზლის ქადაგების და პარტიისადმი თავისი ერთგულების [72] შესახებ უთავბოლო ყაყანით ყველას თავი მოაბეზრა.

როცა შეატყო, რომ მის ღვაწლს დრომ ჩრდილი გადააფარა და მისი სახელი მივიწყებას მიეცა, კიდევ ერთხელ სცადა მიეპყრო ყურადღება. და აი ტორფის დამზადებაზე კვლავ გავარდა თოფი. „გაქცეულმა“ სული განუტევა პირობითი ზონიდან ორმოცი ნაბიჯის დაშორებით. მეორე დღეს ხმა გავარდა, რომ გუბანოვს იარაღი აჭყარეს და ციხეში უკრეს თავი⁶⁹. ათი დღის შემდეგ ბანაკის მთავარი სამმართველოდან მოვლინებულმა სამხედრო ტრიბუნალის გამსვლელმა სესიამ საჯაროდ განიხილა გუბანოვის საქმე და წინასწარი განზრახვით და ანგარებით ჩადენილი მკვლელობის გამო, დაცვის შტაბის პარტორგანიზაციის ყოფილ მდივანს, ყოფილს ზემდეგს, გუბანოვს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.

თურმე უკანასკნელი მსხვერპლი 45 წლის ელექტროტექნიკოსი ვოლოგდიდან ხუთ დღეში ამთავრებდა პატიმრობის ვადას და უკვე ხელთ ჰქონდა უწყისი მთავარ სამმართველოში გამოცხადებულიყო პასპორტის მისაღებად. ეს გუბანოვმა რა თქმა უნდა, არ იცოდა. იმ საცოდავის ბანაკიდან გაპარვაზე ზედმეტი იყო ლაპარაკი.

⁶⁹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „წინასწარ მოუწყვიათ პარტორგანიზაციის კრება და „ერთგული შვილი“ პარტიიდან გაურიცხავთ“.



გუბანოვი მეოთხე დღესვე დახვრიტეს. ასე დაასრულა თავისი მოღვაწეობა სოციალისტურ მონაპოვართა „ერთგულმა გუშაგმა“. „გუბანოვები“ ბევრნი იყვნენ, ძალიან ბევრნი.⁷⁰ ხელფეხშებორკილი

⁷⁰ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „განსაკუთრებით აქ, ამ ადამიანთა სანაგვეში, სადაც ამ“.
⁷¹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „თავი მოეყარათ ლოთებს, სადისტებს, მექრთამეებს, ყოველი ჯურის ნაძირალებს“.

ადამიანების (იყვნენ თუ არ იყვნენ ისინი დამნაშავენი კანონის წინაშე) ზედამხედველებად და მათი არსებობისა და სიცოცხლის გამგებლებად⁷¹. [73] აქ არ მოქმედებდა ნორმალურ საზოგადოებაში მიღებული პირობითობა — გარეგანი თავდაჭერილობა, ცხოველურ ინსტი-

ქტებზე დადებული აღვირი. აქ ყველაფერი იყო გაშიშვლებული და შეუნიღბავი, როგორც ნადირთა და ველურთა სამყაროში.

ნიღაბს მხოლოდ პოლიტიკური ლოიალობის დასამტკიცებლად თუ იყენებდნენ.



IV

საბჭოთა არმიის გენერალი და თეთრგვარდიელ გენერლის შვილიშვილი



ბრიგადის გენერალი იოვან ბებრისი.

წყარო: https://commons.wikimedia.org/wiki/File:%D0%9A%D0%BE%D0%BC%D0%B1%D1%80%D0%B8%D0%B3_%D0%91%D0%B5%D0%B1%D1%80%D0%B8%D1%81_%D0%98%D0%BE%D0%B3%D0%B0%D0%BD%D0%BD_%D0%93%D1%83%D1%81%D1%82%D0%B0%D0%B2%D0%BE%D0%B2%D0%B8%D1%87_1898_-1944_%D1%8D%D1%81%D1%82%D0%BE%D0%B-%D0%B5%D1%86.jpg

გაჭირვება ჩემზე მეტი ჰქონდა გამოვლილი, ლუბიანკის უღმობელი რეჟიმი: ცემა-ტყეპა, სასიკვდილო კამერა, საგანგებო დანიშნულების საპყრობილე და ახლა ბანაკი.

ვმეგობრობდით. ორთავე პატარა ერის შვილები ვიყავით. მან ბევრი რამ იცოდა ისეთი, რაზედაც მე წარმოდგენა არ მქონდა. მეც

[74] დივიზიის ყოფილი უფროსი იოვან ბებრისი⁷² დაპატიმრებამდე წითელი არმიის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის ადიუნქტი, წარმოშობით ესტონელი იყო. ბებრისს პატიმრობაშიც არ დაუკარგავს სამხედრო ჩვევები: მიხვრა-მოხვრა, ლაკონიური სიტყვა-პასუხი, შნო და ლაზათი. ის დააპატიმრეს 1937 წლის ივლისში მარშალ ტუხაჩევსკის⁷³ საქმესთან დაკავშირებით. მას რომ არავითარი ბრალი არ მიუძღოდა ხელისუფლებისა და ხალხის წინაშე, ეს დადასტურდა ორმოცდაათიან წლებში, როდესაც ბებრისი უკვე აღარ იყო ცოცხალი.

⁷² იოვან ბებრისი (1898-1944)- ესტონელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. პირველი მსოფლიო და რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე. 1934 წლიდან თურქესტანის სამთო-მსროლელი დივიზიის მეთაური. 1938 წელს გაათავისუფლეს თანამდებობიდან, 1938 წლის 5 აგვისტოს კი დააპატიმრეს და 8-წლიანი კატორღული სამუშაო მიუსაჯეს. გარდაიცვალა 1944 წლის 18 აპრილს.
⁷³ მიხეილ ტუხაჩევსკი (1893-1937) – საბჭოთა სამხედრო მოღვაწე. წითელი არმიის მხედართმთავარი სამოქალაქო ომის დროს და 1935 წლიდან საბჭოთა კავშირის მარშალი. 1937 წელს ტროცკისტული ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს და იმავე წლის 12 ივნისს სიკვდილით დასაჯეს.



ჩემს სამშობლოზე ვუამბობდი. იმჟამად მე უკვე „პრივილეგიურ“ მდგომარეობაში გახლდით. ვცხოვრობდი მშენებლობის შტაბის მუშაკთა კალონაზე. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრად და ისიც „კონტრრევოლუციონერად“ ვირიცხებოდი, მშენებლობის სამმართველოში საგეგმო-საწარმო განყოფილებას განვაგებდი.

აი, როგორ მოხდა ასეთი „მეტამორფოზა“ ჩემს ცხოვრებაში: 1939 წლის მიწურულში რკინიგზის ტრასაზე მიწას ვეზიდებოდი. ჩვენი ბრიგადა კარგა ხანია, რაც დაჰყავდათ ხიდის მშენებლობაზე. უფროს სამუშაოთა მწარმოებლად გვყავდა ვინმე. პ. იანკოვჩუკი, ინჟინერი, მეტად წესიერი და პატიოსანი ადამიანი; დასვენების წუთებში ჩამოუარა ჩვენს ბრიგადას, გაჩერდა ჩემს წინ:

– თქვენი გვარი?

– გორგაძე!

– ქართველი ხართ?

[75] – დიახ!

– უმაღლესი ცოდნით?

– დიახ!

– მერე რატომ ხართ საერთო სამუშაოზე?

მე გამოცა ამ შეკითხვამ, ეტყობოდა ბანაკში ახალი კაცი იყო. თურმე სამინისტრომ ორი კვირის წინ მოავლინა ჩვენთან სამუშაოთ.

– განა ჩემზეა დამოკიდებული?

– თქვენი სპეციალობა?

– მგეგმავი-ეკონომისტი.

– შეძლებთ საპროექტოში მუშაობას?

– გააჩნია რა სამუშაოზე. თუ პროექტის ეკონომიურ დასაბუთებაზე, შემძლია, წმინდა ტექნიკურ საკითხებში ვერ გამოგადგვით.

– ხვალ ვახტაზე ჩემი სახელით გააფრთხილეთ მორიგე, ამ სამუშაოზე აღარ წამოგიყვანონ.

ათ საათზე მე მოვალ და წაგიყვანთ დამპროექტებლებთან.

ამ მოკლე და ლაკონურმა საუბარმა ძირფესვიანად შეცვალა ჩემი ბედი.

⁷⁴ სამშენებლო სამმართველო (ავტორის შენიშვნა).

საპროექტო ჯგუფში, რომელიც შტაბის⁷⁴ მეზობლად მდებარე ცალკე ნათელ მენობაში იყო მოთავსებული, თხუთმეტი პატიმარი



მუშაობდა, მათ შორის აკადემიკოსები, პროფესორები და გამოცდილი ინჟინრები. ხელმძღვანელად ჰყავდათ რკინისგზის ხიდების ცნობილი მშენებელი აკადემიკოსი ა. კნაბე.

იანკოვჩუკმა, რომელიც საპროექტო ჯგუფის ზედამხედველად იყო გამოყოფილი მთავარ სამმართველოდან, კნაბეს ჩააბარა ჩემი თავი და დაავალა სამუშაოზე გამოვეყენებინე.

მგეგმარებმა კარგად მიმიღეს.

პირველ დღესვე მომცეს სამუშაო: ტექნიკური ნახაზების მიხედვით უნდა გამომეთვალა რკინისგზის ტრასის გასწვრივ წყალგამტარ არხების მიწის სამუშაოთა მოცულობა პიკეტების მიხედვით.

ამ სამუშაოსათვის გამომიყვეს ოთხი დღე. კნაბემ არითმომეტრი გადმომცა. მე ვკითხე გაანგარიშების სიზუსტისა და გადახრის დასაშვებ პროცენტის შესახებ.

[76]—ხუთი პროცენტი, —მიპასუხა აკადემიკოსმა კნაბემ და ღიმილით დაუმატა: არც ათია დიდი კატასტროფა!

— მაშინ გთხოვთ ლოგარითმული სახაზავი გამოყოთ ჩემთვის!

— როგორ, განა თქვენ ხმარობთ?

— მე ხომ ეკონომისტი ვარ!

სამუშაო მეორე დღეს, ორი საათისათვის, დავასრულე. ნახაზებიდან პარამეტრების მიხედვით, უბრალო ფორმულით მიწის სამუშაოთა მოცულობის გამოთვლა არც ისე ძნელი საქმე იყო. ჩემმა ახალმა მეგობრებმა ეჭვის თვალით შემომხედეს, როცა მე კნაბეს დასრულებული სამუშაო გადავეცი, ეტყობოდათ, არ სჯეროდათ. შემდეგ შევიტყვე, რომ კნაბეს დაუვალეზია ზოგიერთი პიკეტის ხელმეორედ გამოთვლა და ჩემს მიერ მიღებული მონაცემების შემოწმება. მეორე დღეს მომილოცეს, თურმე გადახრა სამ პროცენტს არ აღემატებოდა.

ასე დავიწყე მუშაობა საპროექტო ჯგუფში. ბედმა გამიღიმა. მოვხვდი დიდად განათლებული და გამოცდილ ადამიანთა წრეში, ნათელ და სუფთა სამუშაო ოთახებში და, რაც მთავარია, სიბოროტე, გაიძვერობა, გარეწართა ჟარგონი, სიბინძურე კარს უკან დარჩა, თითქოს თავისუფლებისაკენ ერთი ნაბიჯი გადავდგი.

ამ ჯგუფში თითქმის ერთ წელს დავყავი. დავუახლოვდი გამოჩენილ მეცნიერებს. ბევრი, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე მათგან. შეუმჩნევლად



⁷⁵ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „აკადემიკოსების: კ-ბეს და მარ-ნის, პროფესორების: კაზ-ოვის, პ-ვის ჩვეულებრივი ბაასი ტექნიკურ საკითხებზე, ჩემთვის მეტს ნიშნავდა, ვიდრე სტუდენტებისათვის ლექციები ინსტიტუტში“.
⁷⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ვ. ე. შირ-ტი“.

ჩემში გაიღვიძა დიდმა ინტერესმა ტექნიკურ საკითხებისადმი.⁷⁵ ორი ან სამი წელი რომ დამეყო ამ ხალხთან, ალბათ, მეორე პროფესიას დავუფლებოდი, მაგრამ არ დამაცალეს. 1941 წლის თებერვალში მთავარი სამმართველოდან ჩამოვიდა სააღმშენებლო გამასწორებელ ბანაკის საწარმო-საგეგმო სამმართველოს უფროსი⁷⁶, მას შეეცყო, რომ ჩვენს სამმართველოში ეკონომისტს [77] ამუშავებდნენ საპროექტო სამუშაოებზე. გამომიძახა, გამომკითხა სად და რა თანამდებობაზე ვმუშაობდი პატიმრობამდე, რა მედებოდა ბრალად, ვინ იყვნენ ჩემი მშობლები, ერთი სიტყვით, შეავსო გეპირი ანკეტა. გამომემშვიდობა და წავიდა.

არ გასულა ათიოდე დღე და მოვიდა ბანაკის უფროსის ბრძანება: „პატიმარ დ. გორგაძის დანიშვნის შესახებ მეხუთე (ე. ი) ჩვენი სამშენებლო სამმართველოს საწარმო-საგეგმო განყოფილების უფროსის მოადგილედ.

⁷⁷ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ივანეს ძე“.

ამრიგად, მე დავუბრუნდი ჩემს პროფესიას და თუმცა ახალშეძენილ მეგობრებს საპროექტო ჯგუფიდან ტერიტორიულად არ დავშორებივარ, მაინც სხვა შენობაში და ახალ ხალხთან მომიხდა მუშაობა. ჩემ უშუალო უფროსად იმჟამად იყო ვინმე პეტრე⁷⁷ პრიმაკი, ტომით უკრაინელი საკმაოდ გამოცდილი ეკონომისტი. ერთი რამ სჭირდა მას ცუდი: დღედაღამ მთვრალი იყო. სწორედ ლოთობისათვის დაექვევითებინათ და მოსკოვის ახლომდებარე დიდ მშენებლობიდან გადმოეგზავნათ აქ, შორეულ ჩრდილოეთში.

პრიმაკი ურიგო კაცი არ იყო. ბუნებით თავმდაბალი და კეთილი, მაგრამ სიმთვრალეში ადამიანი სახეს კარგავდა და ხშირად გაღეშილი უნახავთ უადგილო ადგილას მწოლიარე.

რა თქმა უნდა, მთელი სამუშაო მე დამაწვა, ამოსუნთქვის დრო არ მექონდა. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ამან გადამატანინა ჩრდილოეთის ჭირ-ვარამი. ფიქრის დრო არა მრჩებოდა.

ღამღამობით სპეციალური ნებართვით შტაბში ვრჩებოდი, გუშავი მახლდა. სელექტორით ვუკავშირდებოდი სამშენებლო ტრასის ყო-



ველ უბანს, მორიგე სამუშაოთა მწარმოებლებს, მექანიკოსებს, ეკონომისტებს და დისპეტჩერებს. დილისთვის სრული წარმოდგენა მქონდა წინა დღით შესრულებულ სამუშაოების მოცულობაზე, რაც ოფიციალურად გადმოცემულ ციფრობრივ მონაცემებთან ერთად იძლეოდა წარმოდგენას მშენებლობის მსვლელობის შესახებ.

[78] ასეთი დატვირთვის შედეგად ერთ თვეში შევედი საქმის კურსში.

უკვე რვა თვემ განვლო მას შემდეგ, რაც მე საპროექტო ჯგუფი მივატოვე და მშენებლობის შტაბში დავიწყე მუშაობა.

მშენებლობის უფროსი სასწრაფოდ გამოიძახეს მოსკოვში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში. ხუთი დღის ნაცვლად მან მოსკოვში ორი კვირა დაჰყო. ჩამოსვლისთანავე გამოუძახა ჩემს უფროსს — პრიმაკს. პრიმაკს იმ დღით ზედმეტი მოსვლოდა არაყი. ძლივს იდგა ფეხზე. როგორც მიაჩნებოდა, მშენებლობის უფროსმა სასტიკად გააკიცხა ის, დაპატიმრებაც კი განიზრახა. გამომიძახეს მე. მშენებლობის უფროსმა მომთხოვა ინფორმაცია მშენებლობის მსვლელობის შესახებ ცალკეულ პიკეტების მიხედვით.

ოციოდე წუთში გაეცნო ყველა მონაცემს და გამოუძახა მდივანს.

— ირინა პავლოვნა, დაწერეთ ბრძანება პატიმარ გორგაძის საწარმო-საგეგმო განყოფილებაში უფროსად დანიშვნის და პრიმაკის მის მოადგილედ გადაყვანის შესახებ!

ჩემი უარი უფროსმა არ მიიღო, შემომბღვირა კიდევ.

— თქვენ ვინ მოგცათ უფლება უარის თქმის?! არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ პატიმარი ხართ, რომ დღეს ომია და თქვენ მობილიზებული ხართ! თუ საჭიროდ მივიჩნევთ, ფრონტზედაც გაგაგზავნით.

— მე ხომ პოლიტიკური მუხლი მაქვს!

— მშვენივრად ვიცი, მაგას მნიშვნელობა არ აქვს. წადით და შეუდევით მუშაობას!

თანამდებობის შეცვლამ ჩემსა და პრიმაკს შორის სრულიად არ გააუარესა განწყობილება, პირიქით, მან ერთგვარი თავისუფლება იგრძნო და არყის სმას უმატა, ხელმძღვანელობა აღარ აწუხებდა. აი, სწორედ ამ პერიოდში დავეახლოვდი იოგან ბებრისს. ისიც შტაბში მუშაობდა მედ. სტატისტიკოსის თანამდებობაზე. მისი ფართო სამხედრო გამოცდილება მშენებლობაზე ვერ გამოიყენეს და მცირე სამუშაო მიანდევს.



როგორც შედარებით პასუხსაგები თანამედრობის პირს, მე ორსაწოლიანი ოთახი გამომიყვებს და ბებრისი შემომისახლეს. ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა. რამდენი დამე გავგიტენებია ორივეს საინტერესო საუბარში. ერთხელ სამუშაოდან დაბრუნებისას [79] ბებრისმა მოიტანა ახალი ამბავი:

78 პეტრე კრასნოვი

(1869 - 1947) - რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი, დონის კაზაკთა მეთაური, პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი. 1919 წლიდან იმყოფებოდა გადასახლებაში. 1943-1945 წლებში გერმანიის არმიის რიგებში იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 1945 წელს ტყვედ ჩაუვარდა ინგლისელებს, რომლებმაც ის სსრკ-ს გადასცეს. დახვრიტეს 1947 წლის 16 იანვარს.

79 ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „თუ ნატჭერი პური და ცხელი უშაქრო წყალი ვახშმად ჩაითვლება“.

— დავით სერგეიჩ! იცით, ვინ მოუყვანიათ საპროექტო ჯგუფში? გენერალ კრასნოვის⁷⁸ შვილიშვილი, თეთრგვარდიელი გენერლის! განსაცვიფრებელი სილამაზის ქალია თურმე, ასე ამბობენ. უთუოდ უნდა ვნახოთ.

— რას ერჩოდნენ?

— რას გაიგებს! ერთი კი ცხადია, პოლიტიკური არ უნდა იყოს! უკვე ოთხი წელია თურმე, რაც ბანაკშია.

ასე თუ ისე ჩვენ დავინტერესდით და გადავწყვიტეთ მეორე დღეს ვწვეოდით საპროექტო ჯგუფს.

იმავე საღამოს, ნავახშმევს⁷⁹, ბანაკის აბანოში გადავწყვიტეთ წასვლა. აბანოს კუთხესთან სიბნელეში ორი სილუეტი შევამჩნიე.

მივუახლოვდი, მომესმა უცნობი ქალის (საშტაბო კოლონაზე პატიმარი ქალები ცოტანი იყვნენ) და ერთი თავზეხელაღებულ ქურდბაცაცას, მეტსახელად „დალიანის“ (Меченый) ხარხარი.

საშტაბო კოლონას ასეთებიც ესაჭიროებოდა. მათ ადვილად აძლევდნენ თავისუფლად სიარულის უფლებას (ენდობოდნენ) და იყენებდნენ სხვადასხვა სამუშაოზე ზონის გარეთ: სანოვავის ტრანსპორტირებაზე, შემის დამზადება-გამოზიდვაზე, შიკრიკად და სხვა ...

ამ ნაძირალას „დალიანი“ შეარქვეს ყბაზე დიდი ნატრილობების გამო.

— ანკა! — მომესმა „დალიანის“ ხმა, — ესეც „კონტრიკია“. ქართველი, მაგრამ „სვოია“, ვასკა მიროშნიჩენკოს ძმაკაცია!

— ვინა, ეს ფრაერი? — უპასუხა ანკამ ხრინწმორეული ხმით — ძალიან



დახურდავებულა ვასკა! — გადააფურთხა და ლაზათიანად შემიკურთხა, — ერთი მაგისი ...

მივიხედე, სიბნელეში მხოლოდ ის შევამჩნიე, რომ ქალი ტანადი იყო. ღია ფერის სვიტრი და ვიწრო ჩექმები ეცვა.

არ შევიმჩნიე, რომ მათ საუბარი გავიგონე. აბანო დაკეტილი დამხვდა, გამოვბრუნდი. ჩემ წინ მიაბიჯებდნენ ჩექმებიანი ქალიშვილი და „დალიანი“. გახრწნილობის იერი ჰქონდა ქალის სიარულს. თეძოების ვნებიან რხევაში და ხელების ქნევაში მოსჩანდა ბიწიერება, [80] აღვირახსნილობა.⁸⁰

მეორე დღეს, დილით შტაბში წასვლამდე, მე და ბებრისმა საპროექტო ჯგუფში შევიარეთ.⁸¹ შემოგვეხვივნენ. დაგვიწყეს გამოკითხვა. ბებრისმა პირდაპირ მიმართა ინჟინრებს:

— მართალია, რომ თქვენთან გენერალ კრასნოვის შვილიშვილი მოუყვანიათ სამუშაოდ?

კნაბეს გაცეინა — აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული! მართალია, მართალი, იოგან გუსტავოვიჩ! ეხლავ დარწმუნდებით! ანა მიხაილოვნა — დაუძახა მან

შორიახლოს სახაზავ დაფასთან მდგომ ქალიშვილს, გთხოვთ ერთი წუთით. ქალიშვილმა თავი ასწია, შემოგვხედა და აუჩქარებლად გამოსწია ჩვენკენ.

მე სახტად დავრჩი, ჩემს წინ იყო წუხანდელი ჩექმებიანი „ანკა“, იგივე ტანი, სვიტრი, შეკრეჭილი, ოქროსფერი თმა, ვიწრო წითელი ჩექმები, მაგრამ რა განსხვავება ამავე დროს მიხვრა-მოხვრაში, სიარულში, გამოხედვაში. ეს იყო სანდომიანი, კრძალვით აღსავსე ქალწული, ნატიფი და ზრდილი. რაღაც მედიდურობის იერი მოსჩანდა მის ყოველ მოძრაობაში.

— ანა მიხაილოვნა! ამათ თქვენი გაცნობა სურთ: წითელი არმიის გენერალი, დივიზიის უფროსი იოგან ბებრისი და ჩვენი ქართველი

⁸⁰ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ასეთი რამ ქუჩაში მოხეტიალე ბოშა ქალებში შემომჩნევია მხოლოდ. მოაბიჯებდნენ და მოიმღეროდნენ რომელიღაც სიმღერას დედაზე, კარგად მღეროდნენ, შეწყობილად. გავიფიქრე, როგორც ჩანს, ახალი ხალხი მოუყვანიათ, მეთქი ბანაკში“.

⁸¹ ავტორის მიერ შემდეგი ტექსტია წაშლილი: „აკადემიკოსმა კნ-ბემ გააკვირვა ჩვენი მისვლა, რას მივაწეროთ თქვენი მოსვლა! ამხანაგებო! — მიუბრუნდა ოთახში მყოფთ, — შეხედეთ, ვინ გვეწვია: ბებრისი და დავით სერგეიჩი! მერე მე მომიბრუნდა, რაც შტაბში გადაგიყვანეს, მაინცდა მაინც არა გვეწყალობთ, რა დაგვიპოვებ?“



(наш Грузин), ერთადერთი ქართველი შტაბში, თუ არ ვცდები.

უნდა გენახათ, როგორ თავდაჭერილად და თავაზიანად დაგვიკრა თავი ანა მიხაილოვნამ. ერთხანს დავეჭვდი კიდევ, ვიფიქრე, ალბათ სიბნელეში ვერ გავარჩიე და წუხანდელი „ანკა“ ვილაცა სხვაა, ბანაკში ნათრევი-მეთქი. [81] იოგანმა წუხანდელი ამბავი არ იცოდა. მე ვერ მოვასწარი მეთქვა, ამიტომ გასაგები იყო ის ინტერესი და სიმპატია, რომელიც მან გამოიჩინა ამ ქალის მიმართ გაცნობის პირველი წუთებიდანვე.

— თქვენ ნამდვილად კრასნოვის შვილიშვილი ხართ?

ანა მიხაილოვნამ ოდნავ გაიღიმა და ლურჯი თვალები შემოგვანათა:

— დიახ, ნამდვილად!

ამ მედიდური ხმის პატრონს არ შეიძლებოდა საერთო ჰქონოდა რამე წუხანდელ „ანკასთან“, მის მახორკისა და არყისაგან ჩახლეჩილ ხმასთან. როგორც ეტყობა, შევცდი და შეცდომაში შემიყვანა ტანსაცმელმა.

საუბარში გამოირკვა, რომ ანა მიხაილოვნა ცხრა წლამდე თავისი მამის, გენერალ კრასნოვის ვაჟის, თეთრგვარდიელი როტმისტრის ოჯახში იზრდებოდა; რომ პატარაობა პარიზში გაატარა მშობლებთან ერთად ემიგრაციაში, რომ მამის სიკვდილის შემდეგ, 1925 წელს, დედამ მოახერხა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ლენინგრადში დაბრუნებისას ფილტვების ანთებისგან გარდაიცვალა. ამით ანა მიხაილოვნამ დაასრულა თავისი თავგადასავლის მოყოლა. შემდეგ წლებზე გაკვრით გვამცნო, რომ ნათესავები მას მოერიდნენ; რომ იძულებული იყო თოთხმეტი წლიდან საკუთარ შრომით ეარსება; შეისწავლა ხაზვა და ამით შოულობდა ლუკმა-პურს. ბოლოს, დაუმატა, რომ მას, როგორც მეფის რუსეთის გენერლის შვილიშვილს, სდევნიდნენ და ავიწროვებდნენ; რომ მას უსაფუძვლოდ დააბრალეს მავნებელ ინჟინერთა ჯგუფში მონაწილეობა და ციხეში უკრეს თავი.

ეს ყველაფერი სიმართლეს ჰგავდა, მაგრამ ... საქმეც იმაშია, რომ მხოლოდ ჰგავდა ...

ძირითადად ბიოგრაფია სწორი იყო: ოდესღაც წარჩინებული წრის მშობლები, ბავშვობაში ფარეში, ფუფუნება, გუვერნანტკები. ოჯახის ემიგრირება, ფრანგული ენის ცოდნა, პარიზული პრონონსი, დედის



სიკვდილი, მარტოობა ლენინგრადში, ნათესავების განდგომა, მაგრამ კრასნოვას ცხოვრების [82] შემდეგი პერიოდი, ათი წლის ასაკიდან დღემდე, სხვა ხვეულებში და ბილიკებში გაიხლართა და ამის შესახებ ანა მიხაილოვნას არაფერი უთქვამს.

ანა მიხაილოვნა ჩინებული მსახიობი იყო ბუნებით, უეჭველია დიდი ნიჭით დაჯილდოებული. მისი სანდომიანი სახე ფარავდა გულქვა და ბოროტ ალქაჯს⁸². მაგრამ ეს ჩვენ გვიან შევიტყვეთ, რამდენიმე თვის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში იოვან ბებრისი დაუმეგობრდა კრასნოვას და დიდ მფარველობას უწევდა მას.

⁸² ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მისი სახის თლილ ნაკვთებს, მშვენიერ ოქროს თმებს, თითქოს ჩამოძვრწილ აღნაგობას, მთელ სხეულს არც ერთი ნათელი წერტილი აღარ გააჩნდა“.

რამდენადაც მე ვიცნობდი იოვანს, მას ამოძრავებდა არა მამაკაცის, არამედ მამობრივი გრძნობა. კრასნოვა წლოვანებით მას შვილად შეეფერებოდა. ამ სულგრძელ და ბუნებით მდიდარ ადამიანს სისხლში და ხორცში ჰქონდა გამჭდარი სხვაზე ზრუნვის დაუცხრომელი სურვილი.

მე არ ავყევი ბებრისის „ქველმოქმედებას“, არც მეცალა და ალბათ სადღაც მესხიერებაში ჩამრჩა „ანკას“ ხრინწიანი ხმა და თეძოების უსირცხვილო რხევა იქ, აბანოსთან.

რამდენჯერ წაუღია საწყალ იოვანს კრასნოვასათვის ბიბლიო-თეკიდან წიგნები, სადალაქოდან ოდეკოლონი, სტაციონარიდან ცხიმეული, გადაცვლილი დაზოგილ პურზე. ერთი სიტყვით, ოჯახს მოცილებულმა ბებრისმა მთელი თავისი მამობრივი ზრუნვა გადაიტანა ამ უღირს ადამიანზე. კრასნოვა ამით ფართოდ სარგებლობდა და ისე ეჭირა თავი, თითქოს სხვას არც მოელოდა. ერთხელ რომელიღაც ქურდბაცაცას ქცევაში კრასნოვას მიმართ იოვან ბებრისმა უდიერობა დაინახა და ორი ისეთი სილა გააწნა ბრიყვს, რომ საბოლოოდ დაუკარგა უწესო ქცევის მადა.

რა იცოდა საწყალმა ამ შემთხვევის გამო ანა მიხაილოვნას და მის ნამდვილ მეგობრებს, მათ შორის „დალიანს“, სიცილ-ხარხარი აუტეხიათ. Ну и чудак твой генерал (თარგმ.: რა უცნაური ვინმეა ეს შენი გენერალი) — ეუბნებოდნენ „ანკას „ძმაკაცები“. ანა მიხაილოვნას [83] პასუხიც, რა საეჭვოა, შესაფერი იქნებოდა, რაიმე ასეთი: СЛИЗНЯК!!! (თარგმ.: ლოქორა)



⁸³ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „რა იცოდა ბებრისმა, რომ, ანკა კრასნოვას გავებით, სიტყვა რაინდი სულ სხვას ნიშნავდა. ეს უნდა ყოფილიყო მოძალადე და მტაცებელი, მის წინაშე ქალი უნდა თრთოდეს, ყოველ წუთს უნდა მოელოდეს დანის მუხანათურ დარტყმას, მაშინ აქვს აზრი სიცოცხლეს, თუ მუდმივად ბეწვზე ჰკიდია, მწვავესა და ხიფათით სავსეს. ჩვენ კი, ჩვენ, უმარაილო „სლოზნიაკები“ ვიყავით და ამ შარავის რაინდებთან, აბა, როგორ მოვიდოდით. ბებრისის და ა. კრასნოვას „მეგობრობა“ ყბად აიღო მთელმა ბანაკმა. ბებრისმა ამ მეგობრობაში ჩააქსოვა დაუხარჯავი მარაგი ოჯახისადმი სიყვარულისა, კრასნოვამ – ანგარება და ცბიერება. ამან ერთხელ კიდევ მიიყვანა ეს დიდსულოვანი კაცური კაცი უფსკრულთან და კინალამ არ იმსხვერპლა საშინელი ბრალდებით დაღდასმული. ანა კრასნოვას ბანაკში მოსვლიდან სულ სამი თუ ოთხი თვე გავიდა“.

⁸⁴ გაზეთის ქალაქში გახვეული მახორკა (ავტორის შენიშვნა).

„სამოკრუტკას“⁸⁴ ეწეოდა. დამინახეს თუ არა, აუტყდათ ხარხარი – შეუჩერებელი, ბილწი, ისტერიული. [84] რევოლვერი რომ მქონოდა, არ ვიცი რა მოხდებოდა. თავბრუ დამესხა, გულისრევა ამიტყდა, ამ დროს თვალგამღვრეულმა ანა მიხაილოვანამ ჩახლეჩილი ხმით მომაძახა: „Проваливай, чудаки, не до тебя. Вот тоже лезет“ (თარგმ.: მოშორდი აქედან, აბგზარო, შენი თავი არ მაქვს. სად ეტენები). ძლივს შევიკავე თავი. ათასეულებს ვმეთაურობდი, რა ჯურისა და იერის ხალხი არა

⁸⁵ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „სადღაც მართალი იყო ბებრისი. რა ვიცი, რა შედეგი მოჰყვებოდა ანკა თავიდან წესიერ გარემოცვაში რომ მოხვედრილიყო, მაგრამ არც მე და არც, მით უმეტეს, ბებრისს წარმოდგენაც არ გვქონდა სინამდვილეზე“.

ასეა თუ ისე, იოვან ბებრისი ა. კრასნოვას უანგარო რაინდი იყო⁸³.

ცეცხლსა და წყალში გამობრძმედილი, ფსკერამდე დასული ქალი კი თვალთმაქცობდა. ბებრისს ერთხელაც არ შეჰპარვია ეჭვი მის სისპეტაკეში. თუმცა, თუ ამჩნევდა კიდევ რასმეს ამგვარს, ეს, მისი აზრით, სოციალური უსამართლობის, ეპოქალური ქართვეილისა და აბნეული ცხოვრების შედეგი იყო.

ერთხელ ბებრისი შეშფოთებული მოვიდა. მთელი საღამო უმოძრაოდ იჯდა. მითხრა:

– დავით სერგეიჩ! საზარელ სურათს წავაწყდი. წიგნები წავუდე ანა მიხაილოვანს. უქეიფოდ მეგულებოდა. მარტო არ დამხვდა, მის ჯინში ორი არამზადა არაყს შეექცეოდა, წარმოგიდგენია, დავით სერგეიჩ, ანა მიხაილოვანაც მთვრალი იყო, გესმით, მთვრალი! საწოლზე იწვა გატიტვლებული და

მყოფი ხელქვეითი, მაგრამ ასეთი რამ არ შემხვედრია. ეხ, დავით სერგეიჩ, სადამდე მიიყვანა ეს უბედური ქალი ბედის ტრიალმა, რა არ განაცდევინა, არყის სმაც დაუწყია იმ საცოდავს და სიმთვრალეში რას არ ჩაიდენს ადამიანი?! – ობიექტური სარჩული ანკას დღევანდელ მდგომარეობას გამოუნახა ბებრისმა⁸⁵.



მე ამჟერადაც არ ვუამბე ბებრისს ანკასთან ჩემი პირველი შეხვედრის ამბავი. შემეცოდა. ეს კი ვუთხარი: კრასნოვას საქციელი ნუ გაგიკვირდებათ, ბანაკში ყველა იცვლის ზნეს-მეთქი.

— განა ჩვენ კი არ წავედით კომპრომისზე, ამ უსამართლობას რომ შევურიგდით და თავი არ შევაკალით ადამიანურ ღირსების დაცვას. კრასნოვაც აიძულა ალბათ გარემოცვამ, აჰყოლოდა აქაურ ჩვევებს. თუ ნაძირალებში გაერიე, თავის დაღწევა ძნელია შემდეგ⁸⁶. რა იცით, იოგან გუსტავოვიჩი, რა ამოძრავებდა დღეს ანა მიხაილოვნას, შეიძლება იმ არამზადებმა „ღალატი“ რომ შეამჩნიონ მას, [85] დანაც იხმარონ და სიცოცხლეს გამოასალმონ. ვგრძნობდი, რომ ჩემი სიტყვები მალამო-სავით მოეცხო ბებრისს. მას მინც სწამდა, რომ კრასნოვა ბუნებით ყოველივე სიკეთით იყო შემკული. როგორ გაუცრუვდა მას ეს რწმენა.

1942 წლის თებერვალში შტაბის მუშაკთა ბანაკში მოხდა მკვლელობა და სასურსათო საწყობის (Каптюрка) გაძარცვა. დამნაშავეთ ტრიბუნალში გადაცემა ელოდათ. დააკავეს ანკას ძმაკაცი „დალიანი“, რომლის ნამდვილი გვარი კაცმა არ იცოდა. ოთხი სხვადა-სხვა გვარით იყო ცნობილი. ამას მოჰყვა კიდევ ორი ნაძირალას დაპატიმრება. გამოძიება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. არ გასულა სამი დღე და საპყრობილეში მოათავსეს ანკა კრასნოვაც⁸⁷.

მაგრამ ძიების პროცესში ბევრი რამ გამოირკვა საშინელი, ენით აუწერელი. გამოირკვა, რომ ანკა კრასნოვას „მდიდარი“ წარსული ჰქონდა, რომ მას უმეტესად „ანკა მედოვაიას“ სახელით იცნობდნენ, რომ მის „ნამსახურობის სიაში“ რვა მკვლელობა ირიცხებოდა. თოთხმეტი წლისამ მან თურმე დეიდა მოკლა დანით, ძილის დროს. ჩვიდმეტი წლისამ საკუთარი ძუძუმწოვარა შვილი დაახრჩო სააბაზანოში.

გამოირკვა, რომ მთელი სხეული „მოქარგული“ ჰქონდა ათასგვარი უწმაწური წარწერით და ნახატიო. ბანდიტები მას იყენებდნენ, რუსები

⁸⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „აი, თუნდაც ჩემი „ძმაკაცი“ მიროშინიჩეკო, გახსოვთ რომ გიამბოვთ ამას წინათ? როცა მარტონი ვიყავით, მელაპარაკებოდა ჩვეულებრივი ენით, მაგრამ საკმარისი იყო გვერდში ამოგვედგომოდა რომელიმე ქურდბაცაცა, მიროშინიჩეკო იმ წამსვე გადადიოდა ჟარგონზე და უწმაწურ სიტყვა-პასუხზე, რითაც თავისი „კორპორაციის“ მიმართ ერთგულებას იჩენდა“.

⁸⁷ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ამან ბანაკში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. იოგან ბებრისი შეწუხდა, მოსვენებას ვერ პოულობდა. დარწმუნებული იყო, რომ კრასნოვას მიმართ კვლავ უსამართლობას ჰქონდა ადგილი“.



რომ იტყვიან как наживка (თარგმ.: როგორც სატყუარას). გამოძიებამ ისიც დაადგინა, რომ ბანაკში მოკლული საწყობის გამგე, მეკუჭნავე, ანკამ წინასწარ „დაამუშავა“ დიაცთა ნაცადი და უტყუარი იარაღით, — მოხიბლა, არყით გამოათრო და თავისი ძმადნაფიცის „დალიანის“ დახმარებით გამოასალმა წუთისოფელს.

ერთმა დეტალმა მიიპყრო კიდევ ყურადღება: მიუხედავად იმისა, რომ მოკლული ჯან-ღონით სავსე უკრაინელი მეკუჭნავე გაგებაში არ იყო, არყისგან ძლივს იდგა ფეხზე, თურმე „დალიანის“ [86] დანის პირველსავე დარტყმამ გამოაფხიბლა და ანკა რომ არ ყოფილიყო, ორთა ჭიდილი ვინ იცის, რით დამთავრდებოდა. ანკას უტაცნია ხელი ცულისთვის და უთხლემია თავში. ეს ყველაფერი მოხდა ღამის პირველ საათზე. საკუჭნაოში (Каптерка) ანკამ, „დალიანმა“ და კიდევ ორმა ბანდიტმა, რომლებიც მეჭინბეებათ მუშაობდნენ და დილდილობით პურს ეზიდებოდნენ საშტაბო კოლონაზე მარხილებით, თურმე გვამი იატაკის ქვეშ დამარხეს, ტომრები სანოვაგით გაავსეს და დილისთვის მომზადებულ მარხილებში გადაიტანეს. საქმე ადვილად გაიხსნა. მე დიდხანს დავყავი ბანაკში და სრული უფლება მაქვს განვაცხადო, რომ „ნაძირალების“ ვაჟკაცობა, მათი „სიმტკიცე“ და შარაგზისეული „რანდობა“ მოჭორილი ამბავია. ამათზე მხდალი, გაუტანელი და თავისიანების მიმართ მუხანათური ხალხი არ არსებობს ქვეყანაზე. ეგრედ წოდებული Воровская честь ე.ი ქურდთა სინდისი ზღაპარია.

ქურდი და მზაკვარი ძლიერია მხოლოდ ხროვაში; უღმობელი და გულცივია, როცა ზურგს უკან ეგულება თავისიანების ბრბო, როცა მსხვერპლი უძღურია და დაბნეული. ერთმანეთის დასმენა, გაცემა, პირის გატეხა, ეს მისი ბუნებაა და ეს კარგად იციან ხელისუფლებმა. „დალიანმა“ დაასახელა მეჭინბეები, იმათ კი თავის მხრივ ანკა კრასნოვა. ამაზე ამდენს არც შევაჩერებდი მკითხველის ყურადღებას, ერთი რამ რომ არ მოჰყოლოდა ყოველივე ამას, სახიფათო და საბედისწერო იოვან ბებრისსათვის და რა ვიცი, იქნებ ჩემთვისაც.

საგანგებო საქმეთა გამოძიებელი, რომელსაც მიანდვეს ეს საქმე, 1937-1938 წლების დროს ჩეკისტი იყო და იმდროინდელ ჩვევებს არ ივიწყებდა. მოჰკრა თუ არა ყური, რომ ანკა კრასნოვა დაახლოებული იყო დივიზიის ყოფილ უფროსთან, ამჟამად „ხალხის მტერთან“, იოვან ბებრისთან, დაებადა „ბრწყინვალე იდეა“ მიეცა ამ სისხლის სამართლის



ბანალური ქმედობისათვის პოლიტიკური სარჩული და ჟღერადობა. ამით მას კვლავ სურდა გაეკაფა გზა ლუბინკის [87] მოედნისაკენ, ჩეკისტების საოცნებო მექასაკენ, საიდანაც მრავალ სიბინძურის გამო გამოაძევეს და თუმც პარტიული ბილეთი არ ჩამოურთმევიათ, მაინც დააქვეითეს და ჩრდილოეთის სათავდაცვო მშენებლობაზე უკრეს თავი.

გამოძიება მკვლელობის ირგვლივ დამთავრდა, ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ გამომძიებელს წერტილი არ დაუსვამს. დაიწყო უამრავი დაკითხვები. ორჯერ ბებრისიც შეაწუხეს. საპროექტო ჯგუფიდან თითქმის ყველა დაიბარეს.

ერთხელ მეც მიმიწვიეს, ბებრისის და კრასნოვას გაცნობა-დაახლოების ამბავი გამომძიებელს. ერთი სიტყვით, მზადდებოდა სენსაციური, 1937 წლისეული ხმაურიანი პროცესი: ვითომდა ბანაკში მოკალათებული „ხალხის მტრები“ ნაძირალების მეშვეობით განაგრძობენ ანტისახელმწიფოებრივ დივერსიულ საქმიანობას. მაგრამ 1937 წელი ისტორიას ჩაბარდა. ომის წლებში იმდროინდელი ილეთების ხმარება საშიში იყო თვით სახელმწიფოსათვის. შეთითხნილი და ინსცენირებული საქმეები ყველას მობეზრდა. გამომძიებელს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, არც ერთმა დაკითხულმა მოწმემ, პატიმარი იყო ის თუ თავისუფალი, არ მისცა გამომძიებელს ბებრისის საწინააღმდეგო ჩვენება.

ასე გასინჯეთ, თვით ანკა კრასნოვასაც კი, რომელსაც ადამიანური არაფერი შერჩენოდა, არ მოსვლია თავში კიდევ ერთხელ წაებილწა ისედაც წაბილწული სული და თავის „სლიზნიაკისათვის“ მიეყენებინა ზიანი. ხომ შეეძლო ამ ბოროტ სულს, სასიკვდილოთ გამზადებულს, სინდისსა და ნამუსს მოკლებულ ადამიანს, საიქიოს გამგზავრებისას ამაღა გაეყოლებინა თან, მაგრამ ეს არ იკადრა, ეს იკადრა კომუნისტმა, ჩეკისტმა, საბჭოთა კანონების სადარაჯოზე მდგომმა საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა პოლკოვნიკმა!!! სწორი იყო ჩვენი დროის პოეტი:

„ВСЕ НЕВОЗМОЖНОЕ ВОЗМОЖНО

⁸⁸ იგივე ციტატა იხ. გვ. 47.

В СТРАНЕ ВОЗМОЖНОСТЕЙ ТАКИХ!“⁸⁸

(თარგმ.: შეუძლებელიც კი შესაძლებელია ასეთი შესაძლებლობების ქვეყანაში)

იოგან ბებრისს მოეშვნენ.

ერთი თვე არ გასულა მკვლელობის შემდეგ და სამხედრო ტრი-



ბუნალის გამსვლელმა სესიამ [88] პატიმრების თანდასწრებით გაარჩია ა. კრასნოვას და სხვათა საქმე. სასამართლო პროცესზე ანკა კრასნოვა სულიერად გაშიშვლდა. ქალური და ადამიანური მორიდების ნიშანწყალიც არ ეცხო. თავხედურად და უსირცხვოდ მოუყვა სასამართლოს მის მიერ ჩადენილისა და ნამოქმედარის შესახებ. ეს იყო შემადრწუნებელი „აღსარება“. ეტყობოდა, რომ ცოდვის შეგნების და მონანიების კატეგორიები მისთვის უცხო ხილი იყო.

ანკას და „დალიანს“ მიუსაჯეს დახვრეტა, ხოლო მათ ორ ხელქვეითს – ათ-ათი წელი პატიმრობა წინათ მისჯილი ვადების ჩათვლელად. განაჩენი დაუყონებლივ მოიყვანეს სისრულეში. როკაპმა ქალმა გაიყოლა მხლებელი. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ჩვენი პატარა სამყაროს ისტორიის ეს ფურცელი. კიდევ ერთი მსხვერპლი შეიწირა

⁸⁹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ორიოდე კვირის შემდეგ გარდაიცვალა ბებრისი“.

ანა კრასნოვამ სიკვდილის შემდეგ⁸⁹. ანკას დახვრეტის დღიდან ბებრისი სულ შეიცვალა, უმეტესად სდუმდა, უხალისოდ ჭამდა. ჭადრაკის თამაშს სრულიად მიაჩნებოდა თავი, წიგნების

კითხვაც მივიწყა. ჩემს რჩევაზე, მიემართა ექიმისათვის, ხელი ჩაიქნია. შევწუხდი. მოვუყვანე ბანაკის ექიმი. ჩვენსავით პატიმარი „ხალხის მტერი“, მეტად გამოცდილი და მცოდნე მკურნალი. ბებრისი არ გაესინჯა. ჩვეულებრივ თავაზიანი – გაჯიუტდა და ბარაკიდან გავიდა.

აზრადაც არ მომსვლია, თითქოს ბებრისი წუხდა ანკას დაკარგვას, ეს დაუშვებელი მგონია. იმდენად სპეტაკი და გულმართალი იყო თვითონ. ვფიქრობ, რომ მას აწუხებდა საკუთარი გულუბრყვილობა და მიუტევებელი მიაპიტობა, რამაც ის დაა[ა]ხლოვა უღირს ადამიანთან. მას რცხვენოდა ამ დაახლოვებისა და ამიტომ ერთხელაც არ უხსენებია ჩემთან ანკა კრასნოვა.

ერთხელ დილით, შტაბში სამუშაოდ გამგზავრების წინ, ი. ბებრისი ჩვეულებისამებრ ჩემზე ადრე ადგა, ტამბურში წყალი აადულა და ჩაი მომიმზადა. მე ის იყო ვდგებოდი. მომესმა ბრახუნი, მოვიხედე, ბებრისს ჩაიდანი ხელიდან [89] გავარდნოდა და არაბუნებრივად დაეხარა მაგიდაზე ტანი.

მიცქვარდი, თვალები მიელუღა, ხელები მოწყვეტილივით ეკიდა, მარცხენა ყბა მოქცეოდა. საწოლზე დავაწვინე და ექიმთან გავვარდი. ექიმის დასკვნით, ბებრისს ტვინში სისხლი ჩაექცა, ეხლაც ჟრუანტელი



მივლის, მისი გამოხედვა რომ გამახსენდება. თითქოს ბევრის თქმა უნდოდა და ვერ ახერხებდა საწყალი.

სიტყვაძვირი კაცი იყო ბებრისი, რაც განიცადა, გულში ჩაიხვია და დაეცა. ექიმებმა ყოველგვარ ზომებს მიმართეს. ცენტრალურ ლაზარეთიდან ნევროპათოლოგიც მოიყვანეს, ძნელად საშოვი მედიკამენტებიც გამონახეს, მაგრამ ამაოდ. ორ საათს იცოცხლა კიდევ იოვან ბებრისმა. სიკვდილის წინა წუთებში მე მომეჩვენა, რომ ჯერ მე და შემდეგ ჩემოდანს დააშტერდა. მოვკიდე თუ არა ჩემოდანს ხელი, ბებრისს სახეზე კმაყოფილება შევნიშნე. გავხსენი. ზვიდან ოთხად დაკეცილი ქალაღდი იყო, ბებრისის ტანჯულ სახეზე ღიმილმა გადაიარა, უკანასკნელმა ღიმილმა. ამის შემდეგ ხუთიოდე წუთში მან სული დალია.

რალაც ჩამწყდა გულში, თითქოს ახლობელი, ძალიან ახლობელი ადამიანი დამეკარგა. ცრემლები ვეღარ შევიკავე. დაკეცილი ქალაღდი წერილი აღმოჩნდა ჩემ სახელზე, აი მისი მიახლოებითი ტექსტი:

Друг Давид, я скоро умру, я это знаю и когда это случится, дай знать жене и дочке. Жена в лагере в (?)⁹⁰, Дочь с теткой эвакуировали в Челябинск, живут N улица дом N. Напишешь дочке, она даст знать своей матери, прощай, Давид Сергеевич (თარგმ.: დავით, მეგობარო, მე მალე მოკვდები, მე ეს ვიცი და როდესაც ეს მოხდება, ჩემს მეუღლესა და ქალიშვილს შეატყობინე. მეუღლე ბანაკშია (???), ქალიშვილი დეიდასთან ერთად ჩელიაბინსკშია ევაკუირებული, ქუჩა №, სახლი № -ში ცხოვრობენ. მიწერე ჩემს ქალიშვილს და ის შეატყობინებს დედას, მშვიდობით, დავით სერგეევჩი).

თუმცა ბანაკში აკრძალული იყო გარდაცვლილი პატიმრების საფლავამდე გაცილება, ბანაკის უფროსმა რამდენიმე კაცს დაგვართო ამის ნება. მეორე დღეს საპროექტო ჯგუფის რამდენიმე თანამშრომელმა, ექიმმა და მე მივაბარეთ მიწას ეს ბროლივით გამჭვირვალე დიდსულოვანი [90] ადამიანი, ბრძენი და ბავშვივით გულუბრყვილო ერთსა და იმავე დროს.

უკანასკნელი სურვილი შევუსრულე მიცვალებულს. ფრთხილი და თბილი წერილით შევატყობინე მის ქალიშვილს მამის ცხოვრების უკანასკნელ წუთებზე.

⁹⁰ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი აღარ იკითხება.



V ციხის ჯაშუში⁹¹

⁹¹ აქედან იწყება მეორე რვეული

⁹² ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „22 ივნისს დილით ბევრმა მოასწრო რადიოთი ვ. მოლოტოვის სიტყვის მოსმენა. ვიცოდით, რომ ჩვენს სახელმწიფოს დაატყდა დიდი უბედურება. ფაშისტურმა გერმანიამ გამოუცხადებლად დაიწყო ომი“.

[92] სამამულო ომის სუნთქვა ჩვენ ვიგრძენით ბანაკის შინაგანაწესის უეცარი შეცვლით და სასტიკი ზომების შემოღებით. პირველსავე დღეს პატიმრები ბარაკებში შეგვკეტეს, სამუშაოზე აღარ გაუყვანივართ. რადიორეპროდუქტორები ყველგან გამორთეს, პურის და ყოველგვარი კერძის ნორმები შეკვეცეს, დაცვის მუშაკები ჩვენთან ჯგუფ-ჯგუფად შემოდოდნენ⁹².

ჩვენი ბანაკი, რომელიც 1937 წელს დააარსეს თეთრი ზღვის სანაპირო რკინისგზის მშენებლობისათვის, ფინეთის საზღვარს სულ ათიოდე კილომეტრით თუ იყო დაშორებული. იმჟამად იქ ვიყავით სამასი ათასზე მეტი პატიმარი და კიდევ ხუთი თუ ექვსი ათასი თავისუფალი მოქალაქე (დაცვის პირადი შემადგენლობის ჩათვლით).

⁹³ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „საშტაბო კოლონაზე (მოელ ბანაკში სამოცზე მეტი კოლონა იყო) „ხალხის მტრები“ გამოგვყვეს და ორ დიდ ბარაკში მოგვათავსეს გაძლიერებული დაცვის ქვეშ“.

ბანაკის მთავარი სამმართველო უფროსობა და ექსცესებს და მოსკოვიდან სათანადო მითითებების მიღებამდე უცნაურ და ერთიმეორის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებდა⁹³.

პატიმრების უმრავლესობა გამოიძახეს ნივთებით, ჩასხეს მანქანებში და, როგორც შემდეგ შევიტყვეთ, შორეულ აღმოსავლეთში უკრეს თავი.

დაგვტოვეს რატომღაც ოცდაექვსი კაცი, მათ შორის საპროექტო ჯგუფის თითქმის მთელი შემადგენლობა და სამი თუ ოთხი შტაბის მუშაკი.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩვენც მოგველოდა ევაკუირება ზურგში, ასეთი იყო ცენტრის განკარგულება, მაგრამ სამშენებლო ბანაკის მთავარი სამმართველოს შუამდგომლობით მშენებლობისათვის [93] საჭირო კვალიფიცირებული სპეციალისტები დროებით დაგვტოვეს, ამით, როგორც გადმოგვცეს, ბანაკის ხელმძღვანელობამ „ნდობა გამოგვიცხადა“.



ჩემ საქმეში თურმე აქტიურად ჩაერია მთავარი სამმართველოს საგემო-საწარმოო სამმართველოს უფროსი კალ. მან. შილკროტი.

ბანაკში დატოვებული „ხალხის მტრები“ მოგვათავსეს ერთ ბარაკში, რომელსაც ამიერიდან ინჟინერ-ტექნიკოსთა ბარაკი უწოდეს (Барак И.Т.П.) ჩემთან ერთად იყვნენ უკვე კარგა ხნის ნაცნობები: აკადემიკოსი კნაბე, პროფესორები მორშიხინი, კაზბენკო, ტარნოვსკი, ინჟინერი მოლჩანოვი და სხვები.

ახლად გაცნობილთა შორის ძალიან დავუახლოვდი მშვენიერ ადამიანს, ტომით ჩეჩენს, მოზდოკელ ინჟინერს, მამედ მირზოევს. ყველაფერად შეძკული მორზოევი, თავაზიანი, თბილი, ენაწყლიანი, დაავადებული იყო განუკურნებელი სენით. ეჭვიანობდა თითქმის სამიათასი კილომეტრით დაშორებულ

⁹⁴ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მეც გამანდო მწარე ფიქრები. რაზედაც არ უნდა დავვეწყო ლაპარაკი, ის კვლავ უბრუნდებოდა ამ თემას და იტანჯებოდა“.

ცოლზე. რამდენი ღამე გაუთენებია საცოდავს ცოლზე ფიქრით⁹⁴. ერთ დღეს წამაკითხა ცოლის ერთი წერილი. წერილში სჩანდა მისი მეუღლის გამჭვირვალე სისპეტაკე. ეს იყო თბილი, მოსიყვარულე ადამიანის უსტარი, მარტივი და სადა, როგორც თვით სიყვარულია. არც ზედმეტი ალერსი, არც ცბიერი ნაძალადევი — ცრემლიან მარტოობაზე ჩივილი, არც ხელოვნური ხალისიანობა. ერთი სიტყვით, ეს იყო ღირსეული მანდილოსანის გულისთქმა.

მე ჩემი აზრი ვუთხარი, მაგრამ განა ეჭვით შეპყრობილ ადამიანს ლოგიკური მსჯელობის უნარი შესწევს?! ეს მძიმე სულიერი დაავადებაა, მით უმეტეს საშინელი, როდესაც იჭვიანობის საგანი ცხრა მთას იქით გყავს დატოვებული.

მირზოევი დღითიდღე დნებოდა, კუნთმაგარ, ნატიფი სახის ორმოცი წლის ვაჟკაცს არაფრის ხალისი [94] აღარ ჰქონდა. იჯდა გაჩუმებული ან თუ დაილაპარაკებდა, ისევ და ისევ თავის ცოლზე. ვერც ხვდებოდა, რომ ყველგან და ყველასთან ასეთ საგანზე ლაპარაკი არ ვარგოდა.

ერთ საღამოს ბარაკში რამდენიმე კაცი ვუსხედით მაგიდას. ვიღაცამ თავისი ოჯახი ახსენა. ოდნავ ცინიკურად შეეხო თავის ცოლს, მის ჩაცმულ-დახურვის უზომო სიყვარულს. მანამდე გაჩუმებული მირზოევი ჩაერია ლაპარაკში:

— ქალები ყველანი ეგეთები არიან. განა ღირს მათთვის იტანჯებოდე ადამიანი?



⁹⁵ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მე ველარ მოვასწარი ამ სიტყვების ავტორის დროზე შეჩერება და უნებურად გავხბდი უსიამოვნო სურათის მოწმე“.

— მირზოევ! — შეაწყვეტინა სიტყვა ცინიკმა, — მე ეგ არ მქონია მხედველობაში, მე კოხტობაზე ვლაპარაკობდი. ეს თქვენკენ მოიკითხეთ უღირსი ქალები. ეტყობა, არაერთხელ დაგწვა შენმა ცოლმა, ასე გაბოროტებული რომ ხარ და ყველას თავი მოაბებრე შენი წუწუნით. ალბათ, ის ამ წუთში მუხლებზე უბის ულვაშებზეგრეხილ ჩეჩენს!⁹⁵

მირზოევი აიბურძგნა, წამოხტა, ქორივით ეძგერა წინდაუხედავ ცინიკს და ისეთი სილა გააწნა, რომ სკამიდან გადააყირავა და ცხვირიდან სისხლი ადინა, მერე ბანაკის ეზოში გავიდა და დიდხანს აღარ დაბრუნებულა. მე დიდი საყვედური ვუთხარი ვლასოვს (ეს იყო შფოთის გამომწვევის გვარი) უტაქტო საქციელის გამო, ყველა ხომ ვერ აიტანს-მეთქი ცოლის აღმაცერად ხსენებას, მირზოევი ამაყი და თავმოყვარე ერის შვილია-თქო. შემომიბღვირა და და მითხრა: თქვენი მირზოევი მხეცია, აზიატი! ვინ მისცა მას ინჟინრის დიპლომი. ველური ხალხის შვილია.

[95] უმრავლესობა მე მომემხრო, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც სლავების შეურაცხყოფად მიიღო არამცთუ მირზოევის საქციელი, ჩემი სიტყვებიც. ერთ-ერთმა ბრძანა: Все они одним ладаном мазаны, что с них спрашивать! Чего доброго еще кинжалом пырнут! (თარგმ.: ყველა ერთი საკმევლით არის გაჟღენთილი, რა უნდა მოკითხო, ხანჯლის გაყრაც არ გაუჭირდებათ)

რა უნდა მეთქვა? ასეთ კაცთან ლაპარაკი ბაზრის ქალების კინკლაობას დაემსგავსებოდა. პასუხი არ გავეცი. დილით ჩვენს ბარაკში ატყდა ალიაქოთი. შემოვარდა ახალგაზრდა ტექნიკოსი, საპროექტო ბიუროს მუშაკი და ცრემლმორეულმა შეგვატყობინა, რომ საპირფარეოში ხარისხზე თავი ჩამოეხრჩო ინჟინერ მირზოევს.

ვლასოვი იძულებული შეიქნა ეთხოვა ბანაკის ხელმძღვანელობისათვის იგი სხვა კოლონაზე გადაეყვანათ. ეტყობა, მთლად უგულო არ იყო. ასე დასრულდა კიდევ ერთი ტრადიკული ფურცელი საიქიოში.

ომი მძვინვარებდა. ჩვენები თითქმის ყოველდღე სტოვებდნენ დაბა-ქალაქებსა და სოფლებს. ორ თვეში მტერმა ჩვენ მიწა-წყალზე დასავლეთ ევროპის ოდენა ტერიტორია დაიპყრო. ბანაკი გაათკაცებული ენერგიით მუშაობდა. მე არ შემხვედრია „ხალხის მტრებათ“ მონათლულთა შორის თითქმის არც ერთი, რომელსაც



არ აწუხებდა ჩვენი ქვეყნის ბედის უკუღმა ტრიალი ან უხაროდა ფაშიზმის აღვირახსნილი თარეში ოკუპირებელ ტერიტორიაზე⁶.

⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „შეიძლება იყვნენ ასეთებიც, მაგრამ ომის წლებში ვინ გაბედავდა ასეთი სულისკვეთების გამჟღავნებას“.

დაცვის შემადგენლობა ძირფესვიანად შეიცვალა. ახალგაზრდობა ჯარში გაიწვიეს, მათ ნაცვლად მოვიდნენ ხანშიშესული ყოფილი თადარიგელები და ინვალიდები. ამ მხრივ, თითქოს ლმობიერებამ სძლია, გუბანოვისთანა ხალხის ჭაჭანებაც არ იყო. სამაგიეროდ, მუშაობა გააძლიერა ბანაკის ოპერ-ჩეკისტურმა ნაწილმა ე. წ. მესამე განყოფილებამ, მან პატიმრებს შორის შინაური ჯამუშების ფართო ქსელი გააბა და ნებაყოფლობით თუ მოსყიდული აგენტების მეშვეობით თვალ-ყურს ადევნებდა ყოველ ჩვენ ნაბიჯს, ყოველ სიტყვას [96] მახსენდება ერთი ასეთი ნებაყოფლობითი „სექსოტი“ (Секретный сотрудник).

1942 წლის იანვრის შუა რიცხვებში საპროექტო ჯგუფში მეზობელ კოლონიდან „სამუშაოდ“ გადმოიყვანეს ვინმე შერემეტიევი, ყოფილი გრაფი, 1917 წლამდე პრეობრაჟენსკის კავალერგარდთა ათასეულის როტმისტრი, ჯიშიანი, ნატიფნაკვთებიანი, თავაზიანი, რამდენიმე ევროპული ენის მცოდნე, ბანაკის კვალობაზე მუდამ წესიერად და სუფთად გამოწყობილი. რასაეჭვოა, ასეთი კაცი ყურადღებას მიიქცევდა და, ალბათ, სიმპათიასაც გამოიწვევდა, რომ ერთი გარემოება არა ...

ჩვენს ბარაკში მისი მოთავსების პირველსავე დღეს საშტაბო კოლონის დაცვის მორიგე გუშაგმა საიდუმლოდ გადასცა აკადემიკოს კნაბეს იმ მცველის სიტყვები, რომელმაც შერემეტიევი ჩვენს კოლონამდე მოაცილა: „ვისაც ენდობი, გადაეცი, რომ მე სპეციალურად მოგზავნილი „სექსოტი“ მოვიყვანე. „Пусть ребята поберегутся“ (თარგმ.: ბიჭები ფრთხილად იყვნენ). ასეთი ხალხი დაცვასაც სძულდა. ასე რომ, ჩვენ დარაზმულეები შევხვდით მესამე ნაწილის წარმოგზავნილს.

პირველ დღეს შერემეტიევი შემოგვიჩინდა მე და პროფესორ მორშჩინინს, სალამოს საათებში, როცა ჩვენ ჭადრაკს მივუჯექით, იმანაც გვერდით მოიკალათა და ხანგამოშვებით ოდნავ გადაჭარბებულად ხოტბას ასხავდა ხან ერთის, ხან მეორის სვლებს. როცა მორშჩინინს შავი დედოფალი ჩემი მეფის ფლანგზე შემოიჭრა და დარბევის საფრთხის წინაშე დამაყენა, შერემეტიევმა ღიმილით შენიშნა:



– Не находите ли, что черный король похож на Гитлера, та же стремительность, тот же блицкриг. Какая Прыть! (თარგმ.: არ გეჩვენებათ, რომ შავი მეფე ჰიტლერს ჰგავს, იგივე მიზანსწრაფულობა, იგივე ბლიცკრიგი. როგორი ჟინი!)

მორშიხინმა არც აცევა, არც აცხელა და ასე უპასუხა:

– Прыти и в вас достаточно тов. Шереметьев. Вы это бросьте мы с Давид Сергеевичем в шахматы играем, а на Гитлера нам начихать. Уйдите пожалуйста. Вы здесь портите воздух [97] и мешаєте нам!!!

(თარგმ.: ჟინი თქვენშიც საკმარისადაა, ამხანაგო შერემეტეივო. არ გინდათ რა! მე და დავით სერგეევიჩი ჭადრაკს ვთამაშობთ, ჰიტლერისათვის კი მიგვიფურთხებია. დაგვტოვებ თუ შეიძლება. თქვენ აქ ჰაერს აბინძურებთ და ხელს გვიშლით),

მეორედ, როცა ფაშისტური არმია მოსკოვის მისადგომებთან იდგა, შერემეტეივმა ჩვენი თანადასწრებით წამოიწყო ასეთი ლაპარაკი:

– История, повидимому, повторяется. Эх, дорогая моя Москва, спаленная пожарами. (თარგმ.: როგორც ჩანს, ისტორია მეორდება. ეჰ, ხანძრებით გადაბუგული, ჩემო ძვირფასო მოსკოვო!)

მორშიხინმა კვლავ გასწორ-გასწორად მოუჭრა:

– Бросьте Ваши экивоки, без вас тошно. (თარგმ.: შეეშვით ორბროვან მინიშნებებს, უთქვენოდაც გული მერევა).

შერემეტეივი კუდამოძუებული გაბრუნდა. მესამე შემთხვევაში მე გადავასხი ცივი წყალი. ერთ საღამოს მომიახლოვდა, როცა მე წამოწოლილი წიგნს ვკითხულობდი:

– Давид Сергеевич, вы из дворян? (თარგმ.: დავით სერგეევიჩ, აზნაური ხართ?)

– Из колокольных! (თარგმ.: სასულიერო წარმომავლობის!) — ვუპასუხე ღიმილით.

– А позвольте спросить, по матери? (თარგმ.: შეიძლება გკითხოთ? დედის მხრიდან?)

– Вы что, тов. Шереметьев, по матери хотите получить? (თარგმ.: თქვენ რა. ამხანაგო შერემეტეივო, დედის (შეგინება) მხრიდან ხომ არ გინდათ მიიღოთ?)

თქვენ გგონიათ ეწყინა? სრულიადაც არა. ტაში შემოჰკრა, გაიცინა და გაბრწყინებული თვალებით მიპასუხა:

შერ. — Это же восхитительно! Но прямо таки каламбур во французском стиле! (თარგმ.: ეს ხომ შესანიშნავია! ფრანგული კალამბურის სტილში!)

მე — Нет, это каламбур в русском стиле! Что вы пристали, скажите



бога ради, что вам до геральдики моей матери? (თარგმ.: არა, ეს კალამბური რუსულ სტილშია! რას გადაგიკიდეთ, თუ ღმერთი გწამთ, რა საქმე გაქვთ დედაჩემის ჰერალდიკასთან?)

შერ. — Знаете ли в чём дело, Вы мне напоминаете одного моего однополчанина кавалергарда, чудесного грузина, из светлейших, его тоже Давидом звали, ну вот я думал может быть вы с ним, так сказать, в родстве. (თარგმ.: იცით საქმე რაშია, თქვენ ერთ ჩემს თანაგვარდიელ კავალერგარდს მაგონებთ, შესანიშნავ ქართველ აზნაურს, იმასაც დავითი ერქვა, ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ ენათესავები)

ვიგრძენი სიყალბე თუ მომეჩვენა ასე, არ ვიცი, ეს კი ვუთხარი:

მე — У вас странная манера проводить параллели и при этом слишком медоточивые. Рискуете получить оскорбление. Простите, я занят, читаю [98] интересную книгу! (თარგმ.: პარალელების გავლების უცნაური ჩვევა გაქვთ, თან ზედმეტად დაშაქრულის, შეიძლება პასუხად შეურაცხყოფა მიიღოთ.. მაპატიეთ, დაკავებული ვარ, საინტერესო წიგნს ვკითხულობ!)
მომცილდა.

როცა შერემეტიევი უახლოვდებოდა რომელიმე ჯგუფს, ყველას აჭრჭოლებდა, ყველას თითქოს მოახლოვებული გველის სისინი ელანდებოდა და რაზედაც არ უნდა ჰქონოდათ ბაასი, იმ წუთსავე სცვლიდნენ თემას.

— Идет сексот – поговорим о пирогах и пряниках, (თარგმ.: „სექსოტი“ მოდის - ვისაუბროთ ნამცხვრებსა და თაფლაკვრებზე) — იტყოდა რომელიმე ჩვენგანი და შერემეტიევი ხახამშრალი რჩებოდა. ვერ იქნა და ვერავინ ვერ გააბრიყვა, პროვოკაციაზე ვერ წამოაგო. მაგრამ, რომ იტყვიან, ადამიანს თუ ბოროტი სული აქვს, ღვთის წყალობა ღვთის რისხვად მოეჩვენებაო. ვინ წარმოიდგენდა, რომ სრულიად ლოიალურ და პოლიტიკასთან დაშორებულ ჩვეულებრივ ბაასში შერემეტიევი საჯაშუშო მასალას მონახავდა და მესამე ნაწილს მიაწვდიდა. შერემეტიევი დიდხანს აღარ გააჩერეს ჩვენთან, ალბათ თვითონაც მიხვდა, რომ თავის საკბილოს დიდს ვერაფერს ნახავდა, რომ ყველა დემონსტრაციულად ერიდებოდა მასთან ლაპარაკს.

არც ის არის გამორიცხული, რომ მესამე ნაწილის ჩვენთვის უცნობმა თვალმა, მეორე ფარულმა „სექსოტმა“, შერემეტიევის განიღვის ამბა-



ვი შეატყობინა თავის უფროსს. ასეა თუ ისე, სამი კვირის შემდეგ ის სამშენებლო კოლონიაზე გადაიყვანეს.

ერთი თვის შემდეგ შევიტყვეთ, რომ იქ გაებრიყვებია სამი პატიმარი,

⁹⁷ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „დამნაშავენი ვერ ნახეს, არც უძებნიათ. ასე მოსწყდა წუთისოფელს ბოროტი სული, ჩვენი დროის სიბინძურის ეტალონი. ვინ იცის, თავისი სიცოცხლის მანძილზე რამდენი ოჯახი აატრა და გააუბედურა, რამდენი გულუბრყვილო და პატიოსანი კაცი გააბა ქსელში და გამოასალმა სიცოცხლეს“.

⁹⁸ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „შორიდან მესამე ნაწილის უფროსს მე, რასაკვირველია, ვიცნობდი, სამსახურეობრივი იერარქიით ერთ რანგზე ვიდექით, მაგრამ იმ ერთი წლის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც მე სავეგმო-საწარმო ნაწილის უფროსად დამნიშნეს, მასთან საქმიანი ურთიერთობა არ მქონია. გარდა ამისა, ვორობიოვი (ეს მისი გვარი იყო) უფლებამოსილი, ყოვლისშემძლე ჩეკისტი იყო, მე კი – პოლიტიკური პატიმარი. ვიცოდი მხოლოდ, რომ ვორ-ვს არ შეეძლო არ სცოდნოდა ჩემი ავანგაჟანი, ეს იყო მისი მოვალეობა. ყინვიან ღამით, ქარბუქში ვაკვივო მცველს. ოც წუთში მივადექით შტაბის მახლობლად მდებარე მესამე ნაწილის შენობას. შევედი დერეფანში. რკინის ფეჩი გავარვარებული იყო. დიდხანს არ მაცდევინეს, გამომიძახეს ვორ-თან“.

სხვის თანდასწრებით აელაპარაკებინა ისინი სახიფათო თემაზე. შემდეგ დაუსმენია მესამე ნაწილში, სამივე მიეცათ პასუხისგებაში და სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით დაუხვრეციათ.

ამ საქმემ სრულიად გამოააშკარავა შერემეტიევის ბნელი როლი, მისი ზნეობრივი უსუფთაობა.

ასეთებს ბანაკში დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვთ. კოლონიდან კოლონაზე გადაყვანის დროს, შერემეტიევი ვიღაც უცნობ პატიმრებს გაეგუდათ ბალიშით⁹⁷.

[99] სხვათა შორის, მან ჩვენთანაც დატოვა მუხთალი კვალი. აი რა მოხდა:

ჩვენი შტაბი გაცხოველებულად მუშაობდა, ისევ დაკუბურუნდით ჩვენ-ჩვენ სამუშაო უბანს. მე ისევ სავეგმო-საწარმო ნაწილს ვხელმძღვანელობდი. სამუშაო დღე 15-16 საათს გრძელდებოდა. მხოლოდ შაბათობით, ექვს საათზე ვბრუნდებოდით ზონაში. ერთხელ შერემეტიევის გადაყვანის მეხუთე თუ მეექვსე დღეს. სამუშაოდან საღამოს 10

საათზე დაბრუნებული, მე კვლავ გამომიძახეს შტაბში. ამჯერად, თურმე მესამე ნაწილის უფროსმა ინება ჩემი „ნახვა“ — ასე გამომიცხადა ჩემს წასაყვანად გამოგზავნილმა მცველმა. შევშფოთდი. თბილისში, ბესიკის ქუჩაზე, განცდილი კოშმარის შემდეგ, ჩეკისტებს არ შევუწუხებივარ⁹⁸.

უფროსი მაგიდასთან იჯდა და პაპიროსს ეწეოდა. თავი დამიქნია და სავარძელზე მიმითითა. დავკეცი.

დაიწყო საყურადღებო, ყოველგვარი ხიფათით [100] სავსე საუბარი. წინდაუხედავი ლაპარაკი არ შეიძლებოდა:



– თქვენ რისთვის ხართ მსჯავრდებული? – შემეკითხა ვორობიოვი. ვიფიქრე, თუ ახალ საქმეს მატმასნის, ალბათ ძველსაც შეეხება-მეთქი ძირფესვიანად და ამიტომ ვუპასუხე:

– თუ გნებავთ, დაწვრილებით მოგითხრობთ.

– არა, ამაზე შემდეგ. მე სხვა საქმეზე მყევხართ გამოძახებულნი!

– გისმენთ!

– ჩვენ ვიცით, რომ თქვენ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩავითრიეს, რომ თქვენ ვერ მოასწართ დიდი ზიანის მიყენება ჩვენი სახელმწიფოსათვის. ამიტომაც არის, რომ ბანაკის ხელმძღვანელობამ ნდობა გამოგიცხადათ და განყოფილება ჩავაბარათ. ჩვენ ისიც ვიცით, რომ თქვენ კარგად მუშაობთ.

– კი, მაგრამ პირველ ნაწილში თქვენ ცდებით!

– როგორ თუ ვცდები, თქვენ არ სცნობთ თავს დამნაშავედ თუ როგორ?

– დიახ, არ ვცნობ და არასდროს მიცვნი!

ვორობიოვი შუბლი შეიკრა, ცივად შემომხედა და ბრძანა:

– დღეს ომი მიმდინარეობს, ფრონტი ჩვენგან ორ ნაბიჯზეა, თქვენი ლაპარაკი კონტრრევოლუციურ აგიტაციას წააგავს ომის პირობებში, ხომ იცით, რა მოგელით? თქვენ ამით შინსახკომის ორგანოებს სცხებთ ჩირქს.

– მოქალაქე უფროსო, – ღიმილით ვუპასუხე მე⁹⁹, – გამოდის, თუ მე ვცნობ თავს დამნაშავედ და ვიტყვი, რომ ნამდვილად ვეწეოდ კონტრრევოლუციურ მოღვაწეობას, რაც მტკნარი სიცრუეა, მაშინ თქვენს თვალში სანდო კაცი ვარ, ხოლო თუ სიმართლეს არ ვუღალატებ და განვაცხადებ, რაც არაერთხელ გამომიცხადებია ჩემს საჩივრებში უმაღლესი საბჭოს სახელზე და რაც სიმართლეს შეეფერება, რომ მე არასოდეს არ ვყოფილვარ ჩათრეული ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში, მაშინ თქვენ მტრად მიგულებთ, არა?

⁹⁹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: “აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, განა შეიძლება ვინმემ დამწამოს კონტრრევოლუციონური ყბედობა მხოლოდ იმისათვის, რომ მე თავს უდანაშაულოდ ვგრძნობ?”

ვორობიოვის ნიბლიასოდენმა ტვინმა ვერ გადახარშა ჩემი ნათქვამი, ამ რთულ ლოგიკურ ხლართებში დაიბნა, [101] მაგრამ იმდენი ეშმაკობა მაინც გამოიჩინა, რომ თავის სასარგებლოდ წარემართა ბაასი:

– დავუშვათ, რომ ასეა, მით უმეტეს, თქვენ თქვენი ქცევით უნდა



დაამტკიცოთ, რომ სრულყოფილი საბჭოთა მოქალაქე ხართ.

— კი მაგრამ სხვას რას ვაკეთებ?

— მარტო შრომა, წესიერი ყოფაქცევა არაფერს ლაპარაკობს, მტერიც მშვენივრად ინიღბება თუ დასჭირდა¹⁰⁰. აი დავუშვათ თქვენი თანადასწრებით ვინმემ ფაშისტური აგიტაცია წამოიწყო, თქვენ როგორ მოიქცევით?

— ვთხლიშავ ყურისძირში! — სერიოზულად ვუპასუხე მე¹⁰¹.

უკვე ვხვდებოდი, რაც სწადდა ვორობიოვს, ვხედავდი მის პრიმიტიულ, თეთრი ძაფით ნაკერ იღეთებს და გუნებაში მეცინებოდა¹⁰².

[102] — ახლა ეს მიპასუხეთ, ვისთან ხართ ყველაზე მეტად დაახლოვებული თქვენს ბარაკში?

ვიგრძენი წყალქვეშა ქვეები იყო მოსალოდნელი.

— ძნელია მაგაზე პასუხის გაცემა, კერძოდ არავისთან. განა ჩვენ აქ ნებაყოფლობით მოგვიყვანეს? ხვალ თუ გაგვანთავისუფლეს, შესაძლებელია ერთმანეთისთვის სალამის მიცემაც დაგვაღიწყდეს.

— კი მაგრამ ხომ ყველას იცნობთ?

— რასაკვირველია.

— ვინ წევს თქვენს გვერდით?

მე დავუსახელე სამი თუ ოთხი გვარი. როგორც ეტყობა, მას ეს გვარები არ აინტერესებდა, შემაწყვეტინა და შემეკითხა:

¹⁰⁰ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ლოიალობის დასამტკიცებლად სხვა გზებიც არსებობს.

— ეს უკვე არ მესიამოვნა. ვგრძნობდი, იწყებოდა მთავარი.

— არ მესმის!

— დავით სერგეევიჩ, არა? ხომ არა ვცდები?“

¹⁰¹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ვორ-ვმა ეჭვით შემომხედა, ხომ არ დამცინისო.

— ეგ არ ივარგებს, იქნებ დანა აქვს ხელში ან ნაჯახი.

— მაშინ ამხანავს დავისმარ ან უფროსს დავუძახებ და ავლაგამავ არამზადას.

— თუ ამხანავი და უფროსი ფარული მტრები აღმოჩნდნენ?“

¹⁰² ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მაგრამ სიტყვის ბანზე ავლებასაც საზღვარი ჰქონდა და გადაუწყვიტე პირდაპირი ლაპარაკი:

— მოქალაქე ვორ-ოვ! თქვენ ხომ არ ფიქრობთ გამომიყენოთ მე საიდუმლო თანამშრომლად?

— რატომაც არა!

— რითი დავიმსახურე ასეთი შეურაცყოფა?

— როგორ თუ შეურაცყოფა?! ბევრს ეს საპატიო საქმედ მიაჩნია.

— ვის რად მიაჩნია, ეს მე არ მეხება. მომისმინე, მოქალაქე ვორ-ოვ! მე უსამართლოდ

მაწამეს, ოჯახს მომაცილეს, ჯანმრთელობა დამაკარგვინეს. შემრჩა მხოლოდ ჩემი თავის პატივისცემა. უმჯობესია საერთო სამუშაოზე გამაგზავნოთ და მეორედ ასეთი წინადადება



– კულიოვი?

მე იმ წამსვე გამიელვა თავში: ალბათ ახალ საქმეს უქმნიან იმ სა-
ცოდავს-მეთქი. კულიოვმა იმხანად 70 წელს იყო გადაბიჯებული. 1932
წლის 7 ივლისს კანონით მისჯილი ჰქონდა ათი წელი. 1942 წლის
სექტემბერში, ე. ი ექვსი თვის შემდეგ უნდა განთავისუფლებულიყო.
მიუხედავად თავისი ასაკისა, ეს იყო გამჭრიახი, გონებამახვილი, ჯან-
მრთელი მოხუცი პროფესიით ბუღალტერი. ხშირად უთქვამს ჩემთვის,
რომ რევოლუციამდე მუშაობდა ვოლგა-კამის სამდინარო გემთა
მფლობელების სააქციო კომპანიაში და რომ მისი თვიური ხელფასი
400 მანეთს უდრიდა. ეს არაფრით ჩამოუვარდებოდა მეფის რუსეთის
დიდი მოხელის ხელფასს.

[103] მე ვუპასუხე:

– კულიოვი ჩემგან, მოშორებითაა, მაგიდის იქით, მეორე მხარეს.

– რა დამოკიდებულებაში ხართ მასთან?

– როგორც ერთ საკანში მოთავსებულ ხალხს შეეფერება: არც ვჩხუ-
ბობთ და არც ვმეგობრობთ. სამსახურის ხაზით თითქმის არ ვხვდებით
ერთმანეთს.

– საღამოობით ხომ ერთად იყრით თავს ოთახში?

– დიაღ, რა თქმა უნდა.

– ალბათ ბაასობთ ერთმანეთთან, არა?

– თუ ძალიან დაღლილი არა ვართ, რასაკვირველია!

– მერე არასოდეს არ შეგიმჩნევიათ კულიოვის კონტრრევი-
ლუციური გამოხტომები?¹⁰³

– არც ერთხელ ჩემი თანადასწრებით, ასეთი რამ არ წამოსცდენია!

ალარ წამომიყენოთ!

– თქვენ, როგორც ეტყობა, ტყუილად არ გაბრალებენ ხალხის მტრობას, თუ თავილობთ
ჩვენთან თანამშრომლობას?

– მე ვთაკილობ ფარულ თანამშრომლობას – ეს საზიზღრობაა! მე რომ ნამდვილად ხალხის
მტერი ვყოფილიყავი, განა უარს ვეტყვოდი?

– მაშ, თქვენ უარს აცხადებთ ამხილოთ, რომ თქვენი მეზობელი დივერსიულ აქტს ამზადებს!
– ვინ გითხრათ, რომ უარს ვაცხადებ. მე მხოლოდ ღამით არ მივალ, ფარულად,

შენილებულად. მე ან თვითონ გავუმკლავდები, ან ხალხს დავუძახებ, რომ ყველამ გაიგოს და
ალაგმოს დივერსანტი. მოქ. ვორ-ოვ! გთხოვთ, ამ საკითხზე ნუ გააგრძელებთ ლაპარაკს, მე
მაგ საქმისთვის არ ვარგვიარ!

ვორ-ოვი არც ისე ჭკუაჩლუნგი აღმოჩნდა არ მიმხვდარიყო, რომ აქ არაფერი გაუვიდოდა
და სხვა მხრიდან მომიდგა: კეთილი, თქვენ ამით ბევრს წააგებთ. მაგრამ თუ გსურთ,
შევეწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი“.



¹⁰³ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ასეთ კითხვას მოველოდი. მესმოდა, რომ ჩემს პასუხზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. – მოქალაქე უფროსო, მე ხომ გთხოვთ, ასეთ

...
– რა მთხოვთ? მკვახეთ შემაწყვეტინა ვორ-მა. მე ჩვენთან თანამშრომლობის წინადადებას აღარ გაძლევთ, მე თქვენ გეკითხებით, როგორც მოწმეს, სხვის დანაშაულებრივ ქმედობის მხილებას. კეთილი ინებე და მიპასუხეთ, როგორც წესია!

– მე არ მსმენია კულიოვისაგან ხელისუფლების საწინააღმდეგო“.

¹⁰⁴ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი:

„მართალი ვითხრათ, მიხაროდა, რომ არ დამჭირვებია სიცრუე.

– მე ნამდვილად არ გამიგია კულიოვისაგან ამის მსგავსი რამ.

– ფრთხილად, გორგაძე, მოწმის როლი ბრალდებულის როლით არ შეიცვალთ! თქვენ არაფერში არ ეხმარებით გამოძიებას! – განა სიმართლის თქმა დახმარება არ არის?“

ლელურ მდგომარეობაში, რომ ყველამ შეძლოს უთხრას: „ბებერო, გამოჩერჩეტდი? შენი დახმარება ვის რაში ესაჭიროება ცალი ფეხი სამარეში გიდგასო“.

– კომენტარები თქვენთვის შეინახეთ, მიპასუხეთ: თქვა მან ეს თუ არა?

– ჩემთან არ უთქვამს და არც დავიჯერებ, რომ სადმე ეს ეთქვას!

[104]¹⁰⁴ – იმაზედაც უარს იტყვით, რომ კულიოვი საცინად იგდებს საბჭოთა კინოსურათებს: ეს შელამაზებული პროპაგანდაა და მიტომ კინოში არასოდეს დავდივარო!

– არც ეგ უთქვამს ჩემი თანდასწრებით და მე ვეჭვობ, რომ ეთქვას სადმე. გუშინწინ ჩემს ახლოს იჯდა მაგიდაზე საბჭოთა კინოსურათის დემონსტრირების დროს!

ტყუილის თქმა არ დამჭირვებია. მართლა არ გამეგონა კულიოვისგან მსგავსი რამ.

– დაა ... – მუქარით წარმოთქვა ვორ-მა, – მე კი ვეჭვობ, რომ თქვენ როდისმე ოჯახის ნახვას ეღირსოთ!

– კეთილი! (Ладно!) ჩაიბეც არაფერი უთქვამს? საბჭოთა ჩაი ახლოს ვერ მოვა მეფის დროის ჩაისთანო.

აქ კი დამცეცხლა! ასეთი ლაპარაკი ნამდვილად იყო. მეც ჩავერიე.

– შენიღბულ მტერს ესარჩლე-ბით? განა თქვენ იქ არ იყავით, როდესაც კულიოვმა განაცხადა, რომ ის წელს თავისუფლდება და რომ არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამს წითელი არმიის დასახმარებლად?

ეს ისეთი უაზრობა იყო, რომ კინალამ არ გადავიხარხარე. უნებურად გამახსენდა შერემეტიევი ... “უთუოდ იმის მოჩმახულია”, გავიფიქრე მე და ვუპასუხე:

– კულიოვი ჭკვიანი კაცია, უკვე მერვე ათეულს შეუდგა და არასოდეს არ ჩააყენებს თავის თავს ისეთ სუ-



მომავლენა ისიც, რომ შერემეტიევი გვეჯდა გვერდზე და გვისმენდა. კულიოვმა შერემეტიევის მოახლოვებისას, წინასწარი შეთანხმების თანახმად, საუბარი კვებაზე გადაიტანა (თუმც იქამდეც არა უთქვამს რა საჩოთირო და დაუშვებელი) და რატომღაც ჩაის შეეხო. კულიოვმა ხოტბა შეასხა „ვისოცკის“ სავაჭრო ფირმის ჩაის „იმის სურნელება დღესაც მახსოვს. ჩვენი ჩაი იმასთან რა შესადარიაო“.

მეწყინა. ჩემში ალაპარაკდა ქართველი პატრიოტი. დავუწყე მტკიცება, ალბათ არ შეგხვედრია უმაღლესი ხარისხის ქართული ჩაი, „საქართველოს თაიგულის“ არომატი არ გიგრძვნია-მეთქი, ისიც ვუთხარი, ქართული ჩაის მოკლე ისტორია აქვს, მაგრამ, სხვას არ ჩამოუვარდება-მეთქი და სხვა.

როგორც ეტყობა, ყველაფერი ეს მესამე ნაწილმა შერემეტიევის მეშვეობით იცოდა, უარის თქმა არ ივარგებდა, მაგრამ საჭირო იყო სწორი პასუხის გამონახვა. მე ვუპასუხე:

– დიახ, ასეთი ლაპარაკი მე მახსოვს. კულიოვმა იმდროინდელი ჩაის სურნელება ამჯობინა. [105] რას იზამ, ეს გემოვნების საკითხია! მაგრამ რა აქვს ამას საერთო კონტრრევოლუციასთან? განა კულიოვმა არ იცის, რომ მეფის რუსეთში ჩაი სრულიად არ მოჰყავდათ და რომ მას უცხოეთიდან ეზიდებოდნენ? განა უცხოეთიდან შემოზიდულ ჩაის მაღალი ხარისხი მონარქისტული რუსეთის განდიდებაზე ლაპარაკობს?

ვორობიოვი წამოხტა, საწერ-კალამი ხელიდან გაავდო, ერთიანად გაწითლდა და შეჰყვირა: თქვენ რა, დაცინვის გუნებაზე ხართ?! მე თქვენ გიჩვენებთ მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს. მტრების გამოსარჩლებას! აქამდე მხოლოდ გცდიდით, მინდოდა დავრწმუნებულიყავი თქვენს ლოიალობაში. ეხლა კი ვიცი, ვინც ბრძანდებით. ტრიბუნალი განიხილავს თქვენს საქმეს, გესმით?

ეს იყო ისტერიკა, სუსტი გონების და ნებისყოფის მქონე მამაკაცის ისტერია¹⁰⁵.

მე უცნაურმა სიმშვიდემ შემიპყრო. ეს იყო აპატია, სრული გულგრილობა საკუთარი ბედის მიმართ¹⁰⁶.

– მოქალაქე ვორობიოვ! ტყუილად ნუ ირჯებით, მე აღარც თქვენი მეშინია, არც – ტრიბუნალის, რადგან არც სიტყვით და

¹⁰⁵ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მით უმეტეს საშინაო ვოროვში, როგორც საგამომძიებლო ნაწილის უფროსში“.

¹⁰⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ალბათ ამან გამოიწვია ის სიტყვები, რომლითაც მე მივმართე მაშინ ვოროვს“.



¹⁰⁷ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „არ დამჯდარა, არც განძრეულა, იდგა და გაცეცხული შემომცქეროდა, შემდეგ ...“

¹⁰⁸ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „წყალწადებული ხავსს ეჭიდებაო“ – ასე იყო ვორ-ოვის საქმე.

არც საქმით არაფერი გამიფუჭებია, თავისუფლება მომისპეტ, ოჯახს მომაცილეთ, საზოგადოებიდან გამრიყეთ, ჯანმრთელობა წამართვით. დამრჩა მხოლოდ ადამიანური პატიოსნება. ეს მაინც დამიტოვეთ, რას მემართლებით?!

ჩემმა აუჩქარებელმა ტონმა, რომელიც ნათქვამის შინაარსს არ შეეფერებოდა და სასოწარკვეთილებით იყო გამსჭვალული, ერთბაშით დააწყენარა ვორობიოვი¹⁰⁷. მცველს გამოუძახა და უბრძანა გააცილეთ. მე კი მითხრა:

– ეხლა გვიანაა. კოლონაზე წახვალთ. ამ [106] დღეებში გამოგიძახებთ და თქვენს წინააღმდეგ აღძრულ საქმეზე დაგკითხავთ. გაფრთხილებთ, რაც აქ მოხდა, არავინ არ უნდა იცოდეს!

ასე დამთავრდა ეს სახიფათო და უსუფთაო ლაპარაკი ოპერჩეკისტულ განყოფილებაში¹⁰⁸. ეტყობა, ვორობიოვმა სერიოზული ვერაფერი უნახა კულიოვს და ასეთ, ამ, როგორც ეტყობა, შერემეტიევის, უკაცრავად პასუხია, „საბრალოდებო მასალას“ დაეყრდნო.

ამის შემდეგ მესამე ნაწილში მე არ გამოვუძახებია ვორობიოვის უკანასკნელი სიტყვები უბრალო მუქარა აღმოჩნდა. კულიოვსაც ვერაფერი დააკლეს და იმავე წლის სექტემბერში იძულებული იყვნენ გაეთავისუფლებინათ.



VI

რასა და კულტურა

¹⁰⁹ ავტორის მიერ წამოიღო ტექსტი: „როცა შენი არსებობა შენზე არ არის დამოკიდებული“.

[107] 1942 წლის გაზაფხულზე ჩვენი ბანაკი ამოწყვეტის საფრთხის წინ დადგა. დაიწყო საყოველთაო სისტემატური საშინელი შიმშილი. მით უმეტეს, საშიში და კატასტროფული ეკლიან მავთულით შემოვლებულ საპყრობილეში¹⁰⁹. დიდმა თოვლმა და ქარბუქმა გზები მთლიანად მოშალა. სამი კვირის მანძილზე ვერც მარხილმა და ვერც მანქანამ ვერ გააკვლია გზა ბანაკის მთავარი სამმართველოსაკენ, სადაც სურსათის ცენტრალური საწყობები იყო.

ისედაც ნაშიმშილევი, ციხეებში და ეტაპებში ნათრევი პატიმრები დღითიდღე კარგავდნენ წონას. სამ დღეში მოვათავეთ კოლონაზე დარჩენილი პურის მარაგი. თუმცა ისედაც შეკვეცილ ნორმის მესამედს გვაძლევდნენ (150 გრამს). ხუთ დღეს ვიკვებებოდით ორცხობილას მარაგით (80 გრამი), ესეც გამოილია. მეცხრე დღეს თურმე კოლონის საწყობში მიაგნეს ხორბლის საკმაოდ დიდ მარაგს, დაგვირიგეს ორას-ორას გრამი, მაგრამ ამ ხორბლის ჭამა შეუძლებელი იყო. თურმე ომის პირველ თვეებში დასავლეთ უკრაინის რომელიღაც ელევატორი დაცალეს ნავთის ცარიელ ცისტერნებში, ამ ცისტერნებმა სამი თუ ოთხი თვე იმოგზაურეს რკინიგზებზე და საბოლოოდ ბელომორსკში¹¹⁰

¹¹⁰ ქალაქი რუსეთში, კარელიის რესპუბლიკაში. 1931 წლის 16 ნოემბერს ბელომორსკში შრომა-გასწორების კოლონია, ბელბალტლაგი აშენდა.

მოხვდნენ. აქ ხორბალი ავტომანქანებში ჩაცალეს და კოლონებზე გაანაწილეს. ისე იყო გაჟღენთილი ნავთის სუნით, რომ პირველივე ლუკმაზე გულმუცელი ამომიტრიალდა. საერთოდ ვეღარ დავაკარე პირი ჩემს წილს. ჩემს წილს სხვა შეეცეოდა. რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის:

— დავით სერგევიჩი! უნდა ჭამოთ, ისე ვერ გაძლებთ. რა ვუყოთ, რომ ნავთის სუნი აქვს, ცხვირზე ხელი მოიჭირეთ და სუნს ვეღარ იგრძნობთ!

[108] მე მაინც ვერა და ვერ შევძელი ამ რჩევის შესრულება. ბანაკში ერთბაშად იმატა სიკვდილიანობამ. თუ წინა თვეებში ორი ან სამი შემთხვევა იყო, 1942 წლის მარტსა და აპრილში 60-65-მდე ავიდა. სპეციალურად გამოყოფილი მესაფლავეთა ბრიგადა ვერ აუდიოდა გაყინულ მიწაში საფლავების გათხრას.

საზარელი შესახედაობა გვქონდა, ყველას ნეკნები გვეთვლებოდა.



დაპატიმრებამდე 85-88 კილოგრამს ვიწონიდი, ახლა კი ჩემი წონა 55 კილოგრამს გაუტოლდა. ცენტრიდან მიღებული ინსტრუქციის თანახმად, მასობრივი სიკვდილიანობის ოფიციალურ მიზეზად გამოაცხადეს პელაგრა, თუმცა სინამდვილეში ეს უბრალო შიმშილით გამოწვეული ნაადრევი დაუძღურების, დისტროფიის, შედეგი იყო.

პატიმრების რიცხვი განახევრდა¹¹¹.

მე შიმშილისაგან თავბრუ მესხმოდა. დღეში რამდენჯერმე თვალი მიბნელებოდა და გული მიმდიოდა, კიდევ კარგი, ჩემი და იოვან ბებრისის ომამდელი ოთახის ყოფილმა ფარეშმა აგრაფენა მარ-ვამ¹¹² (ეს იყო ხანში შესული ქალი, ჩრდილო კავკასიის კაზაკებიდან) შემოინახა ქერი, ყოველდღე ქერის ყავას მიდუღებდა და მოჰქონდა ჩემთან. დღეში ათ ჭიქას ვსვამდი. თუ დღეს ცოცხალი ვარ, იმ კეთილ ქალს უნდა ვუმაძღლოდე.

აპრილის შუა რიცხვებში ქარბუქი ჩადგა. გზები სასწრაფოდ აღადგინეს. ბანაკს სანოვავითა და შეშით დატვირთული ათეული მანქანა და მარხილი მოაწყდა.

პირველსავე დღეს დაგვირიგეს პურის ორმაგი ნორმა — ერთი კილოგრამი. ეს იყო სრულიად თეთრი, კარგად გამომცხვარი პური კანადის ფეკილიდან. იმხანად ამერიკამ უკვე დაიწყო ჩვენი მომარაგება ლენდლიზით.

ჩვენმა ექიმმა, ტომით კორეელმა, მარინა პაკმა ყველა გავგაფრთხილა — პურს ერთბაშად ნუ მიეძალეებითო, დაჭერით და გამოიზოგეთო. [109] მაგრამ ზოგმა ვერ მოითმინა და იმსუნავა, რამაც ოთხი თუ ხუთი პატიმარი იმსხვერპლა. ისინი თან გადაიტანა კუჭ-ნაწლავის ელვისებურმა ანთებამ გაუვალობის ნიადაგზე ან ნაწლავების გადახლართვამ. პურის გარდა, პირველ დღეს დაგვირიგეს ბურღულის ნახარში და მოხარშული ტრესკის ნაჭერი.

თავს ძალა დავატანე და პური გამოვიზოგე. ნახევარი კილოგრამი სასთუმალთან მედო, დილისთვის გადავდე.

ნაშუაღამევს გამომეღვიძა. თითქოს თავვის ფხაკუნი მომესმა. ოთახში სინათლე ენთო. კუთხეში გრძელ რუსულ ღუმელთან მოთავსებულ სანაგვე ყუთთან ვიღაც ჩაცუცქელიყო საცვლების ამარა და ყუთში გამალეებით აფათურებდა ხელებს. მიმოვიხედე, ყველას თავთავის საწოლზე ეძინა. თავისუფალი იყო მხოლოდ პროფესორ მ-ის საწოლი. გავოცდი. მივუახლოვდი:

— Пётр Иванович, რას ეძებთ, რა დაგემართათ?

¹¹¹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „რა უნდა მოსვლოდათ პატიმრებს სააღმშენებლო კოლონებზე, სადაც უმრავლესობა ფიზიკურ საშუაშაოს ასრულებდა“.
¹¹² ეს სახელი და გვარი ავტორმა წაშალა.



პასუხი არ გაუცია, არც მობრუნებულა. დავუდექი წინიდან, შევხედე და ელდა მეცა, ჩასისხლიანებული უაზრო თვალები ჰქონდა, აჭარხლებული სახე და პირუტყვისებური სიმსუნაგით ღრღნიდა ნაგვის ყუთში ნაპოვნ ტრესკის ძვალს. ახლა ის სრულიად არ ჰგავდა ნატიფი სახის მქონე, მაღალკულტურულ პროფესორს, რომელიც სულ ორიოდ საათის წინ შელის ლექსებს იმეორებდა ზეპირად და რომელმაც ოთხი თუ ხუთი ევროპული ენა იცოდა. იმ წუთებში იგი, ცხოველური ინსტინქტით შეპყრობილი, გონებაგამოთიშული მექანიკურად მოქმედებდა.

— Пётр Иванович, Пётр Иванович, მოდით, გონზე, რა დაგემართათ?!

გამოედვიძა აკადემიკოს კნ-ბესაც. ისიც ახლოს მოვიდა. კვლავ განაგრძობდა [110] ძვლის ღრღნას და ეტყობოდა, ვერც ერთს ვერ გვცნობდა. პირიქით, თვალებში თითქო შიში შევამჩნიეთ: არ მომიახლოვდეთ, არ შემეცილოთო.

მივვარდი საწოლს, წამოვავლე ხელი დილიდან დაზოგილ პურის ნაჭერს და ძალით ჩავჩარე ხელში, ძვალი ხელიდან გავაგდებინე. დახედა პურს და ხარბად დაუწყო ჭამა. ახლა კი სახე თანდათანობით დაეწმინდა და გონება დაუბრუნდა; შემოგვხედა, საშინლად დაირცხვინა, უხმოდ აგვიარა გვერდი, დაემხო საწოლზე და აქვითინდა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ გუშინდელმა მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერმა ათიოდე სამეცნიერო საზოგადოების წევრმა, რუს არისტოკრატთა წრიდან გამოსულმა პროფესორმა პ. ი. მორ-მა შიმშილის გამო ისე დაკარგა ადამიანის სახე, რომ მშვიერი ძალღვივით ნაგავში და ნაფურთხში ამოქექილ ძვალს დახარბდა.

მე შემდეგშიც შემხვედრია შიმშილისაგან გაშმაგებული ხალხი: თურქმენები, ყაზახები, უზბეკები ბალახსაც შეექცეოდნენ. ზოგი მათგანი კატისა და ძაღლის ხორცს არ იწუნებდა. ზონაში მოქცეული დამშეული ჩინელები და კორეელები ვირთხების ხორცს ჭამდნენ, მაგრამ ის, რაც შეემთხვა რუს ბოიართა ჩამომავალს, გოეთესა და ბაირონის თაყვანისმცემელს, გუვერნიორების ხელში აღზრდილ პროფესორს, არ შემხვედრია. როგორც ეტყობა, ადამიანი რომ ადამიანი გახდეს, წინაპრების ორასი ან სამასი წლის უზრუნველყოფილი ცხოვრება ფუფუნებაში არ არის საკმარისი, აქ ალბათ პირველ რიგში რასის კულტურაა საჭირო, რომელიც წერა-კითხვის ცოდნით და სხვის მიერ დაწერილი წიგნების შესწავლით არ განისაზღვრება.

ახალ უტრადიციო და უადათო ერში [111] ინსტინქტი პირობით რეფლექსზე ძლიერია.



VII საფიჩხიელი კვაჭი

[112] 1941 წლის აპრილში ჩვენი შტაბი სოფელ მალოშუიკაში¹¹³ გადაიტანეს, რკინი-სგზის სამშენებლო უბნის ახლოს, თეთრი ზღვის ონევის ყურის ნაპირზე.

¹¹³ სოფელი რუსეთში, არხანგელსკის ოლქში, სევეროდვინსკიდან 150 კილომეტრის დაშორებით.

მალოშუიკა საკმაოდ დიდი სოფელია, დაბლობზე გაშლილი და ფიჭვ-ნაძვნართი შემოსაღტული. აქ უკვე არსებობდა მშენებლობის ერთ-ერთი სამშენებლო კოლონა, რომელსაც ჩვენი მისვლისთანავე საშტაბო კოლონა დაარქვეს. პატიმრების დიდი უმრავლესობა ახლად ასათვისებელ უბანზე გადაეყვანათ. ძველი შემადგენლობიდან რამდენიმე პატიმარიღა დაგვხვდა. ახალ ადგილზე უკეთ მოვეწყვეთ. სამუშაო და საცხოვრებელი ბინები უფრო ნათელი და ფართო ოთახებისგან შედგებოდა. შტაბი ასიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული ზონას. მესამე დღეს საპატიმროს სადალაქოში შევიარე პირის გასაპარსავად. მითხრეს: დალაქი როგოვენკო გამოცდილი ოსტატიო. რამოდენიმე პატიმარი უცდიდა თავის რიგს. ჩემი ყურადღება მიიპყრო როგოვენკოს მუშაობის თავისებურებამ. სხარტად დასტრიალებდა თავს კლიენტებს. სამ წუთზე მეტს არ უნდებოდა თითოს. როგოვენკო გარეგნობითაც გამოირჩეოდა, ტანადი იყო, წვრილი, მოქნილი წელი ჰქონდა, წაბლისფერი ტალღისებური თმა. ეცვა ბრიჯები, ჩექმები, გევიდან — გახსნილი თეთრი ხალათი.

ჩემი ჯერიც დადგა. თუ აქამდე როგოვენკო ერთ და იგივე ფუნჯს ხმარობდა და წინსაფარი არავისთვის არ გამოუცვლია, ახლა დაფაცურდა, გარეცხილი თეთრეული ამოიღო, ფუნჯი გარეცხა და მხოლოდ შემდეგ შეუდგა ჩემს პირის ფარეშს. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ვერ მივხვდი, რა იყო ამის მიზეზი. როგოვენკოს აქამდე ხმა არ ამოუღია. ამ დროს სადალაქოში რომელიღაც პატიმარმა შემოაღო კარი.

— Костя! — მიმართა მან როგოვენკოს, — სანოვავე ჩამოვიტანე, ყველაფერი რიგზეა!

— კარტოფილიც არის? — იკითხა როგოვენკომ.

[113] სიტყვა კარტოფილი რუსულად წარმოთქვა ასე: „კარტოფელ“.

„ეე—გავიფიქრე გუნებაში,—უსათუოდ ჩვენებურია, ისიც დასავლელი უნდა იყოს, იმერელი ან გურული, აბა სხვა ვინ იხმარს ამ სიტყვას ასეთი გამოთქმით“.



– სადაური ხარ, მეგობარო? – შევეკითხე მე დალაქს ქართულად.

როგოვენკომ თვალეხი დააჭყიტა:

– როგორ მიხვდით, ბატონო, რომ ქართველი ვარ?

– ეგ იოლი მისახვედრია! მიპასუხე, სადაური ხარ?

– იმერელი, ბატონო!

– მერე, გვარი რომ არ გიმტკიცებს ამას?

– ეხ, ჩემო ბატონო, მე ბარე სამი გვარი მაქვს! ამ ლაგერში როგოვენკოს გვარით მიცნობენ, შორეულ აღმოსავლეთში საგიროვის გვარს ვატარებდი, ნამდვილად კი, ბატონო, ლომინაძე ვარ, კოწია ლომინაძე საფიჩხიიდან! სხვასთან არ წამოგცდეთ, ბატონო, ეს თქვენთან ვლაპარაკობ, თვარა ...

– დიდი ხანია ლაგერში ხარ?

– თორმეტი წელი შემისრულდება, ბატონო, აგერ ივლისის თვეში. მეორე „სროკს“ შევუდექი ამას წინათ. უკვე მეორე წელია მას შემდეგ.

– რატომ გამომარჩიე ამდენ ხალხში, რითი დავიმსახურე შენი ყურადღება?

– კაი ხანია მესმის თქვენზე, ჩემო ბატონო, მე არ გამომეპარება კაი კაცის ამბავი. ვიცოდი, რომ შტაბში მუშაობდით, თქვენი გვარი და სახელიც დევიხსომე, აჰა! ძალიან გამეხარდა, ბატონო, ჩვენებური კაცი

¹¹⁴ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „როგოვენკოს (უმკობესია, მისი ნამდვილი გვარი ვიხმაროთ)“.

რომ დაგინახეთ. აწი ერთად ვიქნებით ამ გადაკარგულში!¹¹⁴

ლომინაძეს ამ საუბრის დროს არ შეუწყვეტია მუშაობა. სამართებელი გალესილი შეარჩია და ოსტატურად გამპარსა.

– მერე რისთვის ხარ დაპატიმრებული?

– ეგ გრძელი ისტორიაა, ბატონო, თუ ნებას მომცემთ, სადამოს საათებში გეწვევით ბარაკში, ვიცი, სადაც მიგიჩინეს ბინა დამოგიყვებით ყველაფერს. ერთი [114] კითხვა მეც მაქვს თქვენთან, ჩემო ბატონო.

– ბრძანე!

– გვარით ჩვენებური უნდა ბრძანდებოდეთ, ბატონო, იმერელი, მარა ლაპარაკში ვერ გატყობთ რაცხას ...

– თბილისში ვარ დაბადებული, ჩემო ძმაო, იმერეთში არ მიცხოვრია, სტუმრად თუ ვყოფილვარ მხოლოდ. მამა წარმოშობით ზემო იმერელია სურამის უღელტეხილის მიდამოებიდან. 1929 წელს დავასაფლავე საწყალი. დედა ქართლიდანა მყავს, ლიახვის პირიდან, ისიც თბილისშია დაბადებული. უკვე მოხუცდა საცოდავი.



— ღმერთმა გიცოცხლოს, ჩემო ბატონო, ქვე გეტყობა წესიერ სიტყვა-პასუხზე, ამისთანა ძვირფასი მშობლების პატრონი რომ ბრძანდებით, აპა!

არაფრად მეჭაშნიკა გადაჭარბებული მოლაქუცება ახლად გაცნობილი თანამემამულისა, მაგრამ ქართულს მოწყურებული სიამოვნებით ვუსმენდი.

— ა, ბატონო, — სთქვა ბოლოს ლომინაძემ და გულსაფარი მომხსნა. ყველაფერი რიგზეა, რუსები რომ იტყვიან: МОЖНО И ПОД ВЕНЕЦ (თარგმ.: საქორწილოდ მზად ხარ).

ფული მივაწოდე; იუკადრისა.

— როგორ გეკადრებათ, ქართველ კაცს, ფულს რავა გამოგართმევთ. ნუ მაწყენინებთ, ჩემო ბატონო.

— კეთილი, ჩემზე იყოს!

— აპა, მოგაკითხავთ, სერგეიჩ, ბარაკში.

— მოდი, დაგელოდები!

— ისეთ არაყს მოგართმევთ, ქვას გახეთქავს!

— არაყს? საიდან?

— ამ დალოცვილ ქვეყანაში, ბატონო, არაყს კი არა, ჩიტის რძეს გავაჩენ!

— საშვს გაძღვევენ?

— რად მინდა საშვი, აგერ არ მყავს ეს უტუ რუსი ხალხი? რასაც მინდა, იმას მოვატანინებ, ნემსის ყუნწში გავაძვრენ, წყალზე ჩევიყვან და უწყლოდ დავახრჩობ, აპა! უფროს-უმცროსიანა აგერ არ მყავს ამ ჯიბეში თუ?

[115] რაღა ბევრი გავაგრძელო, ისე შემომიჩნდა ეს „გაქსუებული“ საფიჩხიელი, რომ დამიძმაკაცდა. ამას არც ვნანობ, კარგის მეტი ჩემთვის არა გაუკეთებია რა.

არა ერთხელ მოსულა ოთახში. ისე არ მოვიდოდა, ძღვენი არ მოეტანა. ხშირად გამიტარებია მასთან საუბარში ჩრდილოეთის გრძელი საღამოები. მართალი გითხრათ, დიდი ინტერესით ვუსმენდი მის კოლორიტულ და მახვილგონიერ იმერულ ლაპარაკს. ამ საუბრებში თანდათანობით გამოიკვეთა დასრულებული ავანტიურისტის სახე, რომელსაც თუ შერჩა რაიმე წმინდა — ეს მხოლოდ ოჯახის სიყვარული იყო.

თქვენ შეიძლება შემეკითხოთ: „მეტს რაღას მოითხოვთ ცხოვრებისაგან გათელილ, გადახვეწილ უბრალო დალაქისაგან“.



საქმეც იმაშია, რომ ცხოვრებას როგოვენკო-საგიროვი-ლომინაძე არ გაუთელავს. პირიქით, ის თვითონ თელავდა ყველას და ყველაფერს, ადამიანის ღირსებას და ნდობას, საკუთრებას, ცრუობდა, ცბიერობდა, თაღლითობდა. ეს იყო ღვაწლმოსილი კვაჭი და თავის ლიტერატურულ სეხნიას უთუოდ გაუსწრებდა კიდეც, საშუალო სკოლის ცოდნის დონე რომ ჰქონოდა მიღებული. ოთხ კლასს არ გადასცილებია მისი მოღვაწეობა სასწავლო სარბიელზე და მიუხედავად ამისა, თავისი ნიჭით და მკვირცხლი გონებით დროზე აუღო ალლო ჩვენ დროს და ანგარება გაიხადა ცხოვრების დევიზათ. თხუთმეტი წლისა იყო, კომკავშირში რომ შევიდა და კომკავშირულ რეიდების ეპოქაში ბევრ ქუთათურ ყოფილ ჩარჩ-ვაჭარს გაუშრო სისხლი და „აფცქვნა“ ღალა. თავის სასარგებლოდ ოცი წლისამ პარტიაში შეეყო ცხვირი და სისხლის სამართლის საგამოძიებო სამმართველოში მოიკალათა. სამ წვრილფეხა დამნაშავეს თუ იჭერდა, ერთ მსხვილფეხას თვალს აარიდებდა. მისივე თქმით, დღეში „სამასში“ იჯდა - ე. ი. კაიკაცობისთვის დღეში საშუალოდ სამას მანეთს იღებდა საჩუქრად.

ყოველივე ამას ნიშნისმოგებით, თავგამოდებით ყვებოდა - უყურეთ, რა ყოჩალი და მოხერხებული [116] კაცი ვარო. პირველ საღამოს ჩვენი საუბარი ორი ჭიქა მოსკოვური თავთეთრა არყით შეზავებული ასე დაიწყო:

— დავით ბატონო, რავა დევიჯერო, არ გახსოვთ ამ თორმეტი წლის წინეთ სოხუმში ჩატარებული სასამართლო პროცესის ამბავი.

— რომელი პროცესის? ვის რას ერჩოდნენ?

— ერჩოდნენ კი არა, კინაღამ ტყვია მესროლეს შუბლში: ყალბი ობლიგაციების საქმეზე გავდიოდი, ბატონო. შალვა ღვამიჩავა მყავდა დაქირავებული ვექილად.

— მოიცა, მოიცა, კოწია, მაშ, შენ ის ლომინაძე ხარ, დახვრეტა რომ მოგისაჯეს?

— ის ვარ სწორედ! — გაეხარდა ლომინაძეს. — ძლივს არ გადამარჩინა იმ კაიკაციშვილმა შალვა ღვამიჩავამ. ქე დამიჯდა ოთუსბირი, მარა ის რომ არა, ჩემი ბურდლა არ იქნებოდა დღეს, აპა!

— კარგად აღარ მახსოვს, რა გედებოდა ბრალად?

— მომგებიანი სესხის ობლიგაციების „გაიმასქნება“, ციფრების შესწორება და კაი-კაი მოგების აფცქვნა ხაზინიდან. 650 ათასი მანეთი გამიფორმეს, მარა ნამდვილად ორი იმდენი იყო. თუ თავს არ



შეგაწყენთ, მოგიყვებით ყველაფერს თავიდან.

— კეთილი, მე არსად არ მიმეჩქარება.

— დავით ბატონო, 1929 წელს ქალი შემომაკვდასიმთვრალეში, ციხეში ამომაცოფინეს თავი. პარტია დამატოვებინეს. რა მექნა მე უბედურს! დავუმეგობრდი ციხეში ერთ რუს ებრაელს, განთქმულ „მაშენიკს“, ცეცხლში რომ გადაგეგდოთ, არ დაიწვებოდა. მევილაპარაკეთ. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მე უნდა მეკისრა ობლიგაციების შექენა-ყიდვა ან მოპარვა. სალმანს კი ასე ერქვა, იმ ჩემი ცოდვით სავსეს, ეთერისა და ტუშის საშუალებით უნდა შეესწორებია ამ ობლიგაციებში ზოგიერთი ციფრი გაზეთში გამოცხადებული მოგებული ობლიგაციის შესაფერ ციფრებით. შემდეგ ორთავე თანაბრად გავიყოფდით დამზადებულ ობლიგაციებს და შევუდგებით შემნახველ სალაროების ჩამოვლას. წინდახედული კაცი ქე ¹¹⁵ ებრაელი. იყო, ის ყიური,¹¹⁵ დიდი თანხის მოგებას ერიდებოდა. სამაგიეროდ, ობლიგაციების რაოდენობით ინაზღაურებდა [117] და გამოდიოდა უზურში, აპა! მერე შეგვეშინდა. შემნახველ სალაროებში ისე ხშირად დავდიოდით, რომ ძალღიჯ გვიცნობდა. ჩავრიეთ ცოლები. მათაც უნდა ევლოთ ქალაქიდან ქალაქში, უმეტესად კურორტებზე და ეკრიფათ სწრაფად სამთუმნიანები.

— მერე და როგორ ჩავარდით?

— ვინ გეივებდა, ბატონო, რამეს, ქალები რომ არ ჩარეულიყვნენ ჩვენ საქმეში. მე კი მიყვარს ჩემი ოჯახობა, მაგრამ ქალს, ბატონო, წვრილი თვალი აქვს, სხვისაზე ხარბია ნამეტანი. იმ ყიურის ცოლს მოეჩვენა, რომ ჩემ ცოლს კარაკულის ოთხი პალტო ჰქონდა, ჩემსას იმ ქალის ბრილიანტებმა მოჭრა თვალი და ატეხეს ჩხუბი, მარა არ იტყვით რაფერი?! მეზობლებს არ მოერიდნენ, ქუჩაც დეიმოწმეს, ერთმანეთს თმები დააგლიჯეს, სახე დაუკაწრეს. ძლივს გაუშველებია თურმე მილიციას. ისედაც ეჭვი ჰქონდათ ჩვენზე და ამ ჩხუბის შემდეგ ღამით თავს დაგვადგნენ. ჩემი „ყიური“ ახალ ობლიგაციებს ამზადებდა პადვალში იმ დროს. ზედ საქმეზე წაგვასწრეს.

— გირტყეს?

— რავა, ბატონო, კონტრრევოლუციონერები ვიყავით თუ? გვირტყეს კი არა, უბატონოდ ხმას არ გვცემდნენ. ჩემ ცოლს ამ უშველებელი ხროვის შენახვა უფროს-უმცროსებიანა ქე დაუჯდა ფასად, აპა! მარტო ადვოკატი ღვამიჩავა რად დაგვიჯდა. ნაშოვნი ნახევარი იმან აგვწაპნა.



ნახევარ მილიონი მანეთი მოსკოვში დაიხარჯა სიკვდილით დასჯის მუხლის მოსახსნელად.

– ორივეს უმაღლესი სასჯელი მოგისაჯვს?

– ორივეს! ღვაშიჩავამ დავიხსნა ორივე. აცხონოს ღმერთმა, შვეიცევე, დაუხვრეტიათ თურმე 1937 წელს თბილისში! იმ ჩემი ძმა-კაცის, სალმანის დახვრეტა კი იქნებოდა ცოდვა, ბატონო, ნამეტანი ჭკვიანი და მოხერხებული კაცი იყო ნამდვილად: ნასწავლი, ნავალი, ხუთი ენის მცოდნე, რომელ განათლებულს ჩამოუვარდებოდა ცოდნით. პროცესზე, [118] ბატონო, მისი გაკეთებული ყალბი ობლიგაციები ექსპერტებმა ნამდვილად იცნეს და ნამდვილი – ყალბათ, აბა!

აი, ასეთ ბაასში ვატარებდით ზოგჯერ დროს მე და კოწია ლომინაძე. მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი, უნებურად მიზიდავდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქართულად დალაპარაკების სურვილი მიპყრობდა.

ერთ მშვენიერ დღეს ლომინაძეს ქუთაისიდან ცოლი ეწვია. როგორ მოახერხა ომის პირობებში ათასგვარი კორდონების და დაბრკოლების გადალახვა იმ ქალმა, ეხლაც ვერ წარმომიდგენია. თუმცა ომის ბედი უკვე ჩვენს სასარგებლოდ იყო შემოტრიალებული, მაინც ძნელი იყო თითქმის 4000 კილომეტრის გავლა და საქართველოდან აქ, შორეულ ჩრდილოეთში ჩამოსვლა, ისიც რამდენიმე დღით.

ჩამოვიდა და ქმარს ძღვენიც ჩამოუტანა: აფხაზური აჯიკა, უცხო სუნელი, წიწაკის წნილი, ღორის ქონი, ჭადის ფქვილი, იმერული ყველი, ერთი დიდი ქილა საცივი. ქმართან პაემნის უფლება ადვილად მიიღო¹¹⁶. ზონაში ოთახიც გამოუყვეს სამი დღით. იმავ საღამოს ლომინაძე მოვიდა ჩემთან, შემატყობინა ცოლის ჩამოსვლა და მთხოვა ვწვეოდი. რასაკვირველია, წავედი.

¹¹⁶ ავტორის მიერ წამოლილი ტექსტი: „მისი თაღლითობის მუხლი ხელს არ უშლიდა“.

ქალი გადაქართველებული რუსი აღმოჩნდა – ტანადი, მოცინარი, ლამაზიც, მაგრამ თვალეზში შევამჩნიე ის, რაც დვას ბიწიერებისა და უბიწოების საზღვარზე, უფრო – ბიწიერი. ქმარი, რა საეჭვოა, უყვარდა, აბა ისე რა გააბედვინებდა ამ სიშორეზე წამოსვლას. ეს იყო მისი დადებითი მხარე. ყველაფერს დანარჩენში კი ჭარბად ემჩნეოდა სიხარბე, ანგარება, ცბიერება. ამის დასტური მე მალე მივიღე.

ჩემს სტუმრობას შეურიგდა, სხვა გზა არ ჰქონდა, მაგრამ როდესაც ქმარმა განაცხადა, წავალ ვახშამზე ორიოდ საჭირო კაცს დაუძახებო, დიდათ იუარა:



– ესღა მაკლდა, ახლა ვინცხა გადამთიელმა [119] რუსმა რომ შესანსლოს ეს ჩვენებური პურ-მარილი, ამისთვის მევიწყვიტე წელი? შენთვის მინდოდა, შე უბედურო, შენთვის. მოეშვი, კოწია, აგერ არა ხართ ორი ვაჟკაცი?

ქმარმა თავისი გაიტანა. შეატყო თუ არა ქმარს, რომ დათმობაზე არ აპირებდა წასვლას, ქალმა გადმომხედა, თვალი ჩამიკრა და ქმარს გამოუცხადა:

- აჰა, კარგი, წაბრძანდი, მოიყვანე შენი ძმაკაცები!
- კოწია გავიდა. მისი ცოლი შემეკითხა:
- დავით სერგეიჩ, პიმპილიანი საჭმელი თუ გიყვართ?
- როგორ არა, დიდი ხანია მონატრებული ვარ!
- აჰა, მე ვაჩვენებ რუსებს სეირს!

გადმოიღო საცივით სავსე ქილა, მოხსნა პირი და მთელი კოვზი აჯიკა ჩაუშვა შიგ. ამასობაში სტუმრებიც მოვიდნენ. კოლონის უფროსის მოადგილე და მისი თანაშემწე. გაშლილი სუფრის დანახვებზე თვალეები გაუბრწყინდათ და გამხიარულდნენ. ლეიტენანტი არცის ეშხით ადვილად შეურიგდა ჩემს „ხალხის მტრის“ გვერდით სუფრაზე ჯდომას *Знаю, мол, земляки, чего уж там*¹¹⁷.

¹¹⁷ აავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „გარდა ამისა, მე შტაბში ვმუშაობდი და ჩემთან ურთიერთობის გაფუჭებას მოერიდა. იმის უფროსს ხშირად ვხვდებოდი სამსახურეობრივ ურთიერთობის პირობებში“.

(თარგმ.: ვიცი თანამემამულეები ხართ, რაზეა საუბარი)

ლომინაძის ცოლმა ღორის ქონი არ გამოაჩინა. წინასწარ გამომცხვარი ჭადი და თითო თეფში საცივი დაგვიდგა ყველას. ყველიც დაგვიჭრა. სტუმრებმა არცით სავსე ჭიქებს მოკიდეს ხელი. ხანშიშესულმა კოლონის უფროსის თანაშემწემ უღვაშებზე გადაისვა ხელი და დალოცა დიასახლისი: „*За хозяйку! Это все она...*“ (თარგმ.: დიასახლისის იყოს! ეს ყველაფერი მან მოამზადა...) და გადაჰკრა, ორნახადმა არაყმა ისე წაუჭირა ყელში, რომ ძლივს მოითქვა სული, ცრემლები გადმოსცვივდა. ლეიტენანტი კი ხველებამ კინალამ დაახრჩო.

„*ВОТ ЭТО ДА...*“ – (თარგმ.: აი ეს მესმის) ძლივს წარმოთქვა მან, მაგრამ ჩაიდეს თუ არა პირში საცივის [120] პირველი ლუკმა, ორივე წამოხტა პირდაღებული. სახებზე ჭარხლისფერი დაედოთ და ხშირ-ხშირად ჰაერს ისუნთქავდნენ, ერთხანს სიტყვა ვერ ამოიღეს.

– ღმერთო ჩემო, ეს რა ბარბაროსული საჭმელია!

ძლივს წაილულულა ცრემლმორეულმა ლეიტენანტმა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. კოწიამ ცოლს გადახედა, მიხვდა, რომ ეს მისი



ონები იყო, თვითონაც ისე, როგორც მე, გაუძნელდა საცივის ჭამა:

– Нет, хозяйюшка, это не про нас, мы уж какнибудь водочку хлебом простым закусим! Больно наперчено! (თარგმ.: არა დიასახლისო, ეს საჩვენო არაა, როგორმე არაყს და ცარიელ პურს ვიკმარებთ! ჩვენთვის ძალიან ცხარეა)

ლომინაძის ცოლს თვალეები ეშმაკურად უდიმოდა. ბოლოს შეიცოდა სტუმრები და პატარა ნაჭერი ღორის ქონი გამოიღო კარადიდან. სამმა ჭიქა ორნახადმა არაყმა ჩვენს უფროს ძმებს კისერი მოსწყვიტა — არც ჭამის და არც ლაპარაკის თავი არ ჰქონდათ. მე და ლომინაძემ მივაცილეთ ორივე თავთავის ბინაზე¹¹⁸ და დავბრუნდით. ლომინაძის ცოლი სიცილით შეგვხვდა.

¹¹⁸ ავტორის მიერ წამლილი ტექსტი: „ლეიტენატი ახლოს, ზონის გვერდზე ცხოვრობდა“.
¹¹⁹ ავტორის მიერ წამლილი ტექსტი: „ქუთაისიდან ჩამოტანილი საცივი ჩვენს მეტს არავის არ უჭამია. რამდენიმე დღე ცხელ ჭადს და იმერულ ყველს გაახლებოდით. თითქმის ყოველ საღამოს მივყავდი ბინაზე როგოვენკო-ლომინაძეს. იმასავე მოწყურებული ჰქონდა ქართული ლაპარაკი და უჩემობა უძნელდებოდა“.

აბა, რა იცის ამ უტუ ხალხმა ჩვენებური საჭმლის გემო! ცოდვა არ არის მაგათზე დეიხარჯოს ჩემი ნაშრომ-ნაწვალეები ქართული პურმარილი? გუნებაში გამეცინა. დედით და მამით რუსი ქმრის ხელში გადაქართველებული, ქმრის თაღლითობის

მონაწილე და ხელის შემწყობი დიაცი თავის თავს ქართველად სთვლიდა და ამით ამაყოფდა კიდევ¹¹⁹.

კოლონის უფროსის ნებართვით ცოლ-ქმარს პაემანი ათ დღემდე გაუგრძელეს და ბოლოს ეს დღეც დადგა და ეს მხნე, ყველაფრის ამტანი, ცეცხლში და წყალში არაერთხელ ნამყოფი ქალი გაუდგა გზას სამშობლოსაკენ. ჩემი წერილიც გაიყოლა. როგორც შემდეგ შევიტყვე, ჩემ ოჯახში მისულა და ამბავი ჩაუტანია. ჩემი მეგობრობა კოწია როგოვენკო-ლომინაძესთან არ შეწყვეტილა. რამდენჯერმე მეც გავუწიე [121] დახმარება, რადგან შტაბში განყოფილება მეზარა და ბანაკის ხელმძღვანელობას თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი.

სიმართლე უნდა ითქვას, კოწია მე გულწრფელად მიფრთხილდებოდა და არცერთხელ არ უთხოვია დავხმარებოდი ისეთ საქმეში, რაც ოდნავ მაინც ჩირქს მოსცხებდა ჩემს სახელს და მდგომარეობას ბანაკში. ისე კი მას ბანაკის ყოველგვარ გაიძვერებთან ჰქონდა გაბმული ქსელი და სარგებლობდა ამით. ნახევარ ლიტრა არაყში ჩაცმა-დახურვას და პურმარილს არ იკლებდა. უფროსებთანაც კარგად იყო, ასეთ კვალიფიციურ ოსტატს ისე ადვილად ვერ მოძებნიდნენ.



მასსოვს სელექტორით გამომიძახა პატიმართა ლაზარეთის უფრო-სმა ექიმმა, „ხალხის მტერმა“ კიეველმა პროფესორმა დ. მ. დუმბაძემ:

— ამხანაგო გორგაძე, მე თქვენ შორიდან გიცნობთ. მოხარული ვარ, რომ ქართველი კაცი მეგულებით მშენებლობის შტაბში.

— მადლობთ, რით შემიძლიან გემსახუ-როთ?¹²⁰

¹²⁰ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ვუბახუხე მე. მე მქონდა გაგებული იმის ამბავი, თუმცა პირადათ არ შემხვედროდა. ლაზარეთი ოცდახუთი კილომეტრით იყო დაშორებული ჩვენგან“.

— აქ ერთი გორელი ქართველი გვყავს ავადმყოფი. ოპერაცია გავუკეთე. ჩქარა გამოვწერ, იქნებ დაეხმაროთ და სადმე მოაწყოთ იოლ სამუშაოზე. საწყალი კაცია, დაბალი განათლებით. რუსულიც უჭირს. მე გამოვკითხე გვარი, სახელი და აღვუთქვი დახმარება, რაც მალე შევასრულე. დ. დუმბაძემ მადლობა გადამიხადა და ასე დასძინა:

— კიდევ თქვენთან არის თუ არა ჩემი „ძმაკაცი“ კოწია ლომინაძე?
— გახლავთ!

— გადაცით ჩემი სალამი! სამი თვე მყავდა აქ სამკურნალოდ და მართალი გითხრათ, დამენანა მისი გაშვება. „Весьма колоритная фигура, не правда ли? Хотя и из наших, но хитрая бестия!“ (თარგმ.: ძალიან კოლორიტული ფიგურაა, არა? მართალია ჩვენებურია, მაგარამ დიდი ეშმაკი ვინმეა) — დაუმატა მან და სელექტორში მომესმა მისი როხროხა სიცილი.

ქურდების სამყაროში კოწიას Костя парикмахер-ს (თარგმ.: კოსტია დალაქი) [122] უძახდნენ და ამ სიტყვაში იგრძნობოდა ერთგვარი პატივისცემა. კოლონის უფროსმა მას Личный цирюльник (თარგმ.: პირადი დალაქის)-ის წოდება მიანიჭა და ამით ბანაკში შეუვალე ავტორიტეტი შეუქმნა. ერთი სიტყვით, ჩვენი საფიჩხიელი კვაჭი ჩინებულად გრძნობდა თავს.

არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, რომლის მოყოლის დროს თვალები უბრწყინავდა, რადგან ეს ამბავი თავისი ბიოგრაფიის ყველაზე უფრო საამაყო ფურცლად მიაჩნდა. ეს იყო თაღლითის და გაიძვერას „რომანტიკა“.

აი ეს ეპიზოდი: იმ წლებში, როდესაც კოწია ლომინაძე თავის კომპანიონ სალმანთან ერთად მოღვაწეობდა და ყალბ ობლიგაციებს ამზადებდა, ის თბილისში ცხოვრობდა, რომელიღაც განაპირა უბანში. ცოლმაქუთაისიდანწერილითშეატყობინა, რომსაფიჩხიაგესასწრაფოდ იყიდება მშვენიერი ორსართულიანი აგურის სახლი და აბა, შენ იციო.



იმ დროის კვლობაზე თანხა საკმაოდ დიდი იყო. შეწუხდა კოწია. აწრიალდა, გასასყიდი სახლი ბავშვობიდან გულში ჰქონდა ჩავარდნილი და მის ხელიდან გაშვებას როგორ შეურიგდებოდა. იმჟამად საჭირო თანხის მეთაფიც არ გააჩნდა¹²¹. ობლიგაციის „შესწორება“ დიდ მოგებაზე კი საშიში იყო, ასეთ ობლიგაციას სპეციალურად ამოწმებდნენ. მოელაპარაკა სალმანს, ბევრი იმსჯელეს და შეთანხმდნენ, რომ

კოწია „მომგებიან“ ობლიგაციებს ბაქოში გაიყოლებდა (იქ ჯერ არ უსარგებლიათ ნადავლით). ლომინაძე მანაც შიშობდა, სალაროებში ასე ხშირმა სიარულმა ასი ობლიგაციის გასანაღებლად ეჭვი არ დაბადოსო და ყალბი საბუთები დაამზადა. ერთი იმის შესახებ, რომ კონსტანტინე პორფილეს ძე ლომინაძე მუშაობს ყარაიაზის ბამბის საბჭოთა მეურნეობა „პირველ მაისის“ დირექტორის მოადგილეთ სამნეო ნაწილში და მივლინებულია ბაქოში სათადარიგო ნაწილების შესაძენად, მეორე – საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა [123] სია, რომელთა ობლიგაციებმა მოიგეს სხვადასხვა თანხა (ამ ობლიგაციების ნომრები გვარების გასწვრივ იყო აღნიშნული), მესამე, რომ საბჭოთა მეურნეობის სამკუთხედი ანდობს კ. ლომინაძეს ობლიგაციების მონაგების მიღებას.

ყოველივე ამის დამზადება, რასაკვირველია, სალმანს და ლომინაძეს არ გაუჭირდებოდათ, „უახლესი ტექნიკა“ ხელთ ჰქონდათ და გამოცდილებაც არ აკლდათ¹²².

ყარაიაზის მეურნეობის აღნიშვნა საბუთში იმით იყო „გამართლებული“, რომ იმხანად ამ პატარა რაიონში შემნახველი სალარო არ იყო გახსნილი. ასეთი „უტყუარი“ საბუთებით შეიარაღებული გაემგზავრა კ. ლომინაძე ბაქოში.

ნაშუადღევს სამ საათზე ბაქოს ცენტრალურ შემნახველ სალაროში შევიდა ახალგაზრდა, კარგად გამოწყობილი კაცი, მხარზე საველე ჩანთა გადაკიდებული. იერით ჩეკისტს ან დემობილიზებულ სამხედრო პირს წააგავდა: გალიფე, კარგად მორგებული შალის გიმნასტიორკა, ხრომის ჩექმები, ტყავის ფართო ქამარი პორტუპით.

¹²¹ აავტორის მიერ წამოლილი ტექსტი: „დამუშავების“ პროცესში მყოფი ობლიგაციები მხოლოდ სამი თვის შემდეგ შეეძლო გამოყენებინა. სახლს ვინ გაუჩერებდა“.

¹²² აავტორის მიერ წამოლილი ტექსტი: „რაც მთვარია, კოწია ლომინაძეს პორტფელში „მომგებიანი“ ობლიგაციები ეწყო. ეს იყო ყველაზე დამაჯერებელი საბუთი, მაგრამ საერთო ჯამის დიდ თანხას (150 ათ. მან) შეეძლო მიეპყრო ვისიმე ყურადღება, ზემოჩამოთვლილ საბუთების გარეშე“.



სწრაფად, როგორც საქმეებით ძალიან დატვირთულ კაცს შეეფერებოდა, მიადგა ერთ-ერთ სალაროს და დამტვრეული რუსულით მიმართა მოლარეს:

– უკაცრავად, ქალიშვილო, შემიძლია მივიღო მოგება ობლიგაციებზე?

– რასაკვირველია, შეგიძლიათ!

– კი, მაგრამ საკმაოდ დიდი თანხაა!

– მაინც რა უნდა იყოს ისეთი, რომ განაღდება ვერ შევძლოთ!

– 320 ათასი მანეთი!

ქალი დაიბნა, ასეთ დიდ თანხას არ მოელოდა და მხოლოდ წაილულლულა:

– ეს სულ თქვენია?

– ეგ გრძელი ისტორიაა, მე დრო არა მაქვს თქვენთან სალაპარაკოდ. გამინაღდებთ თუ არა?

¹²³ აენეს მნაცაკანოვი (1888 - ?) – ბაქტელეგრაფის დირექტორის მოადგილე. დააპატიმრეს 1938 წელს. გასამართლდა 1941 წლის 8 სექტემბერს ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით. მიესაჯა ხუთწლიანი პატიმრობა.

– უფროს მოლარეს მიმართეთ. [124]

– სად არის თქვენი უფროსი?

– აგერ იმ კუთხის სალაროში ზის, მიბრძანდით, მისი გვარი მნაცაკანოვია¹²³.

კუთხის სალაროში ლომინაძეს დახვდა ჩია ტანის, ხნიერი, შავვკრემანი კაცი შუბლზე აწეული სათვალით. გამგე გაეცნო საბუთებს და ობლიგაციები მოსთხოვა. ლომინაძემ პორტფელიდან ამოიღო ასზე მეტი ობლიგაცია და მიაწოდა. მოხუცმა დიდხანს ათვალიერა, ხელითაც მოსინჯა, სინათლეზეც გახედა, დასუნა კიდეც, შემდეგ უკან გაუწოდა.

– დიდი თანხაა, ამხანაგო, უნდა შევეკითხო ფინანსთა სახალხო კომისარიატს. ეს სია დამიტოვეთ, ობლიგაციები კი თქვენთან იყოს. ხვალ მობრძანდით და გაგინაღდებთ!

ლომინაძემ საფრთხე იგრძნო და ნაცად დემაგოგიურ ხერხს მიმართა:

– თქვენი გვარი, ამხანაგო?

– მნაცაკანოვი!

– მეფის დროის ჩინოვნიკი იქნებით, ალბათ!



– დიას, რევოლუციამდე სახაზინო პალატაში ვმუშაობდი.

– გეტყობათ, გეტყობათ.

– რა მეტყობა, რა გაქვთ მხედველობაში?

– რა და ის, რომ ბედავთ პარტიისა და ხელისუფლების ღონისძიების დისკრედიტაციას. მარტო ობლიგაციები რომ წარმომედგინა, ისიც საკმარისი იყო, რომ თქვენ დაუყოვნებლივ გაგენადებინათ, მე კი, ხალხის ნდობით აღჭურვილს, იმის საბუთიც მაქვს, რომ საბჭოთა მეურნეობის მუშების ოფლით ნაშოვნი ფულის მიღება დამავალეს. იქნებ გგონიათ ბაქოში მხოლოდ ამისთვის მომავლინეს? მე მანქანა-იარაღები შევიძინე და გავაგზავნე და მხოლოდ მუშების თხოვნის შესასრულებლად დავრჩი, რკინისგზის ბილეთი ჯიბეში მაქვს, ხვალ უკვე ადგილზე უნდა ვიყო. რა ვუთხრა ამხანაგებს?

ლომინაძემ თავის „სამართლიან აღშფოთებაში“, როგორც ეტყობა, ოდნავ გადააჭარბა და მნაცაკანოვს [125] ეჭვი გაუორკვეცა.

– ხვალამდე ვერაფერს დაგპირდებით.

– მაშ, თუ ასეა, თქვენზედაც მოვნახავ კანონს!

– როგორც გენებოთ! – ჩაეცინა მნაცაკანოვს. ლომინაძემ, „რასაკვირველია“, არც ერთი საბუთი არ დაუტოვა. შემნახველი სალაროდან აპილბილებული გამოვარდა ქუჩაში და თავისთვის ჩაილაპარაკა: „რავა უნდა გამაცუროს ცინულზე ამ გამოყრეხულმა სომეხმა, კოწია ლომინაძე არ ვიყო, თუ კვანტი არ გამოგდო, მნაცაკანოვი ხარ თუ ვინცაღა ხარ“.

გამოკითხა საგუშაგოზე მყოფ მილიციელს, სად იყო სახელმწიფო უშიშროების რაიონული განყოფილება და სწრაფი, საქმიანი ნაბიჯით გაეშურა იქით.

საკომენდანტოში განაცხადა, რომ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე აქვს და მოითხოვა მოეხსენებინათ უფროსისათვის. უფროსი აღმოჩნდა ორრომბიანი ჩეკისტი, ჩასუქებული, აუჩქარებელი აზერბაიჯანელი. შესვლისთანავე ლომინაძემ არც აცია, არც აცხელა, მისალმებისთანავე შეტევაზე გადავიდა.

– ეს რა ხდება შენს რაიონში, ამხანაგო? ხალხის მტრებს მოუკალათებიათ შენს გვერდით და შენ აქ არხეინად გრძნობ თავს!

– უფროსი გაოცებული შესცქეროდა მისთვის სრულიად უცნობ



¹²⁴ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ბოდიში, მაგრამ შენ ვინ ხარ და რა საქმე გაქვს ჩემთან?“

– მადლობელი იყავი, რომ ჩემთან გაქვს საქმე, თორემ სხვა რომ ყოფილიყო, ჩემ ადგილას შენი კაიკაცობის საქმე ბ-ის ყურამდე მიაღწევდა უმაღლეს გუსენოვი გამტვრდა. ლომინაძე რომ ქართველი იყო, ამას კარგად ხედავდა. თამამმა და გაბედულმა ტონმა, ცოტა არ იყო, შეაკროთ“.

ლომინაძეს. გუნებაში გაუელვა: „აღბათ ორგანოებშია ნამუშევარი და ამიტომ ასე გასწორ-გასწორ მელაპარაკებო“¹²⁴.

საწერ მაგიდას მოსცილდა, გაიღიმა და თავაზიანად სთხოვა:

– დაბრძანდი, ამხანაგო, დაისვენე. რა იყო, რა მოხდა ისეთი?

[126] – რა მოხდა და შენი ყურის ძირში დაშნაკები და კონტრები საცინად იგდებენ ჩვენ პარტიას და ხელისუფლებას.

– მოიცა, მოიცა, კაცო, რომელი დაშნაკები, რაზე მელაპარაკები?

– უპირველესად ყოვლისა, რატომ არ მკითხავ, ვინა ვარ და საიდან ვარ ჩამოსული. ჩეკისტი არ ხარ, შე კაცო? აი საბუთები! – უფროსმა სამივლინებო ქალაქს და პირადობის მოწმობას გადახედა, დარწმუნდა, რომ მის წინ ორგანოების მუშაკი არ იყო და დამშვიდდა.

– კი, მაგრამ სად გამონახე ჩემს სამრევლოში დაშნაკები, არ მეტყვი?

– კაცო, აგერ შემნახველ სალაროში ვინცაღა მნაცაკანოვია, ძველი დროის ჩინოვნიკია, უარი თქვა ობლიგაციების განაღდებაზე. სახელმწიფო აძლევს და ის ვინ ოხერია, უარზე რომ დგას? მე ჩემი საქმე მოვათავე და სამეულის დავალებით მინდოდა გამენაღდებინა ობლიგაციები და გამეხარებია მუშა-მოსამსახურენი.

– ობლიგაციები თანა გაქვს?

– აჰა, ისე რომელი სულელი შეგაწუხებდა ამხელა კაცს. იმ ჩემი ცოდვით სავსე გადამთიელმა სომეხმა ბრძანა [124] დიდი თანხაა, აბა რა ეგონა, ასი კაცის ობლიგაციები ჯიბის ფული იქნებოდა თუ როგორ? ა, ბატონო, სია, ა ობლიგაციები, ა, ბილეთი, დღეს ვაპირებდი დაბრუნებას.

უფროსმა ყველაფერი გულდაგულ გადასინჯა და ტელეფონით გამოუძახა შემნახველი სალაროების რესპუბლიკურ სამმართველოს უფროსს:

– ამხანაგი ალიევი მინდა. თქვენა ხართ? სალამი! მე გუსეინოვი ვარ. ჩვენს რაიონში სალაროს გამგეთ ვინ გყავთ მნაცაკანოვი? სწორედ მაგ საეჭვო პიროვნებაზე მინდა შეგეკითხოთ: კაცი ჩამოვიდა საქართველოდან, საბუთები წესრიგში აქვს. მუშების დავალებით



ობლიგაციების განაღდება სურს. როგორ? რასაკვირველია, ხელთ აქვს. დიახ ... უბრძანეთ დღესვე გასცენ ფული, თორემ ჩემთან ექნებათ საქმე ... გამოგზავნეთ მნაცაკანოვის პირადი [127] საქმე. დიახ, ხვალისთვის ... მადლობთ.

გუსეინოვი ადგა, მეგობრულად გაუღიმა ლომინაძეს, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

– ყველაფერი რიგზე იქნება, აბა, წადი ახლა და ჩაიბარე ფული. ბიუროკრატებს ჩემს რაიონში არ გავაჭაჭანებ!

– ნამდვილად ბოლშევიკურად გადაწყვიტე ეს საკითხი, ჩემო ძმაო, სწრაფად და სამართლიანად. ამიერიდან უფრო მეტად შემეყვარდა თქვენი ხალხი. დიდად დამავალე სწორედ.

– არაფერია, არაფერია, ეს ჩემი მოვალეობაა!

– კარგად მეყოლოს შენი თავი, ძამია, მისდღემში არ დამავიწყდება შენი დახმარება, ნახვამდის!

გამოვიდა თუ არა კაბინეტიდან, დამთხვეულივით გაეშურა შემნა-ხველ სალაროში. იქ უკვე ელოდნენ. თვითონ მნაცაკანოვმა დაუთვალა კუთვნილი თანხა; ბოდიშიც მოიხადა. ლომინაძემ კიდევ ერთხელ შეუბღვირა, რაღაც წაილულულა და მოშორდა იქაურობას.

ამ ეპიზოდის მოყოლისას კ. ლომინაძე წამდაუწუმ მიყურებდა თვალებში, თითქოს ამბობდა: აბა, შემომხედე, რა ბიჭი ვარო¹²⁵.

შრომა-გასწორების ბანაკებში შრომას პატივს არ სცემენ. ეს თითქოს პარადოქსია, მაგრამ ეს ასეა, ყოველ შემთხვევაში არავითარი ფასი არ ჰქონდა პატიმარის წარსულ მოღვაწეობას. აკადემიკოსი, პროფესორი, მწერალი ან სხვა დარგის დიდი

სპეციალისტი აქ უფრო დაბალ საფეხურზე იდგა, ვიდრე არამზადა, მცირეწლოვან ბავშვთა გამხრწნელი, ბანდიტი, მკვლელი და მზაკვარი. ბანაკის უფროსი იმით უფრო ამაყობდა, რომ მის მზრუნველობის ქვეშ ვ. მიროშნიჩენკო და როგოვენკო-ლომინაძე-საგიროვი იყვნენ, ვიდრე [128] საერთაშორისო მასშტაბით სახელმძღვანელო აკადემიკოსი ან გამოჩენილი პროფესორები.

¹²⁵ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მას თითქოს სინდისი აწუხებდა. მას უბრალოდ სინდისი არ ჰქონდა. ეს იყო დასრულებული ავანტიურისტი, რომელსაც თვალთმაქცობა და თაღლითობა ხელობად ჰქონდა გადაქცეული“.



VIII

შეხვედრები და შთაბეჭდილებები

[129] თითქმის შვიდი წელი დავყავი შრომა-გასწორების ბანაკში (უმჯობესია, ამ ბანაკს საკონცენტრაციო უწოდოთ, ეს უფრო შეეფერება მის შინაგანაწესს) და უნებურად მიხდებოდა ყოველი ჯურის ნაძირალებთან ურთიერთობა. იმ წლებში მათი რიცხვი შედარებით მცირე იყო და პატიმართა საერთო შემადგენლობის ერთ მესამედს არ აღემატებოდა. დანარჩენები „ხალხის მტრები“ ვიყავით, უნდა სიმართლე ითქვას: ციხეები, ეტაპები, ბანაკები, სხვადასხვა ერის, ტომის, ასაკის, ხასიათის ათასები, ათათასები — ბოროტები, კეთილები, ჭკვიანები, ბრიყვები და უმეცრები — ვინ არ შემხვედრია, ვინ არ მინახავს, მაგრამ ათასში ერთი თუ იყო „ხალხის მტერი“¹²⁶.

არ მახსოვს, საიდან შევიტყვე, მაგრამ 1937-38 წლებში რეპრესირებულთა რიცხვი საბჭოთა კავშირში ოც მილიონ კაცს აღწევდა. ვინ და რისთვის გარიყა ცხოვრებიდან ეს ვეებერთელა არმია? ხშირად, ძალიან ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს: რა მოხდა? ვინ დააყენა ყალფზე სიბოროტე და უსამართლობა? ვინ გახდა ორპირობა, ჯაშუშობა, მუხანათობა და ვერაგობათაობების მამოძრავებელ ტოტალურ დევიზად? ნუთუ ძველ, თუნდაც დამნაშავე თაობასთან ბრძოლაში ყველა ხერხია გამართლებული, მათ შორის პავლიკ მოროზოვის¹²⁷ სახელის კულტად [130] აღიარება? ან ხელოვნურად მოტმასნილი ბრალდების გამო რეპრესირებული მშობლების გვარის აღმოფხვრა ბავშვთა გულიდან? ეს ხომ ტრალედიია! განა ამ პრინციპზე ჩვენ მოქალაქეს ვზრდით?

¹²⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „არ ვიცი, შესაძლებელია საბჭოთა სისტემის ნამდვილი მტრები მეთნი იყვნენ, მაგრამ ისინი თითქმის არ შემხვედრიან. ან სხვა ლაგერებში უყრიდნენ თავს ან და 1937-38 წლებში დახვრიტეს ჩვენს საკონცენტრაციო ბანაკში „ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულის ჩამდენთა“ დიდი უმრავლესობა, მათ შორის საბჭოთა არმიის სარდლები, გამოჩენილი მეცნიერები, ინჟინრები, ეკონომისტები, ექიმები, ძველი გამოცდილი მუშები და გლეხები, დიდი და პატარა პარტიული მუშაკები - ისევე შორს იყვნენ კონტრრევოლუციური საქმიანობისაგან, როგორც ყოველი „კარში“ დარჩენილი საბჭოთა მოქალაქე“.

¹²⁷ **პავლე (პავლიკ) მოროზოვი (1918-1932)** — „პიონერი-გმირი“ და „საბჭოელი ბავშვის იდეალი“. საბჭოთა პროპაგანდისტული ვერსიის მიხედვით, პავლიკ მოროზოვმა კომისრებთან დააბეზლა საკუთარი ოჯახის წევრები და მათ კულაკობაში დასდო ბრალი. პავლიკი და მისი ძმა, თევდორე ბაბუამ და ბიძამ მოკლეს. [Юрий Дружников – „Доносчик 001, или Вознесение Павлика Морозова“]



მეექვება! ჩვენ ვზრდით ცინიკს, ურწმუნოს, ვერაგს და ცბიერ თაობას, რომელსაც ვერ მოვთხოვთ უფროსთა წინაშე მოკრძალებას და თავაზიანობას. ამის ღირსი ჩვენ არა ვართ, ჩვენ თვითონ ჩავუნერგეთ მათ ზიზღი და უნდობლობა უფროსების მიმართ.

¹²⁸ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი:
„განა მას აღმზრდელობითი ხასიათი
ჰქონდა იმხანად?“

აი, თუნდაც ჩვენი ბანაკი¹²⁸. განა ურცხვობა არ იყო მისთვის გამასწორებელი დაწესებულების სახელის მიცემა? განა შეიძლებოდა ასე წინდაუხედავად არევა ერთმანეთში „ხალხის მტრებად“ აღიარებული პატიოსანი ადამიანებისა და ანტისაზოგადოებრივი, თავით ფეხამდე გასვრილი ვიგინდარების, კანონის წინაშე დამნაშავეს, მკვლელისა და მზაკვარისა? ციხე და ბანაკი ბოროტებაში არაფერს მატებს და არც არაფერს აკლებს, პროფესიულად კი ამდიდრებს და ამრავალფერებს მის ისედაც ბინძურ გამოცდილებას, უდანაშაულოს კი აბოროტებს. თუ დაპატიმრებამდე „ხალხის მტრების“ დიდი უმრავლესობა გამოირჩეოდა წესიერებით და პატიოსნებით, სახელმწიფოს მიმართ არა მარტო ლოიალობით, არამედ გულწრფელი ერთგულებითა და პატრიოტიზმით, შინსახკომის შიდაციხეებში და საკონცენტრაციო ბანაკებში ბევრმა მათგანმა დიდი სულიერი კატაკლიზმი განიცადა — გზა და კვალი აებნა, დაკარგა რწმენა, გაგულისდა. ჩემი დაკვირვებით, ეს უფრო ხშირად ემართებოდა ყოფილ პარტუმშაკებს და მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსულ ახლად წამოწეულ ინტელიგენტებს, რომელთაც თავისი წარმოშობა და აქტიური პარტიული მუშაობა მიაჩნდათ პირადი თავისუფლებისა და უფლებრივი შეუვალობის სრულ გარანტიათ.

თვითონ განსაჯეთ: განა შეიძლება ასეთი ხალხის გამტყუნება? ადამიანი სამოღვაწეო ასპარეზად პოლიტიკას ირჩევს, შედის პარტიაში და პარტიის საქმეს საკუთარ საქმედ თვლის, პირნათლად ასრულებს ყოველგვარ დავალებებს, საკუთარ მშობლებს და მეგობრებს [131] არ ინდობს, თუ ამას პარტიული სინდისი ავალებს, მოძრაობს, იბრძვის, ანგრევს და აშენებს ... და აი, 1937-38 წლებში „მშობლიურმა პარტიამ“ ის გარიყა ცხოვრებიდან, შეურყვნა ოჯახი, დაუნგრია კერა, დაუპატიმრა ცოლი, ბავშვებს კი მამის სახელი წაართვა ... თუ არ დახვრიტა, აქ, ამ გადმოკარგულში, გადმოისროლა და დაივიწყა ...



დიდი დიდსულოვნობა და სულგრძელობაა საჭირო ამის ასატანად ... ეს კი ერთეულების ხვედრია! სულ სხვა იყო წარმოშობით ინტელიგენტის სულისკვეთება იმხანად. მან თავის დროზე აღფრთოვანებით მიიღო რევოლუცია, ამოისუნთქა, მაგრამ რევოლუციამ ბევრი არა მოუტანა რა მას სახარბიელო, თუმც შეიძლება არც არაფერი წაართვა. დიდმა უმრავლესობამ სრული ლოიალობით შეუწყო ხელი ახალი ცხოვრების[ს] შენებას. როდესაც ასეთი ინტელიგენტი 1937-38 წლებში წნეხის ქვეშ მოხვდა, მან პირადი ბედი როდი გაიხადა შექმნილი მდგომარეობის საზომად. რა საეჭვოა, შეურაცხყოფა და ადამიანის ღირსების შებლაღვა არანაკლებ განიცადა, მაგრამ მას ეყო უნარი, მეტი ობიექტურობით შეეფასებინა საყოველთაო ტრაგედია. ის გრძნობდა, რომ აქ უთუოდ ადგილი ჰქონდა გრანდიოზულ პროვოკაციას საბჭოთა კავშირის მიმართ, რომ ამის შედეგად ხელისუფლება დაიბნა, გამოვიდა წონასწორობიდან და მიმართა ტოტალურ ტერორს, რომ მსგავს პრეცედენტებს ისტორიიდანაც ჰქონია ადგილი. მან ისიც იცოდა, რომ შინსახკომის განუსაზღვრელი რწმუნებებით აღჭურვა, მისი სრული უპასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის წინაშე კარგს არაფერს მოასწავებდა, მით უმეტეს, როდესაც ამ აპარატში თავი მოუყარეს კარიერისტ, უმეცარ და ზნეობრივად დაცემულ ვიგინდარებს. საქართველოში ამას თან დაერთო ეროვნული ამბავიც, შინსახკომის აპარატი ძირითადად არაქართველებისაგან იყო დაკომპლექტებული და ვინ იცის, რამდენი ქართველი შეეწირა შოვინისტურ გამობდომებს.

მე ამის თქმის სრული უფლება მაქვს. ჩემს საქმეში ბევრმა არაქართველმა ჩაურია ხელი. ამასვე ადასტურებს შემდეგი ეპიზოდი. 1938 წელს [132] ორთაჭალის ციხის ე. წ. კა-ერ-ების K. P. — КОНТРРЕВО-ЛЮЦИОНЕРЫ (თარგმ.: კონტრრევოლუციონერები) კორპუსში ჩემთან ერთად იჯდა ვინმე არმენ კაზაროვი, მისივე თქმით, ყოფილი დაშნაკი-მაუზერისტი, არაერთხელ ნაჯდომი ციხეში.

თავდაპირველად ურიგოდ არ იქცეოდა და ქართველების მიმართ თითქოს სიმპატიასაც იჩენდა, მაგრამ დიდხანს არ ეყო ეს პოზა. ერთ დღეს რაღაზედაც წაეჩხუბა ერთ-ერთ პატიმარს, დუშეთის მილიციის ყოფილ უფროსს, ვ. წიკლაურს. ეს უკანასკნელი სწორეთ ის „გაინტელიგენტებული“ გუშინდელი გლეხი იყო, რომელსაც ახალმა ხანამ მისცა ყველაფერი: ჩინი, მუნდირი თავისი მოძმის დაჩაგვრის



უფლება და როდესაც ამავე ხანამ ეს ყველაფერი წაართვა და ციხეში უკრა თავი, გამშავდა, დაკარგა ადამიანის სახე; გაბოროტდა და ყველას და ყველაფერს მტრული თვალით უყურებდა.

ამ კინკლაობის წამომწყები ვინ იყო, არ მახსოვს. მახსოვს ის მხოლოდ, როდესაც აჭარხლებულმა და თვალეზისისხლიანებულმა წიკლაურმა შესძახა: „შე დაშნაკო, შენა, ერთი შენი თავი ჩამეგლო ხელში თავის დროზე, მე შენ გიტირებდი დედას“. არშაკ კ-ზოვმა უკანა ტანი მოუბრუნა და ავლაბრული ტონით უპასუხა: „ამაზე არ მიკბინო! შენისთანა ბოლშევიკები ბევრი მინახავს, საიქიოსაც გამისტუმრებია. დიახ, ვიყავი და ვარ დაშნაკი, შენ იქნებ გგონია ეს ჩემთვის შეურაცყოფაა?!“... ამ ეპიზოდს არც გავიხსენებდი, ამის მსგავსი ბევრი მომხდარა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სწორედ ეს კაზაროვი რამდენიმე დღის შემდეგ გაათავისუფლეს. მისი გამომძიებელი იყო არტაშეს არუთინოვი, რომელმაც წარმა[რ]თა ჩემი საქმეც. როგორც ეტყობა, სწორი ყოფილა ანდაზა: „ძმა ძმის-თვისა, შავ დღისთვისა“. ასეა თუ ისეა, კაზაროვები სახლში დაბრუნდნენ, ჩვენ კი ჩრდილოეთის საკონცენტრაციო ბანაკში ამოვყავით თავი¹²⁹.

¹²⁹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ვიმეორებ, რვა წლის მანძილზე საბჭოთა წესწყობილების ნამდვილი მტრები „ხალხის მტრებათ“ აღიარებულ პატიმართა შორის თითქმის არ შემხვედრია და თუ იყვნენ ასეთები, ეს ისინი, ვინც დაპატიმრების შემდეგ დაჰკარგეს რწმენა და ნდობა და გაბოროტდნენ“.

¹³⁰ გვერდის ნუმერაცია მეორდება.

[133] მახსოვს ყოფილი ათასეულის უფროსი, სამტრედიელი კოლმეურნეს შვილი, ვინმე პავლე ლორია. მას საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა ყველაფერი: მდგომარეობა, სახელი, ორდენები. 1937 წელს ამავე ხელისუფლებამ ყველაფერი წყალში ჩაუყარა და მათრახებით გაუმასპინძლდა. რევოლუციის გუშინდელი ერთგული დარაჯი და პარტიის აქტიური წევრი დღეს მტერი გახდა – დაუძინებელი და შეურიგებელი. რამდენჯერ უთქვამს: „უფლება რომ მქონდეს, ყველას, ვინც წაბილწა ჩემი ცხოვრება, დიდით პატარამდე ამ ხელით დავახრჩობდი“.

წითელი არმიის მეთაური ლორია და მილიციის უფროსი წიკლაური ქვეყნის სიავკარგეს საკუთარი ბედის კუთხით სჯიდნენ. ამაში მათ მარქსის მოძღვრებისათვის არ უღალატნიათ, თუმც ბანაკში ვისმეს რომ ეთქვა მათთვის, „მარქსისტები“ ხართო, თავს გაუტეხდნენ¹³⁰.

მეტი თავდაჭერილობით და სიდინჯით შეხვდნენ თავის უბედურებას წარმოშობით ინტელიგენტები, მათ შორის არა მარტო ისინი, ვინც დაპატიმრებამდე სრულიად ლოიალური იყვნენ ხელისუფლებისადმი, არამედ ისინიც, ვისაც კლასობრივი სიძულვილი ოქტომბრის რევოლუციის მიმართ პირველივე დღიდან დაჰყვა და ბოლომდე არ შენელებიათ დღემდე.

ასეთებს შორის მახსოვს დიდ მემამულეთა წრიდან გამოსული ინჟინერი კუდრიავცევი იგორ პავლეს ძე, რამოდენიმე ევროპული ენის მცოდნე, ყოველმხრივ განათლებული ადამიანი, მაგრამ დიდი რეტროგრადი. ყველაფერს ახალს, თუნდაც სასარგებლოს და პროგრესულს, თუ ეს ხელისუფლების ინიციატივით იქმნებოდა, ის საცინად იგდებდა მის რეაქციულ შეგნებას ვერ წარმოედგინა, რომ მუშათა და გლეხთა წრიდან შეიძლებოდა გამოსულიყვნენ დიდი მეცნიერები, სარდლები და პოეტები. როცა მე ლომონოსოვი და გორკი გავუხსენე, მან ასე მიპასუხა: „ну что же, исключения [134] подтверждают правила.“ (თარგმ.: ასეა, გამონაკლისი წესს ადასტურებს)

ამ ადამიანში საოცრად თავსდებოდა სლავიანოფილი-რუსეთის ისტორიული წარსულის მოტრფიალე და გამაღმერთებელი და თანამედროვე რუსეთის მგმობელი და გამკილავი. მასთან საუბარს ბევრი ჩვენგანი ერიდებოდა. განსაკუთრებით ომის წლებში ადვილად შესაძლებელი იყო ოპერჩეკისტულ განყოფილების ბრჭყალებში ჩავარდნა.

თუმცა მე ხშირად დავცინოდი მის თვითმპყრობელურ შოვინისტურ გამოხდომებს და სიტყვების შერჩევაში არ ვერიდებოდი, ის რატომღაც ჩემს მიმართ სიმპატიით იყო განწყობილი და ჩემთან დაახლოებას ცდილობდა. ერთხელ ჩემს ოთახში მომაკითხა. ჩამოავდო ლაპარაკი ეროვნულ უმცირესობებზე. „მათი ხვედრი გარუსებააო“ – ბრძანა – „ეს გარდაუვალი ისტორიული აუცილებლობაა, თუ არ გაითქვიფნენ, დაიღუპებიანო“.

– იგორ პავლოვიჩ, თქვენ სამარე თუ გაგასწორებთ!

– განა შეიძლება გადარუსების და გათქვიფის საფრთხე ემუქრებოდეს ისეთი ძველი კულტურის მქონე ხალხს, როგორც არიან: ქართველები, უზბეკები, სომხები, აზერბაიჯანელები?

– ძველ ელადას, რომს უფრო ადრე ეგვიპტეს, ასურეთს და ბაბილონს ხომ ჰქონდათ თავისი კულტურა? დღეს სადღა არიან? – შემაწყვეტინა



სიტყვა კუდრიავცევმა.

– თქვენი ლოგიკა მოიკოჭლებს, იგორ პავლოვიჩ! განა ეს ერები ეროვნულ უმცირესობებს წარმოადგენდნენ. ისინი დალუპა არა რიცხოზობა ფაქტორმა, ეს მოხდა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად. ამ ერების დაშლამ ახალი ცივილიზაციები წარმოშვა.

– საბოლოო ანგარიშში, დავიდ სერგეევიჩ, მაინც არითმეტიკა წყვეტს თქვენ ბედს. სად ორი ან სამი მილიონი ქართველი და სად 100 მილიონი რუსი? გაითქვიფებით, რაც არ უნდა ილაპარაკოთ ისტორიულ წარსულზე!

– თქვენ ლოგიკას რომ მივყვეთ, რატომ არ უნდა [135] გაითქვიფოს

¹³¹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ეს საუბარი მე იმიტომ მოვიყვანე, რომ ერთხელ კიდევ ხაზი გამესვა კ-ცევის შავრაზმულ ბუნებისათვის. და აი ...“

რუსი ხალხი, ვთქვათ, ჩინელ ერში. აქაც ხომ არითმეტიკაა? სად ასი მილიონი რუსი და სად 600 მილიონი ჩინელი?¹³¹

სწორედ ამ თვითმპყრობელური შო- ვინიზმით გაუღენთილმა რუსმა ინტელი-

გენტმა 1939 წელს შემოდგომაზე, როდესაც რადიომ გადმოგვცა ცნობა ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის „შემოერთების“ შესახებ, მთელი ბანაკი შემოირბინა ჩემს ძებნაში, ბოლოს შემოვარდა სასადილოში, სადაც მე ვვახშობდი და კარებიდანვე მომაძახა:

– დავით სერგეევიჩ, გახსოვთ ჩვენი ბაასი ეროვნულ უმცირესობათა ბელბე?

– მახსოვს! – ვუპასუხე გაკვირვებულმა.

– აი დასტური ჩემი სიმართლის, ხომ გაიგეთ, ბალტიისპირეთი კვლავ ჩვენია, რუსეთს დაუბრუნდა. იქ ისევ რუსული სული დატრიალდა!

– ეებს, დავით სერგეევიჩ, ნეტავ ხუთი დღით გამანთავისუფლონ. პატიოსან სიტყვას მივცემ ბანაკის უპატიოსნო ხელმძღვანელობას, რომ დავბრუნდები და ჩემს დარჩენილ ცამეტ წელს პირნათლად მოვიხდი!

– მერე ხუთი დღის თავისუფლება რას მოგცემთ?

– როგორ თუ რას? ჩავალ მოსკოვში, ვთხოვ სტალინს აუდიენციას!

– სტალინს? თქვენ ხომ ბოლშევიკებისა არაფერი გწამთ!

– მივალ, დავუჩოქებ და უკანა ტანზე ვემთხვევი!

– იგორ პავლოვიჩ, ეს რა მესმის, თქვენ და ასეთი ამბავი?!

¹³² იგულისხმება მოსკოვის დიდი მთავარი ივანე I კალიტა (1288-1340), რომელმაც გააერთიანა მოსკოვის, ნოვგოროდისა და ვლადიმირის სამთავროები.

– დიახ, დიახ, დავით სერგეევიჩ! Он ведь Калита¹³² наших дней, Собиратель



ЗЕМЛИ РУССКОЙ (თარგმ.: ის ხომ ჩვენი დროის კალიტაა რუსეთის მიწების გამაერთიანებელი) — აი, როგორ შეაფასა სტალინის როლი რუსეთის განდიდების საქმეში შავრაზმელმა, საბჭოთა სისტემის იდეოლოგიურმა მტერმა. განა კომენტარები ან პარალელები საჭიროა?

მაგონდება, მეორე ინტელიგენტი, წარმოშობით დიდგვაროვანი ოჯახის შვილი, ვინმე პავლე ნიკოლოზის ძე ჩერტორიჟსკი, ყოფილი თავადი, პაჟთა კორპუსში აღზრდილი, მეფის არმიის როტმისტრი, ჯიშინი, ტანადი, მშვენიერი შესახედაობის ვაჟკაცი.

თუ კუდრიავცევს ყოველივე საბჭოური შავ ფერებში [136] ეჩვენებოდა და კლასობრივ სიძულვილს არ ჰფარავდა, ეს ღიმილით დადიოდა დედამიწაზე და უზრუნველად, უხვად აფრქვევდა დიდ ადამიანურ სითბოს და ალერსიანი და თავაზიანი მიპყრობით თავისდა უნებურად იძენდა მეგობრებს.

მისი ფილოსოფია პოლიტიკურ პრობლემებს გვერდს უხვევდა. ამ თემაზე ლაპარაკსაც კი ერიდებოდა. რამდენჯერ დავმტკბარვარ მისი ხავერდოვანი ბარიტონით; ხშირად მეწვეოდა ხოლმე გიტარით ხელში. არასოდეს არ მისცემია სასოწარკვეთილებას. ხალისით სავსე, სხვასაც ხელგაშლილად უზიარებდა ამ ხალისს. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ეს არისტოკრატი ნიღაბს ატარებდა და იდუმალად მაინც საბჭოეთის მტერი იყო. არა!

ჩვენს ქვეყანაში, ჩემის აზრით, დამკვიდრდა მარქსისტული ფილოსოფიის ვულგარული დებულება: „თუ ჩვენთან არ ხარ, მაშასადამე, მტერი ხარ ჩვენი.“ ეს დებულება გამოიცხავს აპოლიტიკურად განწყობილ მილიონებს და ათეულ მილიონებს. მათი ერთობლივი აღიარება ხელისუფლების მტრად, მომაგონებს მებრძოლ კლერიკალების ფანატიზმს შუა-საუკუნეებში.

ჩერტორიჟსკი არ იყო მტერი არც ხალხის და არც — ხელისუფლების. მას უყვარდა სიცოცხლე და ადამიანები.

მიუხედავად ამისა, ის მაინც ატარებდა ნიღაბს, თუმც სულ სხვა სახის ნიღაბს ...

როგორც მეფის დროის ოფიცერი და ყოფილი თავადი, იგი არაერთხელ დაუპატიმრებია შინსა[ხ]კომს. 1937 წელს ის დიდი დაწესებულების მოლარედ მუშაობდა და სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინა, თავისებურ თვალთმაქცობას მიმართა: სალაროდან ათი ათასი მანეთი



გამოიტანა, რვა ათასი ოჯახს დაუტოვა და თვითონ ლენინგრადიდან დნეპროპეტროვსკში გაიპარა, სადაც მისი ცოლისძმა ცხოვრობდა. „ბოროტმოქმედის“ კვალს, რა თქმა უნდა, ჩქარა მიაგნეს და 1937 წლის აპრილში სახელმწიფო ფულის გატაცებისათვის ჩერტორიუსკის ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

მასაც ეს უნდოდა — ციხემ ააცილა 1937 წლის სასიკვდილო ცე-ლი. ბანაკში, როგორც არაპოლიტიკური, [137] ის ყოველგვარი პრი-ვილეგიებით სარგებლობდა: ოთახით, მუდმივი საშვით, ბანაკის მესვეურთა განუსაზღვრელი ნდობით. ასეთ კურიოზებს მხოლოდ ჩვენში შეხვდება კაცი. ყოველგვარ ანგარებას მოკლებული, პატიოსანი ადამიანი ქურდის ნიღაბს ამჯობინებს პოლიტიკურ პატიმრობას, რადგან ამას თან სდევს ხელისუფალთა ნდობა და კეთილი განწყო-ბილება. ჩერტორიუსკიმ ჩვენთან 1942 წლის მაისამდე დაჰყო. ვადის დასრულებისთანავე გაანთავისუფლეს და ჩვენთანვე დატოვეს მშენებლობაზე მომარაგების განყოფილების უფროსად. ჩემთან მე-გობრობა არ გაუწყვეტია. ხშირად მეწვეოდა ხოლმე შტაბში და მაწვდიდა იმხანად ძნელად საშოვნელ სანოვავებს.

ლამარა გვაზავა

1942 წლის იანვარში ჩვენ ბანაკს შორეული აღმოსავლეთიდან შეემატა მუშახელი. მშენებლობის უფროსმა დამავალა მანქანით დავხვედროდი ეშელონს სად. ობოზერსკაიაზე (ჩვენი მშენებლობის საბოლოო წერტილი აღმოსავლეთით) და მგეგმავე-ეკონომისტები შე-მერჩია ახალჩამოსულთა კონტინგენტიდან. სადგურ ობოზერსკაიამდე საშტაბო კოლონიდან 140 კილომეტრი იყო. საღამოს 7-ის ნახევარზე მე უკვე ბაქანზე ვიყავი და მოუთმენლად ველოდი ეშელონის ჩა-მოდგომას. იქნებ ჩვენებური მენახა ვინმე. მატარებელი ჩამოდგა. ჩემს პირველსავე კითხვაზე, არიან თუ არა-მეთქი კავკასიელები, მე ერთ-ერთ ვაგონზე მიმითითეს, იქ მთელი ბრიგადააო, — მიპასუხეს.

ვაგონის კარი უკვე გაეღოთ, პატიმრები გადმოსულიყვნენ და მწყობარში დგებოდნენ. დიდი უმრავლესობა ქართველები აღმოჩნდნენ, წალენჯიხელი კოლმეურნეები. პირგაუპარსავი, გამხდარი, გაფითრე-ბული მეგრელი გლეხები საცოდავად გამოიყურებოდნენ. გული დამეწვა. ქართული სიტყვა რომ გაიგონეს, გამოცოცხლდნენ, ყველანი



მომეგებნენ, ბრიგადირად ჰყავდათ თელაველი მასწავლებელი დავით ხუციშვილი. კუნთმაგარი, დინჯი და სიტყვაძვირი კახელი. სამწუხაროდ, წალენჯიხელმა თანამემამულეებმა რუსული არ იცოდნენ, ცოდნაც დაბალი ჰქონდათ და მათ გამოყენებაზე საგემო-საკონტროლო დარგში ლაპარაკი ზედმეტი იყო. დავით ხუციშვილი ამ საქმისათვის გამოდგებოდა, მაგრამ ჩემ წინადადებაზე კოლონის ეკონომისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ცივი უარი განაცხადა. აბა თქვენ თვითონ განსაჯეთ, დავით, ამ [138] საცოდავებს რა პასუხს გავცემ, ჩემი იმედით არიან. აი, უკვე სამი წელია ბრიგადირად ვყევარ, ხე-ტყის დამზადებაზე ვმუშაობთ. ბანაკი, როგორც მოგეხსენებათ, მგლებით არის სავსე, მე რომ არა, დღეს მაგათი ხსენებაც არ იქნებოდა. არავის ვაჩაგვრინებ.“

რა მეტქმოდა. ეს იყო სულგრძელი კაცური კაცის პასუხი.

აღ[ვ]უთქვი დახმარება იმ მხრივ, რომ ყველას ერთად კვლავ ხე-ტყის დამამზადებელ კოლონაზე გაგზავნიდნენ. დაპირება შევუსრულე.

დავით ხუციშვილს გამოვკითხე, ხომ არ ეგულებოდა კიდევ ვინმე ჩვენებური მათ ეშელონში.

— როგორ, არა! — მიპასუხა დავითმა — ქალების ვაგონში უნდა იყოს ქართველი ქალი, მგონი, მძიმე ავადმყოფია, ჭლექი უნდა ჰქონდეს, როგორც გადმომცეს.

მივაშურე ქალების ვაგონს. ღმერთმა გაცილოთ ეტაპით ჩამოსული პატიმარი ქალების ნახვა. ეს საზარელი სანახაობაა. პირდაუბანელი, თმებდაუვარცხნელი, გაცრეცილი და ძონძებში გამოხვეული ქალები არავის და არაფერს არ ერიდებოდნენ. აქვე ბაქანზე საქმობდნენ, ილანძღებოდნენ, ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ და უშვერი სიტყვებით მიმართავდნენ. ჩემს შეკითხვაზე მიმითითეს შორიახლოს მდგარ დაბალი ტანის ქალზე, რომელიც მშვიდად იდგა განზე, თავი შავი თავშალით ჰქონდა წაკრული.

მივუახლოვდი და მივმართე ქართულად:

— ბოდიში, თქვენი გვარი?

ქალი შეირხა, შალი გადაიწია და გაბრწყინებული თვალებით მიპასუხა:

— გვაზავა, ბატონო, ლამარა გვაზავა!

— გვაზავა?!



მეხსიერებაში აღმიდგა 1938 წლის შემოდგომა, ორთაჭალის ციხე, კარცერი და კედელზე წარწერა, „ვიჯექი 1938 წელს 10-13 ნოემბრამდის. ლამარა გვაზავა“. ეს წარწერა მე ასანთის მემშვეობით ამოვიკითხე, რადგან კარცერში დღედაღამ ბნელოდა.

მაშინ კარცერში მე ჭადრაკის თამაშისათვის ჩამსვეს სამი დღით. ეს იმხანათ აკრძალული იყო ციხის შინაგანაწესით. ჭადრაკი კი პატიმრებმა პურის გულიდან გააკეთეს.

– თქვენ ორთაჭალის ციხეში, კარცერში, ხომ არ [139] მჯდარხართ? – ვკითხე მე ლამარას.

ქალი გაოცდა. შევატყვე, შეკრთა კიდეც.

– ნუ გეშინიანთ, მეც თქვენსავით პატიმარი ვარ, ქართველი. თქვენი გვარი კარცერის კედელზე ამოვიკითხე და, როგორც ხედავთ, დამამახსოვრდა.

უნდა გენახათ საცოდავი ქალის სიხარული. მღელვარებისაგან ხველა აუტყდა. წამდაუწუმ შალით იწმენდდა ტუჩებს. ცხვირსახოცი არ ჰქონდა. ქმრის და ძმების რეპრესიების გამო თვითონაც შვიდი წლის პატიმრობა მიუსაჯეს და საღსალამათი, მშვენიერი შესახედაობის ქართველი ქალი ციხეებში და ბანაკებში ამოაღვეს. აშკარად დიდი ხნის

¹³³ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „რომელსაც ტელეფონის (უკეთ სელექტორის) საშუალებით გავეცანი რამოდენიმე თვის წინათ“.

¹³⁴ ავტორის მიერ შემდეგი ტექსტია წაშლილი: „Давид Сергеевич – მითხრა დუმბაძემ ტელეფონით (ქართული არ ეხერხებოდა) – вы ее увидите? (თარგმ.: თქვენ მას ნახავთ) – Конечно!

– Скажите ей пусть в графе „бывшая профессия“ запишет „фельдшерница“ и остальное я беру на себя“. (თარგმ.: უხარბოთ, რომ გრაფაში „ყოფილი პროფესია“ ჩაწეროს „მედა“ და დანარჩენს ჩემს თავზე ვიღებ)

სიცოცხლე აღარ ეწერა. მეორე დღესვე დავურეკე დავით ივანეს ძე დუმბაძეს¹³³ და ვთხოვე თავისთან გადაეყვანა.

მან¹³⁴ მითხრა: ანკეტაში ჩაწეროს, რომ ყოფილი ექთანია, დანარჩენი კი ჩემზე იყოსო.

მეორე დღესვე გამოვიძახე შტაბში დავით ხუციშვილი, ვთხოვე მოენახა ლამარა გვაზავა ახლად ჩამოსულთათვის მიჩნეულ დროებით კოლონაზე და ექიმ დუმბაძის სიტყვები გადაეცა.

ლამარა გვაზავა ლაზარეთში მოხვდა. და მოხდა სასწაული. ჩრდილოეთის საღმა ჰავამ, შედარებით გაძლიერებულმა კვებამ და ჩვენი თანამემამულის – დუმბაძის ვაჟკაცურმა დიდსულოვანობამ ორ-სამ თვეში ფეხზე წამოაყენა იგი; კავერნები შეუხორცდა, წონაში მოიმატა ხალისი დაუბრუნდა. ერთი სიტყვით, ის განიკურნა.



ვ. ი. მალხასიანი¹³⁵

დავებრუნდეთ ეშელონის შეხვედრის ამბავს. გაცვილდი თუ არა და გვაზავას, სადგურის შენობის შესასვლელთან ატუბული [140] მოხუცი დავინახე, ჩემოდანი ეკავა, ცახცახებდა.

შუქზე შემამჩნია და ორი ნაბიჯით ჩემკენ წამოიწია.

– თქვენ კავკასიელი ხომ არ ბრძანდებით?

– დიახ, ქართველი გახლავართ!

– ქართველი? ოჰ, ღმერთი ჩემო, თითქოს ჩემიანი მენახოს.

– ბოდიში, თქვენი გვარი?

– მე სომეხი ვარ, ერევნიდან, მალხასიანი!

– მალხასიანი? – გამახსენდა აბრამ ივანეს ძე მალხასიანი, რომელიც ჩემთან ერთად მუშაობდა ამიერკავკასიის საგეგმო კომისიაში 1929–32 წლებში თბილისში – აბრამ ივანეს ძის ხომ არაფერი ხართ?

მოხუცი აკანკალდა, გაფითრდა, ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, შემდეგ რის ვაი-ვაგლახით მოითქვა სული და შემეკითხა:

– აბრამი ჩემი ძმაა. თქვენ საიდან იცნობთ?

– ერთად ვმუშაობდით ოცდაათიან წლებში, ვმეგობრობდით კიდეც.

მალხასიანს ცრემლები მოერია. მიამბო თავისი ამბავი. 1937 წლის ნოემბრამდე თურმე სომხეთის მომარაგების სახალხო კომისარიატს განაგებდა. მერე ოცი წელი მიუსაჯეს. ერთი შეხედვით, მოხუცი მეჩვენა, მაგრამ არც ისე ხნიერი აღმოჩნდა, 50 წელს არ გადასცილებოდა.

ვასილ მალხასიანი ერთადერთი კანდიდატი იყო ახლად ჩამოსულთა კოლონის ეკონომისტის თანამდებობაზე. მე ჩავიწერე მისი საანკეტო მონაცემები და მეორე დღესვე მშენებლობის უფროსის ბრძანებით ის ახლად ჩამოყალიბებულ სამშენებლო კოლონის უფროს ეკონომისტად დაინიშნა.

უნდა გამოგიტყდეთ, იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში ესოდენ სპეტაკი, წესიერი და ყოველგვარი პატიოსნებით შემკული ადამიანი. ასეთი კაცი არ შეიძლებოდა ყოფილიყო კომუნისტური პარტიის დიდი მუშაკი, რადგან ვ. მალხასიანს ტყუილს ვერ ათქმევინებდით. მასში იყო მომჭადოებელი ღმობიერება და თავმდაბლობა, ე. ი. ყოველივე

¹³⁵ **ვასილი ივანეს ძე მალხასიანი (1897–?)** – ერევნის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დააპატიმრეს 1937 წლის 17 ოქტომბერს ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროზაგანდის ბრალდებით. მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 20 წლით და ქონების სრული კონფისკაცია.



ის, რაც კრებით ცნებაში „ბოლშევიკი“ გამოიხატულია. 1938 წლიდან 1942 წლამდე საერთო სამუშაოებზე ნამყოფ მალხასიანს დაკარგული [141] ჰქონდა ჯანმრთელობა, მხედველობა, ყურთასმენა, მაგრამ არ დაუკარგავს დიდი ადამიანური სითბო და ადამიანის სიყვარული. ეს იყო სწორედ იმ ინტელიგენტთა წრიდან გამოსული პიროვნება, რომელიც შინსახკომის რეჟიმმა, ციხემ და ბანაკმა არ გააბოროტა და როდესაც ჩემი თხოვნით მშენებელობის უფროსმა ის ეკონომისტად დანიშნა და ამით ჩრდილოეთის პირობებში შედარებით იოლი პირობები შეუქმნა, ადვილად წარმოსადგენია, როგორი ძალით იფეთქა მასში მადლიერების გრძნობამ. თავისი მაღალზნეობრიობით და პატიოსნებით მან დამავიწყა მისი ერის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ მოყენებული შეურაცყოფა და სიბოროტე „გამოძიების“ თვეებში. 1945 წლის აგვისტოში ჩემი განთავისუფლების დღე დადგა. პატიმრობა დასრულდა. მაგრამ საქართველოში დაბრუნების უფლება არ მომცეს. იძულებული ვიყავი დავრჩენილიყავი მშენებლობაზე იმავე თანამდებობაზე. ვცხოვრობდი ზონის გარეთ, დაქირავებულ ბინაში. ვ. მალხასიანი კიდევ თორმეტი წელი უნდა ყოფილიყო პატიმრობაში. მე ხშირად ვხვდებოდი მას, როდესაც სამშენებლო ტრასაზე გასვლა მიხდებოდა. არ მავიწყდებოდა მასთან შესვლა კოლონაზე.

1946 წლის დეკემბერში მშენებლობის მთავარი ინჟინრის გ. დალ-შვილის შუამდგომლობით, რომელიც გულაგის განკარგულებით საქართველოს მეზობლად მდებარე დაშექსანის მშენებლობაზე გადაჰყავდათ სამუშაოდ, მე დავუბრუნდი ჩემს მიწა-წყალს და თუმც თბილისს ორასი კილომეტრით ვიყავი დაშორებული, მშობლიურ მიწაზე მეგონა თავი. ერთი წლის შემდეგ ჩვენი ბანაკი მოხვდა ტყიბულში, სადაც მე-12 სამშენებლო სამმართველოს საგეგმო განყოფილების უფროსად დამნიშნეს.

მალხასიანის შესახებ არა ვიცოდი რა. საქართველოში წამოსვლის დღეებში შევიტყვე, რომ ის, როგორც გრძელვადიანი პატიმარი, კვლავ შორეულ აღმოსავლეთში გაეგზავნათ.

მალხასიანის გადარჩენის იმედი არ მქონდა, მეტად სუსტი აგებულებისა იყო და თვალთახედვა აკლდა, მაგრამ მოხდა მოულოდნელი: ჩემი და მალხასიანის მეგობრობა განახლდა.

საქართველოში დაბრუნების პირველ წლებში თბილისში ცხოვრების



უფლება არ მქონდა. ჩემზე, როგორც ყოფილ „პოლიტიკურ პატიმარზე“, გაავრცელეს „დირექტივა“ დიდ ქალაქებში მუდმივ [142] საცხოვრებელი უფლების „აღკვეცის შესახებ“.

პირველ ხანად ვმუშაობდი ტყიბულში მშენებლობაზე. 1949 წელს გადამიყვანეს სამუშაოდ წყალტუბოში, საკავშირო ქვანახშირის სახალხო კომისარიატის ხაზით. შეთავსებით ვმუშაობდი ამავე სისტემით ქუთაისის შახტმშენის სამმართველოში. ვცხოვრობდი წყალტუბოში და კვირაში სამჯერ ჩავდიოდი ქუთაისში. ბინა მე და ჩემს ცოლს კარგი გვქონდა. მთელი ნათესაობა სარგებლობდა ჩვენი წყალტუბოს სანატორიუმით.

1954 წელს, ზაფხულის მიწურულში, დამირეკეს წყალტუბოს მილიციის საპასპორტო მაგიდიდან: მოსკოვიდან მესამე დეპეშაა, ვილაც დავით სერგის ძე გიორგაძეს კითხულობენო. მე ვუპასუხე, რომ ჩემი გვარი გორგაძეა და ალბათ მე არ მეხება-თქო. კარგი რომ ცნობისმოყვარეობამ დამძლია და ვკითხე: „ვისი დეპეშაა“ – თქო – „ვილაც მალხასიანისაო“ მიპასუხეს. ვიფიქრე, რა უნდა ჩემს ჩრდილოელ მეგობარს მოსკოვში-მეთქი, როგორც მახსოვდა, პატიმრობის ვადა 1957-ში უთავდებოდა. შევიარე საპასპორტო მაგიდაში. დეპეშაში უკუმისამართიც იყო აღნიშნული: მოსკოვი, კიროვის ქ. N 39, ვ. ი. მალხასიანი.

თურმე მალხასიანი არამცთუ გაენტავისუფლებინათ, რეაბილიტაციაც მიეღო, პარტიაშიც აღედგინათ, მოსკოვში ბინა მიეცათ, დიდი პენსია დაენიშნათ და მოსკოვის მახლობლად აგარაკიც გამოეყოთ. ყველაფერი ეს მან შემატყობინა ვრცელ წერილში, რომელიც მე მივიღე ერთი კვირის შემდეგ ჩემი წერილის პასუხად.

მალხასიანი თურმე რვა თვე მეძებდა თბილისის, ქუთაისის და საქართველოს სხვა ქალაქების საპასპორტო მაგიდების საშუალებით. ვილაცისგან გაეგო, რომ წყალტუბოში ვუნახივარ და, როგორც იქნა, მომაგნო.

ჩვენ შორის გაიმართა მიწერ-მოწერა.

1956 წელს მოსკოვში მოვხვდი მივლინებით, ცოლიც თან გამომყვა. რა თქმა უნდა ვინახულეთ მალხასიანი. [143] უნდა გენახათ, რა სი-



¹³⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ტემზა ნიკიტიშა, ისიც ტომით სომეხი, თავდაჭერილი და დარბახელი ქალი, ვასილ ივანიჩის ერთგული მეგობარი და თანამგზავრი. აგარაკზეც მოგვიწვიეს, აქვე, მოსკოვის მახლობლად, მთელი დღე ერთად გავატარეთ. მალხასიანს ეწვია ოდესიდან მისი ერთ-ერთი ძმა – ექიმი. მან ჩინებული ამანათი ჩამოუტანა, ჩვენც გავგიმასპინძლდნენ“.

¹³⁷ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი ტემზა ნიკიტას ასული“.

¹³⁸ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „და სწუხდა, რომ ამის გამო თავის დროზე ვერ შემატყობინა, რა ტრადიციაც დაატყდა თავს“.

¹³⁹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „შეწუხდი, გავუგზავნე თბილი, მეგობრული წერილი, რომელშიც, სხვათა შორის, ვწერდი: „თუ 20 ივლისისთვის მოსკოვში არ მომიხდა წასვლა მივლინებაში, აუცილებლად ჩამოვალ მშვენიერი ადამიანის ქ. ნ. ტემზას ხსოვნის პატივსაცემათ-ქო“. მოხდა ისე, რომ მოსკოვის მივლინება გადაიდო შემოდგომით“.

¹⁴⁰ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „გადაწვევით ერთვანში ჩასვლა და 19 ივლისს მატარებლით ვავემგზავრეთ სამხრეთისაკენ. ცოლს ერევანი არ ენახა და ამიტომ 20 ივლისს დილის საათები ჩვენ მოვანდომეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას. პირველი საათი მოახლოვდა, ჩვენ ვიყიდეთ დიდი თაიგული და მივაშურეთ ვ. ი. მალხასიანის ბინისკენ ლენინის პროსპექტზე. ძნელია სიტყვით გადმოცემა ყოველივე იმისა, რაც მოხდა ჩვენი მისვლის პირველ წუთებში. ვასილი ივანოვიჩი ადგალს ვერ ჰპოულობდა“.

და ჩემს თავს: „ეს ის დათიკოა, რომლის წყალობითაც მე სიცოცხლე შევინარჩუნე ჩრდილოეთში!“ – ამას ისე ხშირად იმეორებდა, რომ

ხარულით შეგვხვდა. მეტად სათნო და მიმზიდველი ადამიანი აღმოჩნდა მისი მეუღლეც, არ იცოდნენ, რითი ეცათ პატივი¹³⁶.

1956 წლის ბოლოს მეც მივიღე რეაბილიტაცია და კვლავ დავუბრუნდი ჩემს მშობლიურ თბილისს.

ერთ მშვენიერ დღეს მივიღე წერილი ერევნიდან, მალხასიანი თურმე მუდმივ საცხოვრებლად ერევანში გადასულიყო. ერთხელ მეწვია კიდევ თავისი მეუღლით თბილისში, რითაც დიდათ გამახარა.

ასე გაგრძელდა 1966 წლის მაისამდე, როცა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მივიღე სევდით და ცრემლით სავსე წერილი ერევნიდან. თურმე მალხასიანის მეუღლე¹³⁷ გარდაცვლილიყო, თვითონ კი ამ ამბავმა გამოთიშა ცხოვრებიდან რამოდენიმე თვე, რამდენიმე თვე ლოგინად იყო ჩავარდნილი¹³⁸. ახლა ამ წერილით მატყობინებდა, რომ იმავე წლის 20 ივლისისთვის აპირებდა მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავად პანაშვიდის გადახდას და მთხოვდა დაესწრებულებიყავი¹³⁹.

[144] მე და ჩემი მეუღლე ჩავედით¹⁴⁰.

აღელვებული და აღზნებული მალხასიანი ყველა მოსულს ასე აცნობ-



უხერხულად ვგრძნობდი თავს¹⁴¹. [145] პანაშვიდის შემდეგ სახლში მიგვიწვიეს. ერევნის რჩეული საზოგადოება იყო აქ¹⁴².

ერთი თავისებური ადათი ჰქონიათ სომხებს: ქელეხის დროს თამადას არ ირჩევენ. ყველას შეუძლია ერთხელ წამოდგეს და რაიმე თქვას მიცვალებულის შესახებ¹⁴³.

ვგრძნობდი, რომ ჩემგანაც მოელოდნენ სიტყვის თქმას. მე გამიადვილდა ლაპარაკი, რადგან საკმაოდ კარგად ვიცნობდი მიცვალებულს და სრულიად გულწრფელად¹⁴⁴ ვლაპარაკობდი. თავისთავად მოდიოდა საჭირო სიტყვები. ბოლოს მე ვსთქვი,

¹⁴¹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „აქური წესით, ჭირისუფლები, ნათესავ-მეგობრები მიცვალებულის ბინაზე იყრიან თავს არა მარტო გასვენების დღეს, პანაშვიდების დროსაც და აბელოთან ერთად მიემგზავებიან სასაფლაოზე. ნაშუადღევს სამ საათზე მანქანებით გავემგზავრეთ ქალაქის სასაფლაოსაკენ. სასაფლაო პარკს მოგაგონებთ, დაბურულია, დეკორატიული ნარგავებით, მყუდროა და ჩრდილით სავსე. დაიწყო პანაშვიდი, გაისმა ნაზი და სევდიანი დუდუკის და საზის ხმა. მალხასიანს წინასწარ დაემზადებია ცოლის საფლავის გვერდით თავისი მომავალი მუდმივი სამყოფელი. მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილი იყო მისი სახელი და გვარი, ადგილი იყო დატოვებული გარდაცვალების თარიღისათვის. პანაშვიდის დასასრულს ერთმა ხნიერმა მანდილოსანმა, ალბათ ჭირისუფალთა დავალებით, წაიკითხა რუსულად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან მოსული სამძიმრის დეკემები (ესეც აქური ადათია, ორმოცზე ან წლისთავზე დეკემების გაგზავნა) სრულიად მოულოდნელად

მოგვესმა ჩვენი გვარი, მე და ჩემმა ცოლმა გავამახვილეთ ყურადღება. მანდილოსანმა ასე მიმართა დამსწრე საზოგადოებას:

Друзья я хочу прочитать Вам короткое письмо из грузии от Давида Сергеевича Горгадзе который еще 1942 году сам находясь в незавидной роли заключенного на крайнем севере протянул руку братской помощи Василий Ивановичу и смело можно сказать спас его от смерти. Такое не забывается! (თარგმ.: მეგობრებო, ნება მიბოძეთ წაგიკითხოთ დავით სერგეევინ გორგაძის წერილი საქართველოდან, რომელმაც ჯერ კიდევ 1942 წელს, შორეულ ჩრდილოეთში, ტყვეობაში ყოფნის დროს, დახმარების ხელი გაუწოდა ვასილი ივანოვიჩს და თამამად შეიძლება ითქვას, სიკვდილისაგან იხსნა . ამის დავიწყება შეუძლებელია) ! მან წაიკითხა ჩემი წერილი თბილისიდან: и вот - даасრულა მან - Этот самый Датиго Горгадзе не уехал в Москву и сейчас находится здесь у нас вместе со своей супругой, они приехали почтить память нашей дорогой Темзы Никитишны. (თარგმ.: სწორედ ეს დათიკო გიორგაძე არ გაემგზავრა მოსკოვში და დღეს, მეუღლესთან ერთად აქ იმყოფება, რათა პატივი მიაგოს ჩვენს ძვირფას ტემზა ნიკიტიშნას).

ჩვენ მეტად უხერხულად ვგრძნობდით თავს. ვიდრეც იქვე საფლავთან და ყველას ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდით“.

¹⁴² ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „იშვიათი სუფრა გაეშალათ: იშხანი, ზუთხი, ხიზილალა, ბეჭი, ლავაში, კონიაკები, ხილეულობა, ერთი სიტყვით, რაც გინდა გულო და სულო“.

¹⁴³ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „საკმაოდ მგრძნობიარე სიტყვა სთქვა თითონ მალხასიანმა. ყველა გულდასმით ვუსმენდით. ბევრს ცრემლიც მოერია. ჩემი აზრით, ეს ადათი მისაბაძია, ჭირისუფალმაც მოიოხა გული“.

¹⁴⁴ ტექსტში: გურწფელად.



¹⁴⁵ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მე დარწმუნებული ვარ – ასე დავასრულე ჩემი სიტყვა, რომ თუ ჩვენ გვერდით გვეყოლება ისეთი ადამიანები, როგორც იყო ტემზა ნიკიტინა და როგორც არის ვასილ ივანიჩი, ეს ადვილი მისაღწევია. ჩვენ გვმართებს ჩვენი ეროვნული ღირსების დაცვა. ჩვენ დღეს თბილისში მივდივართ და მიგვაქვს თან ამისი რწმენა და იმედი. ვასილ ივანოვიჩმა დიდად იუარა: აქ თქვენთვის ბინა გვაქვს გამოყოფილი, დარჩით რამდენიმე დღეს, გაეცანით ქალაქს, გვთხოვდა იგი. ჩვენ ბოლოში უარი ვუთხარით, ბოლოთები უკვე აღებული გვქონდა. მთავარი კი ის იყო, რომ ჩვენ არ გვინდოდა მასპინძლებს ეფიქრათ, თითქოს ჩვენი ჩამოსვლა გართობისა და ექსკურსიის მიზნით იყო ნაკარნახევი. ჩვენ მხოლოდ იმისთვის ჩამოვედით ერევანში, რომ გვეცა პატივი ტემზა ნიკიტინას ხსოვნისათვის. შეწუხდნენ, მაგრამ რას გააწყობდნენ. გამოგვაცილეს. ერთი კვირის შემდეგ მივიღე მალხასაინისგან წერილი. ჩვეული აღფრთოვანებით მატყობინებდა, რომ ჩვენმა ჩასვლამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და რომ მოგველიან ერევანში სექტემბრისათვის. ჩვენც დავპირდით.“

¹⁴⁶ **კონსტანტინე როკოსოვი (1896-1968)** – პოლონელი და საბჭოთა მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი (1944, 1945), ორი ქვეყნის – სსრკ-სა და პოლონეთის მარშალი. 1937 წლის აგვისტოს დააპატიმრეს პოლონეთის და იაპონიის სასარგებლოდ შპიონაჟის ბრალდებით. 1940 წლის 22 მარტს გაამართლეს და პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

¹⁴⁷ იგულისხმება საბჭოთა სარდალი და გენერალ-ლეიტენანტი კუმმა პოდლასი (1893-1942). გაასამართლეს 1938 წელს საბოტაჟის ბრალდებით 1940 წლის აპრილში ამნისტია შეეხო, აგვისტოში კი წითელ არმიაში აღადგინეს.

რომ ერების მეგობრობა გაზეთის შტამპებით და ლოზუნგებით არ უნდა იკვებებოდეს, რომ ამას უფრო ბრძნული და პერსპექტიული სარჩული უნდა დაედოს საფუძვლად, რომ თუ ქარიშხალი სამხრეთიდან, პირველ რიგში, ჩვენ მეზობლებს მუსრავდა და უკვე შენელებული და საკმაოდ ქანცმილელი აღწევდა ჩვენს საზღვრებს, არანაკლებ სუსხიან ჩრდილოეთიდან მომავალ ქარბუქებს ქართველები ელობებოდნენ და ამით იცავდნენ სამხრეთით მობინადრე ტომებს.

მე ისიც ვთქვი, რომ ჩვენ, პატარა ერებს, გვმართებს ერთსულოვნება, რომ თუ ხელიხელჩაკიდულებმა არ ვიარეთ დედამიწაზე, დიდი ერები წაგვლეკავენ და გვშთანთქავენ¹⁴⁵.

[146] მაგრამ დავუბრუნდეთ პატიმრობაში ყოფნის პერიოდს.

ვ. კ. როკოსოვსკი¹⁴⁶

1940 წლის თებერვალში ჩვენს საშტაბო კოლონას შეემატა რამდენიმე ყოფილი დიდი თანამდებობის მქონე სამხედრო პირი, რომლებიც რამდენიმე წელი სპეციალურ დანიშნულების იზოლაციაში იმყოფებოდნენ. მათ შორის ყველაზე უფრო დამამახსოვრდნენ სატანკო კორპუსის ყოფილი უფროსი ი. პოდლასი (ტომით ლატვიელი)¹⁴⁷ და ცხენოსანთა დივიზიის ყოფილი უფროსი ვ. როკოსოვსკი. ეს უკანასკნელი ბედის





კონსტანტინე როკოსოვსკი
(კინოფოტოფონო ფონდის
ც/ა 0_55862)

ტრიალმა დიდ სარბიელზე გაიყვანა სამამულო ომის წლებში და საყოველთაოდ აღიარებული სარდლისა და გმირის სახელი მოუხვეჭა.

პოდლასი აქ, ერთი შეხედვით, უფრო იმპოზანტურად გამოიყურებოდა: მაღალი, მხარბეჭიანი, ომახიანი ხმის პატრონი, თითქოს სარდლად იყო დაბადებული. პირველ გაცნობისთანავე გზიბლავდათ თავისი სისადავით და თავმდაბლობით.

კ. როკოსოვსკი კი უფრო თავშეკავებული და სიტყვაძვირი იყო; მაღალი, ხმელი, ნატიფი სახის მქონე უფრო პოლონელს ჩამოჰგავდა, ვიდრე რუსს. ასეც აღმოჩნდა.

მე ბედმა უფრო როკოსოვსკისთან დამაახლოვა და აი, რა შემთხვევასთან დაკავშირებით:

როკოსოვსკი დანიშნეს საშტაბო კოლონის საყოფაცხოვრებო სექტორის ზედამხედველად. ის განაგებდა სამზარეულოს, აბაზანას, საკუჭნაოს [147] და სამრეცხაოს. დამყარდა თვალსაჩინო დისციპლინა. 1941 წლის აპრილში მივიღე ცოლის გამოგზავნილი ამანათი. სანოვაგესთან ერთად ჩემს თინათინს ჩაეწყო ათი ცალი ლიმონი. ბამბაში გაეხვია, რომ არ გაყინულიყო. წარმოგიდგენიათ 70-ე პარალელზე ლიმონები! ეს იყო სენსაცია. გავარდა ხმა, პატიმარ გორგაძეს საქართველოდან ლიმონი გამოუგზავნესო. ჩვენი ბანაკის დიდ ნაწილს, განსაკუთრებით ქურდბაცაცებს და ყოველგვარ ნაძირალებს ლიმონის სიავკარგისა არა ესმოდათ რა, მაგრამ ჩემი წრის ხალხს საღერღელი აეშალათ და ყოველ საღამოს ჩემს ოთახში ნამდვილი five o'clock (файф о'clock) იმართებოდა. ერთ საღამოს ჩემთან კ. როკოსოვსკი შემოვიდა და გადმომცა, რომ კოლონის უფროსის კაბინეტში ჩემი ნახვა სურდათ მთავარი სამმართველოდან ჩამოსულ უფროსებს. იმ დღემდე როკოსოვსკისთან მე ურთიერთობა არ მქონია. გავყევი. შტაბის კოლონის უფროსთან აღმოჩნდნენ მშენებლობის მთავარი ინჟინერი როჟდესტვენსკი და საგეგმო სამმართველოს უფროსი შილკროტი:

— Вот и наш грузин, прошу любить и жаловать, я не оставлю его



вам. Он ведь экономист и с кругозором а строить есть кому. (თარგმ.: ესეც ჩვენი ქართველი, გიყვარდეთ და წყალობდეთ, მაგრამ თქვენ ვერ დაგიტოვებთ. ის ხომ ეკონომისტი და თანაც დიდი შესაძლებლობების, მშენებლობით სხვაც დაკავდება)

მთავარი ინჟინერი წამოდგა, ხელი ჩამომართვა (ეს არ იყო იმხანად მიღებული) და დამიწყო გამოკითხვა. გაიხსენა შავი ზღვის სანაპირო: ბათუმი, გაგრა, რიწის ტბა, ჩამოაგდო სიტყვა ციტრუსებზე:¹⁴⁸

— Кстати, я могу вас угостить грузинскими лимонами (თარგმ.: სხვათა შორის, შემძლია ქართული ლიმონით გაგიმასპინძლდეთ), — ვუთხარი მე.

— Что вы говорите! Это же восхитительно, что вы скажете, Борис Эммануилович? (თარგმ.: რას ამბობთ! ეს ხომ შესანიშნავია, თქვენ რას იტყვით ბორის ემანუილოვიჩი?) — მიუბრუნდა როჟდესტვენსკი შილკროტს — Но я приму этот дар при одном условии. (თარგმ.: მაგრამ ამ ძღვენს ერთი პირობით მივიღებ)

— Я слушаю вас! (თარგმ.: გისმენთ!)

— Если вы разделите с нами трапезу, у нас припасена атлантическая [148] сельдь и московская белоголовая. ну как? (თარგმ. თუ სადილზე დაგვეწვევით, ატლანტის ოკეანის ქაშაყი და მოსკოვური თეთრთავა გვაქვს შემონახული. აბა, რას იტყვით!)

თანხმობის ნიშნით გავიღიმე. გავედი ჩემს ოთახში და მოვიტანე ორი ლიმონი. უნდა გენახათ, როგორ დასტრიალებდა მთავარი ინჟინერი ამ ლიმონებს.

— Алексей Петрович, — მიუბრუნდა როჟდესტვენსკი კოლონის უფროსს, — распорядитесь подать нам чай, только заварите как следует. (თარგმ.: უბრძანეთ ჩაი მოგვართვან, ოღონდ როგორც წესია ისე დააყენონ)

კოლონის უფროსმა სთხოვა იქვე მდგომ როკოსოვსკის დაევალებინა მზარეულისთვის დაემზადებინა ჩაი და მოეტანა სპეციალური დანიშნულებისათვის შემონახული ფინჯნები.

როკოსოვსკი გავიდა. როჟდესტვენსკიმ მანქანიდან მოატანინა სამი კოლოფი კონსერვი და ორი ნახევარლიტრიანი მოსკოვური „თეთრთავა“. არ გასულა ათიოდე წუთი, რომ დაბრუნდა როკოსოვსკი მზარეულის თანხლებით, რომელმაც ჩაიდან და ჭურჭელი შემოიტანა.

ლიმონის ემხით ჩამოსულმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა „მიკადრეს“ მე — „კონტრიკი“ და გვერდზე მომისვეს. ჩემი თხოვნით როკოსოვსკიც

¹⁴⁸ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მე მივხვდი რაც აწუხებდა მთ. ინჟინერს, მაგრამ არა მოთქვამს რა. ვუთხარი მხოლოდ შემდეგი“.



მიიწვიეს მაგიდასთან. მშვენიერი ჩაი ვიახელით. ამ საღამომ დაგვაახლოვა მე და როკოსოვსკი, თუმც ყველაფრით რუსი იყო ჩემი ახალი მეგობარი: სიტყვით, ქცევით, აღზრდით და ჩვევებით, მაგრამ პოლონურად ბევრი ჰქონდა შემორჩენილი. ეს მულავნდებოდა მასების მიმართ ერთგვარ ქედმაღლობაში, კოპწიაობაში და, რაც მთავარია, სახის ნაკვთების მკაფიოდ გამოსახულ სლავურ ხასიათში.

ბევრი რამ მიაშბო მან თავის წარსულიდან, მაგრამ დაპატიმრების მიზეზზე და გამოძიებაზე სიტყვა არ დასცდენია. ხშირად შემოგვიერთდებოდა პოდლასი, რომელიც მიუხედავად წარსულში მეტი „ჩინისა“, უფრო მეტი უშუალობით გამოირჩეოდა. ის არ ერიდებოდა და შინსახკომელების მისამართით მისი მრავალსართულიანი „ლოცვა-კურთხევა“ ხშირად ატკობდა ჩვენს ყურთასმენას.

პოდლასისაგან გავიგე, რომ მას და როკოსოვსკის ბრალად ედებოდათ შეთქმულებაში მონაწილეობა მარშალ ტუხაჩევსკისთან ერთად.

ეს ბრალდება, რა საეჭვოა, ისეთივე სიცრუე იყო, როგორც ჩემი კონტრრევოლუციური მოღვაწეობა. [149] ეს ძალიან ჩქარა გამოაშკარავდა, მაგრამ ვიდრე ამას შევხებოდე, მე მსურს მოვიყვანო ორიოდე ეპიზოდი, რომლებიც როკოსოვსკის გვიხასიათებს სულ სხვა მხრიდან. ჩვენი კოლონის ერთ-ერთმა ბრიგადამ, რომელიც მთლიანად „ურკებისაგან“ იყო დაკომპლექტებული, სამუშაოზე გასვლაზე უარი განაცხადა. ოცდასამი ვირგლა, რომელთაგან ოთხი თუ ხუთი ცულებით იყვნენ შეიარაღებული, ზედა თაროზე ჩამომჯდარიყვნენ და ყველას, ვინც კი ბარაკში შედიოდა და მოუწოდებდა მათ სამუშაოზე გამოსულიყვნენ, ლანძღვა-გინებით და მუქარით ხვდებოდნენ. კოლონის უფროსიც კუდამოძუებული გამოისტუმრეს.

ეს თავზე ხელაღებული ხალხი საშტაბო კოლონის მომსახურე ბრიგადის წევრები იყვნენ, რომელთაც, როგორც „საბჭოთა“ ელემენტებს, თავისუფალი სიარულის საშვი ჰქონდათ, და ზოგი სანოვაგეს ეზიდებოდა, ზოგი – საწვავს, ზოგი შიკრიკის მოვალეობას ასრულებდა. როგორც გამოირკვა, კოლონის უფროსს ორი მათგანი წინა დღით კოლონაში არაყის შემოტანის გამო დაესაჯა და საპყრობილეში ჩაესვა. ამან გამოიწვია ეს გაფიცვა. კოლონის უფროსი ვერას გახდა და ის იყო, დააპირა დაცვის უფროსი გამოეძახა, როცა თვალი მოჰკრა როკოსოვსკის (ეს უკანასკნელი ამ ბრიგადის უშუალო უფროსად ითვლებოდა, როგორც კოლონის უფროსის მოადგილე ყოფა-



ცხოვრების დარგში.), დაუძახა და წყრომით უთხრა: შენი ხალხი აი რას მიწყობსო!

კ. როკოსოვსკიმ დაამშვიდა:

– Повремените, Александр Петрович, я сам с ними поговорю. Они у меня шелковые (თარგმ.: ალექსანდრ პეტროვიჩ, მოიცადეთ, თვითონ დაველაპარაკები. ჩემთან აბრეშუმით რბილი და მორჩილი არიან), — და ბანაკში შევიდა.

არ ვიცი, რა უთხრა, დაემუქრა თუ დაუყვავა, ვიცი მხოლოდ, რომ ხუთიოდე წუთის შემდეგ ყველა გამოვიდა სამუშაოზე.

როკოსოვსკი ბუნებით იყო მეთაური. მისი აუჩქარებელი და ხმა-დაბალი მიმართვა ხელქვეითებისადმი დამაჯერებლად ჟღერდა. უნებურად გიმორჩილებდა. მას შეეძლო შეიარაღებული კაცის მოთვინიერება. იყო ასეთი შემთხვევაც. ერთ საღამოს მე შტაბიდან გვიან დავბრუნდი კოლონაზე. საგუშაგოდან [150] რაღაც აყალმყალი მომესმა. შევადე თუ არა კარი, დავინახე, რომ ერთ კუთხეში იჯდა გაღეშილი, თვალეზამღვრეული „პახანი“¹⁴⁹ — ¹⁴⁹ ხანშიშესული ქორდი ქორია, რომელსაც ხელში რევოლვერი ეჭირა (ავტორის შენიშვნა). და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. ოთახის მეორე მხარეს ორ გუშაგს შაშხანები მოეღერებინა. მორიგე გვერდზე იდგა, ვერ ბედავდა ფეხის გადადგმას. ის კარგად ხედავდა, რომ „ქორია“ გაგებაში არ იყო და ადვილად შეეძლო ტყვია ესროლა.

– Косой, брось оружие! Нет? Прикажу стрелять! (თარგმ.: ქორია დაავდე იარაღი! არა?! ვუბრძანებ გესროლონ!) — მიმართა თითქმის ყვირილით ქორიას.

ქორიამ მარცხენა ხელით საკინძი ჩამოიგლიჯა, წინ წადგა ფეხი და ისტერიულად დაიღრიალა:

– А ну стреляй, сволочь, стреляй, чего же ты ждешь! стреляй мать ... пере мать (თარგმ.: მესროლეთ, ნაძირლებო! რას ელოდებით! მესროლეთ თქვენს დედა...), — და რევოლვერი ასწია.

სწორედ ამ დროს კოლონიდან საგუშაგოში შემოვიდა. კ. როკოსოვსკი. მას გუშაგი მოჰყვა. როგორც ეტყობა, მორიგემ ამ გუშაგებს მოაყვანინა როკოსოვსკი. მან სრულიად დინჯად შეხედა ქორიას; მიხვდა, რაც მოხდა და სრულიად მშვიდად დაბალი ხმით მიმართა მას:

– Брось пистолет, дурак! Ты что, Петр Петрович, ума лишился? (თარგმ.: დაავდე იარაღი, სულელი! პიოტრ პეტროვიჩ, რა გჭირს, ჭკუიდან შეიშალე?) — ეს იყო ნათქვამი თითქმის ალერსიანად, მეგობრული ტონით.

ქორია მოტრიალდა, დაინახა როკოსოვსკი, თითქოს რაღაცა



ბინდმა გადაუარა თვალებზე. თვალები მოიფშვნიტა და რევოლვერი უხმოდ გადასცა როკოსოვსკის. გამხეცებული გარეწარი დამორჩილდა უფრო ძლიერ ნებას, ყველანი სახტად დავრჩით. ქორიას თურმე სადღაც მოეპარა რევოლვერი, მეზობლად მდებარე ქ. ონევაში სასადილოში შესულიყო და სროლის მუქარით ერთი ბოთლი არაყი გამოერთმია სასადილოს გამგისათვის.

როკოსოვსკის სისხლში ჰქონდა გამჯდარი ნამდვილი მეომრის და მეთაურის სიმტკიცე და ტონის დამაჯერებლობა¹⁵⁰. [151] როკოსოვსკისთან მე იმანაც დამაახლოვა, რომ ორთავეს გვიყვარდა ჭადრაკი – მრავალი საღამო გავგიტარებია თამაშში და ამოცანების ამოხსნაში.

1940 წლის მიწურულში კ. პოდლასი და კ. როკოსოვსკი გაამზადეს შორეული აღმოსავლეთის ბანაკებში გასაგზავნად. გადაიყვანეს კიდევ ნივთებით გამანაწილებელ კოლონაზე, მაგრამ სამი დღეც არ გასულა, რომ კვლავ ჩვენთან დააბრუნეს. იმჟამად ამის მიზეზი არავინ იცოდა. მშენებლობისათვის ისინი საჭირო სპეციალისტები არ იყვნენ და საექტო იყო, რომ მშენებლობის მთავარ სამმართველოს აღეძრა შუამდგომლობა

მათ დატოვებაზე. მალე ესეც გამოირკვა. 1940 წლის, ორ დეკემბერს, კვირა დღეს მთავარი სამმართველოდან მსუბუქი მანქანით მოვიდა კადრების სამმართველოს უფროსი, რომელიღაც სამხედრო პირის თანხლებით. ის აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელი.

გამოუძახეს კ. პოდლასს და კ. როკოსოვსკის და საიდუმლოდ ეთათბირ[ნ]ენ კოლონის უფროსის კაბინეტში. ერთი საათის შემდეგ ორივე გაგზავნეს აბანოში. გამოუძახეს დალაქსაც. ცოტა ხნის შემდეგ ყველა გაცემული შევცქეროდით ახალ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ პოდლასს და როკოსოვსკის. ორივე გაბრწყინებული სახით მწყობრად მიაბიჯებდა სამორიგეოსაკენ.

თავდაცვის კომიტეტის წარმომადგენელმა ორივეს მიუთითა მანქანაზე, ჩაბრძანდითო. როკოსოვსკი ერთხანს შეყოყმანდა, შემდეგ შემობრუნდა და გამოგვემზვიდობა იქ მდგომ პატიმრებს. მე მაგრა ჩამომართვა ხელი და ჩუმად მითხრა:

– Этого следовало ожидать и вы дождетесь, Давид Сергеевич,



ПОМЯНИТЕ МОЕ СЛОВО. (თარგმ.: ეს მოსლოდნელი იყო და თქვენც მოესწრებით, დავით სერგევიჩ, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა)

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მე როკოსოვსკი და პოდლასი აღარ მინახავს. [152] ომის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ გაზეთებიდან შევითქვეთ, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით კ. პოდლასს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის, ხოლო კ. როკოსოვსკის გენერალ-მაიორის წოდება. კ. პოდლასის სახელი პირველად და უკანასკნელად ამოვიკითხე გაზეთში.

რაც შეეხება როკოსოვსკის, თვე არ გავიდოდა, რომ მისი ამბავი არ გაგვეგო. მოკლე ხანში მას უმაღლესი სამხედრო წოდება მიანიჭეს და ჩვენ კოლონაზე ეს ერთგვარ პატრიოტულ განწყობილებას ქმნიდა.

მეც მიხაროდა.

P.S ძალიან გვიან, სამოცდაათიან წლებში, როცა დიდმა სარდლებმა: შტემენკომ, კონევა, ბაგრამიანმა და სხვებმა თავიანთი მემუარები გამოაქვეყნეს, მგონი, შტემენკოს მოგონებებში წავიკითხე არმიის გენერლის, კ. პოდლასის სახელი. თურმე არმიის სარდლად ყოფნისას კურსკის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში მის შტაბს მოხვედრია ყუმბარა და სხვებთან ერთად პოდლასიც დაღუპულა (ეს მინაწერი გავაკეთე 1972 წელს).



IX

ორი საბედისწერო შემთხვევა

[153] 1942 წლის ზაფხულის დასაწყისში ჩვენმა სამშენებლო ბანაკმა დაასრულა თეთრი ზღვის სანაპირო რკინისგზის მშენებლობა და ჩააბარა იგი მიმოსვლათა სახალხო კომისარიატს.

შრომისა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებით ბანაკი მთლიანად, 230 ათასი კაცის შემადგენლობით, უნდა გადაადგილებულიყო ვოლგის მარჯვენა ნაპირზე რკინისგზის ახალი მაგისტრალის მშენებლობაზე. მიუხედავად იმით გამოწვეული სიძნელეებისა, ჩვენს ემელონებს „მწვანე ქუჩა“ მისცეს. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ყოველდღიურად იგზავნებოდა ოთხი-ხუთი ეშელონი 70-75 ვაგონის შემადგენლობით. ყოველ ვაგონში ორმოცი პატიმარი ან ოცდახუთი თავისუფალი იყო მოთავსებული. ორი კვირაც არ დასჭირვებია ამ ვეებერთელა ბანაკის: პატიმრების, მათი დაცვის პირადი შემადგენლობის, თავისუფალი დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეების, მანქანა-იარაღების გადაადგილებას თითქმის 2000 კილომეტრზე. ასეთი არნახული ტემპები გამოწვეული იყო თურმე ახალი სამშენებლო ობიექტის სტრატეგიული მნიშვნელობით. ვოლგის მარჯვენა ნაპირზე ფაშისტური ძალების გამოლაშქრებასთან დაკავშირებით, განზრახული იყო 650 კილომეტრის გარდამავლი პროფილის მქონე მაგისტრალის აშენება 4-5 თვის განმავლობაში. განიზრახეს და ააშენეს. ეს იყო ჩვენი სახელმწიფოს შესაძლებლობათა თვალსაჩინო დემონსტრაცია. ცოტაოდენად წინ რომ გავუსწროთ ამ ეპიზოდს, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ აშენებულმა რკინიგზის ხაზმა სვეაჟიდან კამიშინამდე¹⁵¹ ერთ-

¹⁵¹ კამიშინი - ქალაქი რუსეთში, ვოლგოგრადის ოლქში. სტალინგრადის ბრძოლის დროს კამიშინი იქცა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტად. ქალაქში აშენდა საველე ჰოსპიტალების ქსელი, ხოლო ქალაქის მოსახლეობა 8-კერ გაიზარდა დევნილების ხარჯზე.
¹⁵² ფრიდრიხ ვილჰელმ პაულიუსი (1890-1957) - გერმანელი მხედართმთავარი და მეექვსე არმიის მეთაური. „ბარბაროსას გეგმის“ ერთ-ერთი ავტორი. სტალინგრადის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ არმიასთან ერთად ჩაბარდა ტყვედ.

ერთი გადაწყვეტი როლი შეასრულა ფელდმარშალ პაულიუსის¹⁵² არმიის განადგურების საქმეში. 1942-43 წლის ზამთრის თვეებში ახალი რკინისგზის მაგისტრალი კეთილსინდისიერად ემსახურებოდა საერთო საქმეს. ვიმეორებ, ჩრდილოეთიდან წამოსვლის დღიდან ოცი დღეც არ გასულა, რომ ჩვენ უკვე ორგანიზებულად შევუდექით ახალი ამოცანების დაძლევას. ტრასის



ყოველ უბანზე გაცხოველებული მუშაობა წარმოებდა. ამ შესანიშნავი სათავდაცვო ღონისძიების განხორციელების პროცესში, იმ დიდი [154] მსხვერპლის ფონზე, რომელიც ეწირებოდა ფაშიზმის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის ბრძოლის ამოცანებს, მოხდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ სავალალო ტრაგედია, რომლის შედეგად დაიღუპა რამოდენიმე ზნეობრივად და მოქალაქეობრივად სრულყოფილი ადამიანი. მათ შორის იყვნენ პატიმრობაში შექცენილი ჩემი მეგობრებიც.

აი ეს შემთხვევა:

როდესაც თეთრი ზღვის სანაპირო რკინიგზის ერთ-ერთი ახლად აშენებული სადგურის ბაქანზე გაგვიყვანეს სამხრეთისკენ გამოსამგზავრებლად, გამოირკვა, რომ შტაბის პატიმარ-მუშაკთათვის ორი ვაგონი იყო გამოყოფილი ეშელონში: N38 და N42. შტაბის და საპროექტო ჯგუფის მუშაკთა რიცხვი ორმოცდაათ კაცს არ აღემატებოდა. ამრიგად, ჩვენ ორ ჯგუფად დაგვყვეს, მე პირველ ჯგუფში მოვხვდი, რომელიც 38-ე ვაგონში უნდა მოეთავსებინათ. ამ ვაგონის წინ ვიდექი და სხვებთან ერთად ვუცდიდი ვაგონში ჩაჯდომის სიგნალს. თუმცა მეორე ჯგუფში, რომელსაც N42 ვაგონი გამოუყვეს, ჩემი მეგობრების რიცხვი არანაკლები იყო, ვიდრე პირველში, მე მაინც N38 ვაგონით ვამჯობინე მგზავრობა. იქ მეგულებოდნენ დივიზიის ყოფილი უფროსი ვლადიმერ ჟივ-სკი და ინჟინრები: პ. პ-კო, დ. კონ-ვი და ნ. მ-ვი. გაიცა განკარგულება. ყველანი ავფუსფუსდით. ჩემი ჩანთა გვერდზე მეგულებოდა, მოვტრიალდი, რომ ამელო და ავსულიყავი ვაგონში, მაგრამ ჩანთა არსად ჩანდა. ამ დროს შორიდან მომესმა საპროექტო ჯგუფის მუშაკის ინჟინერ პ. კაბ-კოს ხმა:

– დავიდ სერგეევიჩ! აქეთ წამოდი, თქვენი ჩანთა ჩვენს ვაგონშია, მორ-მა წამოიღო. რა გაეწყობოდა, ნივთების უკან გადმოტანის დრო აღარ რჩებოდა. მცველები იბღვირებოდნენ. მეც მივაშურე N42 ვაგონს. ამ უბრალო შემთხვევამ ჩემს ცხოვრებაში საბედისწერო როლი შეასრულა.

„მწვანე ქუჩა“ ლიტერი „A“ ასეთ საგზურით მიჰქროდა ჩვენი მატარებელი ვოლგის სანაპიროსაკენ. სამხედრო ეშელონები გზას გვითმობდნენ. მხოლოდ ერთხელ რომელიღაც სადგურზე ხუთი საათით დავყოვნდით, რის მიზეზიც რამდენიმე დღის შემდეგ შევიტყვეთ. ამხანაგები N42 ვაგონიდან გამომიტყდნენ, რომ მე, როგორც ჭადრაკის მოყვარული, გამიტყუეს თავისთან პ. მორ-ნის ინიციატივით, რომელიც [155] ჩინებულად თამაშობდა ჭადრაკს.



მეხუთე თუ მეექვსე დღეს მივალწიეთ დანიშნულ ადგილას. ეს იყო ვოლგის შუადინების ორივე ნაპირზე მდებარე გერმანელი კოლონისტების ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორია. ჩვენი ეშელონი სადგურთან არ გააჩერეს. კარი რომ გააღეს, ირგვლივ ტრიალი მინდორი აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ არ იყო გაცემული განკარგულება ვაგონების განტვირთვის შესახებ, როცა ჩვენ შევამჩნიეთ ორი მსუბუქი და ერთი სატვირთო მანქანა, რომლებიც გზიდან პირდაპირ მინდორში გადმოვიდნენ და მიუახლოვდნენ N38 ვაგონს. მანქანიდან გადმოვიდნენ ჩეკისტები და ჯარისკაცები და ვაგონის წინ გამწკრივდნენ, ჩვენ ვაოცებით ვუცქეროდით ამ ამბავს. ბანაკის დაცვა ამ საქმეში არ ჩარეულა. ვაგონის შემადგენლობა — ოცდაექვსი კაცი გვარების მიხედვით შეამოწმეს, ჩასვეს სატვირთო მანქანაში და ორი მსუბუქი მანქანის თანხლებით გაამგზავრეს ქალაქის მიმართულებით.

მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა ჩვენი დაცვა და გაიცა განკარგულება ეშელონის განტვირთვის შესახებ. ორი საათი მოვუნდით 75 ვაგონის განტვირთვას. გადმოგვსვეს. ოთხ მწკრივად დაგვაწყვეს და ფეხით გავგამგზავრეს ქ. ბალცერის¹⁵³ განაპირა უბანში, სადაც წინასწარ იყო მოწყობილი ეკლიანი მართულით შემოვლებული კოლონა, საგუშაგოებით ოთხივე კუთხეში. გვაწუხებდა ჩვენი ამხანაგების ბედი, რომლებიც იმ დღიდან აღარ გვინახავს. რამდენიმე დღის შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ იმ საბედისწერო N38 ვაგონის მთლიანი შემადგენლობა სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით დაეხვრიტათ ქ. სარატოვის¹⁵⁴ მიდამოებში. მათ ბრალად დაედოთ ვაგონიდან გაქცევის და მტრის მხარეზე გადასვლის განზრახვა.

თურმე 38-ე ვაგონში ორ ძმას, გვარად სმოლენცევებს, რომელთაგანაც უფროსი პატიმრობამდე ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა, ხოლო მეორე — მოგილიოვის პარტიის რაიონულ კომიტეტის მდივნად, ნამდვილად განებრახათ ეტაპის დროს გაქცევა და ამ მიზნით ვაგონის იატაკში ტრაპი ამოეჭრათ. ვინ იცის, რა ამოძრავებდათ ამ შემთხვევაში სმოლენცევებს. მე მაგალითად მგონია რომ მათ ფაშისტების მხარეზე გადასვლა არც უფიქრიათ. [156] პირიქით, მათ სურდათ ოკუპირებულ

¹⁵³ ბალცერი - დღევანდელი კრასნოარმისკი, ქალაქი სარატოვის ოლქში.

¹⁵⁴ სარატოვი - ქალაქი რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში.



ზონაში პარტიზანები მოენახათ და მათი მეშვეობით ცოლ-შვილი გადაერჩინათ გერმანელების მხრივ მოსალოდნელ რეპრესიებისაგან. სრულიად წარმოუდგენელია ისიც, რომ ვაგონში ყველამ უკლებლივ გადაწყვიტა სმოლენცევებთან ერთად გაქცევა. მათ არავინ ჰყოლიათ ოკუპირებულ ზონაში, უმრავლესობა ხანში შესული ხალხი იყო და ასეთ უცნაურ ავანტიურაზე ყველა არ წავიდოდა, მაგრამ ომის პერიოდებში ფრონტის ხაზთან ბრალიანის და უბრალოს ამბავს არავინ კითხულობდა. თუ ვაგონში იყავი და წინააღმდეგობა არ გაუწიე ან ხმაური არ ატეხე, მაშასადამე, შენც აპირებდი მათთან ერთად მტრის მხარეზე გადასვლას – ასე მსჯელობდნენ სამხედრო ტრიბუნალის წევრები.

ეს ხმები მართალი აღმოჩნდა, ერთი გამონაკლისით: ყველა არ დაუხვრეტიათ. ოცდაექვსი კაციდან ერთი აღმოჩნდა მე-III ნაწილის საიდუმლო აგენტი, რომელმაც გზაში სიგნალი მისცა დაცვის უფროსს. თურმე ეს იყო მიზეზი ჩვენი ეშელონის რამოდენიმე საათით გაჩერებისა გზაში.¹⁵⁵

გული დამითუთქა ჩრდილოეთში შექცნილი მეგობრების¹⁵⁶ ტრალიკულმა დაღუპვამ. თითქოს ღვიძლი ნათესავები და ახლობლები ამოწყვიტა მარადიულმა ცელმა ერთი მოქნივით.

მეც იგივე ბედი მომელოდა უთუოდ, ჩემი ნივთები მეორე ვაგონში რომ არ შეეტანათ. საოცარია, რა მცირე გარემოებაზეა ხშირად დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე. პატიმრებმა შეიტყვეს მათი ამხანაგების გამცემის ვინაობა. ეს აღმოჩნდა საპროექტო ჯგუფის ერთ-ერთი თანამშრომელი, უკრაინელი ბორ-კო, რომელზეც თურმე უწინაც ჰქონდათ ეჭვი¹⁵⁷. [157] ორიოდ კვირა არ იყო გასული, რომ ერთ დილას კოლონის საპირფარეოში აღმოაჩინეს ბორ-კოს გვამი. ვილაცას

¹⁵⁵ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ვერავინ დამარწმუნებს, რომ მათ ჰქონდათ განზრახვა მტრის ბანაკში გადასვლისა. საკუთარმა კაცურმა კაცობამ გამაოსალმა ისინი წუთისოფელს. ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ გაეთქვათ სმოლენცევეების განზრახვა. არ გასთქვებს და დაილუპნენ“.

¹⁵⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ჟ-სკის, პ-ის, ინჟნერ ვ-დკის კონ-ის და სხვების“.

¹⁵⁷ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მესამე ნაწილთან ფარული თანამშრომლობის შესახებ. თუმცა ბ-კო ამბობდა, რომ მან როგორც ავადმყოფმა ჩრდილოეთიდან სანიტარული ვაგონით იმგზავრა, ამის უარყოფა კი არავის შეეძლო, რადგან N38 ვაგონის ყველა პატიმარი დახვრეტილი იყო. მაგრამ ბ-კომ არ გაითვალისწინა, რომ ბანაკში მისი ყაიდის არამზადებს სხვა მხრიდანაც მოელოდათ საზღაური. სანიტარული ვაგონის ექიმმა არ დაადასტურა მისი ნათქვამი, გარდა ამისა ერთ-ერთს მცველს სიმთვრალეში წამოსცდა, რომ ბორ-კო N38 ვაგონით მგზავრობდა და სწორედ მან გასცა მძები სმოლენცევეების განზრახვა. ჩვენი ამხანაგების გასამართლების დღიდან“.



¹⁵⁸ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „დამნაშავე არ აღმოუჩენიათ და მაინცდამაინც არც უძებნიათ, ჩაადენინეს უსუფთაო საქმე და მოიცილეს თავიდან“.

მისთვის სამჯერ დაერტყა დანა გულში¹⁵⁸.

ნიღაბახდილი ჯაშუში ვის რად უნდოდა?! აი, უკვე ოც წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ და დღესაც მკაფიოდ მახსოვს თეთრი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე

გაცვანილი რკინიგზის პატარა სადგურის ბაქანი, ჩემს წინ საბედისწერო N38 ვაგონი, რომლითაც მე უნდა მემგზავრა (უთუოდ უკანასკნელად ჩემს ცხოვრებაში), N42 ვაგონში თვითნებურად გადატანილი ჩემი ნივთები იმის გამო რომ პ. კაზ-კო ხშირად მყავდა დაჩაგრული ჭადრაკში და მას სურდა ეტაპის დროს რევანშის აღება. ერთი სიტყვით, რომ ჭადრაკი არა, დღეს ჩემი ძვლებიც არ იქნებოდა. ჭადრაკსავე უნდა ვუმაღლოდ მეორე შემთხვევის გამოც: ახალ მშენებლობაზე მდ. ვოლგის მარჯვენა ნაპირზე სარატოვს და კამიშინის შორის მდებარე ქ. ბალცერში (ამჟამად კრასნოარმეისკი) მოთავსებული იყო ჩვენი საშტაბო კოლონა. 1942 წლის შემოდგომის პირზე სამშენებლო ტრასის ხშირი სტუმრები იყვნენ გერმანელების „მესერშმიტები“. მათ მიზანში ჰქონდათ ამოღებული სტალინგრადის დიდი ხიდი, მაგრამ ჩვენმა საბენიტო არტილერიამ აღუკვეთა მათ გზა ხიდის მისადგომებისკენ. უკან გამობრუნებული „მესერშმიტები“ ყუმბარებს უშენდნენ დაბაქალაქებს და ჩვენს სამშენებლო ობიექტს. ზონაში ერთ-ერთ შენობაში მოწყობილი იყო აბანო. შტაბის მუშაკები შაბათობით ვბანაობდით. 1942 წლის აგვისტოს მიწურულში, შაბათ საღამოს, მე შემავიანდა სამუშაოზე [158] და ამხანაგებს აბანოში ველარ წავყევი. გადავწყვიტე კვირა დილით მებანავა. კვირას, ჩაის შემდეგ, მე და კაზ-კო ჭადრაკის თამაშს შევყევით. თამაშმა ისე გამიტაცა, რომ აბანო მხოლოდ ნაშუადღევს მომაგონდა. ის იყო უნდა ავმდგარიყავი და აბანოში წასასვლელად მოვმზადებულიყავი, რომ ვახტიორი შემოვიდა და შემატყობინა: „მშენებლობის უფროსი ნიკოლაევი გიცდის ვახტაზე, მოემზადე შტაბში წასასვლელად.“ ორი წუთით გვიან რომ მოსულიყო ვახტიორი, მე უკვე აბანოში ვიქნებოდი ვახდილი და რას გააწყობდა. რა მექნა, გავყევი ნიკოლაევს, ავტომანქანა გვიცდიდა. ჯერ შტაბში არ ვიყავით მისული, რომ თავზე გადაგვიარა ხუთმა “მესერშმიტმა”; ეტყობოდათ, სტალინგრადის ხიდს ვერა დააკლეს რა და უკან ბრუნდებოდნენ.



ნიკოლაევმა შეუკურთხა და დაუ-
მატა: ძაღლისშვილები, ალბათ ჩა-
მოყრიან საჩუქრებს! ამის თქმა
და ჩვენს უკან რამდენიმე კილო-
მეტრის მანძილიდან აფეთქების ხმა
მოგვესმა: ერთი, ორი, სამი ...

— აი, ხომ გითხარით! — განაგრძო
ნიკოლაევმა, — ხიდს ვერაფერი დაა-
კლეს და მშვიდობიან სოფლებს უტე-
ვენ!

შტაბში მისვლისას მორიგე ტე-
ლეფონისტმა გადმოგვცა საშინელი
ამბავი: „მესერმიშტებს“ ყუმბარები ჩამოეყარათ ბალცერზე. ორი
ყუმბარა საშტაბო კოლონას მოხვედროდა. ერთი მათგანი ეზოში
დაცემულიყო, მეორე კი — პირდაპირ აბანოს შენობაზე. იმჟამად იქ
მყოფი ოცდაორი პატიმრიდან გადარჩენილიყო მხოლოდ ერთი, ისიც
საშინლად დასახიჩრებული. კვლავ გამიელვა ფიქრმა: „მეც ხომ მათ
შორის უნდა ვყოფილიყავი, ჭადრაკის თამაშს რომ არ გავეტაცუნე და
ნიკოლაევის მოსვლამდე რომ წავსულიყავი საბანაოდ“. ამ ორ საოცარ
შემთხვევას, რომელთა შედეგადაც მე დღეს ცოცხალი ვარ, შეეძლო
ჩემში ფატალისტური სულისკვეთება გამოეწვია, ოდნავი მიდრეკილება
მაინც რომ მქონოდა მისტიციზმისა და ცრუმორწმუნეობისადმი. იმჟა-
მად საერთო ნგრევის პირობებში, როდესაც პირად ტრაგედიას დაერთო
ერებისა და სახელმწიფოების დარბევა, პირადი სამყარო ჩემთვისაც
ზედმეტი ტვირთი იყო და შორს, საქართველოში ცოლ-შვილი რომ არა,
სიკვდილი ალბათ [159] შვება იქნებოდა და დასვენება¹⁵⁹. განა ჩემი
სიცოცხლე დაპატიმრების პირველივე დღიდან დაუსრულებელი ტანჯვა
არ იყო? სულიერი და ხორციელი ტანჯვა? ყოველდღიური, უპერსპექ-
ტივო, უღმობელი? თუ თბილისში, შინსახკომის შიდაციხეში, ბესიკის
ქუჩაზე თვითმკვლელობის სურვილი მე არაერთხელ მომსვლია აზრად
და ეს ვერ შევასრულე, იმიტომ კი არა, რომ ვებღაუჭებოდი სიცოცხლეს
(განა იმ პირობებში ნორმალური ადამიანი ასე სიცოცხლეს მოისურ-
ვებდა), არამედ იმიტომ, რომ ყოველგვარი შესაძლებლობა გამო-

¹⁵⁹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი:
„უნდა გამოგიტყდეთ, იმდენად
დაუჯერებელი იყო ჩემი ორმაგი უბრალო
შემთხვევით გამოწვეული გადარჩენა
სიკვდილისაგან, რომ უნებლიეთ ისიც
კი ვიფიქრე: „ალბათ უარესს ბოლოს
მიშაადებს ბედი და ასეთ იოლ სიკვდილს
არ სჯერდება—თქო. რადგან ასეთ
სიკვდილს ის უპირატესობა მაინც აქვს,
რომ მას ხანგრძლივი ტანჯვა არ სდევს
თან, როგორც იტანჯება სარეცელს
მიჯაჭვული, დასნეულებული. გარდა
ამისა, იმის საშოშრობააც აღარ იყო,
რომ შენ სისუსტეს ნაცნობ-მეგობრების
უბედურება მოჰყვებოდა თან, როგორც
ეს პროფესორ ი. გ. კ-ლს დაემართა.
მაგრამ ...“



¹⁶⁰ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ამის მაგალითი იყო საცოდავი ინჟინერი მირ-ევი. ეკვის განუკურნებელი სენით დაავადებული და ბევრი სხვანი, რომლებმაც ვერ გაუძლეს შიმშილს ან სულიერი წონასწორობა დაჰკარგეს და ისტერიის ნიადაგზე გამოესალმნენ წუთისოფელს, ისიც შესაძლებელია, რომ ამისთვის ...“

¹⁶¹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ეს საკითხი საკამათოა. ერთი რამ ცხადია, თვითმკვლელობა სულიერი წონასწორობის დაკარგვის და აღგზნების შედეგია. არა მგონია, ადამიანს იმ წუთში ჰქონდეს ნორმალური აზროვნების უნარი.“

რიცხა სასტიკმა, ვერაგულმა შინაგანაწესმა. თითქოს ადამიანის საიქიოს გამგზავრების მონოპოლია შინსახკომმა დაისაკუთრა. ბანაკში კი თავის მოკვლა არც განმიზრახავს. იმ პირობებში ეს ნამდვილად სისუსტე იქნებოდა¹⁶⁰. ან იქნებ საამისოდ ნებისყოფა არ მყოფნიდა, მაგრამ ვინ იცის, რაში მჟღავნდება ნებისყოფა — თვითმკვლელობაში თუ ჭირთან ჭიდულში¹⁶¹.

დალუპულები დავმარხეთ. შტაბის მუშაკებიდან სამი გამოჩენილი ინჟინერი იყო, ჩრდილოეთიდან ჩვენთან ერთად ჩამოსული. განსაკუთრებით მომიკლა გული ინჟინერ ა. მკ-ჩინის სიკვდილმა. საცოდავი, ისედაც დაავადებული იყო ჭლექით და უხაროდა სამხრეთისაკენ წამოსვლა: „მზე და მთები არიან ჩემი მკურნალებიო“. ფატალისტი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ალბათ თქვენც დამერწმუნეთ ეს ორი შემთხვევა ნამდვილად ფატალური იყო“.



დავით გორგაძე, თიკო (თინათინ) ფავლენიშვილი და მათი ქალიშვილი, ლია გორგაძე (ფოტო გადმოგვცა ქეთევან აბესაძემ)



X

ქართველი ქალი

[161] ისტორიული პარალელების მოტრფიალე არა ვარ. ასეთ შედარებებს ხშირად აბსურდამდე მივყევართ. თუ სოციალისტური რევოლუციის ქართველში, როცა ბობოქრობდა ბორკილახსნილი შრომის მიერ დანთებული ცეცხლი, ამ ცეცხლში იწვოდა თეთრიც და შავიც. თუ ახლის მარწუხებში სიმახინჯესთან ერთად იღუპებოდა სრულყოფილი მშვენიერებაც და, მაშასადამე, ახლისა და ძველის ჭიდილში უსამართლობა გარდაუვალი იყო, გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ სოციალიზმის გამარჯვების ოცი წლისთავზე და „სოციალიზმის დიდი ქარტიის“ — საბჭოთა კონსტიტუციის — საყოველთაო მოწონებისა და მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ თავისუფლებისა და სამართლიანობის დროშა შეირყვნა და მის ნაცვლად აღიმართა უღმობელობის სისხლიანი, შემმუსრავი ცელი.

თითქოს არ უნდა გაუკვირდეს ადამიანს, თუ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დადგენა მტკივნეულად მიმდინარეობს. რევოლუცია, მით უმეტეს, პროლეტარული, უსისხლოდ ქიმერაა, მაგრამ როდესაც რევოლუცია იმარჯვებს, ხოლო გაბატონებული პარტიის ნდობით აღჭურვილი სახელმწიფოს დღევანდელი მესაჭე სპობს ამავე სახელმწიფოს გუშინდელს მესაჭეს და პოლიტიკურად, მორალურად და ფიზიკურად ანადგურებს მას, ეს არ არის მარტო სავალალო, ეს სტიქიურ უბედურებაზე მეტია, ეს კატასტროფაა. მ. გორკიმ გაუსწრო ამ ამბებს, ჯერ სად იყო 1937 წელი. ის ოციანელებში გა[ნ]უდგა ლენინს. მის შეგნებაში ვერ თავსდებოდა გამარჯვებული სოციალიზმი და მიწაზე დანარცხებული მტრის ჯიჯგნა და წამება. თვალწინ მიდგას 1937 წლის ჩაბნელებული მზე, დაშინებული, თითქოს დაპატარავებული ადამიანი, გაციებული კერა, გვარგამოცვლილი თმახუჭუჭა ბიჭუნა, რომელსაც მამის სახელს ავიწყებდნენ. ვერაგობა, ცილისწამება, მუხანათობა, შური, პროვოკაცია და ყოველივე ამის შედეგად თაობის საყოველთაო დასნეულება. [162] წუთისოფელს დაეპატრონა უკუნეთი. ადამიანი გაეთიშა ადამიანს. ჩემი თობის ტრაგედია იმაშია, რომ მას წილად ხვდა მოსვლა ორ სისხლიან თარიღს შორის. 1905 წლის 9 იანვარმა შექმნა ტრადიცია, რომელზედაც აღიზარდნენ თაობები. 1956 წლის 9



მარტმა ეს ტრადიცია მოსპო. ამას მოუნდა ნახევარი საუკუნე, თაობები ტალღებით ეწოდნენ ერთმანეთს, ყალყზე დამდგარი, ბობოქარი, სიახლის რწმენით გაჟღენთილი პირველი ტალღა მესამე ზვირთში დაკნინდა, დაუძღურდა, რწმენა აორთქლდა და გაქრა. სოფლად მოვიდა ცინიზმი, სკეპტისი და ურწმუნობა.

[162ა] მახსენდება ტალეირანის სიტყვები: „რევოლუციაზე ოცნებობენ სპეტაკი სულისა და მაღალი ზნეობის ადამიანები, რევოლუციას ახორციელებენ გმირები და ვაჟკაცები, ხოლო რევოლუციის მონაპოვრებით სარგებლობენ ნაძირლები, დემაგოგები და ყოველგვარი ჯურის გაიძვერები“.

მე ისტორიკოსი არა ვარ და მიზნად არ ვისახავ ჩავეწვდე 1937-38 წლების და 1954 წლის მოსახვევებზე მომხდარი ამბების გამომწვევ მიზეზებს. ამას ალბათ გამოუჩნდება მიუკერძოებელი მკვლევარი და გამოამზიურებს ბევრს ისეთს, რაზედაც დღეს წარმოდგენაც არა გვაქვს. ერთი რამ ვიცი დაბეჯითებით — ჩვენმა თაობამ შექმნა კერპი და მანვე დაამსხვრია ეს კერპი. ასეთი რამ გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც სოციალური ძვრების შედეგად ახალი კლასი ეუფლება ცხოვრების საჭეს, გმობს ძველს და ქმნის ახალს. ხოლო თუ ყველაფერი უცვლელი რჩება: ფილოსოფია, წესწყობილება, ეკონომიკის კონსტიტუციური საფუძვლები, მაშინ გაღმერთკაცებული, თითქმის სიმბოლოდ ქცეული კერპის მოსპობა, რომლის სახელით თაობები მტრის ტყვიამფრქვევს საკუთარი გულისცემით აჩერებდნენ და სახრჩობელაზე ამაყად ადიოდნენ, მიუტევებელი, გამოუსწორებელი შეცდომაა.

არც ერთ ვანდალს, ზულუსს ან ბუშმენს ეს არ ჩაუდენია. მომიტევოს მკითხველმა, მსჯელობამ მგონი შორს წამიყვანა და სულ სხვა თემამზე ამაღაპარაკა. კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს თემას. ისტორიული პარალელების მოტრფიალე არა ვარ-მეთქი, ასე დავიწყე ეს თავი, მაგრამ დღევანდელი უნებურად გაგახსენებთ გუშინდელს, თუ მას მოაქვს დიდი სიხარული ან დიდი მწუხარება.

ჩვენს მიწა-წყალზე ფეხი შემოუდგამთ თემურ ლენგს და ჯალალედინს, იყო მურვან-ყრუ, შაჰ-აბასი, აღამაჰმადხანი, იყვნენ სხვებიც; გვსპობდნენ, გვმუსრავდნენ, [163] მაგრამ არ გვარჩევდნენ, მათი სატევარი თანაბრად ჰკვეთდა თავს ბრძენსა და რეგვენს. 1937-1938



წლებში ბოროტი ხელი სპობდა მხოლოდ რჩეულებს! იგნაციო ლოილას მიერ დაარსებულმა იეზუ[ი]ტთა ორდენმა მე-16 საუკუნეში გააძლიერა ინკვიზიცია. კოცონზე „კუდიანებთან და როკაპებთან“ ერთად აპყავდათ ფილოსოფოსები, პოეტები და მეცნიერები, მაგრამ მათს ცოლებს, შვილებს და მშობლებს არას ერჩოდნენ. ჩვენში კი, ჩვენში იმ ცოდვით სავსე წლებში ... განა ღირს ამაზე ლაპარაკი?!

პეტრე დიდმა საკუთარი ხელით გაისტუმრა საიქიოს რამდენიმე ასეული სტრელეცი¹⁶², მაგრამ მათს ცოლებს ხაზინამ პენსია დაუნიშნა და მათ შვილებს პოლტავის ბრძოლის ველზე პეტრე დიდმა საკუთარი ხელით ჩამოჰკიდა მკერდზე გმირობის ნიშნები. ჩვენს დროში კი რეპრესირებული მშობლების შვილი იდეებოდა ცხოვრებიდან.

ვ. ი. ლენინის უფროსმა ძმამ რუსეთის იმპერატორის მოკვლა განიზრახა და შეთქმულების აქტიური წევრი იყო. გაბატონებული კლასის კანონმა ის სიკვდილით დასაჯა. მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ ულიანოვების მრავალრიცხოვანი ოჯახი ვისმეს დაერბიოს ამის გამო. ჩვენ დროს კი... პარტიულ მუშაკს, გამარჯვებული კლასის ერთგულს, უმართებულოდ დახვრეტილ სახელმწიფო მოღვაწეს მიაყოლეს ცოლი, შვილი და სიძეც კი, გამოჩენილი მუსიკოსი და დირიჟორი¹⁶³ ... და კიდევ რამდენი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი, ვეჟილი, ინჟინერი და ხელოვნების მუშაკი შეეწირა შურს და უმეცრებას ვინ ჩამოთვლის.

რუსეთის მე-XIX და მე-XX საუკუნის მხატვრულმა ლიტერატურამ და განსაკუთრებით საბჭოთა ლიტერატურამ დიდი ადგილი დაუთმო დეკაბრისტულ მოძრაობას. რომანტიკული შარავანდედით შემოსეს არა მარტო ამ მოძრაობის უშუალო მონაწილენი, მათი დედები, ცოლები, დები და შვილებიც. ნეკრასოვის ცნობილი პოემა¹⁶⁴ ჰიმნია სულგრძელი და დიდბუნებოვანი რუსი არისტოკრატი ქალებისადმი, რომელთაც ნებაყოფლობით ამჯობინეს ქმრების გვერდით გადასახლებაში ყოფნა

¹⁶² სტრელეციები - რეგულარული არმია XVI-XVIII საუკუნეების რუსეთში.

¹⁶³ იგულისხმება ევგენი მიქელაძე (1903-1937) - ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; 1931-1937 წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი, 1937 წელს სამხატვრო ხელმძღვანელი; 1933-37 წლებში ხელმძღვანელობდა თავის მიერვე დაარსებულ საქართველოს სიმფონიურ ორკესტრს; 1937 წელს ევგენი მიქელაძე დააბათიმრეს.

¹⁶⁴ იგულისხმება ნიკოლოზ ნეკრასოვის პოემა „Русские женщины“.



¹⁶⁵ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „ვინ არ მოიხრის ქედს ამ გმირი მანდილოსნების წინაშე და თუ მე კვლავ მივმართე პარალელებს, არა იმიტომ, რომ რითიმე დავაკნინო ამ მაღალგზებრივ კვარცხლობებზე ასული ადამიანების ღირსება, მე მხოლოდ მინდა დავუპირდაპირო ის გარემოცვა, რომელშიც მოუხდა ცხოვრება რუს დეკაბრისტ ქალს, ჩვენი დროის ქართული „დეკაბრისტი“ ქალის ხვედრს“.

უდარდელ და უზრუნველ ცხოვრებას ფუფუნებაში¹⁶⁵.

[164] წარსული საუკუნის ოცდაათიან წლებში ბევრმა მარხილმა გადაკვეთა ევროპისა და აზიის მერიდიანი და ციმბირის ტრამალებს შეუდგა მდიდრულ ბეწვეულში გახვეული თავადის ასულნი ფარეშების, ძიძების და „დიადკების“ თანხლებით,

მიეშურებოდნენ ქმრებთან, ძმებთან, მამებთან. ქალური მოვალეობის გრძნობას უხვად კვებავდა რომანტიკული სიახლის აღქმის სურვილი და ვინ იცის, რომელი სჭარბობდა. მეფის მთავრობამ არამცთუ წინააღმდეგობა არ გაუწია, პირიქით, ხელიც შეუწყო გაბედულ ნაბიჯს და გზადაგზა მზრუნველობას არ აკლებდა მათ. გუბერნატორებს, ბურგომისტრებს, ბოქაულებს, დაბა-სოფლების მამასახლისებს საგანგებო მიწერილობით დაევალათ ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ მათთვის. ასე იმგზავრა ერთი დეკაბრისტის ცოლმა პეტერბურგიდან ორი მარხილით. მამამისმა, დიდმა მებატონემ, ხუთი ყმა გააყოლა: სამი ფარეში გოგონა, მოხუცი ძიძა და მუდამ წარბშეკრული შუახნის „დიადკა“. ადგილობრივმა ბურგომისტრმა დიდი მოწიწებით მიიღო თავადის ქალი. ქუდი მოიხადა, ხელზე ემთხვია და თვითონ მიაცილა იგი ქმრის ბინამდე. ქმარი შინ არ დაუხვდა, სანადიროდ წასულიყო და ორი მწევარი წაეყვანა. მას ახლდნენ ადგილობრივი მოხელენი და მეზობლად განლაგებული ფეხოსანთა ათასეულის ოფიცრები.

ბინა ფართო და თბილი აღმოჩნდა. მართალია, ადგილობრივი სათავადაზნაურო საკრებულო, სადაც ხშირად უხდებოდათ სიარული ცოლ-ქმარს, არ იყო გაჩირალდებული სამეჯლისო დარბაზებივით, იატაკები გაკრიალებული არ იყო და კედლების გასწვრივ ლაქიები არ იდგნენ, მაგრამ ეს მაინც უზრუნველყოფილი ცხოვრება იყო, თავისუფალი და ლაღი. არც ზონა, არც შეიარაღებული მცველები, არც ჩასაფრებული მესამე ნაწილი, ასეთი მაშინაც არსებობდა, მაგრამ პეტერბურგიდან ციმბირის მიყრუებულ სამაზის ქალაქამდე მას ხელი ვერ მიუწვდებოდა, [165] არც კრასნოვეები და არც მიროშნიჩენკოები.



თანამედროვე მეფსალმუნე ალბათ არც გაიკვირვებს დეკაბრისტისა და მისი ცოლის ასეთ „დასჯას“, როდესაც მთავარი დამნაშავე მამრის უფროსის თანხლებით სანადიროდ დასეირნობდა, ხოლო სადამოობით თავის მეუღლესთან ერთად მეჯლისზე მიბრძანდებოდა. „მთავრობა თავადებისა და აზნაურებისაა და განა სხვაგვარ მოჰყრობას მოელოდით არისტოკრატ-დეკაბრისტების მიმართ?! „ძალდი ძაღლის ტყავს არ დახევსო“. კი მაგრამ ამ დამნაშავემ რომ ნიკოლოზ პირველის წინააღმდეგ იშიშვლა ხმალი? და აი მე მინდა რუსი დეკაბრისტების ათასგვარად ხობტაშესხმული ცოლების, დებისა და ქალიშვილების ხვედრი დაუპირისპირო ჩემი დროის და ჩემი მიწა-წყლის ქართველი ქალის — „ხალხის მტრის“ მეუღლის ხვედრს.

სად თავდადებული, საკუთარი ნებით ლტოლვილი რუსი თავადის ქალის ლაღი სრიალი სათავადაზნაურო საკრებულოს პარკეტზე, ციმბირის ერთ-ერთ საგუბერნიო ან სამაზრო ქალაქში წარსული საუკუნის ოციან წლებში და სად ჩვენი დროის „დეკაბრისტის“ მეუღლის აგრეთვე თავისი ნებით ლტოლვილი ქართველი ქალის თავგანწირულება და ერთგულება, აუტანელ პირობებში ცხოვრება და შრომა ქმრის გვერდით ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებში.

ეს რომ გასაგები გახდეს, უნდა გადაიშალოს ჩემი „საიქიოში“ ყოფნის დროიდან კიდევ ერთი ფურცელი. მე უკვე მესამე სამშენებლო ბანაკში ვიყავი გადაყვანილი ვოლგის ნაპირის რკინისგზის დამთავრების შემდეგ ქალაქ ხანლართან დაშქესანის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე. საქართველოსთან მიახლოებაში ხელი შემიწყო მშენებლობის უფროსმა ნიკოლაევმა, რომელიც „გულაგის“ ბრძანებით გადაიყვანეს სამუშაოდ აზერბაიჯანში და რომელსაც გამოატანეს რამდენიმე პატიმარი — სპეციალისტი, მათ შორის მეც¹⁶⁶. [166] სამშენებლო ბანაკში ჩემი მდგომარეობა არ შეცვლილა. საგემო საკონტროლო ნაწილში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, 14 მომუშავე იყო ჩემ ხელქვეით. შემიმსუბუქდა მხოლოდ რეჟიმი. მომცეს საშვი, რომლის ძალით მე შემეძლო სამშენებლო ტრასის ფარგლებში უმცველოდ სიარული საღამოს 10 საათამდე. ერთ კვირა დღეს ვიწეცი

¹⁶⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „სამამულო ომი დასასრულს უახლოვდებოდა, ფაშიზმის კომმარო ტოვებდა წუთისოფელს. მაგრამ 1944-45 წლებში „ხალხის მტრებად“ მონათლულები კვლავ ეკლიანი მავთულით შემოფარგლულ „ციხეებში“ ვიყავით მოთავსებული“.



¹⁶⁷ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „თმცა, მშენებლობის უფროსის, ა. მ. ნიკოლაევის დამოკიდებულება ჩემდამი უფლებას მაძლევდა უარიც მეთქვა და არ წავყოლოდი, მაგრამ ეს აზრდაც არ მომსკვლია. ნიკოლაევი ზედმიწევნით წესიერი, კაცური კაცი იყო“.

¹⁶⁸ ავტორის მიერ შემდეგი ტექსტია წაშლილი: „დავინახე, რომ მშენებლობის უფროსი ნიბლაევი რევოლუციით ხელში მისდევდა მძღოლს და მოკვლას უპირებდა. წამოვიწიე, მივხვდი, რაც მოხდა და შევყვირე: ალექსანდრ ნიკოლაევიჩ! მე ცოცხალი ვარ! რას ერჩით?! ნიკოლაევი მაშინვე მობრუნდა, მომვარდა, წამოყენება დააპირა, მაგრამ მე საშინელმა ტკივილმა შემიბყრო კიდურებში და გული შემიღონდა. თვალი რომ გავახილე, დავინახე, რომ ფეხები შემტრიალებოდა და თითქოს ჩემი აღარ იყო“.

და წიგნს ვკითხულობდი. ვახტორმა გამაფრთხილა: „მშენებლობის უფროსმა შემოგითვალა, არსად წახვიდე, გამოგივლი და ხიდის მშენებლობაზე წაგიყვანო“. მეწყინა, მაგრამ რას გავაწყობდი.¹⁶⁷ ათ საათზე ნიკოლაევი მშენებლობის დისპეტჩერი და მე უკვე ხიდის მშენებლობის მისადგომებთან ვიყავით და თვალყურს ვადევნებდით ექვსი ექსკავატორის და ოცდახუთი ავტომანქანის მუშაობას დიდი ბორცვის მოჭრაზე. საშინელი ხმაური იდგა. ნიკოლაევმა სამუშაოთა მწარმოებელს მისცა ზოგიერთი მითითება და გვანიშნა, გამომყევითო. მოსახვევთან გზა ვიწრო იყო. მარცხნივ

კლდე იყო, მარჯვნივ – ნაპრალი. ქვევით ხიდის ბურჯის აგებაზე მუშაობდნენ გერმანელი ტყვეები. მე გზის მარჯვენა ნაპირზე მივდიოდი, ექსკავატორისა და მანქანების განუწყვეტელ ხმაურში უხმოდ მივაბიჯებდით. სულ ხუთიოდე ნაბიჯი და გვარჩა ხიდამდე, უცბად ვიგრძენი საშინელი დარტყმა ზურგში, გონს რომ მოვედი მიწაზე ვვგდე და გარს რამდენიმე კაცი მეხვეოდა,¹⁶⁸ [167] როგორც შემდეგ გამოირკვა, ორივე ფეხი მოტეხილი მქონდა, მარჯვენა ფეხი ბარძაყის ზედა ნაწილში, მარცხენა კი – კოჭში.

დიდი ვაივავლახით დამაწვინეს მანქანაზე და წამიყვანეს ქალაქის საავადმყოფოში, რომელიც თორმეტი კილომეტრით იყო დაშორებული მშენებლობას. ბანაკის საპატიმრო სტაციონარს არ შეეძლო ჩემი მკურნალობა, მათ არ ჰყავდათ საჭირო სპეციალისტები და მოწყობილობა. ოპერჩევისტულმა ნაწილმა ნება დართო, რომ ქალაქის საავადმყოფოში მოვეთავსებინეთ, რადგან დარწმუნებული იყო, არსად გავიქცეოდი. შემდეგ გადმომცეს, როგორ მოხდა ყველაფერი: მოსახვევთან წამოგვწევია დატვირთული მანქანა ЗИС-5, მანქანის მძღოლს, ჩემსავით პატიმარ 24-25 წლის აზერბაიჯანელს,



წესრიგში არ ჰქონია მანქანის მუხრუჭები და სასიგნალო მოწყობილობა. როცა დავუნახივართ, უკვე გვიან იყო მანქანის დამუხრუჭება, მარცხნივ რომ აეღო გეზი, მშენებლობის უფროსს დააშავებდა, მარჯვნივ კი უფსკრულში გადაეშვებოდა, ამიტომ მე ვეღარ ამცდა და მთელი ძალით დამეჯახა¹⁶⁹.

[168v] ექიმებს თურმე მარჯვენა ფეხის ფუნქციის აღდგენისა არ სჯეროდათ და ამპუტაციის საკითხი დასვეს. მეორე ფეხი კი მუხლამდე თაბაშირში ჩამისვეს¹⁷⁰.

[169] მესამე დღეს გარიჟრაჟზე პალატაში შემოვიდა ექთანი და შემატყობინა, ვილაც ქალი გკითხულობთო. გავოცდი, წამოვიწიე ბალიშზე და დავინახე, რომ კარებთან იდგა გაფითრებული, მგზავრობით და მღელვარებით მოქანცული ჩემი ცოლი – თიკო¹⁷¹. თურმე წინა დღით მიეღო ორი უცნობი გვართ ხელმოწერილი დეპეშა: „თქვენი ქმა-

¹⁶⁹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: აუწერელია ის ტკივილები, რომელიც მე განვიცადე მანქანაში, გზა მოუპირკეთებელი და უსწორმასწორო იყო. ჩვენი მანქანა გააჩერეს. იქ უკვე შეეცოთ ჩემი ამბავი და გამოსულიყვნენ შესახვედრად. მანქანაზე ამოვიდა და მომვარდა აცრემლებული ვ. ი. მალხასიანი, რომელზედაც მე წინა თავში მოგიყევით: რატომ მე არ გადამიტყდა ეს ოხერი ფეხები, დავით სერგვევი, – ლულულუღებდა ის, – მე მაინც ვერ მივალწევ ვადის დასრულებას. ნეტავ, შემეძლოს რითიმე შეგიმსუბუქოთ ტანჯვა, მერწმუნეთ, სიცოცხლეს არ დავიშურებ! მშენებლობის უფროსმა ნიკოლაევმა, რომელიც მძლოლს უჯდა კაბინაში, გამოიხედა ფანჯრიდან და წინადადება მისცა მანქანაზე ამოსულებს, სწრაფად ჩასულიყვნენ. მე მოვასწარი მხოლოდ ჩემი თბილისის მისამართის გადაცემა. სამწუხაროდ, დამავიწყდა გამეფრთხილებინა, რომ დეპეშა ჩემი სახელით გაეგზავნათ.

მანქანა დაიძრა. აუტანელი ტკივილებისაგან რამდენჯერმე გული შემიღონდა. როგორც იქნა, მივალწიეთ ქალაქის საავადმყოფოს. გულისხმიერად მიმიღეს, როდესაც შეიტყვეს, რომ მე პოლიტიკური პატიმარი ვიყავი, ცოტა არ იყოს, შემაფიქრიაან კიდევ ექიმების დემონსტრაციულმა ყურადღებამ ჩემს მიმართ, „ვთუ თუ მესამე ნაწილს ეს არაფრად ეტაშნიკოს, ვფიქრობდი მე და საპატიმრო ლაზარეთში ან მიკრას თავი“. საბედნიეროდ, ეს არ მოხდა, როგორც ეტყობა, ყველგან შეხვდები ადამიანებს. იმ დღეს რენდგენის სურათი არ გადაუღიათ, კვირა იყო და რენდგენის კაბინეტი არ მუშაობდა. მომცეს პანტაპონი, მეძინა მძიმედ და მოუსვენრად. მეორე დღეს რენდგენმა უჩვენა სავალალო სურათი – ორივე ფეხის შინაგანი მოტეხილობა. განსაკუთრებით რთული იყო მარჯვენა ფეხის ზედა მესამედის აცილებული მოტეხილობა მყესების გაწყვეტით, როგორც შემდეგ შევიტყვე.

¹⁷⁰ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: მარჯვენა ფეხის ბედი უნდა გადაეწყვიტა მთავარ ექიმს, პოლიაკოვს, რომელიც მეორე დღეს უნდა დაბრუნებულიყო მივლინებიდან. იმ დღეს ორჯერ მომცეს პანტაპონი და მორფის ინექციაც გამოიკეთეს.

¹⁷¹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „სიხარულით სული შემეხუთა, პირველ წუთებში ხმა ვერ ამოვიღე. წამოვიწიე, მაგრამ ტკივილისგან ამოვიკვნიეს და ისევ ბალიშზე მიწვიეთი. თიკო მოვარდა საწოლთან, მომეჩვენა, რომ ფეხებს დაამტერდა, მიხვდდი, რაც აწუხებდა. გადავწიე საბანი და ვუთხარი: ნუ გეშინიან! ორივე ფეხი ადგილზეა. აი. დახედე, თიკომ ამოიხვნეშა და იქვე ჩემს გვერდით ბალიშზე დაეცა. ერთხანს ხმას ვერ იღებდა. შემდეგ შევიტყვე, რამდენი რამ გადაუტანია მას ამ ორი დღის განმავლობაში.“



რი კიროვებადის საავადმყოფოშია, საჭიროა თქვენი ჩამოსვლა¹⁷²“. იმ დეპეშის მიღებისთანავე ბავშვი დედაჩემს ჩააბარა, ვაივავგლახით იშოვა საშვი, მიატოვა სამსახური და საღამომე უკვე მატარებელში იჯდა¹⁷³.

[170v] ჩემი მოვლის, ესე იგი მამაკაცთა პალატაში დარჩენის, უფლება რომ ჰქონოდა, თიკოს უნდა ეკისრა სანიტრის მოვალეობის შესრულება დანარჩენი ავადმყოფების მიმართაც¹⁷⁴.

¹⁷² ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „აირაპეტოვი, მალხასიანი. ამ დაუღალავ ადამიანს, რომელსაც სიცოცხლეში ნებისთ თუ უნებლიედ მე ბევრი ვარამი გამოვაცდევინე“.

¹⁷³ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: დილით სადგურიდან კითხვა-პითხვით მოსულყო იმ საავადმყოფოში, სადაც მე ვიწევი. დარაჯს არ შეუშვია, აქ პატიმარი არავინ არისო და არ შეიძლება იყოსო. თიკო ფეხით გასულა ქალაქის ბოლოს ინფექციურ საავადმყოფოში, იქაც, რა საეჭვოა, უარით გამოუსტუმრებიათ, კვლავ ქალაქის საავადმყოფოს მოადგა. თურმე ამჯერად მორიგეს დაბეჯითებით მოუსმენია მისთვის და უთქვამს, რომ „კვირას, მგონი, ერთი ქართველი მოიყვანეს, ორივე ფეხის მოტეხილობითო“. ადვილი წარმოსადგენია, როგორი გულისფანცქალით უნდა შემოსულიყო ჩემთან თიკო.

ჩვეს ლაპარაკში ვიყავით გართული, როდესაც თავზე დაგვადგა უფროსი ექიმი პოლიაკოვი თავის ამალით:

- **А вы почему здесь?** (თარგმ.: თქვენ აქ რა გინდათ?) - ჰკითხა მან თიკოს.

- **Это моя жена, позвольте ей остаться,** - (თარგმ.: ეს ჩემი მეუღლეა, ნება მიეცით, დარჩეს) ჩავერეე მე ლაპარაკში.

- **Посмотрим, посмотрим, а сейчас позвольте осмотреть больного.** (თარგმ.: ვნახოთ, ვნახოთ... ახლა კი, ავადმყოფის გასინჯვის საშუალება მომიცით.)

თიკო გავიდა. ექიმებმა დაკვირვებით გამსინჯეს. რენტგენის სურათსაც დაუკვირდნენ და თუმცა ჩემთან არა უთქვამთ რა, შევატყვე, საერთოდ დასკვნა კარგს არაფერს მოასწავებდა, ალბათ ამიტომ უფროსმა ექიმმა თავის სიტყვებში ჩააქსოვა სიტბო და აღერსი: **А вы молодой, Давид Сергеевич, если не ошибаюсь.** (თარგმ.: ყოჩაღი ყოფილხართ, დავით სერგევიჩ! თუ არ ცდებით)

მე თავი დავუქნიე.

Передайте супруге пусть остается, только как же ночью, то ведь, это палата мужская.

(თარგმ.: გადაეცით მეუღლეს, რომ შეუძლია დარჩეს, მაგარამ ღამე როგორ იქნება, ეს ხომ მამაკაცების პალატაა.)

¹⁷⁴ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: თიკოს თვალები გაუბრწყინდა. ერთხელ კიდევ, კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენჯერ... გამოავლინა თავისი სულგრძელობა, ქალური ქალობა, მეორე დღეს საქართველოდან ჩამოვიდა ჩემი მამიდაშვილი, ქირურგი, პროფესორი კ. ფ. ვ-ძე. საავადმყოფოს მთავარ ექიმთან ერთხელ გამსინჯეს და მიიღეს გადაწყვეტილება მიემართათ ფეხის სიმძიმით გაჭიმვის მეოთღისათვის, რადგან რენტგენის სურათი თითქოს აცილებულ მოტეხილობას აჩვენებდა. თავისთავად ოპერაცია რთული არ არის, თუმცა ძალიან მტკივნეულია და, რაც მთავარია, ამის შემდეგ ორმოცი დღე უნდა ვწოლილიყავი გაუნძრევლად. გამიყვანეს საოპერაციო ოთახში ორივე ქირურგი დამადგა თავზე. მუხლში ბურღით გამოიტარეს ფოლადის საკმაოდ სქელი ჩხირი. ფიზიკური ტანჯვა და ტკივილი ადვილად ავიწყდება კაცს. თითქმის ოცმა წელმა განვლო მას შემდეგ და დღემდე ვერ მოვანხე შესაფერი სიტყვები ავწერო ის საშინელი წუთები. ერთი რამ მახსოვს მკაფიოდ, არ დავუჭინებია. ბურღვის დროს მედღას ეჭირა ჩემი მარცხენა ხელი. როდესაც ტკივილი აუტანელი შეიქნა, რომ არ დამეყვირა (ვიცოდი, რომ თიკო მეზობელ ოთახში იმყოფებოდა), ისე მოვუჭირე ხელი საბრალო ქალს, რომ მე კი არა, მან შეწყვირა, გული წაუვიდა თურმე. მუხლშივაცარილი ჩხირი დამაგრებული იყო ქანით და ჭანჭიკით ნალის მსგავს მოწყობილობაზე ორივე მხრიდან. ეს ნალი, თავის მხრივ, დამაგრებული იყო გადაამცემი როიკების მეშვეობით სიმძიმესთან, რომელიც ასრულებდა ბალანსის როლს აცილებული ძვლის გამოსაწევით და ადგილზე ჩასაჯდომათ.

ეს რთული მოწყობილობა უნდა მქონოდა გაკეთებული ორმოცი დღე“.



[171v] დიდი ჯაფა დაადგა, მაგრამ რაც საავადმყოფოში ყოფნა მომიწია, იქ კი თითქმის სამი თვე დავყავი, ერთხელაც არ შემიმჩნევია მის სახეზე უსიამოვნება ან ტანჯვა¹⁷⁵. [172] აუტანელი, შეუჩერებელი და ბასრი ტკივილი მქონდა მუხლში, სადაც ოპერაციის დროს ბურღით გამიყარეს ფულადის ჩხირი¹⁷⁶.

მთავარმა ექიმმა ექთანს დაავალა ოპერაციისათვის მოვემზადებინე, თურმე იფიქრა ინფექციით გამოწვეული დაჩირქებააო. მაგრამ თიკოს თურმე ეჭვი შეეპარა „ჩხირი ხომ არ არის გადატეხილი ძვალშიო, რადგან მისი ორივე ბოლო ქანჩით და ჭანჭიკით იყო მიმაგრებული ნალზე და გარედან შეუძლებელი იყო რაიმეს შემჩნევა. არავისთვის არაფერი უთქვამს, საოპერაციო დას სთხოვა მიეცა მისთვის ისეთივე ჩხირი, მე რომ მქონდა მუხლში გაყრილი. შემოიტანა და დააბომა. ჩემს მუხლში გაყრილი ჩხირი უფრო გრძელი აღმოჩნდა. თიკო სწრაფად გაეშურა მთავარ ექიმთან.

მან შეამოწმა თიკოს ნათქვამი და უთხრა:

— Благодарю вас, Тина Васильевна, вы уберегли мужа от новых мучений, а нас от угрызения совести. (თარგმ.: დიდი მადლობა, თინა ვასილიევნა, მეუღლე ახალ სატანჯველს აარიდეთ, ჩვენ კი სინდისის ქვენას.)

საოპერაციოში აღარ გავუყვანივარ, აქვე [173] პალატაში მომხსნა ორივე მხრიდან ქანჩი და ჭანჭიკი და გადატეხილი ჩხირის ნაწილები ორივე ხელით გამოაძრო.¹⁷⁷ ოთხი დღე-ღამის უძინარს და

¹⁷⁵ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „რამდენის ატანა შეუძლია ამ ქალს ... ქირურგიული განყოფილების უფროს მედდად იმჟამათ იყო ვინმე დომნა ნიკოლაევნა მ-ოვა, ტომით ბელორუსი, ოშვათი ადამიანი, წყნარი, კეთილი, გულუხვი და სპეტაკი. ის იყო მკურნალი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მკურნალი სულის და სხეულის, ყურადღებიანი და ღმობიერი ყველას მიმართ. პრ-რი კ. ვეფხვაძე მეორე დღეს დაბრუნდა საქართველოში. უმძიმესი ოპერაციის შემდეგ არ მიკლო ტკივილებმა, პირიქით, მორფს და პანატაპონს მაძლევდნენ. ექიმმა პოლ-ოვმა დამამშვიდა. ეს ტკივილები მესამე დღეს გაგივლისო. მაგრამ მის[ი] სიტყვები არ გამართლდა. მე ისე მოტეხილობა არ მაჩუხებდა, როგორც“ ...

¹⁷⁶ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „საკმარისი იყო ოდნავ ღრმად ამომესუნთქა, რომ საშინელი ელვისებური ტკივილი მეგრძნო. თიკო მოსვენებას ვერ პოულობდა, ცდილობდა ლაპარაკით გავერთე, მაგრამ ტკივილი არ მიყუჩდებოდა. მესამე დღეს თიკომ თურმე სიმსივნე შენიშნა და ექიმი შემოიფყვანა, დომნა ნიკოლაევნა. ამ უკანასკნელის თქმით, ეს პირველი შემთხვევა იყო მის 35 წლის პრაქტიკაში. მისივე თქმით, ორგანიზმი ყველა შემთხვევაში ეგუება უხერხულ მდგომარეობას და ძვალში გაყრილი ჩხირი მესამე-მეოთხე დღეს ტკივილებს არ უნდა იწვევდესო. ასეა თუ ისეა, მე სიმწრის ოფლი მასხავდა და მხოლოდ ნარკოზის საშუალებით მიყუჩებდნენ ტკივილებს. მეოთხე დღეს“ ...

¹⁷⁷ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „თავი ვერ შევიკავე და შევყვირე. იმავე წუთს ვიგრძენი დიდი შვება, თითქოს ვეებერთელა ლოდი მომეხსნა გულიდან“.



¹⁷⁸ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „მხოლოდ მეორე დღეს, შუადღისას, დავაღწიე თავი ძილის კლანჭებს. თიკო გვერდზე იჯდა და ღიმილით შემომცქეროდა. რა უნდა მეთქვა. სიტყვა სუსტი იარაღია ზოგიერთი გრძნობების გამოსახატავად. პალატაში თითქმის ყველას ეძინა. ხელით მოვიზიდე თიკო და ვაკოცე. ისევ ჩამეძინა. ამჯერად, როგორც ჩანს, ძილი ღრმა არ იყო“.

¹⁷⁹ ივ. ქალაქი ყუბა.

¹⁸⁰ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „სოფელი ხაზრა მთაზეა შეფენილი. ქუჩის მაგივრობას ასრულებენ ვიწრო საცაღფეხო ბილიკები, ბანიანი, ნახევრად მიწური ქოხები, შორიდან კოლორიტულ სურათის შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ“.

¹⁸¹ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „რომელიც აღნაგობით, სახის ნაკვეთით და მოკლედ შეჭრილი უღვაშებით უფრო ქართველ ჭაბუკს ჩამოგავადა“.

¹⁸² ტექსტში: მე-II კურსიდან.

¹⁸³ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „იუზუფმა მოინდომა ჩემთან ერთად წამოსვლა, ორი მშვენიერი ცხენი შეაკაზმვინა. კუბაში ჩვენ დიდხანს არ გავჩერებულვართ“.

ქანცმილეულს მაშინვე ჩამეძინა.¹⁷⁸ დამესიზმრა ახალგაზრდობაში ნამდვილად განცდილი ამბავი. და რადგან ეს ამბავი შეესატყვისება იმ როლს, რომელსაც მუდამ ასრულებდა ჩემს ცხოვრებაში ჩემი მეგობარი და მეუღლე თინათინ ფავლენაშვილი-გორგაძისა, მინდა თქვენც მოგიტხროთ იგი. 1930 წლის ზაფხულის მიწურულს მე ჩრდილო აზერბაიჯანში მოვხვდი ხაჩმასის რაიონში, ქალაქ კუბაში.¹⁷⁹

იმჟამად ამიერკავკასიის საგემო კომისიაში ვმუშაობდი უფროს მეცნიერ მუშაკად. კომისიას ჩემი ხელმძღვანელობით მდინარე ხაზრაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკური და ეკონომიკური პროექტი უნდა შეედგინა.

კომისიის დანარჩენი წევრები ჰიდრომშენებლები იყვნენ.

სადგურ ხაჩმასედან ქალაქ კუბამდე და შემდეგ ლეკების სოფელ ხაზრამდე ცხენებით ვიარეთ.¹⁸⁰ ადგილობრის ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა ლეკმა.¹⁸¹ [174] რუსულს კარგად ფლობდა, წითელ პროფესორთა უნივერსიტეტის მე-II კურსიდან¹⁸² იყო თურმე მობილიზებული პარტიულ სამუშაოზე. მე და იუზუფი (ასე ერქვა მას) დავმეგობრდით. მისმა გონებამახვილობამ და ენერგიამ დიდი დახმარება გავციწია საჭირო მონაცემების დაგროვებაში. მეხუთე დღეს შეპირებისამებრ მე ტელეფონით უნდა დავკავშირებოდი ბაქოს. ლეკთა სოფელში ტელეფონი იმხანად, რა გასაკვირია, არ იყო. მომიხდა წასვლა ქ. კუბაში, რომელიც ათიოდე კილომეტრით იყო დაშორებული ხაზრას. იუზუფიც გამომყვა.¹⁸³ მოვათავე თუ არა ტელეფონით ლაპარაკი, აზერბაიჯანის საგემო კომისიის თავმჯდომარესთან, უკან გამოვწიეთ. ხაზრას რომ მივუახლოვდით, მოსალამოვდა.



მთის კალთებთან მინდორში ახალგაზრდა ლეკის ქალები ბოსტანს დასტრიალებდნენ. ოციოდე ნაბიჯზე რომ მივუახლოვდით, ერთ-ერთმა ლეკმა ქალიშვილმა სიმღერა დაიწყო. უჩვეულო იყო ჩემთვის ეს ჰანგი და უფრო მეტად კი მაჰმადიანი ქალის გაბედულება. მე უცნობს არ მომერიდა, ლეჩაქასხნილი გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდა იუზუფს და მღეროდა.¹⁸⁴ ვგრძნობდი, რომ ეს იყო სამიჯნურო სიმღერა, ლალი, მოკლებული ყოველგვარ ბიწიერებას, სავსე კდემამოსილებით.

¹⁸⁴ ავტორის მიერ წაშლილი ტექსტი: „საოცარი და შთამბეჭდავი იყო ეს სურათი. შემობინდების ჟამს აქ კავკასიონის ქედის კალთებთან. სიტყვებს აბარას გავიგებდი, მაგრამ...“

იუზუფმა სადავე მოსწია, მეც მანიშნა — შეაჩერე ცხენიო. ასე სულგანაბული, ვუსმენდით მთიელი ქალის გულისტქმას. სიტყვები შემდეგ გადმომიტარგმნა იუზუფმა. დღემდე მახსოვს და არასდროს დამავიწყდება ამ სიტყვებში ჩაჩუქურთმებული ბროლივით გამჭვირვალე სპეტაკი გრძნობა:

[175] „ჩამოხე, რაინდო, მომეცი ხელი,
ეს მე ვარ, ვინც არაერთხელ დაგსიზმრებია.
მე ვარ შენი ბედი, შენი ოცნება,
თუ სატრფოს ალერსი მოგწყურდა,
მე ცეცხლს დაგინთებ გულსა და სისხლში.
თუ მძიმედ დაგკოდეს ბრძოლის ველზე,
მე ვიქნები შენი დაი, უნაზესი, მოგივლი და მოგისათუთებ.
თუ სახადი შეგეყარა და სარეცელს მიგაჯაჭვა,
მე ვიქნები შენი შვილი, სუნთქვას გაჩუქებ.
თუ ცხოვრებამ გაგრიცა და სიბოროტემ გძლია სასტიკმა,
დედა ვიქნები, ყოვლისშემძლე, მოსიყვარულე,
ჩამოქვეითდი მომეცი ხელი...“
სიმღერა დამთავრდა.

იუზუფი, რომელიც ცხენზე უმოძრაოდ იჯდა და უსმენდა, მომიბრუნდა, თვალებში თითქოს ნაღველი შევამჩნიე. შემდეგ ხელი ჩაიქნია და მანიშნა — გზას გავუდგეთო, ჩვენში ქალიშვილს არ ეკრძალება ვაჟს სამიჯნური სიმღერით მიმართოს, — მითხრა იუზუფმა, მაგრამ მალულად კი არა, წყვილიადმი, არამედ ხალხში, საჯაროდ. ის გოგონა ჩვენი მეზობლის შვილია. ერთად ვიზრდებოდით. მშობლებმა ჩვენი



შეუღლება თურმე დიდი ხანია უჩვენოდ გადასწყვიტეს. მე რომ ცხენიდან ჩამოვმხტარიყავი, ეს თანხმობის ნიშანი იქნებოდა და ხვალ ამ ქალის მშობლები მაჭანკლებს გამომიგზავნიდნენ. მაგრამ განა გამომადგება დღეს ის ქალიშვილი ცოლად?

— როგორ თუ არ გამოგადგება?

— ეხ, დავით სერგეევიჩ, მაგან ლეკური ენის მეტი არა იცის რა, ორი კლასი აქვს დამთავრებული. მე კი... მე ისევ მოსკოვს უნდა დავუბრუნდე. ჩემი გზა სხვაა ...

მეწყინა. ეს მიუტევებელი ქედმაღლობა იყო [176] გუშინდელი გლეხისა, რომელსაც რუსული ენის ცოდნა და პარტიული ბილეთი სიბრძნისა და კულტურის სიგელად მიაჩნდა. იუზუფი უკვე აღარ იყო ლეკი — რაინდი და ის ნამდვილად არ იყო ღირსი იმ მშვენიერი ქალისა, რადგან არ შესწევდა უნარი ჯეროვანად შეეფასებინა არც მისი დიდსულოვნება, სულიერი სილალე და არც საუკუნოებრივი სიბრძნის საფუძველზე აღმოცენებული სამიჯნურო ფილოსოფია.

„ჩემო ყველაჯ“, ეტყვის ქართველი მთიელი — ხევსური იქნება თუ თუში ან მოხვევ — თავის მიჯნურს. ეს ორი სიტყვა მოიცავს ყველაფერს, რაზედაც ასე პოეტურად მღეროდა ლეკი გოგონა. მე ეს ეპიზოდი იმიტომ გავიხსენე, რომ ჩემი ცხოვრების სასთუმალთან ოჯახის ღირსების და სულიერი სიმშვიდის ქომავად მუდამ მეგულებოდა ჩემი თიკო — „ჩემი ყველა“!

ნევისპირელი დეკაბრისტი ქალების უპირატესობა თიკოს წინაშე მხოლოდ იმაშია, რომ მათი სახელი უკვდავყო დიდმა რუსმა პოეტმა. მე კი პოეტი არა ვარ. ამიტომ მხოლოდ მუხლს ვიყრი თიკოს — ქართველი ქალის — მაღალი სულის წინაშე.

დ. გორგაძე





გდასახლებიდან ახლადდბრუნებული დავით გორგაძე,
1947 წელი, ტყიბული (ფოტო გადმოღვცა ქეთევან აბესაძემ)



საქართველოს
არქივული
სამსახური

Д-СССР

ГУЛЖ ИС

УПРАВЛЕНИЕ
Строительства и
лагеря № 108

СПРАВКА

Выдана гражданину
Давид
1903 года рождения

21 августа 1945

осужденному(ой) по делу № 15738
гражданство (подд.)

26 марта 1943 г. по ст.ст.

с поражением в правах по ст.ст.
оо слов раисе

в том, что он(она) отбывал(ла) меру наказания с
и по ст.ст. оо слов раисе

Место
для фото-
карточки
или дактооттиска
большого
пальца правой
руки

с применением п. 2 г
из ст.ст. оо слов раисе
(наименование испр.)
освобожден(на) 21 г.
жительства в Рязань
в порядке желез.

Настоящая справка выдана
Нач. Упр. № 108
Нач. ОУПЗ (подпись)

Печать

(подпись начальника)

სსრკ-ს შინსახკომის N108 ბანაკის მშენებლობის სამმართველოს
ცნობა დავით გორგაძის პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ
1945 წლის 21 აგვისტო



Форма «А»

Видом на жительство не служит

При утере не возобновляется

№ 14

Горгадзе
Сергей
уроженцу(ке) *Г. Г. Г. Г.*

СССР национальность Грузин
МВД СССР

в к-р *Совetskaya организация*
УК к лишению свободы на 8 лет

21 июля 1943 г. по 21 августа 1945 г.


МВД СССР № 185
Дель Сибиря № 108

авительно-трудового лагеря, колонии или тюрьмы
21 августа 1945 г. и следует к избранному месту
до ст. *108*

би дороги
дача "21 августа 1945 г.

пись начальнику лагеря, колонии или тюрьмы
Сибиря

льника ОУРЗ лагеря или колонии или секретаря тюрьмы)



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԱՐԴԱՐԱԴԱՐԱՆԻ ԱՐԿԻՎ

Լժնացու

25-ից 1968-ին

գրքացն էլն հարմարե իմե
սրիսը ին քննարկում եմ, ու
սկզբն շրջանը թողնելով, որ
պատշաճան.

Լժնացու զոս արթ-արթու,
էրմ ինքնը ուղեպարս կրնն ընա!
Լժնացու զոս արթն զգուս
Լժնացու զոս արթն զգուս

զոս արթն կռիվի, կռիվի, կռիվի,
արթնը արթնը արթնը,
Լժնացու արթնը արթնը,
Լժնացու արթնը արթնը

Լժնացու արթնը արթնը,
զոս արթնը արթնը, արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը,
զոս արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը

արթնը արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը

արթնը արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը

արթնը արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը,
արթնը արթնը արթնը արթնը



1. შიგნითი ზედათი

აწმული გუბერია დარსებად დადებულია დაჟინ
 იქნა იგივეს ხელსაღი აწმ, სუფარხი აწმ, სუფარხი და
 უმცირესი დარსებად და დარსებად დადებულია

აწმული აწმ, სუფარხი აწმ, სუფარხი აწმ, სუფარხი
 დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ
 დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ

აწმული აწმ, სუფარხი აწმ, სუფარხი აწმ, სუფარხი
 დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ
 დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ

აწმული აწმ, სუფარხი აწმ, სუფარხი აწმ, სუფარხი
 დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ
 დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ

აწმული აწმ, სუფარხი აწმ, სუფარხი აწმ, სუფარხი
 დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ
 დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ

აწმული აწმ, სუფარხი აწმ, სუფარხი აწმ, სუფარხი
 დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ
 დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ დაჟინ

ღამთკება



ორი იმპერატორის სტუმრობა¹⁸⁵

1. პრატაკოლა¹⁸⁶ ჩოლოყაშვილი

[220] თბილისის წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში ეწვია სრულიად რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III¹⁸⁷⁻¹⁸⁸ უფლისწულ ნიკოლოზისა¹⁸⁹ და მრავალრიცხოვან კარისკაცთა თანხლებით. თავის მხრივ, ნიკოლოზ II-მ¹⁹⁰ ტახტზე ასვლის თორმეტიოდე წლის შემდეგ მონახულა თბილისი პირველი მსოფლიო ომის წლებში.

ორივე ამ შემთხვევასთან დაკავშირებულია ბიძაჩემის სიტაბუკის და პირადათ ჩემი ყრმობის დროინდელი საკმაოდ სასაცილო ამბები.

მოგითხრობთ:

ალექსანდრე III-ს, როგორც ვიცით, „მშვიდობისქმედს“ (МИРО-ТВОРЕЦ) უწოდებდნენ. მისი მეფობის დროს რუსეთს არც ერთი ომი არ უწარმოებია.

იმპერატორის ჩამოსვლას თბილისში მოუთმენლად მოელოდნენ. დიდ სამზადისში იყვნენ თავადაზნაურთა და დიდ სამხედრო პირთა ოჯახები, მსხვილ ბურჟუაზიისა და მოხელეთა წარმომადგენლები.

ბიძაჩემი მიხეილი აზნაურთა იმ წრეს ეკუთვნოდა, რომელიც მხოლოდ წოდებით თუ იყო მასთან დაკავშირებული, თორემ სხვა არა ჰქონდა რა საერთო; სადა, თავმდაბალი, ქალაქში დაბადებული და გაზრდილი, ის უფრო პროგრესულ და დემოკრატიულ ფენებისაკენ იხრებოდა და ერთხანს მოისოციალისტებდა კიდეც. ყოფილ მემამულეთა მესამე თაობის შვილს მას არ აწუხებდა არც ზვრები და ყანები.

მასაც მოუხდა იმპერატორის შეხვედრა.

გავარდა თუ არა ხმა, საქართველოში ხელმწიფე-იმპერატორი აპირებს ჩამოსვლასო, ერთ-ერთმა საკმაოდ გამჭრიახმა და

¹⁸⁵ მესამე რვეული

¹⁸⁶ ტექსტი: პრაკოლა.

¹⁸⁷ აქ და მომდევნო გვერდებზე ტექსტი: ალექსანდრე მე-III-მე

¹⁸⁸ ალექსანდრე III (1845-1894) – რუსეთის იმპერატორი 1881-1894 წლებში. 1888 წელს ვაჟთან, ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზთან ერთად ესტუმრა თბილისს.

¹⁸⁹ ნიკოლოზ II (1864-1918) – რუსეთის იმპერატორი 1894-1917 წლებში. 1918 წლის 17 ივლისს, ყოფილი იმპერატორი ოჯახის წევრებთან ერთად დახვრიტეს ბოლშევიკებმა.

¹⁹⁰ აქ და მომდევნო გვერდებზე ტექსტი: ნიკოლოზ მე-II-ემ.



მოხერხებულმა, თავადიშვილმა – ვინმე ანდრონიკაშვილმა მოუყარა თავი ქართლ-კახეთის თავადაზნაურების ოჯახებიდან ახალგაზრდა ვაჟკაცებს, რომელნიც გამოირჩეოდნენ ან ახოვნებით, ან სილამაზით და თავაზიანი მიხვრამოხვრით და გაუზიარა თავისი განზრახვა: სამეჯლისო ქულაჯებში გამოეწვევით, ქამარ-ხანჯალი აისხითო და იმპერატორის შესახვედრათ მოემზადეთო! როგორც ქართველ თავადაზნაურობის წარმომადგენლებს, მეფე უთუოდ რითიმე დაგაჯილდოვებთო და თქვენთვის ჩინ-მედლებს არ დაიშურებსო.

ოც-ოცი წლის ჭაბუკებს მეტი რა უნდოდათ, აუტყდნენ მშობლებს: როგორც გინდათ, ფული ისე იშოვეთო, თუ არა გყოფნით, მამულები დააგირავეთო და გამოგვაწყვეთო.

რის ვაივაგლახით ისედაც გაძვალტყავებულმა მშობლებმა წელებზე ფეხი დაიდგეს და თავისი ნაშიერები სამეჯლისოდ გამოაწყვეს. შინდისფერი მოკლე ბეწვშემოვლებული ხავერდის ქულაჯები, ფარჩის შარვალ-ახალუხი, მოვერცხლილი ქამარ-ხანჯალი იაფად როდი დაუჯდათ მშობლებს, მაგრამ რას გააწყობდნენ.

- კარგი სანახავი ვიყავით ალბათ, - იტყოდა ხოლმე სიბერეში ბიძაჩემი, - ეს ორმოცი ერ[თ]ნაირად გამოწყობილი ქართველი ვაჟკაცი. ყველა ჩვენ შემოგვნატროდა და შურის თვალით გვაცილებდა, როცა მწყობ[რ]ში ჩავდექით და გავწიეთ სადგურისაკენ.

ყველაზე ტანმორჩილი ყოფილა თურმე ვინმე კოლა ჩოლოყაშვილი, ოცი წლის, წვერულვაშმოშვებული ჭაბუკი, რომელსაც გრძელი მამაპაპეული სატევარი ერტყა წელზე. იმდენად სხარტი, მოქნილი და შნოიანი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა და ისე მედიდურად მოაბიჯებდა, რომ მის დაბალ ტანს ვერავინ ამჩნევდა.

მწყობრი სადგურის ბაქანზე დაუბრკოლებლად შეუშვეს. ამ შეხვედრის მომწესობი თავადი ანდრონიკაშვილი გავლენიანი კაცი იყო და, როგორც ეტყობა, მეფისნაცვალის ნებართვა წინასწარ ჰქონდა აღებული.

ბაქანზე თავი მოეყარათ ქალაქის თვით[მ]მართველობის თავკაცებს, მეფისნაცვალის კარისკაცებს, სამხედრო შტაბის დიდ ჩინებს, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის და ქალაქის შეძლებულ წრეების წარმომადგენლებს. სამხედრომუნდირები, ვიზიტკები, ფრაკები, სერთუკები, ქართული ყურთმაჯიანი კაბები, ჩიხტიკოპები, ქულაჯები, ახალუხები, ფართო ევროპიული ყაიდის შლი[ა]პები, ხაბარდა კაბები და სხვა და



სხვა ნაირსახურ სანახაობას წარმოადგენდა. აქ-იქ მოსჩანდნენ [221] და დიდ ფუსფუსში იყვნენ მეფისნაცვალის ადიუტანტები, რომლებიც¹⁹¹ მეფისნაცვლის მოლოდინში წესრიგის დაცვას ცდილობდნენ.

თავად ანდრონიკაშვილის ოცეულს ერთ-ერთმა ადიუტანტმა ბაქანზე განსაზღვრული ადგილი მიუჩინა. როგორც ყველაზე ტანმორჩილი, კოლა ჩოლოყაშვილი მარცხენა ფლანგზე აღმოჩნდა.

მეფის მატარებლის მოსვლამდე ათიოდე წუთი რჩებოდა, როდესაც ბაქანზე გამოვიდა მეფისნაცვალის მეუღლითურთ. მათ ჩაუარეს მწყობრს და მიესალმნენ თ-დ ანდრონიკაშვილს. მეფისნაცვალმა კმაყოფილება გამოთქვა — კარგი ახალგაზრდები შეგირჩევიათო.

გამოჩნდა სამეფო მატარებელიც. სამხედრო ორკესტრმა ააგუგუნა ბუკები და ლიტავრები, ყველა აფუსფუსდა. ხნიერი მასპინძლები წელში გასწორდნენ, მანდილოსნებმა ერთხელ კიდევ ჩაიხედეს პატარა სარკეებში, ჩოხოსნებმა გაისწორეს ქამარ-ხანჯალი.

მეფისნაცვალი, მისი მეუღლე, ქალაქის თავი და თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლი თ-დი მუხრანბატონი გაემართნენ მეფის ვაგონისაკენ. მატარებელი ჩამოდგა. ორკესტრმა სახელმწიფო ჰიმნის შესრულება დაიწყო. საერო წრეების წარმომადგენლებმა — მამაკაცებმა შლიაპები და ქუდები მოიხადეს. სამხედროები გაიჭიმნენ. ყველას დიდი მღელვარება ემჩნეოდა. გაიღო ვაგონის კარი და მძლავრმა „ypa“–ს ძახილმა დაფარა ორკესტრის ხმა.

კიბებზე გამოჩნდა ხელმწიფე-იმპერატორი. სამხედრო მუნდირი რომ არა, ალექსანდრე III ჩასუქებულ ბანკირს ან პირველი გილდიის ვაჭარს უფრო მოგავგონებდათ თავისი ღიპით და გაშლილი წვეკრებით.

ქალაქის თავმა მდაბლად დაუკრა თავი და რუსულად შემდეგი სიტყვებით მიმართა:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობაჲ!

მეფე იღიმებოდა და ღმობიერი თვალით ათვალეირებდა თბილისის საზოგადოებას. თაიგულით ხელში მას მიუახლოვდა ქართულად გამოწყობილი, მედიდური შესახედაობის მანდილოსანი, განთქმული თავისი სილამაზით, თავადის ქალი ეკ. ციციშვილი, რომელმაც ქართულად ასე მიმართა მეფეს:

¹⁹¹ ტექსტში: რომელიც.



- ქართველი თავადაზნაურობა მხურვალედ მიესალმება მეფეს და უფლისწულს და ვუსურვებთ მათ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას!

მეფისნაცვალის შეეცადა გადაეთარგმნა კნ. ციციშვილის ეს სიტყვები, მაგრამ უკანასკნელმა თამამად ჩამოართვა მას სიტყვა და მშვენიერი რუსულით კვლავ განაგრძო:

- Ваше императорское величество! Законы гостеприимства обязывают нас, грузин, следуя заветам предков гостя и повелителя, встречать на нашей земле на языке прадедов. (თარგმ.: თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ! სტუმარმასპინძლობის კანონი ქართველებს გვავალებულებს, წინაპართა აღთქმის თანახმად, სტუმარსა და მბრძანებელს, ჩვენს მიწა-წყალზე, მშობლიურ ენაზე მივესალმოთ)

მეფეს კმაყოფილების იერი დაეტყო, გაიღიმა და ნიშნათ მადლობისა ჩამოართვა ციციშვილის ქალს თაიგული და გადასცა იქვე მდგომ გენერალ-ადიუტანტს. მამას გვერდზე ედგა უფლისწული, მომავალი იმპერატორი ნიკოლოზ II და თუმცა სამხედრო მუნდირი¹⁹² ეცვა, უბადრუკ შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩავარდნილი გულით და სახის მარტივი ნაკვთებით.

ხელმწიფე-იმპერატორის ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდათა მწყობრმა, საიმოვნებით გადახედა მათ და ის-ის იყო უნდა ეკითხა მეფისნაცვალისათვის მათი ვინაობის შესახებ, რომ ორი ნაბიჯი წინ წარდგა თ-მა ანდრონიკაშვილმა და ასე მიმართა მეფეს:

- Ваше императорское величество! Грузинское дворянство послала своих сыновей, чтобы выразить свои верноподданнические чувства и любовь к государю-императору и наследнику-цесаревичу, по случаю их благополучного прибытия на грузинскую землю! (თარგმ.: თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ! ქართველმა თავად აზნაურობამ გამოაგზავნა თავისი შვილები, რათა იმპერატორსა და მემკვიდრე უფლისწულს დაუდასტურონ ერთგულება და სიყვარული, ქართულ მიწა-წყალზე მშვიდობიანად ჩამობრძანების გამო).

მეფემ კვლავ გაიღიმა. მიუახლოვდა მწყობრს, ჩაუარა მას და რატომღაც ჩოლოყაშვილის წინ შეჩერდა, ალბათ იმიტომ, რომ ჩოლოყაშვილს ისევე ჰქონდა მოშვებული წვერი, როგორც მას; შეიძლება იმიტომაც, რომ მეფე სიმაღლით მხოლოდ ჩოლოყაშვილს

¹⁹² ტექსტში: მუნდილი.



სჯობდა და ზევიდან ქვევით დასცქეროდა. ვინ იცის იქნებ გრძელმა სატევარმაც მიიპყრო მისი ყურადღება.

[222] - Кто вы, молодой человек? (თარგმ.: ახალგაზრდავ, ვინ ბრძანდებით?) - შეეკითხა მეფე ჩოლოყაშვილს. ეს უკანასკნელი რუსულზე მწყურალად იყო და მხოლოდ ისლა შესძლო გაჭიმულიყო მეფის წინაშე.

წინ წარდგა ანდრონიკაშვილი:

- Ваше императорское величество, он из князей Чолокаевых, Николай Чолокаев, сын князя Петра Чолокаева, вернейшего слуги В-го Им-ского вел-ества! (თარგმ.: თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ, თავად ჩოლოყაევების გვარიდანაა, ნიკოლაი ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი), თქვენი მონა მორჩილის პეტრე ჩოლოყაევის (ჩოლოყაშვილის) ვაჟიშვილი!)

- Ай да, князь! Добро, добро, Николаем величать значит, тезкой царевичу доводишься! Ростом не вышел, но ладно строен, а кинджал не больно ли велик? (თარგმ.: აი, თავადი! კეთილი, კეთილი! ესე იგი ნიკოლაი გქვიათ, უფლისწულის სეხნია ყოფილხართ, სიმაღლით არ გამოირჩევით, მაგრამ კარგი აღნაგობის ხართ! ხანჯალი კი ზედმეტად დიდი ხომ არაა?).

- Это дедовское оружие (თარგმ.: ეს პაპისეული იარაღია), - კვლავ ჩაერია ანდრონიკაშვილი, - Боевой меч горцев (თარგმ.: მთიელების საბრძოლო ხმალი).

მეფემ წარდგა ნაბიჯი, წა[ა]ვლო ხელი სატევარს და დააპირა მისი ქარქაშიდან ამოღება. ჩოლოყაშვილი აცახცახდა, გაფითრდა, ოდნავ ჰკრა მეფეს ხელი და ხუთიოდე ნაბიჯი ისკუბა უკან, გაეკრა კედელს და თვალეზგაცეცებული შეჰყურებდა ალექსანდრე მე-III-ს.

მეფე გაოცდა, ერთგვარი უხერხულობა იგრძნო, მაგრამ შემდეგ შეიკავა თავი და თითქოს ხუმრობაში მოისურვა ჩაეტარებინა ეს უსიამო სურათი:

- А вы, выдать, робки[й] князь, я хотел только поглядеть на клинок! Ну и Бог с Вами! (თარგმ.: მორცხვი ყოფილხართ, თავადო! მხოლოდ თქვენი ხანჯლის ნახვა მინდოდა! მაგრამ კარგი, როგორც ვნებავთ!) - ამით გაათავა მეფემ და ზურგი შეუბრუნა მწყობრს, შემდეგ შეუერთდა თანმხლებლებს და ვაგზლის მოედანს მიაშურა.

შემფოთებული ახალგაზრდობა მივარდა ჩოლოყაშვილს, ატყდა ალიაქოთი, ზოგი რას ეუბნებოდა და ზოგი რას: შე მხდალო, ლაჩარო, თავი მოგვჭერი, შეგვარცხვინე! რას იფიქრებს რუსთა ხელმწიფე



ქართველ თავადიშვილებზე?! ეს არის შენი ვაჟკაცობა?! და სხვა.

ჩოლოყაშვილი ჯერ კიდევ არ იყო მოსული გონზე, განზე იდგა და ცახცახებდა.

მწყობრის უფროსმაც, თავადმა ანდრონიკაშვილმა წყრომით დასძინა:

- ბიჭო, ამას მოველოდი შენგან? სულ ჩაგვიშხამე ყველაფერი, ყბადასაღები გაგვხადე!

ვაგზლის მოედნიდან მოისმა „ვაშას“ ძახილი, სასულე ორკესტრის ხმა: როგორც სჩანს, სამეფო კორტეჟი დაიძრა ქალაქისაკენ.

ჩოლოყაშვილი მხოლოდ ეხლა დამშვიდდა, ღრმად ამოისუნთქა და მოიბრუნა სული. წამოიწია წინ და ასე მიმართა შემომწყურალ ამხანაგებს:

- კარგი ერთი, თქვენმა მშემ, რა ვიცი, რა მოეპრიანებოდა რუსთა ხელმწიფეს, სატევარს რომ ხელი წაავლო! ერთიც ვნახოთ, ამოელო და ჩემთვის თავი მოეჭრა! მერე? თქვენ რა, პრატაკოლს შეუდგენდით, თუ როგორ არი თქვენი საქმე?!

ეს ისეთი გულუბრყვილობით იყო ნათქვამი, რომ ყველას უნებურად გაეცინა, ანდრონიკაშვილმაც გადაიხარხარა და ასე დასძინა:

- ეს შენი „პრატაკოლი“ არასოდეს დამავიწყდება, როგორც ჩანს, ბოქაულებს და გოროდოვოებს უსწავლებიათ შენთვის ამ სიტყვის მნიშვნელობა, შე „პრატაკოლა“, შენა!

ამ დღიდან კოლა ჩოლოყაშვილს მეტსახელად პრატაკოლას ეძახდნენ. ნამდვილი სახელი ჩქარა დაივიწყეს.

2. „Боже царя храни“

(თარგმ.: „ღმერთო დაიფარე მეფე“)

[223] მეორე შემთხვევა უკვე ჩემს გიმნაზისტობის დროს შეეხება.

1915 წელს ნიკოლოზ II განიზრახა იმპერიის ჩამოვლა. მის მარშრუტში თბილისიც იყო შეტანილი. დიდ სამზადისში იყო ქალაქი. მეფისნაცვლის მმართველი ორგანოები, პოლიცია, ჟანდარმერია, სამხედრო ოლქის შტაბი, სამხედრო ნაწილები, კადეტთა კორპუსი, გიმნაზიები და ქალაქის თვითმმართველობა გაფაციცებით ემზადე-



ბოდნენ სრულიად რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის დასახვედრად.

იმ დროის მესვეურებს ამ საზეიმო სტუმარ-მასპინძლობით სურდათ მიეჩქმალად და გაექარწლებინად ცარიზმისათვის არახელსაყრელი განწყობილება ხალხში გამოწვეული მსოფლიო ომის ბედუკუდმართი მსვლელობით.

იმხანად მე გიმნაზიის მე-4 კლასის მოწაფე ვიყავი და, რა საეჭვოა, ამისი არა გამეგებოდა რა. მე მხოლოდ სანახაობრივი და საზეიმო მხარე მიტაცებდა და როდესაც გამოგვიცხადეს, რომ ჩვენი კლასიც მიიღებდა მონაწილეობას აღლუმში, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მეფის ჩამოსვლის ათი დღის წინ დაიწყო ჩვენი წვრთნა: მწ[ყ]ობრი, მარში, მიხვრა-მოხვრა ... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც საჭირო იყო აღლუმისათვის.

ერთმა ამბავმა შემაშფოთა: ტანვარჯიშის მასწავლებელმა, ტომით ჩეხმა, ვინმე ლუკემმა დამიწუნა „მუნდირი“, საზამთრო პალტოს ფერი „მეტისმეტად მუქიაო“. ჩემი პარადში მონაწილეობის საკითხი ბეწვზე ეკიდა.

ავუტყდი მშობლებს, ალბათ, წამოვიტორე კიდეც. დედამ კატეგორიულად გამომიცხადა:

- დიდი საქმეა, თუ შენ ნიკოლოზ II-ს არ შეხვდი, ქვეყანა არ დაიქცევა. მე ახალი პალტოს თავი არა მაქვს!

მამაჩემი ამ საქმეში არ ჩაერია. გამომესარჩლა დეიდაჩემი, მასწავლებელი და გამკითხავი ასეთ საქმეებში. სასწრაფოდ შემიკერეს ახალი პალტო. სიხარულისაგან ადგილს ველარ ვპოულობდი, მაგრამ თურმე ტყუილად ვღელავდი. პალტო აღარ დამჭირვებია. მეფემ სამი კვირით დაიგვიანა და თბილისს ზაფხულის დასაწყისში ეწვია.

ივნისის 3 რიცხვს მთელი თბილისი გამოვიდა ქუჩაში. რასაკვირველია, მე წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ბევრს არაფრად ეპიტნავებოდა ეს ამბავი. 11 წლის ბავშვს ამის თაობაზე ვინ დამიწყებდა სერიოზულ ლაპარაკს. გამიკვირდა მხოლოდ, რომ მამაჩემმა, გიმნაზიის მასწავლებელმა, თავი მოიავადმყოფა და პარადში მონაწილეობა არ მიუღია.

დადგა ნანატრი დღეც. გოლოვინის (დღევანდელ რუსთაველის) პროსპექტზე, ოპერის თეატრის მოპირდაპირე მხარეს, მოუხდა თბი-



ლისის პირველი გიმნაზიის მწკრივს დადგომა.

ყველას გვემჩნეოდა საზეიმო მღელვარება, თვალები გვიბრწყინავდა, ვცქმუტავდით, მაგრამ დირექტორისა და ინსპექტორის შიშით თავს ვიკავებდით და ვცდილობდით მწყობრი არ დაგვერღვია.

შორიდან მოგვესმა სასულე ორკესტრის ხმა და ვაშას ძახილი. ვერის დაღმართის (ამჟამად ელბაქიდის) მხრიდან გვიახლოვდებოდა მეფის კორტეჟი. წინ მოუძღვოდა ცხენოსანთა ასეული შავ ჩოხებში და წითელ ყაბალახებში, შემდეგ – პლასტუნთა ასეული აგურისფერ ჩოხებში და თეთრ ყაბალახებში, შემდეგ – ოფიცერთა სასწავლებლის ოცეული.

მე სულგანახული ვუცდიდი მეფის გამოჩენას. ბავშობიდან ისე მეგონა, რომ მეფე უნდა ყოფილიყო, თუ ყველაზე მაღალი არა, ყველაზე ლამაზი და წარმოსადეგი მაინც.

გამოჩნდა ორი ღიაავტომანქანა, რაც იმხანად თბილისელებისათვის ახალი ხილი იყო. პირველ მანქანაში იჯდა სამეფო კარის მინისტრი ბარონი [224] ფრედერიქსი¹⁹³. მას ახლდა ორი გენერალ-ადიუტანტი. ფრედერიქსი მედიდური შესახედაობის კაცი იყო.

მეორე მანქანაში იჯდა ნიკოლოზ II აგურისფერ ჩოხაში, პოლკოვნიკის ეპოლეტებით, პატარა, გულმკერდჩაგვარდნილი, გაფითრებული, თითქოს შეშინებული; ქერა, მორიჟო წვერ-უღვაშით. იგი უფრო წააგავდა რუს მდაბიოს, ვიდრე დიდგვაროვან არისტოკრატს და მით უფრო იმპერატორს.

პირველხანად ჩვენ ვერ ვიპოვეთ მეფის გავრცელებულ პორტრეტთან მსგავსება. მაგრამ ვაშას ძახილმა, რომელიც გუგუნით მოჰყვებოდა მანქანას, გვამცნო, რომ ეს იყო სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი ხელმწიფე – იმპერატორი ნიკოლოზ II.

თუმცა ბევრს ჩვენთაგანს გული დაწყდა, რომ მეფე უფერული აღმოჩნდა, მაგრამ იმდენათ დიდი იყო გიმნაზიის კედლებში ბავშობიდან ჩანერგილი თაყვანისცემა „მირონცხებულ“ მეფის მიმართ, რომ ეს პატარა კაცუნა ჩვენს თვალებში კვლავ გასხივოსნდა და პირველი შთაბეჭდილება გაქრა. ხუმრობა ხომ არ იყო, ცოცხალ მეფეს ვხედავდით...

¹⁹³ ვლადიმერ ბორისის ძე ფრედერიქსი (1838 – 1927) – რუსი სახელმწიფო მოხელე. რუსეთის საიმპერატორო კარის უკანასკნელი მინისტრი და კავალერიის გენერალი.



კორტეჟმა ჩაიარა. კიდევ დიდხანს ვიდექით გაუნძრევლად. უკვე მოსაღამოვდა, როდესაც გიმნაზიის მოსწავლეთა რიგები სასახლისკენ წაგვიყვანეს. იქ იყო მეფის რეზიდენცია. სასახლის წინა მოედანზე გავჩერდით და მარცხენა მხარეს შესავალთან ზედა სართულის ვეებერთელა სარკმელს მივაშტერდით. გავრცელდა ხმა, რომ მეფე აივანზე გამოვა და ხალხს ეჩვენებო.

ასე ვიდექით დიდხანს. ვიღაცამ, ალბათ „რუსი ხალხის კავშირის“ წევრმა, წამოიწყო ჰიმნი, „Боже царя храни!“ ავყევით ჩვენც. მეც არ დამიკვლია. ამ საერთო ხოტბა-დიდების შესხმაში ჩემი წვლილიც შევითანე.

რა მამღერებდა, ვის ვუმღეროდი?! ღმერთმა უწყის! მაგრამ, ეტყობა, ძალიან გულმოდგინეთ ავყევი ბრბოს ინსტიქტებს და საზეიმო ვითარებით გამოწვეული ალტყინებით გამსჭვალულმა ზომას გადავაჭარბე. ხმა ჩამიწყდა, სახლში რომ დავბრუნდი, ლაპარაკი აღარ შემეძლო.

მეორე დილას, ჩაის სმის დროს, მამაჩემმა მიაქცია ყურადღება ჩემს ჩახლენილ ხმას. ჩაეცინა და ასე მითხრა:

- ეხლა რა მეტქმის, ალბათ სხვის ფეხის ხმას აჰყევი, ისე კი, შვილო, რაც მოგივა დავითაო ..., ხომ გაგიგონია? გაიზრდები და შეგრცხვება, რომ შენ, ქართველ ჭაბუკს, ოდესღაც რუს ხელმწიფისათვის ხოტბის შესხმაში ხმა ჩავიწყდა.

ქორია მოკრივე

[225] ვისაც ოდესმე უცხოვრია რევოლუციამდელ თბილისში, თუნდაც მცირე ხანს, არ შეიძლება არ ჰქონდეს შერჩენილი სიყვარული თუ არა, თბილი გრძნობა მაინც ამ განუმეორებელი ქალაქის მიმართ.

რეტროგრადობაში ნუ ჩამომართმევთ და ბევრი რამ მომწონდა და ახლაც მომწონს იმდროინდელი. ანდა როგორ არ უნდა მოიწონოს ადამიანმა თბილისელების ერთსულოვნობა, თუნდაც იმ საოცარი შემთხვევის გამო, რომელიც ასეთი ოსტატობით აღწერა მაქსიმ გორკიმ თავის ერთ-ერთ ნაადრევ ნაწარმოებში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ერთ თავზეხელაღებულ მკვლელსა და მზაკვარს. სასჯელის სისრულეში მოყვანა შეფერხდა ჯალათის ავადმყოფობის გამო. მოხალისე კი



სამი თვე ეძებეს და ვერ ნახეს ვერც ქალაქში და ვერც ახლომახლო დაბასოფელში, თუმცა გასამრჯელოთ დიდი თანხა იყო გამოყოფილი. ამ საქმის ოსტატი თურმე დაღესტნიდან ჩამოიყვანეს.

და პირიქით, როცა რევოლუციონურმა ძალებმა გათავხედებულ რეაქციონერს, მეფის მოხელეს, გენერალ გრიანოვს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მარტო არსენა ჯორჯიაშვილი როდი იყო ამ განაჩენის სისრულეში მოყვანის მსურველი. მოხალისეები ბევრი აღმოჩნდნენ, მათ შორის ისეთებიც, ვინც წიწილის დაკვლასაც არიდებდა თავს, თუნდაც კოლა გრძელიშვილი, ჩუმი და უწყინარი თერძი, რომელიც ყოფილ „ალექსანდროვის“ ბაღის მახლობლად მუშაობდა აფრიამოვის სამკერვალოში, ან ლევან ცალქალამანიძე – კეთილი, უმწეოთა და საწყალთა გამკითხავი აფთიაქის მოხელე. ზოგი მათგანი, მაგალითად, ლადო ყაბიშვილი, პროფესიით რევოლუციონერი-ტერორისტი, მე გავიცანი გვიან, ოცდაათიან წლებში.

აუჩქარებლობა, ოდნავ სიზნანით შეზავებული, სისხლში და ხორცში ჰქონდა გამჭდარი თბილისელს, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის თავისი სოციალური მდგომარეობით – მოხელე თუ ხელოსანი, აზნაური თუ მდაბიო, ქალი თუ კაცი.

კიდევ ერთი კარგი თვისებით გამოირჩეოდა ძველი თბილისელი. მას არავითარი მორჩილება არ ეტყობოდა ხელისუფალთა წინაშე: პოლიციელი, ჟანდარმი, მეფის მოხელე მის თვალში კიტრის ფასად არ ფასდებოდა, თუნდაც მათ უღირსი არა ჩაედინოთ რა.

ნამდვილ თბილისელს, ყარაჩოღელს, ხელოსანს, მუშას, თუნდაც კინტოს, ამ მოხეტიალე მოვაჭრეს, სასირცხვოდ მიაჩნდა პოლიციელთან მეგობრობა და მასთან პურის გატეხვა. ეს ერთგვარ უსიტყვო პროტესტს წარმოადგენდა.

ნუ იფიქრებთ, რომ თბილისელი ბუნებით ანარქისტი ყოფილიყოს. პროტესტანტული სული მამაპაპათაგან შეისისხლეს[ლხ] როცა თბილისელმა „უცხო ჩექმის“ მიმართ.

პროტესტი სხვა სახითაც მჟღავნდებოდა: საქციელში, მოსწრებულ, ეზოპურ იგავებში და შაირებში, უფრო ხშირად კი უსიტყვო მიხვრა-მიხვრაში და ღიმილში.

ძალით მოხვეული უცხო ტომის ჯარი და პოლიცია ყბადაღებული ჰყავდა თბილისელ მკვიდრს და როცა დადგა ჟამი, როცა გაისმა

რევოლუციის გუგუნი, როცა მხოლოდ ლექსი და სიტყვა აღარ კმაროდა, თბილისელმა აისხა აბჯარი და შეიჭურვა.

ისე, იცოცხლეთ, რამდენ ჟანდარმს და პოლიციელს ეტირა დედა!

საყოველთაო პროტესტის სულისკვეთება მოედო მოსწავლე ახალგაზრდობასაც. თუ პირველხანად მათ ქცევაში არ იყო სოციალური მოტივი, რაც ამოძრავებდათ მე-XX საუკუნის დასაწყისში მათ უფროს ძმებს და მამებს, იყო ეროვნული [226] სიამაყე და თავდაუხრელობა.

მასსოვს, ჩემი ყრმობის დროიდან ორიოდე წლით ჩემზე უფროსი სათავადაზნაურო გინმაზიის მოსწავლე, ვინმე ჯიბო ყანჩელი¹⁹⁴; შფოთისთავი, მოჩხუბარი და ყოველგვარი „სავაჟაკოს საქმის“ თაოსანი, ოლონდ არ[ც] დანა და, მით უმეტეს, არც არავითარი სასროლო იარაღი მას არასდროს უხმარია. ჯიბო ელაში იყო და მეტსახელად „ქორიას“ ეძახდნენ. მეშვიდე კლასში უკვე წვერს იპარსავდა და განსაკუთრებით ემტერებოდა პოლიციელებს – ნერვებს მიშლიანო.

რამდენჯერ მინახავს ქუჩაში ჯიბო ყანჩელი გოროდოვოის (პოლიციის დაბალი მოხელე) თანხლებით, მაგრამ არა წინ მიმავალი, წესისამებრ, არამედ ორიოდე ნაბიჯით უკან: „რას მიქვიან, გოროდოვოიმ წინ გამიგდოსო, ჯიბგირი ხომ არა ვარო“.

ვერაზე ბელინსკისა და ოლლას (დღევანდელი ლენინის ქ.) ქუჩის კუთხეში, იქ, სადაც ამჟამად ვერის ბაზრის შესავალია, მუდმივი საპოლიციო საგუშაგო იყო. ამ საგუშაგოზე ჩვეულებრივ ერთი და იგივე „გოროდოვოი“ იდგა – ღიპიანი, ტუჩებგაქონილი, უღვაშებჩამოშვებული უკრაინელი, ვინმე ვლასიუკი. მას მეტსახელად ტარას ბულბას ეძახდნენ, თუმცა გოგოლის გმირისა მას მხოლოდ ღიპი, ღაჟღაჟა ლოყები და ჩამოშვებული უღვაშები ჰქონდა.

ერთ კვირა დღეს ვლასიუკმა წყნეთის (ახლანდელი მელიქიშვილის) ქუჩის დასაწყისში შეამჩნია ჩოჩქოლი. სასტვენი მოიმარჯვა, მუნდირის კალთები აიწია, სტვენა-სტვენით იქით გაექანა.

ქუჩის კუთხეში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. წრე გაემართად. ვლასიუკმა შესძახა: „Разойдись!“ ხალხი მიიწ-მოიწია, ვლასიუკი წრეში შევიდა და სწორედ ამ დროს გაისმა სილის მძლავრი ტყლაშუნი. ერთ-ერთი მოჩხუბარი ცხვირპირდასისხლიანებული მიწაზე გაიშხლართა. მის გვერდით ქვაფენილზე ეგდო მეორე მოჩხუბარი. ხელები მუცელზე

¹⁹⁴ ჯიბო (ჯიბრაილ) ყანჩელი (1892-???) – ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი. 1924 წელს, წარუმატებელი აჯანყების შემდეგ, საფრანგეთში გადაიხვეწა.





ალექსანდრე სულხანიშვილი, ჯიბრაილ ყანჩელი და
ქაქუცა ჩოლოყაშვილი (საქართველოს პარლამენტის
საჯარო ბიბლიოთეკა)

ეჭირა და კვნესოდა. ფეხზე იდგა მხოლოდ ტანმორჩილი, ხმელი, ოდნავ შეჭარბებული და სრულიად უვნებელი ჯიბო ყანჩელი; სდუმდა და ხელებს ცხვირსახოცით იწმენდა.

დაზარალებულები დიდი ვაივაგლახით წამოდგნენ. ვლასიუკმა სამთავე საპოლიციო უბანში წაიყვანა. ყანჩელი, როგორც ყოველთვის, ვლასიუკს უკან მისდევდა. ვლასიუკს არა უთქვამს რა. იცოდა არაფერი გაუვიდოდა.

პირველ საპოლიციო უბნის პრისტავათ იმხანად იყო ვინმე ლევაშოვი, პირხმელი, ჭროლათვალება, ხანში შესული პოლიციელი. გულზვიადი და პირქუში მეფის მოხელე ლევაშოვი კარგად იცნობდა სამთავეს. არაერთხელ მოუყვანიათ ისინი „ვაჟკაცური“ საქმეებისათვის. ჯიბო



ყანჩელის მეტოქეები კაპლო და სტიოპკა საპ[რ]ისტაოს „კუტუზკაში“ ხშირი სტუმრები იყვნენ:

– Опять попались! Ну и рожи у вас, кто это вас разукрасил?! (თარგმ.: ისევ გამოგიჭირეს! რას გავხართ, ვინ გავალამაზათ ასე?!)

[227] – Господин пристав! (თარგმ.: ბატონო პრისტავო!) – თბილისური რუსულით მიმართა კაპლომ და ხელი გაიშვირა ჯიბოსაკენ, – это он, гаспадин пристав, он нас избил! (თარგმ.: ეს იყო! ამან გავგლახა!)

– Молчать! (თარგმ.: ჩუმად!) – მკვახხეთ შეაწყვეტინა ლევაშოვმა, – Ты что мне голову морочишь! Это же мальчик! Говорите правду, не то я Вам... (თარგმ.: თავ გზას ნუ მიბნევ! ეს ხომ პატარა ბიჭია! სიმართლე მოთხარი, თორემ მე შენ გიჩვენებ სეირს...)

სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ ლევაშოვი იცნობდა ჯიბო ყანჩელის მამას, თავადაზნაურობის წინამძღოლის ახლო მეგობარს და თავს არიდებდა ყოველგვარ „ხლაფორთს[ს]“.

– Гаспадин пристов! (თარგმ.: ბატონო პრისტავო) – წამოიწყო კაპლომ მაგრამ სტიოპკამ არ დააცალა, ოდნავ ხელი ჰკრა, წარდგა წინ და პრანჭვაგრეხით მიმართა პრისტავს.

– Ваши благородия! Что можем делать? Я ему тыкаю глаз! мене смотрит, Я ему бьёт, я ему смотрит - мене бьёт!!! (თარგმ.: თქვენო აღმატებულებავ! რა უნდა გვექნა! მე თვალი შევურტვე! მე შემომხედა, მე ის დავარტყი. მე იმას შევხედე. მე დამარტყა!!! (დამახინჯებული რუსულით)).

გონებამახვილი პეტუა

როგორც ვიცით, თბილისში ამ საუკუნის დასაწყისში კონკა (ცხენიანი ტრანსპორტი) შეცვალა ბელგიელების მიერ აშენებულმა ტრამვაიმ.

ბევრს, რა საეჭვოა, არ უნახავს რევოლუციამდელი ტრამვაის ღია ვაგონები. ვაგონის თავისებური კონსტრუქცია კონდუქტორს ვაგონში შესვლის საშუალებას არ აძლევდა. ის იძულებული იყო ვაგონის გასწვრივ მოწყობილ საფეხურზე წინ და უკან ემოძრავა და ასე გაეყიდა ბილეთები.

ერთ დღეს, ზაფხულის დასაწყისში, დილაადრიანად, ბიძაჩემი მიხეილ ეგაძე გოგირდის აბანოებისაკენ მიემგზავრებოდა ტრამვაით. მის გვერდით იჯდა თურმე მალალი, ხმელი, საკინძამოსნილი





ტრამვაი გოლოვინის პროსპექტზე. (კინოფოტოფონო ფონდის ც/ა 3-1195)

ტფილისის აბორიგენი, ყველასათვის ცნობილი პეტუა კალატობების უსტაბაში, ჩასპანდი, ყარაჩოლელი, დილიდანვე ხაშისა და არყის სუნით გაჟღენთილი. უკანა მერხზე იჯდა ლოყებლაჟღაჟა რუსი მზარეული ქალი პროვიზიით სავსე ჩანთით ხელში.

ერთ გაჩერებაზე ვაგონს მგზავრები მოაწყდა. ბიძაჩემის გვერდზე მოიკალათა საკმაოდ ჩასუქებულმა, კორსეტში გამოწყობილმა შუახნის რუსმა ქალმა დიდი შლიაპით.

ხანშიშესულ თბილისელებს ალბათ ახსოვთ იმდროინდელი ფართე ქოლგის მსგავსი ჩალის ან ქსოვილის ქალის საბურავები. ასეთი საბურავის თავზე გასაჩერებლად ქალები ხმარობდნენ გრძელ ლითონის ჩხირებს. უამისოდ მსუბუქი ნიავიც კმაროდა, რომ შლიაპა გაფრენილიყო.

ბიძაჩემმა ოდნავ იქით წაიწია, მან კარგად იცოდა, რა მოსდევდა ასეთ ექსპანსიურ ქალების ცქმუტუნს, რადგან შლიაპაში გაყრილ წვეტიან ჩხირს არ ჰქონდა გაკეთებული სპეციალური „მცველი“



(наконечник). უამისოდ ბევრისთვის დაუთხრიათ თვალი. ქალაქის თვით[მ]მართველობის დადგენილებით, ქალებს ეკრძალებოდათ ასეთ „მცველის“ გარეშე ტრამვაით მგზავრობა.

კონდუქტორმა შეამჩნია წესის დარღვევა და მიმართა მა[ნ]დილო-სანს „იმერული“ რუსულით [228]:

– Мадам! Прошу освободить вагон! Или наденьте наконечник, пожалуйста! (თარგმ.: ქალბატონო! გთხოვთ გაათავისუფლოთ ვაგონი! ან გაიკეთოთ „მცველი“, თუ შეიძლება!)

– Что... мне сойти с вагона? (თარგმ.: რა... მე ჩავიდე ვაგონიდან?) – იფეთქა ქალმა, – Да, как вы смеее, вы знайте с кем говорите? Да я Вас, я Вам... (თარგმ.: რას ბედავთ! იცით ვის ელაპარაკებით? მე თქვენ...)

კონდუქტორს გული მოუვიდა, ჩამოჰკრა ზარს და გააჩერა ვაგონი.

– Вагон дальше не пойдет! С Вами говорят мадам! Сходите, пожалуйста! (თარგმ.: ვაგონი აღარ წავა! ქალბატონო, თქვენ მოგმართავთ! ჩაბრძანდით თუ შეიძლება!)

ატყდა აყალმაყალი, ქალი გაკაპასდა, მგზავრები კონდუქტორს მიემხრნენ, განსაკუთრებით ღელავდა მზარეული გოგონა, იგი მოუბრუნდა ბიძაჩემს და შესჩივლა:

– Ох и вредная же она, прости господи, сама виноватая, сама-же колетя! (თარგმ.: რა მავნე ქალია, ღმერთო მაპატიე! თვითონაა დამნაშავე და კიდეც აქვთ იკბინება!)

შლიაპიანმა მოჰკრა ყური ამას და გააფთრებული მოუბრუნდა მზარეულს:

А тебя, дуру, кто за язык тянет, как ты смеешь мне указывать?! (თარგმ.: შენ კი, სულელო, ენაზე ვინ გექაჩება? როგორ ბედავ რამეზე მიმითითო?!)

ვაგონი იდგა.

– Мадам, значит не хотите сходит? (თარგმ.: ქალბატონო, ესე იგი არ ჩაბრძანდებით?!)

– Не хочу и не сойду! (თარგმ.: არ მინდა და არ ჩავალ!)

– Так и будем стоять?! (თარგმ.: ასე უნდა ვიდგეთ?)

– Стоите пожалуйста, Я не тороплюсь! (თარგმ.: იდევით, მე არსად მეჩქარება)

– Я пазаву городского! (თარგმ.: პოლიციას დავუძახებ!)

– Что, что городского? Скажите пожалуйста, как напугали. Вы знайте кто мой муж? Он вас, вместе с вашим городовым пошлет куда надо!



Он полицейстер! (თარგმ.: რაო, რაო პოლიციელს? როგორ შემაშინეთ! იცით ჩემი ქმარი ვინ არის? თქვენ და თქვენს პოლიციელს გაგიშვებთ სადაც საჭიროა! ის პოლიციის უფროსია!)

ახლა ბიძაჩემიც ჩაერთო:

- Тем более, вам следует соблюдать порядок. Нельзя же в самом деле, всех задерживать! (თარგმ.: მითუმეტეს, წესრიგი უნდა დაიცვათ. ხომ არ შეიძლება თქვენს გამო ყველა შეფერხდეს!)

- А это Вас не касается! (თარგმ.: ეს კი თქვენ არ გეხებათ) – უბასუხა უკმეხად ქალმა. ბიძაჩემმა მხრები აიწია, თითქოს უნდა ეთქვა – განა ღირს შენთან ლაპარაკიო.

პეტუა, რომელიც აქამდე უხმოდ იჯდა და თითქოს სთვლემდა, გამოფხიზლდა და დინჯათ მიმართა რუს ქალბატონს:

- Ва, жена полицейстера и тебе не стыдно?! Ты не женщина, ты ведьма! (თარგმ.: ოჰ პოლიცმეისტერის მეუღლე ბრძანდებით და არ გრცხვენიათ?! ქალი კი არა ქაჯი ხარ!) – შეტრიალდა გადასწვდა მზარეული ქალის კალათს, მოსწყვიტა ბოლოკი, სწრაფად წამოაცვა გაკაპასებულ ქალის შლიაპის მჭერ ჩხირს და აუჩქარებლად მიუბრუნდა კონდუქტორს:

- Типер, езжай!!! (თარგმ.: ახლა შევიძლიათ დაიძრათ!!!)

[229] ისაც რაც აქამდე მოგიტხრეთ თბილისზე, თუმცა ისტორიულ ექსკურს[ს]აც შეიცავდა მცირე მა[ს]შტაბით, მაგრამ უფრო სალალობო და სამხიარულო მოგონებებს შეეხებოდა.

ახლა მინდა მოკლეთ უფრო სერიოზულ მოგონებებზე გესაუბროთ, რომლებიც მჭიდროთ არის გადახლართული ჩვენი ოჯახის ახლო წარსულთან. რადგან მე თბილისში დავიბადე და გავიზარდე და აქვე ვაპირებ ბოლომდე ცხოვრებას, ამიტომ ის, რაზედაც ვაპირებ ლაპარაკს, თბილისის წარსულს ეხება და ამითაა გამართლებული ამ ეპიზოდების მოთავსება ამ პატარა კრებულში.



I

ზოგი რამ ჩვენი ოჯახის ქრონიკიდან

რეაქციამ ჩვენც გაგვიკვრა შავი ფრთა

[230]1907 წელს მამაჩემი 29 წლის იყო. იმხანათ იგი მასწავლებლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში (ქართულ ლიტერატურას და ისტორიას ასწავლიდა უფროს კლასებში). გიმნაზია ახალ შენობაში გადასვლამდე მოთავსებული იყო ოთხ[ხ]სართულიან შენობაში პეტრე-დიდისა (დღევანდელი დერჟინსკის) და ევანგულოვის (დღევანდელი შიო ჩიტაძის) ქუჩების კუთხეში.

თუმც მამაჩემს წარჩინებით ჰქონდა დამთავრებული ყაზანის სასულიერო აკადემია, მაგრამ ბაბუაჩემის – დეკანოზ რომანოზ გორგაძის სურვილისდა მიუხედავად, არავითარი მიდრეკილება არ გამოუჩენია ბერად აღკვეცილიყო და ღვთისმსახურობას გაჰყოლოდა. პირიქით, როგორც მის მოგონებებიდან ჩანს მამაჩემის მსოფლმხედველობა უკვე სტუდენტობის პერიოდში დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა კლერიკალურ ფილოსოფიას. აი მისი სიტყვები: „მე უკვე აკადემიის მეორე კურსზე მთლიანად დავეთანხმე ერთ-ერთ გამოჩენილ მეცნიერის აზრს, რომ ღმერთმა კი არ შექმნა ადამიანი, პირიქით, ადამიანმა შექმნა ღმერთი“.

მამას შეეძლო საერო ხაზით განეგრძო მუშაობა რუსეთის რომელიმე დიდ ქალაქში. მას სტოვებ[დ]ნენ კიდევ აკადემიაში მაგისტრის წოდებით, უცხოეთშიც გააგზავნეს სწავლის გასაღრმავებლათ (იყო გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში და ინგლისში), მაგრამ გული მოუწევდა სამშობლოსაკენ. აქ კი იმხანად უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო დაწესებულებების ჭაჭანებაც არ იყო. ამან განაპირობა მისი შემდგომი საქმიანობა. მან მოკიდა ხელი მასწავლებლობას საშუალო სასწავლებლებში (ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში).

მისი თბილისში სამუდამოთ დარჩენა განაპირობა, აგრეთვე, ქართლელი აზნაურის – კოტე ევაძის ერთ-ერთ ქალიშვილზე¹⁹⁵, დედაჩემზე, ჯვარის დაწერამ.

¹⁹⁵ თამარ ევაძე.



მამა სულითა და გულით მიესალმა 1905 წლის რევოლუციას, თუმც უშუალოდ პოლიტიკურ საქმიანობას ერიდებოდა. ალბათ იმიტომ, ეს მის ბუნებას და ხასიათს [231] არ ესატყვისებოდა. წყნარი, თავდაჭერილი, უსაზღვროთ ღმობიერი და დინჯი მამა სწორედ პედაგოგიურ და კვლევითი ხასიათის საქმიანობისათვის იყო დაბადებული და თავისი ცხოვრების მოკლე მანძილზე (გარდაიცვალა 1929 წელს 52 წლის ასაკში გულის ავადმყოფობისაგან. დაკრძალულია ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში) ბევრის გაკეთება შესძლო.

მიუხედავად პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაურევლობისა, სტოლი-პინისეულმა რეაქციამ მაინც გაჰკრა მას თავისი ფრთა და საკმაოდ სერიოზული სულიერი ტრავმა მიაყენა.

1907 წელს რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით პერიფერიაზე, მძვინვარებდნენ შავრაზმელი დამსჯელი რაზმები, თავზებელაღებული კოზაკები, ჟანდარმერია და პოლიცია ყოველგვარი ნაძირალების შემწეობით გაფაციცებით ეძებდა რევოლუციონურ მოძრაობის მონაწილეებს და ავსებდა ციხეებსა და საბეზრობილებს.

1907 წელს¹⁹⁶ [...] თვეში თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის მესამე სართულზე საღამო საათებში მიმდინარეობდა გიმნაზიის პედსაბჭოს სხდომა, რომელზეც თავ[მ]ჯდომარეობდა გიმნაზიის დირექტორი შიო ჩიტაძე. მასწავლებელთა შორის სხდომას ესწრებოდნენ აწ განსვენებული, შემდეგში ცნობილი პროფესორი იუსტინე აბულაძე¹⁹⁷, კალისტრატე ცინცაძე¹⁹⁸ (შემდეგში საქართველოს კათალიკოს პატრიარქი), ბოცვაძე¹⁹⁹, მამაჩემი და სხვ. სამწუხაროთ, ყველა მონაწილეთა გვარებს ვერ დავასახელებ, არ დამიზუსტებია.

უკვე საღამოს 9 საათი სრულდებოდა, როდესაც გაისმა ყუმბარის

¹⁹⁶ თარიღი მითითებულია შეცდომით, კაზაკები გიმნაზიაში 1906 წელს შეიჭრნენ.

¹⁹⁷ იუსტინე აბულაძე (1874–1962) – ქართველი ფილოლოგი, ირანისტი და რუსთველოლოგი. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სათავეში ედგა თავის მიერვე ჩამოყალიბებულ სპარსული ფილოლოგიის კათედრას.

¹⁹⁸ კალისტრატე ცინცაძე (1866–1952) – ქართველი სასულიერო მოღვაწე, მეცნიერი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიუხედავად, კალისტრატე გადაურჩა მეფის რუსეთის რეპრესიებს, თუმცა მას ვერ ასცდა ბოლშევიკური ტერორი. მისი ქალიშვილი, ნინო ცინცაძე ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და დახვრიტეს, კალისტრატე სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა შვილის ბედის გარკვევას.

¹⁹⁹ ლუარსაბ ბოცვაძე (1866–1919) – ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1908 წელს დაარსა ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი “განათლება”, 1890 წლიდან იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.





თბილისის კლასიკური გიმნაზია (კინოფოტოფონო ფონდის ც/ა A799_P117)





ՆԱՆԿԱԾՅՈՒՆ
ՎՈՐՈՒՄՆԵՐ
ՎԵՐՈՒՄ



თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის პედაგოგები, ცენტრში ზის ექვთიმე თაყაიშვილი, მისგან მარცხნივ კალისტრატე ცინცაძე (კინოფოტოფონო ფონდის ც/ა 2-4124).

ხმა. ტალღამ შენობა შეაზანზარა და ზოგი ფანჯრის მინა ჩაღეწა. ქუჩიდან მოისმა ცხენების ჭიხვინი, ყვირილი, გინება ...

საბჭო აიშალა, ყველა მივარდა სარკმელებთან, მაგრამ ქუჩა იმხანად განათებული არ იყო და ზევიდან არა სჩანდა რა.

დირექტორმა მოუწოდა ყველას არსად გასულიყვნენ და მაგიდას მისხდომოდნენ, მაგრამ პედსაბჭოს ვიღამ დააცალა მუშაობის გაგრძელება. არ გასულა ხუთი წუთი, რომ გიმნაზიის შენობას ალყა შემოარტყეს პლასტუნების (ფეხოსან კაზაკების) ათასეულის ჯარისკაცებმა, რომელთა ყაზარმები იყო იმავე ქუჩაზე, დღევანდელ მთავრობის სახლის ზედა შენობის ადგილზე. რამოდენიმე ათეული პლასტუნი ბიშტიანი შაშხანებით შემოვარდნენ შენობაში და პედსაბჭოს წევრებს მოესმათ მათი ჩექმების ხმა კიბებზე. დირექტორი ჩიტაძე წამოდგა, ყველას ხელით ანიშნა არ [232] დაძრულიყვნენ ადგილიდან, გააღო კარი და გავიდა კიბის ბაქანზე. მამაჩემი და იუსტინე აბულაძე უნებურად გაჰყვნენ მას და ოდნავ უკან დადგნენ. ქვედა სართულიდან კიბებზე ამორბოდნენ



პლასტუნები შაშხანებით ხელში. ერთ-ერთმა კოზაკმა მოიმარჯვა შაშხანა სასროლად.

დირექტორმა ასწია ხელი და ხმა-მაღლა შესძახა:


- Господа, не стреляйте! Я директор ГИМНАЗИИ! (თარგმ.: ბატონებო არ ისროლოთ! გიმნაზიის დირექტორი ვარ!)

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, გავარდა თოფის ხმა და ჩიტაძე ჩაიკეცა, მამამ და აბულაძემ იმ წამს წა[ა]ვლეს ხელი ჩიტაძეს იდაყვებში და შეიყვანეს შიგნით ოთახში. უკეთ რომ ვთქვათ, შეასვენეს, რადგან ჩიტაძე უკვე აღარ იყო ცოცხალი, თუმც იმ წუთებში ეს არავინ იცოდა.

